


№1



სამართლის
ექსპერტული
საკითხები

2023



აკადემიური ჟურნალი – სამართლის აქტუალური საკითხები მომზადდა საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტების თანამშრომლობის შედეგად. მისი მიზანია რეგიონებში იურიდიული განათლების, მეცნიერების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაძლიერების წახალისება და მხარდაჭერა.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

**USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM**

ჟურნალის გამოცემა შესაძლებელი გახდა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

ჟურნალში გამოქვეყნებულ მოსაზრებებზე პასუხისმეგებელი არიან ნაშრომის ავტორები და მათი მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემონახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციას.

№2

სამართლის

აქტუალური

საკითხები

2023

სარედაქციო საბჭო:

გიორგი მიქიანაშვილი

რედაქტორი, სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

გულიკო გალდავა

სარედაქციო საბჭოს წევრი, სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი;

ანა ფიცხალაშვილი

სარედაქციო საბჭოს წევრი, სამართლის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პროფესორი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი;

დევი სვდელიანი

სარედაქციო საბჭოს წევრი, სამართლის დოქტორი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან ჯაყელი

სარედაქციო საბჭოს წევრი, სამართლის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

მარინე კვაჭაძე

სარედაქციო საბჭოს წევრი, სამართლის დოქტორი, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

მამუკა შენგელია

სარედაქციო საბჭოს წევრი, სამართლის დოქტორი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

დავით ხობელია

სარედაქციო საბჭოს წევრი, სამართლის დოქტორი, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი;

სოფიო შენგელია

სარედაქციო საბჭოს წევრი, სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ღავით კურთანიძე

Uti Possideti Juris პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში
(კალკულური ასაქტები და საქართველოს სახელმწიფოებრიობის კონტექსტი)..... 5

ზურაბ აზნაურაშვილი, თამარ დავდარიანი

დისციპლინური სამართალწარმოება, როგორც სამართლიანი სასამართლოს
უფლების უზრუნველყოფის პრევენციული მექანიზმი..... 21

თეა სამჭკუაშვილი, შალვა ლაზარიაშვილი

საჯარო სამსახურში საჩუქრის სამართლებრივი რეგულირების გამოწვევები
თანამედროვე ქართულ კანონმდებლობაში..... 30

თამარ ურუშაძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ადამიანის კონსტიტუციური
უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით..... 43

ნიკოლოზ მელაძე

შეგებებული სარჩელი – სარჩელისგან თავდაცვის პროცესუალური მექანიზმი..... 55

მარიამ ზარძუა

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება..... 62

ზაზა მჭედლიშვილი

ძირითადი პრინციპების ადგილი და როლი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო
სამართალში (შეღარებით-სამართლებრივი ანალიზი)..... 75

ეთერ თოფჩიშვილი

სარჩელის ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში..... 84

ციცო დვალიაძე

ქალთა მიმართ ძალადობა ისლამში და მის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო
სამართლებრივი მექანიზმები..... 91

გიორგი კვარაცხელია

სასამართლოს სტრუქტურულ ფუნქციონალური თავისებურებანი ეროვნულ და აშშ-ს
სისხლის სამართლის პროცესში..... 99

ანა კუჭავა

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის ცვლილება ქართულ კანონმდებლობაში..... 112

დავით კურტიანიძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

UTI POSSIDETIS JURIS

პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო
სამართალში (ცალკეული ასპექტები და
საქართველოს სახელმწიფოებრიობის კონტექსტი)

სტატია იხილავს **Uti Possidetis Juris** პრინციპის არსს, **Uti Possidetis** დოქტრინის ისტორიული ევოლუციასა და ამ პრინციპის გამოყენებას თანამედროვე საერთაშორისო სამართალში.

სუვერენული სახელმწიფოსათვის ტერიტორია და საზღვრები უმთავრესია საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში. ამ კონტექსტში ხაზი გაესმის **Uti Possidetis** პრინციპის მნიშვნელობას სახელმწიფოების ურთიერთობებში სტაბილურობის მიღწევასა და ტერიტორიული კონფლიქტების აცილებასთან დაკავშირებით. აღნიშნულია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ამ პრინციპის გამოყენებამ სასაზღვრო დავებიც გამოიწვია.

სტატიაში გაანალიზებულია ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში ამ პრინციპის გამოყენება, წარმოდგენილია უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებით ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების დადგენის კონტექსტში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული კონფლიქტების ქრილში ამ პრინციპის გამოყენების შესაძლებლობის ანალიზი. გამოკვეთილია, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ **Uti Possidetis** შურის საფუძველზე საქართველოს სსრ-ის ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრები გარდაიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო საზღვრებად, რაც მხარდაჭერილია დემოკრატიული სახელმწიფოების პრაქტიკით და აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი სეპარატისტული მიზნებისათვის ვერ გამოიყენებენ **Uti Possidetis** პრინციპს.

სტატიაში წარმოდგენილია პრობლემატური ასპექტები, დასკვნა და მოსაზრებები განხილულ საკითხზე.

საკვანძო სიტყვები: ტერიტორიული მთლიანობა, საზღვრები, სეცესია

წინამდებარე სტატია იხილავს უტი პოსსიდეტის ჯურის პრინციპს – საერთაშორისო სამართლის კონცეფციას, რომელიც განსაზღვრავს ახალი სუვერენული სახელმწიფოების სახელმწიფო საზღვრებს გამოყოფამდე არსებული მათი ადმინისტრაციული საზღვრების საფუძველზე. სტატიის მიზანია გაანალიზოს ამ პრინციპის ევოლუცია, წარმოაჩინოს მისი გამოყენება თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, გაანალიზოს ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში ამ პრინციპის გამოყენება უშუალოდ საქართველოსთან დაკავშირებით ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების დადგენის კონტექსტში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული კონფლიქტების ჩრილში ამ პრინციპის გამოყენების შესაძლებლობა.

სახელმწიფო საზღვრების დადგენა და საერთაშორისო აღიარება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის უმთავრესი საკითხია. ამ პროცესში დიდი როლი აქვს *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენებას.

Uti Possidetis Juris აღიარებულია, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დოქტრინა, რომელიც დეკოლონიზაციის ეპოქაში ცენტრალური იყო ახალი სახელმწიფოების ტერიტორიული სუვერენიტეტის, მათი საზღვრების განსაზღვრისას.¹ დღესდღეობით საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების საზღვრები დგინდება *Uti Possidetis Juris* პრინციპის, როგორც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმის, გამოყენებით. ეს პრინციპი მაშინაც კი გამოიყენება, როდესაც ის ეწინააღმდეგება ხალხის თვითგამორკვევის პრინციპს.² *Uti Possidetis* დოქტრინა ითვალისწინებს, რომ დეკოლონიზაციის შედეგად წარმოშობილი ახალი სახელმწიფოები მემკვიდრეობით იღებენ კოლონიალიზმის დროინდელ იმ ადმინისტრაციულ საზღვრებს, რომლებიც მათ ჰქონდათ დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტში.³ ბოლო ათწლეულების მოვლენებმა დაადასტურა, რომ *Uti Possidetis Juris* გამოიყენება არა მხოლოდ დეკოლონიზაციის კონტექსტში, არამედ – ყველა შემთხვევაში, როდესაც ახალი სახელმწიფოების საზღვრები უნდა განისაზღვროს.⁴ *Uti Possidetis Juris* გამოყენებული იქნა ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილი სახელმწიფოების შემთხვევაში.⁵

საერთაშორისო სამართალში *Uti Possidetis* არის პრინციპი, რომელმაც თავდაპირველად კოლონიურ პერიოდში დადგენილი ადმინისტრაციული საზღვრები საერთაშორისო საზღვრებად გადააქცია⁶ და თანამედროვე პერიოდშიც მნიშვნელოვანი როლი აქვს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენება მხარდაჭერილი იქნა დემოკრატიული სახელმწიფოების პრაქტიკით და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და აქვს საქართველოს ყოფილი საბჭოთა ადმინისტრაციული საზღვრების საერთაშორისო აღიარების კონტექსტში.

სტატიაში წარმოაჩენს პრობლემატურ ასპექტებს, დასკვნასა და მოსაზრებებს წარმო-

1 Shaw, M. N., *The Heritage of States: The Principle of Uti Possidetis Today*. 67 BRIT. Y.B. INT'L L. 1996. N 1, 115.

2 იქვე, გვ. 115.

3 Ratner, S. R., *Drawing a Better Line: Uti Possidetis and the Borders of New States*, 90 AM. J. INT'L L. 1996. N4, 590.

4 Walter, Ch. et al. eds., *The Principle of Uti Possidetis Juris: How Relevant Is It for Issues of Secession?* by Anne Peters in "Self-determination and Secession in International Law". 2014. 95.

5 Evison, J. A., *MIGs and Monks in Crimea: Russia Flexes Cultural and Military Muscles, Revealing Dire Need for Balance Of Uti Possidetis and Internationally Recognized Self-Determination*, 220 MIL. L. REV. 2014. 95.

6 ICJ Judgement, *Case Concerning the Frontier Dispute (Burkina Faso/Republic of Mali)*, General List No. 69. 22.12.1986. Para 23.

დგენილ საკითხზე.

1. *Uti Possideti* დოქტრინის ისტორიული ევოლუცია

ტერმინი *Uti Possideti* მომდინარეობს რომის სამართლიდან, სადაც *Uti Possideti* ეხებოდა საკუთრებას, ქონებას და არა ტერიტორიულ სუვერენიტეტს. შეიძლება, ითქვას, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არსებულ *Uti Possideti Juris* პრინციპთან რომაულ წინამორბედს ნაკლებად აქვს საერთო.

თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დოქტრინა *Uti Possideti Juris* მეცხრამეტე საუკუნეში ლათინურ ამერიკაში წარმოიშვა.¹

მრავალი თვალსაზრისით *Uti Possideti Juris* საერთაშორისო სამართლის დოქტრინა თავისი რომაული სამართლის წინამორბედის საპირისპიროა. *Uti Possideti* რომის სამართალში ეხებოდა საკუთრების უფლებებს, საერთაშორისო სამართალში კი – ტერიტორიულ სუვერენიტეტს, რომის სამართალში ქმნიდა მხოლოდ უფლების პრეზუმფციას, ხოლო საერთაშორისო სამართალში კი – აბსოლუტურ უფლებას ანიჭებს, რომის სამართალში ფაქტობრივ მფლობელობას აქცევდა კანონიერ უფლებად, ხოლო საერთაშორისო სამართალში კი – უგულებელყოფს ფაქტობრივ მფლობელობას და კოლონიური ადმინისტრაციული საზღვრების საფუძველზე ცნობს უფლებას.²

ისტორიულად *uti possideti* პრინციპი ვითარდებოდა შემდეგი ორი ფორმით – *Uti Possideti Juris* და *Uti Possideti de facto*.³ *Uti Possideti Juris* გამოიყენება დღესდღეობით, ხოლო *Uti Possideti de facto* წარსულს განეკუთვნება.

Uti Possideti Juris თანამედროვე დოქტრინის უკეთ გასაგებად თვალი უნდა გადავავლოთ ორი საუკუნის წინ მისი წარმოშობის შემდეგ მომხდარ მოვლენებს. მე-19 საუკუნეში ლათინურ ამერიკაში ესპანეთისა და პორტუგალიის, რომლებიც მანამდე ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის სამხრეთით მდებარე ყველა ტერიტორიაზე აცხადებდა პრეტენზიას, კოლონიალიზმის დასასრულის დაწყებას თან სდევდა ახალი სახელმწიფოების გაჩენა, რომლებიც ამ პროცესის შედეგად ჩართულნი იყვნენ სასაზღვრო დავებში. ესპანეთსა და პორტუგალიას არ ჰქონდათ მკაფიოდ დადგენილი ახალი სახელმწიფოების საზღვრები. ამასთან, ახალი დამოუკიდებელი ტერიტორიები სწრაფად იშლებოდა და ახალ-ახალი სახელმწიფოები იქმნებოდა. მათი საზღვრების შესახებ გაუთავებელი კონფლიქტების თავიდან აცილების მიზნით ახალმა სახელმწიფოებმა მალევე შემოიღეს *Uti Possideti* წესი, რათა დაედგინათ თავიანთი საზღვრები.⁴

როგორც აღინიშნა, წარმოიშვა *Uti Possideti* ორი ვერსია. *Uti Possideti de facto* სუვერენიტეტს ტერიტორიის ფაქტობრივ მფლობელს ანიჭებდა. ამის საპირისპიროდ, *Uti Possideti Juris* დოქტრინამ მიწის ფაქტობრივი მფლობელობის იგნორირებას ახდენდა და ფოკუსირებული იყო ახალი სახელმწიფოების წარმოშობამდე კოლონიური ძალების მიერ დადგენილ ადმინისტრაციულ საზღვრებზე.⁵

ადმინისტრაციული საზღვრები, რომლებიც *Uti Possideti* ჟურის დროს გამოიყენებოდა საზღვრების დასადგენად, არ იყო საერთაშორისო საზღვრები და ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებსაც ეს საზღვრები შემოსაზღვრავდა, არ იყვნენ ახლად წარმოქმნილი ქვეყნების სუვერენული წინამორბედები. *Uti Possideti Juris* იყენებდა სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ საზღვრებს (ზოგს წმინდა ადმინისტრაციულს, ზოგსაც კი საერთაშორისო

1 Shaw, M. N., Peoples, Territorialism and Boundaries, 8 EUR. J. INT'L L. 1997. 493.

2 იქვე, 492.

3 იქვე, 594-595. იხ. Ratner, S. R., დასახელებული ნაშრომი, სუპრა სქოლიო 3, 594-595.

4 Lalonde, S., Determining Boundaries in a Conflicting World: The Role of Uti Possideti. McGill-Queen's University Press. 2002. 31.

5 იქვე, 31.

საზღვარს) ახალი სუვერენული სახელმწიფოების საზღვრების დასადგენად. *Uti Possidetis Juris* გამოყენებისათვის არ იყო საჭირო კოლონიური წარმონაქმნის სამართალმემკვიდრეობა.¹ დროთა განმავლობაში *Uti Possidetis Juris* გახდა დომინანტური დოქტრინა პოსტკოლონიური საზღვრების დადგენისათვის.² ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების ეროვნული საზღვრები ემთხვეოდა ყოფილ კოლონიურ საზღვრებს და არ რჩებოდა *terra nullius* ამ კონტინენტზე.³ ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ *Uti Possidetis Juris*-ის პრინციპის გამოყენების მიზანი იყო სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებული კონფლიქტების თავიდან აცილება, მაგრამ ამან მაინც ვერ შეაჩერა ევროპის სახელმწიფოების მხრიდან საშინაო საქმეებში ჩარევა და ტერიტორიული დავები.⁴ *Uti possidetis Juris* მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დეკოლონიზაციის პროცესის განმავლობაში გახდა ზოგადი გამოყენების პრინციპი.⁵

ლათინური ამერიკიდან *Uti Possidetis Juris* პრინციპი აფრიკაში გავრცელდა. ეს პრინციპი აღიარა და მიიღო აფრიკული ერთობის ორგანიზაციამ 1964 წელს აფრიკის სახელმწიფოთა შორის სასაზღვრო დავების შესახებ რეზოლუციით.⁶ შემდეგ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *uti possidetis* ჯურის დოქტრინა გამოიყენა ბურკინა-ფასო/მალის საქმეზე და ცხადყო ამ პრინციპის მნიშვნელობა. სასამართლომ მიუთითა, რომ საზღვრის დადგენისას გამოსაყენებელი იყო უტი პოსსიდეტის ჯურის პრინციპი და აღნიშნა, რომ ეს პრინციპი არის ზოგადი პრინციპი, რომელიც დაკავშირებულია დამოუკიდებლობის მოპოვების ფაქტთან, რომლის ცხადი მიზანიცაა უზრუნველყოს, რომ ახალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობასა და სტაბილურობას საფრთხე არ შეექმნას სასაზღვრო დავებით პროვოცირებული ძმათამკვლელი ბრძოლებით.⁷ სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ამ პრინციპის არსი გამომდინარეობს მისი უმთავრესი მიზნიდან, უზრუნველყოს ტერიტორიული საზღვრების დაცვა, როდესაც ხდება დამოუკიდებლობის მოპოვება, ხოლო ასეთი ტერიტორიული საზღვრები შეიძლება, იყოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულს თუ კოლონიას შორის გავლებული საზღვრები და ამ შემთხვევაში კი უტი პოსსიდეტის პრინციპის გამოყენებით მოდავე მხარეთა ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრები გადაიქცა საერთაშორისო საზღვრებად სრული მნიშვნელობით.⁸

სასამართლომ განმარტა, რომ *Uti Possidetis Juris* არის საერთაშორისო სამართლის დოქტრინა, რომელიც გამოიყენება მთელ მსოფლიოში,⁹ ნათელყო *Uti Possidetis Juris* პრინციპის ფარგლები და მიუთითა, რომ სადაც კოლონიური ადმინისტრაციული ხაზები და ამ საზღვრებში კოლონიური ხელისუფლების განხორციელება ცალსახაა, ეს ხაზები ახალი სახელმწიფოს საზღვრებად უნდა იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ახალი სახელმწიფო ფაქტობრივად არ ფლობს ამ ტერიტორიას. ფაქტობრივად სახელმწიფო, რომელიც ტერიტორიაზე

1 იქვე, 33.

2 იქვე, 23.

3 Hasani, E., *Uti Possidetis Juris: From Rome to Kosovo*. 27 *The Fletcher Forum of World Affairs*. 2003. N2, 86

4 იქვე, 87. იხ. აგრეთვე ბოლო პერიოდის დავები: *ICJ Judgement, Land, Island and Maritime Frontier Dispute (El Salvador/Honduras: Nicaragua intervening)*, General List No. 75. 11.09.1992 <<https://www.icj-cij.org/sites/default/files/case-related/75/075-19920911-JUD-01-00-EN.pdf>> [xelmisawvdomia 12.12.2023] და *ICJ Judgement, Territorial and Maritime Dispute between Nicaragua and Honduras in the Caribbean Sea (Nicar. v. Hond.)*, General List No. 120. 08.10.2007 <<https://www.icj-cij.org/sites/default/files/case-related/120/120-20071008-JUD-01-00-EN.pdf>> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].

5 იქვე, 87.

6 Organization of African Unity, *Border Disputes Among African States*, AHG/Res. 16(I) <<https://www.peaceau.org/uploads/ahg-res-16-i-en.pdf>> [xelmisawvdomia: 12.12.2013].

7 ICJ Judgement, *Case Concerning the Frontier Dispute (Burkina Faso/Republic of Mali)*, General List No. 69, 22.12.1986, para 20 <<https://www.icj-cij.org/sites/default/files/case-related/69/069-19861222-JUD-01-00-EN.pdf>> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].

8 იქვე, პარაგრაფი 23.

9 იქვე, პარაგრაფი 20.

ტერიტორიულ სუვერენიტეტს მოიპოვებს *Uti Possidetis Juris*-ის მეშვეობით არ კარგავს სუვერენიტეტს ამ ტერიტორიაზე ამ ტერიტორიის ნაწილის სხვა სახელმწიფოს მიერ ფლობისა და მართვის გამო.¹ ამასთან, *Uti Possidetis Juris* დოქტრინა პრიორიტეტულია საზღვრების დადგენისას მშვიდობის შენარჩუნებისათვის საზღვრების სტაბილურობის უმთავრესი მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიუხედავად პოსტკოლონიურ მსოფლიოში მმართველობითი მექანიზმების განსაზღვრაში თვითგამორკვევის პრინციპის მნიშვნელობისა.²

აფრიკის კონტინენტის გარდა, აღსანიშნავია ტერიტორიული სტატუს ქუო-ს დაცვისა და *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენება აზიაშიც.³

ამრიგად, დეკოლონიზაციის შედეგად ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობის კვალდაკვალ მოხდა ევოლუცია *Uti Possidetis* დოქტრინისა, რომლის უმთავრესი მიზანიც არის სახელმწიფო საზღვრების სტაბილურობის პრინციპის ხაზგასმა და უზრუნველყოფს ახალი სახელმწიფოს ტერიტორიულ ლეგიტიმაციას.⁴

ბოლო ათწლეულების მოვლენებმა დაადასტურა, რომ *Uti Possidetis Juris* არ გამოიყენება მხოლოდ დეკოლონიზაციის კონტექსტში. ეს პრინციპი გამოყენებული იქნა იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოების საზღვრების დადგენისას.⁵

2. *Uti Possidetis Juris* დოქტრინის გამოყენების ცალკეული ასპექტები

Uti Possidetis Juris პრინციპი საერთაშორისო სამართლის პრინციპია, რომელიც გამოიყენება დამოუკიდებლობის მოპოვების დროს სახელმწიფოს საზღვრებს დადგენისას, განიხილება დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში ტერიტორიული საკითხების კონტექსტში და მიემართება სახელმწიფოებრიობის ფორმირების პროცესს.⁶ *Uti Possidetis* აღიარებულია საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპად.⁷ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ბურკინა-ფასო/ მალის საქმეში განმარტა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებით ახალი სახელმწიფო იქნეს სუვერენიტეტს ტერიტორიითა და საზღვრებით, რომელიც მას დარჩა კოლონიური ძალისაგან და საერთაშორისო სამართალი და, შესაბამისად, *Uti Possidetis* პრინციპი გამოიყენება ახალი სახელმწიფოს მიმართ დაუყოვნებლივ ამ მომენტიდან დაწყებული.⁸

როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ განმარტა სალვადორი/ ჰონდურასის სასაზღვრო დავის საქმეში, *Uti Possidetis Juris* არის რეტროსპექტიული პრინციპი იმ გაგებით, რომ საერთაშორისო საზღვრებად აქცევს თავდაპირველად სრულიად სხვა მიზნებისთვის გამიზნულ ადმინისტრაციულ საზღვრებს.⁹ *Uti Possidetis Juris* ამგვარად გამონაკლისია იმისაგან, რაც ცნობილია საერთაშორისო სამართალში, როგორც ინტერტემპორალური წესი, როდესაც კონკრეტული ქმედების შეფასებისას მნიშვნელობა

1 იქვე, პარაგრაფი 23.

2 იქვე, პარაგრაფი 25.

3 ICJ Judgement, Case Concerning The Temple of Preah Vihear (Cambodia v. Thailand), General list No. 45. 15.06.1962, ICJ Reports 6, 16 <<https://www.icj-cij.org/sites/default/files/case-related/45/045-19620615-JUD-01-00-EN.pdf>> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].

4 Jennings and Watts (eds.), Oppenheim's International Law, ninth edition. 1992. 670.

5 ix. Justin A. Evison, MIGs and Monks in Crimea: Russia Flexes Cultural and Military Muscles, Revealing Dire Need for Balance Of *Uti Possidetis* and Internationally Recognized Self-Determination, 220 MIL. L. REV. 2014. 95; Shaw, M. N., *dasaxebuli naSromi*, supra sqolio 1, 106.

6 Crawford, J., *The Creation of States in International Law*, Oxford University Press. 2006. 107.

7 იხ. *Burkina Faso v Mali Case*, supra sqolio 18, paragrafi 23.

8 იქვე, პარაგრაფი 30.

9 იხ. *Land, Island and Maritime Frontier Dispute (El Salvador/Honduras: Nicaragua intervening)*, supra სქოლიო 15, paragrafi 43.

ენიჭება ამ ქმედების მოხდენის დროს მოქმედ სამართალს, ხოლო *Uti Possidetis Juris* კი, ამის საპირისპიროდ, ახდენს წარსული აქტების სამართლებრივი მნიშვნელობის ხელახალ ინტერპრეტაციას. *Uti Possidetis Juris* საერთაშორისო საზღვრების ხაზებად გარდაქმნის წარსულში სხვა დანიშნულებით არსებულ ხაზებს¹.

Uti Possidetis Juris პრინციპის შემთხვევაში შედეგზე გავლენას ახდენს „კრიტიკული თარიღი“, ანუ ის მომენტი, როდესაც მხარეთა უფლებები იმგვარად დგინდება, რომლის შემდეგაც ქმედებები დადგენილ სამართლებრივი მდგომარეობაზე გავლენას ვეღარ ახდენს.² *Uti Possidetis Juris* დროს ასეთი „კრიტიკული თარიღი“ არის დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტი.³

Uti Possidetis Juris პრინციპის გამოყენებისას ახალი სახელმწიფოს სუვერენიტეტი ვრცელდება სრულ ტერიტორიაზე, რადგან *Uti Possidetis Juris* პრინციპის ერთ-ერთი მთავარი მიზანია გამორიცხოს *terra nullius* მდგომარეობა, როდესაც ტერიტორია რჩება ცარიელი, მმართველის გარეშე.⁴ როდესაც ერთი ტერიტორიიდან რამდენიმე სახელმწიფო ერთდროულად გამოიყოფა და ხდება დამოუკიდებელი ან როდესაც სახელმწიფო დამოუკიდებელი ხდება კონკრეტული ტერიტორიის ნაწილში და ამ ტერიტორიის დარჩენილი ნაწილი არ ხდება *terra nullius*, ამ შემთხვევაში *Uti Possidetis Juris* საგნის, ახალი სახელმწიფოს ტერიტორიული ფარგლების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ხაზგასმა ბენინი/ნიგერის სასაზღვრო დავის საქმეში, რომ *Uti Possidetis Juris* მიზნებისათვის კონკრეტულ ტერიტორიასთან დაკავშირებით განმსაზღვრელია დამოუკიდებლობამდე მოცემულ ტერიტორიაზე ფაქტობრივი ადმინისტრაციული კონტროლის განმახორციელებელი ერთეულის სამოქმედო ფარგლები.⁵

Uti Possidetis Juris დოქტრინის ევოლუციის პერიოდში ეს პრინციპი ყოველთვის თანმიმდევრულად არ ყოფილა გამოყენებული. იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები დამოუკიდებლობამდელი საზღვრებისაგან განსხვავებული საზღვრებით აღმოჩნდნენ კოლონიალიზმისაგან გათავისუფლებულები (მაგ., კამერუნის შემთხვევა) და იყო დამოუკიდებლობის დროს გაყოფის შემთხვევაც (რუანდა-ურუნდის შემთხვევა).⁶ 1933 წლის ჰონდურასის საზღვრის საქმეში მხარეთა კომპრომისის გათვალისწინებით ტერიტორიების გაცვლით დადგინდა საზღვარი, რომელიც განსხვავდებოდა *Uti Possidetis* ხაზისაგან თითოეული მხარის მიერ მეორის ტერიტორიაზე შეჭრის შედეგების გათვალისწინების შედეგად.⁷ ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ ცალკეულ შემთხვევებში ერთეულების სტატუსის შესახებ გადაწყვეტილებებს თვითონ მოსახლეობა იღებდა, *Uti Possidetis* პრინციპიდან გადახვევაც შეთანხმებით ხდებოდა და გასათვალისწინებელია ის, რომ ბურკინა-ფასო/მალის საქმეში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ გამოკვეთა, რომ მხარეები, მართალია, სასაზღვრო დავის გადასაწყვეტად *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენებას ითხოვდნენ, მაგრამ ეს პრინციპი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაშიც უნდა იქნეს გამოყენებული.⁸

1 Bell, A. and Kontorovich, E. Palestine, *Uti Possidetis Juris* and the Borders of Israel. 58 *Arizona Law Rev.* 2016. 644

2 იხ. Shaw, M. N. დასახელებული ნაშრომი, *supra* სქოლიო 1, 130.

3 იქვე, 130.

4 იხ. Land, Island and Maritime Frontier Dispute (El Salvador/Honduras: Nicaragua intervening), *supra* სქოლიო 15, პარაგრაფი 42.

5 ICJ Judgement, Frontier Dispute (Benin/Niger), General list No. 125.12.07.2005, para 30 <<https://www.icj-cij.org/sites/default/files/case-related/125/125-20050712-JUD-01-00-EN.pdf>> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].

6 Ratner, S. R. Drawing A Better Line: *Uti Possidetis* and the Borders of New States. 90 *AM. J. INT'L L.* 1996. 599.

7 Honduras Borders Case (Guat./Hond.), 2 R.I.A.A.1933.1356-1357 <https://legal.un.org/riaa/cases/vol_II/1307-1366.pdf> [ხელმისაწვდომია 12.12.2023]

8 იხ. ICJ Judgement, Case Concerning the Frontier Dispute (Burkina Faso/Republic of Mali), *supra* სქოლიო 18,

არსებობს შემთხვევები, როდესაც *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენება გარკვეულ სირთულეებს აწყდება და ამიტომ საზღვრის დადგენისას მხარეთა კომპრომისით გაითვალისწინება სხვა ისტორიული და სამართლებრივი ფაქტორები. მაგალითად, სალვადორი/ჰონდურასის სახმელეთო, კუნძულისა და საზღვაო საზღვრის დავის საქმეში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ საზღვრები, ამ შემთხვევის მსგავსად, რომლებიც დაუდგენელი დარჩა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ისეთი საზღვრებია, რომელთა შემთხვევაშიც *Uti Possidetis Juris* არგუმენტები თვითონ ხდება სადავო. ასეთ საზღვრებზე *Uti Possidetis Juris* გაურკვეველი ხმით საუბრობს.¹

ამავე საქმეში სასამართლომ აღნიშნა, რომ *Uti Possidetis Juris* პრინციპი მიემართება ტერიტორიის კუთვნილების საკითხსაც და საზღვრების მდებარეობასაც. მთავარი ასპექტი ამ პრინციპისა არის *terra nullius*-ის შესაძლებლობის გამორიცხვა.² ამ შემთხვევაში სასამართლომ ამ კონტექსტში, სწორედ *terra nullius*-ის შესაძლებლობის გამორიცხვის კუთხით წარმოადგინა ამ პრინციპის მიმართება ტერიტორიის კუთვნილების საკითხთან. ამავე საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ *Uti Possidetis Juris* მიემართება საზღვრის დადგენას, განსაზღვრავს ტერიტორიის ფარგლებს და უზრუნველყოფს საზღვრის დაცვას.³ საზღვრის ნამდვილობა დამოუკიდებელია ტერიტორიის კუთვნილების კანონიერების საკითხისაგან და საზღვრის ნამდვილობა სამართლებრივად დამოუკიდებელია საზღვრის დამდგენი სამართლებრივი ინსტრუმენტისაგან. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ლიბია/ჩადის საქმეში აღნიშნა, რომ დადგენილი საზღვარი კანონიერად განაგრძობს არსებობას, საზღვრების სტაბილურობის ფუნდამენტური პრინციპიდან გამომდინარე, ხელშეკრულების ბუნებისა და სტატუსის მიუხედავად, და ხელშეკრულება შესაძლოა, შეწყდეს კიდევ დადგენილი საზღვრის სამართლებრივი არსებობის ხელყოფის გარეშე.⁴

Uti Possidetis Juris პრინციპი არის უნივერსალური გამოყენების პრინციპი. ეს პრინციპი რეგიონური ხასიათის არაა. ბურკინა-ფასო/მალის საქმეში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ *Uti Possidetis Juris* არ არის სპეციალური წესი, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ერთ კონკრეტულ სისტემას მიემართება, არამედ იგი არის ზოგადი პრინციპი, რომელიც ლოგიკურადაა დაკავშირებული დამოუკიდებლობის მოპოვების ფენომენტთან, სადაც გინდა მოხდეს იგი.⁵ აფრიკაში ამ პრინციპის გამოყენება განხილული უნდა იქნეს არა უბრალო პრაქტიკად, რომელიც ხელს უწყობს ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის პრინციპის თანდათანობით ჩამოყალიბებას, რომელიც შეზღუდული იქნება მხოლოდ აფრიკის კონტინენტით, როგორც მანამდე ეს იყო ლათინურ ამერიკაში, არამედ – როგორც აფრიკაში ზოგადი მოქმედების წესის გამოყენება.⁶

Uti Possidetis Juris პრინციპის გამოყენება უზრუნველყოფს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის განმტკიცებას⁷ და ამ დოქტრინის როლი უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო საზღვრების სტაბილურობის პრინციპის განმტკიცებაში.⁸

პარაგრაფი 20.

1 იხ. *Land, Island and Maritime Frontier Dispute (El Salvador/ Honduras: Nicaragua intervening)*, supra სქოლიო 18, პარაგრაფი 41.

2 იქვე, პარაგრაფი 42.

3 იქვე, პარაგრაფი 45.

4 ICJ Judgement, *Case Concerning The Territorial Dispute (Libian Arab Jamahiriya/Chad)*. General List No.83. 03.02.1994, para 72, 73 <<https://www.icj-cij.org/sites/default/files/case-related/83/083-19940203-JUD-01-00-EN.pdf>> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].

5 იხ. ICJ Judgement, *Case Concerning the Frontier Dispute (Burkina Faso/Republic of Mali)*, supra სქოლიო 18, პარაგრაფი 20.

6 იქვე, პარაგრაფი 21.

7 Shaw. M. N., *International Law*. Cambridge University Press. 2008. 527–528.

8 Jennings, R. and Watts, A. (eds.), *Oppenheim's International Law* (9th edition), Longman, London 1996,

3. uti possidetis juris პრინციპი საერთაშორისო და ადმინისტრაციული საზღვრების პირობებში

ახალი სახელმწიფოს წარმოქმნის დროს *Uti possidetis juris* პრინციპი მიემართება და უზრუნველყოფს ყოფილი საზღვრების საერთაშორისო საზღვრებად გარდაქმნას, ანუ განსაზღვრავს, ადგენს ახალი სახელმწიფოს საზღვრებს ყოფილი საზღვრების საფუძველზე. ახალი სახელმწიფოს განსახილველი საზღვრები შესაძლოა, იყოს ყოფილი საერთაშორისო საზღვრები ანდა ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრები. თითოეულ შემთხვევაში სიტუაცია ერთმანეთისაგან განსხვავებულია.¹

საერთაშორისო საზღვრები სუვერენულ სახელმწიფოებს მიჯნავს ერთმანეთისაგან და ძირითადად დგინდება სახელმწიფოთა შეთანხმებით და აისახება ორმხრივ ანდა მრავალმხრივ ხელშეკრულებებში. ასეთი საზღვრები ძალაში რჩება და განაგრძობს მოქმედებას სუვერენიტეტის ნებისმიერი ცვლილების მიუხედავად და სავალდებულოა ახალი სახელმწიფოსათვის. ნებისმიერმა ცალმხრივმა ცვლილებამ შესაძლოა, მეორე სახელმწიფოს ინტერესების ხელყოფა გამოიწვიოს. ასეთი საზღვრები ძალაში რჩება და მოქმედებს, სანამ მხარეთა თანხმობით არ მოხდება მათი ცვლილება.²

გვინეა-ბისაუ/სენეგალის საარბიტრაჟო დავისას წამოიჭრა საკითხი, რომ უტი პოსსიდეტის პრინციპი გამოყენებულიყო მხოლოდ დამოუკიდებლობამდე დიდი ხნის წინ დადებული ხელშეკრულებების მიმართ და დამოუკიდებლობის მოპოვების დაწყების შემდეგ კოლონიური ძალის მიერ ხალხის თვითგამორკვევის უფლების არსებით ელემენტებთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებები ანუღირებულიყო.³

საარბიტრაჟო ტრიბუნალმა არ გაიზიარა ეს მიდგომა, რომ კოლონიური ძალის მიერ დადებული ის სასაზღვრო ხელშეკრულება, რომელიც გათავისუფლების პროცესის საერთაშორისო ხასიათის მიღებამდე დაიდო, არ უნდა აკმაყოფილებდეს რაიმე განსაკუთრებულ პირობას, რათა იგი გამოყენებული იქნეს მემკვიდრე სახელმწიფოს წინააღმდეგ. საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ასეთი პირობის დამდგენი რაიმე ნორმა.⁴

ახალი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრის ცნობა დადგენილი პრაქტიკაა. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ბურკინა-ფასო/მალის საქმეში აღნიშნა, რომ სახელმწიფოთა სამართალმემკვიდრეობისას წინათ დადგენილი საერთაშორისო საზღვრის აღიარების ვალდებულება გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესიდან, მიუხედავად იმისა, ეს წესი გამოხატულია თუ არა უტი პოსსიდეტის ფორმულით.⁵

საერთაშორისო საზღვრების უწყვეტობის პრინციპი ვრცელდება უტი პოსსიდეტის კონცეფციის მიღმა. *uti possidetis juris* მხოლოდ ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლად გახდომის პროცესის ტერიტორიული ასპექტებს უკავშირდება და არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც გადაჯგუფებითა თუ ტერიტორიული ცვლილებებით ახალი სახელმწიფო არ წარმოიქმნება. საერთაშორისო საზღვრების უწყვეტობის პრინციპი კი ვრცელდება ამ

669–670.

1 იხ. Shaw, M. N *dasaxelebuli naSromi*, supra სქოლიო 1, 111.

2 იქვე, 112.

3 Arbitration Tribunal For The Determination of The Maritime Boundary (Guinea-Bissau v, Senegal), *Arbitral Award*, 1989, პარაგრაფი 40

4 იქვე, პარაგრაფი 43.

5 იხ. ICJ Judgement, *Case Concerning the Frontier Dispute (Burkina Faso/Republic of Mali)*, supra სქოლიო 18, პარაგრაფი 24

შემთხვევაზე.¹

ადმინისტრაციული საზღვრების სამართლებრივი სტატუსი განსხვავდება საერთაშორისო საზღვრების სამართლებრივი სტატუსისაგან. ადმინისტრაციული საზღვრები ეროვნული კანონმდებლობით იქმნება საშინაო მიზნებისათვის და სახელმწიფოს ტერიტორიას სხვადასხვა ნაწილებად, ერთეულებად ყოფს. ასეთი საზღვრები არაა მუდმივი და ხშირ შემთხვევაში ცვალებადია.

დუბაი/შარჯას საქმეში საარბიტრაჟო სასამართლომ მიუთითა, რომ ერთნაირი ღირებულება ვერ ექნება ხელშეკრულებით ანდა საარბიტრაჟო თუ სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ საზღვარს, როდესაც ამ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ საკუთარი არგუმენტების წარდგენა და ხელისუფლის მიერ ადმინისტრაციული წესით დადგენილ საზღვარს, როდესაც მხარეთა ინტერესები უგულვებელყოფილია და ადმინისტრაციული საზღვარი დადგენილია მმართველის ინტერესების მიხედვით, კონკრეტული პოლიტიკური თუ ეკონომიკური კონტექსტიდან გამომდინარე, არასამართლებრივი კრიტერიუმების საფუძველზე.²

Uti Possidetis პრინციპის გამოყენებით ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრები გადაიქცა საერთაშორისო საზღვრებად. საერთაშორისო საზღვრებად იქცევა თავდაპირველად სრულიად სხვა მიზნებისთვის გამიზნული ადმინისტრაციული საზღვრები.³

მიუხედავად საერთაშორისო და ადმინისტრაციული საზღვრების ამკარა და უდავო განსხვავებებისა, **Uti Possidetis**-ის ეფექტი არის სწორედ ადმინისტრაციული საზღვრების გადაიქცევა საერთაშორისო საზღვრებად, მაგრამ ყველა ადმინისტრაციული საზღვარი ვერ გადაიქცევა საერთაშორისო საზღვრად და პრობლემა საერთაშორისო სამართალში უკავშირდება სწორედ იმის დადგენას, რომელი ადმინისტრაციული საზღვრების შემთხვევაში არსებობს აღნიშნული შესაძლებლობა.⁴

კოლონიურ კონტექსტში **Uti Possidetis** პრინციპის გამოყენებისას, მნიშვნელობა რასაც ენიჭება, არის კოლონიური ძალის მიერ დადგენილი ადმინისტრაციული ერთეულები და არა – რაიმე მანამდე არსებული ერთეულები.⁵ იგივე სალვადორი/ჰონდურასის საქმეში სასამართლომ შენიშნა, რომ არა ინდური დასახლებების ადმინისტრაციული საზღვრები, არამედ ესპანეთის კოლონიური ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრები გარდაიქმნა საერთაშორისო საზღვრებად **Uti Possidetis Juris** გამოყენების შედეგად.⁶ ფედერაციული სახელმწიფოს შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ყოფილი ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენელ ერთეულებს შორის გამავალ ადმინისტრაციულ საზღვრებს.⁷ აქ მნიშვნელოვანია დროის ასპექტიც. სწორედ დროის კონკრეტულ მომენტში არსებული ადმინისტრაციული საზღვრების საერთაშორისო საზღვრებად გარდაქმნა არის შესაძლებელი.⁸ რელევანტური ხდება „კრიტიკული თარიღის“ საკითხი, როდესაც ჩამოყალიბდა კონკრეტული უფლებები, საზღვრების მოცემულობა და განაგრძობს მოქმედებას **Uti Possidetis Juris** პრინციპის ამოქმედებისას, რომელი პრინციპიც, თავის მხრივ, როგორც ბურკინა-ფასო/მალის საქმეში აღნიშნა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, გამოიყენება არა უკუქცევითი

1 იხ. Shaw, M. N dasaxelebuli naSromi, supra სქოლიო 1, 114.

2 Court of Arbitration, Dubai-Sharjah Border Dispute, 91 I.L.R. 1993. 579.

3 იხ. ICJ Judgement, Case Concerning the Frontier Dispute (Burkina Faso/Republic of Mali), supra sqolio 18, paragrafi 23 da Land, Island and Maritime Frontier Dispute (El Salvador/Honduras: Nicaragua intervening), da supra სქოლიო 15, პარაგრაფი 43.

4 იხ. Shaw, M. N., The Heritage of States: The Principle of Uti Possidetis Today, supra სქოლიო 1, 118.

5 იქვე, 118.

6 ix. ICJ Judgement, Land, Island and Maritime Frontier Dispute (El Salvador/Honduras: Nicaragua intervening), supra სქოლიო 15, პარაგრაფი 50.

7 იხ. Shaw, M. N., dasaxelebuli naSromi, supra სქოლიო 1, 118.

8 იქვე, 118.

ეფექტით, არამედ მოქმედებს დაუყოვნებლივ ახალი სახელმწიფოს წარმოშობის მომენტიდან.¹ ამ პრინციპთან დაკავშირებით ახალი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტი წარმოჩნდება „კრიტიკულ თარიღად“.

ახალი სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენებით დადგენილ საზღვრებში ამ სახელმწიფოს ტერიტორიის მიმართ ვრცელდება ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი. *Uti Possidetis Juris* პრინციპი მიმართულია ახალი სახელმწიფოების მიერ მიღებული ძველი საზღვრების ხელშეუვალობის უზრუნველყოფით საერთაშორისო სტაბილურობის მიზნების მიღწევისაკენ.

4. *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენების საკითხი დეკოლონიზაციის კონტექსტის გარეთ და ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევა

Uti Possidetis Juris არ გამოიყენება მხოლოდ დეკოლონიზაციის კონტექსტში. ტრადიციული დეკოლონიზაციის დროს დამოუკიდებლობის მოპოვება და დეკოლონიზაციის კონტექსტის მიღმა სეცესია ერთმანეთისაგან განსხვავდება სხვადასხვა ასპექტით. დეკოლონიზაცია რეგულირებულია და აღიარებულია საერთაშორისო სამართლით, ამ პროცესს უკავშირდება კანონიერების საკითხი. დეკოლონიზაციის დროს დამოუკიდებლობის მოპოვება უკავშირდება თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციას და ეფუძნება ლეგიტიმურობას, ხოლო არაკოლონიური სეცესიის დროს დამოუკიდებლობის მოპოვება ეფუძნება და წამოიჭრება ეფექტურობის საკითხი, ლეგიტიმურობის საპირისპიროდ, მაგრამ საგულისხმოა, რომ თვითონ *Uti Possidetis Juris* გამოყენება დაიწყო და განვითარდა სწორედ მე-19 საუკუნეში ლათინურ ამერიკაში მიმდინარე სეცესიონისტური მოვლენების კვალდაკვალ, როდესაც ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება ხდებოდა, რაც სწორედ სეცესიური პროცესები იყო.² ამასთან, ვერ ვიტყვით, რომ სეცესიური გზით სახელმწიფოს წარმოშობის პროცესის მიმართაც საერთაშორისო სამართალი სრულად განყენებულია. სახელმწიფოს წარმოშობა არ ხდება სამართლისაგან თავისუფალ ზონებში, გაითვალისწინება იგივე სახელმწიფოს ფორმირების პროცესში ძალის გამოყენების საკითხი.³ სახელმწიფოებრიობას ესაჭიროება ფაქტობრივი საფუძველი, მაგრამ ხდება ფაქტების შეფასება და ფაქტებს ენიჭება სამართლებრივი მნიშვნელობა. სამართლებრივი შეფასებისათვის უნდა მოხდეს ფაქტების „კონცეპტუალიზება“.⁴ როგორც დეკოლონიზაციის კონტექსტში, ისე ამ კონტექსტის მიღმა სეცესიის დროს ორივე შემთხვევაში წარმოიშობა ახალი სახელმწიფო, ორივე შემთხვევას ერთნაირი შედეგი აქვს და *Uti Possidetis* ორივე შემთხვევაში შეუძლია სტაბილურობის უზრუნველყოფის უწყვეტის შესრულება საზღვრების დადგენით.⁵ იგივე იუგოსლავიის დაშლის შემთხვევაში *Uti Possidetis* გამოყენებას მხარი დაუჭირა საარბიტრაჟო კომისიამ (ბადინტერის კომიტეტი) და აღნიშნა, რომ *Uti Possidetis* პრინციპი, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად გამოიყენებოდა დეკოლონიზაციის საკითხების გადასაწყვეტად ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში, ამჟამად აღიარებულია ზოგად პრინციპად. თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული, ყოფილი საზღვრები გარდაიქმნება საერთაშორისო სამართლით დაცულ საერთაშორისო საზღვრებად.⁶ კომისიამ თვითგამორკვევის უფლებასთან დაკა-

1 იხ. *Burkina Faso v Mali Case*, supra სქოლიო 18, პარაგრაფი 30.

2 იხ. *Walter, Ch. et al. eds., The Principle of Uti Possidetis Juris: How Relevant Is It for Issues of Secession?* by Peters, A., supra სქოლიო 4, 108.

3 იქვე, 108.

4 *Crawford., J. and Nouwen, S. eds., "Statehood after 1989: „Effectivites“ between Legality and Virtuality“* by Peters, A. in *Select Proceedings of the European Society of the International Law*, Vol. 3. Hart publishing 2012, 171.

5 იხ. *Walter, Ch. et al. eds., The Principle of Uti Possidetis Juris: How Relevant Is It for Issues of Secession?* by Peters, A., supra სქოლიო 4, 114.

6 *The Arbitration Commission of the Conference on Yugoslavia (Badinter Arbitration Committee) Opinion No 3,*

ვმირებითაც აღნიშნა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული სახელმწიფოები სხვაგვარად არ შეთანხმდებიან, თვითგამორკვევის უფლება დამოუკიდებლობის მომენტში არსებული საზღვრების ცვლილებას არ გულისხმობს (*Uti Possidetis Juris*).¹

უნდა აღინიშნოს, რომ გასაზიარებელია ის პოზიცია, რომ, ზოგადად, უტი პოსსიდეტის ჯურის არც კრძალავს და არც უშვებს სეცესიას, ეს პრინციპი მიემართება უკვე დამოუკიდებლობის შემდეგ საზღვრების დადგენას, აგნოსტიკურია იმ საკითხთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს თუ არა სეცესია, შეიქმნას და არსებობდეს ახალი სახელმწიფო ტერიტორიითა და ახალი საზღვრებით², არის კანონის პასუხი, რეაქცია უკვე შექმნილ რეალობასთან, ახალ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, არ არის სეცესიის საშუალება, წახალისება ან გამართლება.³ *Uti Possidetis* გამოიყენება არა დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში, არამედ – უკვე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.⁴ ეს პრინციპი, რომელიც მიმართულია დამოუკიდებლობის მოპოვების მომენტში ტერიტორიული ფარგლების დაცვის უზრუნველყოფისაკენ, არ იწყებს მოქმედებას თვითონ დამოუკიდებლობის მოპოვების პროცესში.⁵ მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ თვითგამორკვევასა და სეცესიას ტერიტორიული ასპექტები აქვს, ტერიტორიული კომპონენტი ამ პროცესში გამოკვეთილია და მიზანი არის კონკრეტული ტერიტორიის გარკვეული ერთობისათვის მიკუთვნება. *Uti Possidetis*, ერთი მხრივ, ვინაიდან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას მიემართება კონკრეტული საზღვრების აღიარება-დადგენით, თვითგამორკვევის მხარდამჭერიცაა ამ გაგებით, *Uti Possidetis* ეფუძნება თვითგამორკვევისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის იდეებს⁶ და, მეორე მხრივ, ტერიტორიული საზღვრების დადგენით ამ პრინციპის მიზანია ახალი სახელმწიფოს დამატებითი დანაწევრების გამორიცხვა. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ბურკინა-ფასო/მალის საქმეში აღნიშნა, რომ *Uti Possidetis* ამოქმედება და გამოყენება იწვევს და წარმოშობს საზღვრების ურღვეობის პატივისცემას.⁷ *Uti Possidetis* მიმართულია გარე საფრთხეებისაგან მომდინარე სასაზღვრო დავების აცილებისაკენ, მაგრამ არა აქვს მხოლოდ საგარეო ასპექტი და მასვე აქვს სასაზღვრო დავებით გამოწვეული სამოქალაქო ომების აცილების მიზანიც.⁸ ბურკინა-ფასო/მალის საქმეში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მიაწინა *Uti Possidetis* მიზანზე ახალი სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სტაბილურობისათვის სასაზღვრო საკითხებზე ქვეყნის შიგნით ბრძოლებით საფრთხის შექმნის თავიდან აცილების კუთხით.⁹

1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირი დაიშალა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნა გამოცხადდა. მინსკის 1991 წლის 8 დეკემბრის ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად, მხარეები აღიარებენ და პატივს სცემენ თანამეგობრობის არსებული საზღვრების ხელშეუხებლობას.¹⁰ ამასთან, 1991 წლის 21 დეკემბერს მიღებული 92 ILR 168. 1992. 171.

1 იქვე, 168.

2 Rathner. S. R., *Drawing a better Line: Uti Possidetis and the borders of New States*. 90 AJIL. Cambridge University Press 1996. 601.

3 Corten. O. et al. eds. „Le problème des frontières en cas de dissolution et de séparation d’Etats: quelles alternatives?“ by Kohen. M. G., in *Demembrements d’Etats et delimitations territoriales*, Bruxelles, 1999. 400.

4 იქვე, 375.

5 Kohen. M. G. ed., *Secession: International law perspectives*. Cambridge University Press. 2006. 14-15.

6 იხ. Hasani, E., *dasaxelebuli naSromi*, supra სქოლიო 14, 286.

7 იხ. ICJ Judgement, *Case Concerning the Frontier Dispute (Burkina Faso/Republic of Mali)*, supra სქოლიო 6, პარაგრაფი 20.

8 იხ. Walter, Ch. et al. eds., *The Principle of Uti Possidetis Juris: How Relevant Is It for Issues of Secession?* by Peters, A., supra სქოლიო 4, 117, 118.

9 იხ. ICJ Judgement, *Case Concerning the Frontier Dispute (Burkina Faso/Republic of Mali)*, supra სქოლიო 6, პარაგრაფი 20.

10 მუხლი 5. მინსკის 1991 წლის 8 დეკემბრის ხელშეკრულება <https://www.refworld.org.ru/pdfid/52f8f06a4.pdf>

იქნა ალმა-ათის დეკლარაცია, რომლითაც ხელმომწერმა სახელმწიფოებმა (ბალტიის სამი სახელმწიფოსა (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) და იმ მომენტში საქართველოს, რომელიც მოგვიანებით, 1993 წელს გახდა დსთ-ის წევრი, გამოკლებით) დაადასტურეს ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობა და არსებული საზღვრების ხელშეუხებლობა და თავიანთი ერთგულება გაეროს წესდებისა და ჰელსინკის საბოლოო აქტის მიმართ.¹ ეს ინსტრუმენტები კონკრეტულად არ უთითებს **Uti Possidetis** პრინციპზე, მაგრამ იკვეთება, რომ განზრახვა იყო **Uti Possidetis** დოქტრინის დამტკიცება, ვინაიდან ეს უზრუნველყოფს ახალი საზღვრების საერთაშორისო და რეგიონალურ ლეგიტიმაციას და აგრეთვე საერთაშორისო სამართლის კლასიკური წესები აგრეთვე იცავს უკვე დადგენილ საზღვრებს, თუ შესაბამისი მხარეები არ შეთანხმდებიან ცვლილებაზე.²

Uti Possidetis მიემართება საზღვრების დადგენას, საზღვრების ურღვეობა კი – საზღვრების დაცვას.³ ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვეობის პრინციპები დროის თვალსაზრისით ამოქმედდება **Uti Possidetis** შემდეგ, მაგრამ მათი გამოყენება არ არის განპირობებული აუცილებლად **Uti Possidetis** გამოყენებით, რამეთუ საზღვრები შესაძლოა, სხვადასხვა პრინციპის გამოყენებითა და პროცედურით განისაზღვროს, საზღვრების ურღვეობა არ არის **Uti Possidetis** შეფარული ჩამნაცვლებელი და საერთაშორისო დოკუმენტებში საზღვრების ურღვეობაზე მითითება თავისთავად და აუცილებლად არ ნიშნავს, რომ საზღვრები **Uti Possidetis** პრინციპის საფუძველზე დადგინდება,⁴ მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის საზღვრები რაიმე სხვა პრინციპით არ განსაზღვრულა და საინანაღმდეგო პრაქტიკა არ ყოფილა. როგორც აღინიშნა, დეკოლონიზაციის კონტექსტის მიღმა სეცესიის დროს **Uti Possidetis** პრინციპის გამოყენება სავსებით შესაძლებელია, აღიარებულია და ვრცელდება ჩვეულებითი წესით. საერთაშორისო ცნობის შესახებ ევროკომისიის „გაიდლაინებიც“⁵ მიმართული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ყოფილი იუგოსლავიის მიმართ გამოსაყენებლად და წარმოადგენს ამ კონკრეტულ კონტექსტში უტი პოსსიდეტის პრინციპის საერთაშორისო მიღების მნიშვნელოვან მტკიცებულებით მხარდაჭერას⁶ და ასევე განვითარებული სახელმწიფო პრაქტიკა, უშიშროების საბჭოს საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერი რეზოლუციები საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფასა⁷ და მთიან ყარაბაღთან დაკავშირებით⁸ **Uti Possidetis** პრინციპის დამატებით მხარდაჭერას მოწმობს.⁹

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ **Uti Possidetis** გავრცელდა მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკებზე. ევროკავშირის ფაქტების დამდგენი მისიის (ტალიანინის კომისია) 2009 წლის ანგარიშში ნათლადაა მითითებული, რომ საბჭოთა კავშირის შემთხვევაში **Uti Possidetis** ვრცელდება მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრებზე და ავტონომიური ერთეუ-

> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].
1 ალმა-ათის 1991 წლის 21 დეკემბრის დეკლარაცია <<https://www.bits.de/NRANEU/START/documents/alma-ata91.htm>> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].

2 იხ. Shaw, M. N., *dasaxelebuli naSromi*, supra სქოლიო 1, 110.

3 იხ. Corten. O. et al. eds. *Droit des peuples à disposer d'eux-mêmes et uti possidetis : deux faces d'une même médaille?* by Corten. O., in *Demembrements d'Etats et delimitations territoriales, l'uti possidetis en question(s)*, Bruxelles 1999. 432.

4 იხ. Walter, Ch. et al. eds., *The Principle of Uti Possidetis Juris: How Relevant Is It for Issues of Secession?* by Peters, A., supra სქოლიო 4, 128-129.

5 EC Declaration on the 'Guidelines on the Recognition of New States in Eastern Europe and in the Soviet Union', 4 EJIL. 1993. 72.

6 იხ. Shaw, M. N., *dasaxelebuli naSromi*, supra სქოლიო 1, 110.

7 იხ. Security Council Resolutions 876 (1993), 896 (1994), 906 (1994), 937 (1994), 977 (1995), 993 (1995), 1036 (1996).

8 იხ. Security Council Resolutions 822 (1993), 853 (1993), 874 (1993), 884 (1993).

9 იხ. Shaw, M. N., *dasaxelebuli naSromi*, supra სქოლიო 1, 110-111.

ლების თუ უფრო ქვედა დონის ერთეულებზე ეს პრინციპი არ ვრცელდება.¹ ყოფილი იუგოსლავიის შემთხვევაშიც *Uti Possidetis* მხოლოდ რესპუბლიკებზე გავრცელებას დაუჭირა მხარი ბადინტერის კომიტეტმა.² *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენებით საბჭოთა კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრების დამდგენი ყოფილი საბჭოთა ადმინისტრაციული საზღვრები გარდაიქმნა საერთაშორისო საზღვრებად. თითოეული საბჭოთა რესპუბლიკა, მათ შორის საქართველო, გახდა დამოუკიდებელი საბჭოთა პერიოდში არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.³ *Uti Possidetis Juris* ამოქმედების შედეგად კონკრეტული საზღვრების დადგენის შემდეგ ამ საზღვრების ხელყოფა არ არის მიღებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ტალიანინის კომისიის ანგარიშში მითითებულია, რომ საყოველთაოდ მიღებული *Uti Possidetis* პრინციპის თანახმად, მხოლოდ ყოფილ საბჭოთა კავშირის შემადგენელ რესპუბლიკებს, საქართველოს, და არა მათ ტერიტორიულ ნაწილებს, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, აქვთ უფლება, მიიღონ დამოუკიდებლობა ისეთი დიდი სახელმწიფოს დაშლის შემთხვევაში, როგორც არის საბჭოთა კავშირი. სამხრეთ ოსეთს არ ჰქონდა საქართველოდან გამოყოფის უფლება და ზუსტად იგივე მიემართება აფხაზეთსაც, იმავე მიზეზებიდან გამომდინარე. სეპარატისტული ტერიტორიული ერთეულების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარება მესამე ქვეყნის მიერ შესაბამისად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს, რადგან ასეთი ქმედება არის უკანონო ჩარევა დაზარალებული ქვეყნის, ამ შემთხვევაში საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაში. ეს ეწინააღმდეგება ჰელსინკის დასკვნითი აქტის პრინციპებს, რომელთა თანახმადაც მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთის სუვერენულ თანასწორობასა და ინდივიდუალობას, ისევე როგორც უფლებებს, რომლებსაც მოიცავს და ითვალისწინებს ეს სუვერენიტეტი, კერძოდ, ამაში იგულისხმება ყველა ქვეყნის უფლება სამართლებრივ თანასწორობაზე, ტერიტორიულ მთლიანობაზე, თავისუფლებაზე და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე.⁴

აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი მესამე და მეოთხე დონის ერთეულები იყვნენ საბჭოთა კავშირში, შესაბამისად, და ორივე იყო საქართველოს შემადგენლობაში.⁵ მათზე არ გავრცელებულა *Uti Possidetis*. საბჭოთა კავშირის შემთხვევაში (ასევე ყოფილი იუგოსლავიის შემთხვევაში) *Uti Possidetis* გავრცელდა მხოლოდ პირველი დონის ერთეულებზე (მოკავშირე რესპუბლიკები). პრაქტიკაში არ არსებობს არავითარი ახალი *Uti Possidetis*, რომელიც უფრო ქვედა დონის ერთეულებზე გავრცელდებოდა საბჭოთა კავშირის შემთხვევაში.⁶ ამჟამად საქართველო უნიტარული სახელმწიფოა. საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლი ადგენს, რომ საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

1 EU Report of the Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia, 2009. 143 <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/HUDOC_38263_08_Annexes_ENG> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].

2 იხ. *Badinter Arbitration Committee Opinion No 3*, supra სქოლიო 64, 171.

3 საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, მუხლი 1(2). <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].

4 იხ. Independent International Fact-Finding Mission Report, supra sqolio 84, 143 <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/HUDOC_38263_08_Annexes_ENG> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].

5 იხ. სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია, მუხლი 83 და მუხლი 87 <<https://www.priib.ru/en/node/420906>> [ხელმისაწვდომია 12.12.2023]; სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია, მუხლი 25 <<https://www.priib.ru/en/node/420907>> [ხელმისაწვდომია 12.12.2023].

6 იხ. Peters, A. დასახელებული ნაშრომი, supra სქოლიო 4, 121.

აღდგენის აქტით.¹ უნიტარული სახელმწიფოების შემთხვევაში *Uti Possidetis* პრეზუმფცია სუსტია.² ამასთან, როგორც აღინიშნა, *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენებით დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მხოლოდ საბჭოთა კავშირის ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრები გარდაიქმნა საერთაშორისო საზღვრებად, რითაც მოხდა მდგომარეობის „გაყინვა“ და დამატებითი დანაწევრება არ არის მხარდაჭერილი საერთაშორისო საზოგადოების მიერ. *Uti Possidetis* პრინციპი კრიტიკული თარიღის მოცემულობას იღებს და აკანონებს მას. ძველი, დამოუკიდებლობამდელი არსებული სხვადასხვა ადმინისტრაციული საზღვრები ვეღარ დაუპირისპირდება *Uti Possidetis* ამოქმედების შედეგად უკვე შექმნილ მოცემულობას. საქართველოს შემთხვევაში დამოუკიდებლობის მოპოვებისას საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ჩათვლით არსებული ადმინისტრაციულ საზღვრების მოცემულობა იქნა დაკანონებული და ნებისმიერი დავა გამოირიცხება. *Uti Possidetis* ფუნქცია არის ის, რომ ამოქმედების შედეგად შეწყვიტოს დავა თუნდაც რაიმე წინანდელი ტერიტორიული უკანონობის შესახებ.³

უკვე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ტერიტორიაზე კონტროლის გავრცელება, როგორც ეს არის აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, რომლებიც საერთოდ რუსეთის კონტროლს ექვემდებარებიან, არ გამოდგება სეპარატისტული რეგიონების მხრიდან თავიანთ სასარგებლოდ ახალი *Uti Possidetis* ასამოქმედებლად. სახელმწიფო პრაქტიკა არ უჭერს მხარს ამგვარ გაფართოებულ *Uti Possidetis*.⁴ ზოგიერთ შემთხვევაში ფორმალურ მონაცემებთან ერთად ქმედებებიც შეფასებულა კრიტიკულ მომენტში ტერიტორიული დაყოფის არსებობის დასადგენად,⁵ მაგრამ ეს არასოდეს ყოფილა უკვე დამოუკიდებლობის მომენტის შემდეგ ამ სახელმწიფოს კონკრეტულ ტერიტორიაზე მოპოვებული კონტროლი.⁶

უნდა აღინიშნოს, რომ *Uti Possidetis* პრინციპი არის ზოგადი პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს შექმნისა და აღიარების შემდეგ ამ სახელმწიფოს არსებული საზღვრების თვითნებურ ცვლილებას დაბრკოლებას უქმნის.

დასკვნა

საზღვრების სტაბილურობას საერთაშორისო სამართალი დიდ ყურადღებას აქცევს. სახელმწიფო საზღვრების დადგენა და საერთაშორისო აღიარება ნებისმიერი სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ამ პროცესში დიდი როლი აქვს *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენებას. *Uti Possidetis Juris* პრინციპი არის უნივერსალური გამოყენების პრინციპი, რომლის უმთავრესი მიზანიც არის სახელმწიფო საზღვრების სტაბილურობის პრინციპის ხაზგასმა და უზრუნველყოფს ახალი სახელმწიფოს საზღვრების საერთაშორისო ლეგიტიმაციას.

ახალი სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ *Uti Possidetis Juris* პრინციპის გამოყენებით დადგენილ საზღვრებში ამ სახელმწიფოს ტერიტორიის მიმართ ვრცელდება ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი. *Uti Possidetis Juris* პრინციპი მიმართულია ახალი სახელმწიფოების

1 იხ. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, *supra* სქოლიო 86, მუხლი 1.

2 იხ. Shaw, M. N., *Peoples, Territorialism and Boundaries*. *supra* სქოლიო 7, 504.

3 იხ. Peters, A. *dasaxelebuli naSromi*, *supra* სქოლიო 4, 123.

4 იქვე, 123.

5 Wolfrum. R. ed. “*Uti Possidetis Doctrine*”, by Nesi. G. in *The Max Planck Encyclopedia of Public International Law*. Oxford University Press. 2013, para 10.

6 იხ. Peters, A. *dasaxelebuli naSromi*, *supra* სქოლიო 4, 123.

მიერ მიღებული ძველი საზღვრების ხელშეუვალობის უზრუნველყოფით საერთაშორისო სტაბილურობის მიზნების მიღწევისაკენ.

ზოგადად, **Uti Possidetis Juris** არც კრძალავს და არც უშვებს სეცესიას, ეს პრინციპი მოქმედებს იწყებს და მიემართება უკვე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საზღვრების დადგენას, მაგრამ ახალი სახელმწიფოს საზღვრების დადგენით ამ საზღვრების საერთაშორისო ლეგიტიმაციის უზრუნველყოფით უკვე ამ სახელმწიფოს არსებული საზღვრების თვითნებურ ცვლილებას დაბრკოლებას უქმნის.

Uti Possidetis Juris დოქტრინის ევოლუციის პერიოდში ეს პრინციპი ყოველთვის თანმიმდევრულად არ ყოფილა გამოყენებული. იყო შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოები დამოუკიდებლობამდელი საზღვრებისაგან განსხვავებული საზღვრებით აღმოჩნდნენ კოლონიალიზმისაგან გათავისუფლებულები და იყო დამოუკიდებლობის დროს გაყოფის შემთხვევა, მაგრამ **Uti Possidetis** პრინციპიდან გადახვევა შეთანხმებით ხდებოდა და ამჟამად ჩამოყალიბებული პრაქტიკითა და სამართლით **Uti Possidetis Juris** პრინციპის გამოყენებით დადგენილი და აღიარებული საზღვრების დარღვევა მხარდაჭერილი არ არის.

ბოლო ათწლეულების მოვლენებმა დაადასტურა, რომ **Uti Possidetis Juris** არ გამოიყენება მხოლოდ დეკოლონიზაციის კონტექსტში, გამოიყენება დეკოლონიზაციის კონტექსტის მიღმაც. ეს პრინციპი გამოყენებული იქნა იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი სახელმწიფოების საზღვრების დადგენისას. ეს პრინციპი მისი გამოყენების თაობაზე შეთანხმების არარსებობის შემთხვევაშიც უნდა იქნეს გამოყენებული. **Uti Possidetis** მხოლოდ ახალი სახელმწიფოს წარმოშობის დროს გამოიყენება და არ მიემართება იმ შემთხვევებს, რომელიც ახალი სახელმწიფოს წარმოშობას არ უკავშირდება. ამ პრინციპის ეფექტი უკავშირდება ადმინისტრაციული საზღვრების გადაქცევას საერთაშორისო საზღვრებად, მაგრამ ყველა ადმინისტრაციული საზღვარი ვერ გადაიქცევა საერთაშორისო საზღვრად და პრობლემა საერთაშორისო სამართალში უკავშირდება სწორედ იმის დადგენას, რომელი ადმინისტრაციული საზღვრების შემთხვევაში არსებობს აღნიშნული შესაძლებლობა. დადგენილი პრაქტიკით, ფედერაციული სახელმწიფოს შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება ყოფილი ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენელ, უმაღლესი დონის ერთეულებს შორის გამავალ ადმინისტრაციულ საზღვრებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში მხოლოდ მოკავშირე სახელმწიფოების ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრების მიმართ იქნა გამოყენებული **Uti Possidetis Juris** პრინციპი. ავტონომიურ თუ უფრო ქვედა დონის ერთეულებზე ეს პრინციპი არ ვრცელდება. პრაქტიკაში არ არსებობს არავითარი ახალი **Uti Possidetis**, რომელიც უფრო ქვედა დონის ერთეულებზე გავრცელდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემთხვევაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ **Uti Possidetis Juris** საფუძველზე საქართველოს სსრ-ის ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრები გარდაიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო საზღვრებად, რაც მხარდაჭერილია დემოკრატიული სახელმწიფოების პრაქტიკით, დამატებითი დანაწევრება არ არის მხარდაჭერილი საერთაშორისო სამართლით და აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის მიერ სეპარატისტული მიზნებისათვის **Uti Possidetis** პრინციპის გამოყენების კანონიერი საფუძველი არ არსებობს. ასევე იმთავითვე არ არის მხარდაჭერილი საერთაშორისო სამართლით დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებში მცხოვრები ხალხისაგან თვითგამორკვევის სეცესიის ფორმით რეალიზაცია.

ზურაბ აზნაურაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ასისტენტი პროფესორი

თამარ დევდარიანი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
მონვეული ლექტორი,

დისციპლინური სამართალწარმოება, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფის პრევენციული მექანიზმი

აბსტრაქტი

მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვანია, როგორც დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსამართლეთა ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად, ისე სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის განსამტკიცებლად.

სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტის უზრუნველსაყოფად მოსამართლემ უნდა აღიაროს და დაიცვას ქცევის ის წესები და სტანდარტები, რომლებიც აუცილებელია მართლმსაჯულების პრესტიჟის დასაცავად. მოსამართლის ყოველი ქმედება სამოსამართლო ეთიკის წესებს უნდა შეესაბამებოდეს, ხოლო ისეთი ქცევა, რომელიც არღვევს დადგენილ სტანდარტს და თავისი არსით წარმოადგენს შესაძლო დისციპლინურ გადაცდომას, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში უნდა შეფასდეს.

თავის მხრივ, დისციპლინური სამართალწარმოება ხელს უწყობს მოსამართლის ქცევის იმგვარად გააზრებას, რომ უზრუნველყოფილი იქნეს დისციპლინური სამართალწარმოების, როგორც პრევენციული მექანიზმად გამოყენება, ხოლო თავად სამართალწარმოების აღნიშნული სახე საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ფუნდამენტურ ღირებულებებს. ამასთან, დისციპლინური სამართალწარმოებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართალწარმოების პროცესის სათანადო ხარისხითა და დადგენილი წესით წარმართვა.

საკვანძო სიტყვები: მართლმსაჯულება, სამართლიანი სასამართლო, დისციპლინური სამართალწარმოება.

შესავალი

სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის უზრუნველყოფას და რეალიზების შესაძლებლობის არსებობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მართლმსაჯულების სისტემაში.

სამართლიანი სასამართლოს უფლება მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, რათა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ იმ უფლებითა გარანტიებით, რომელიც მათ გააჩნიათ. ამასთან, სამართლიანი სასამართლოს უფლება უფლების დაცვის მექანიზმების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობით ხელს უწყობს კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვას.

სასამართლოს დამოუკიდებლობის ხელყოფისა და სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის თავიდან არიდების საუკეთესო საშუალება დისციპლინური სამართალწარმოების სისტემის არსებობაა. აღნიშნული სისტემის სწორხაზოვანი ფუნქციონირება მნიშვნელოვანია, როგორც დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირების მოხდენის მიზნით, ისე, შემდგომი დარღვევების პრევენციის მიზნითაც.

აღნიშნული მექანიზმების არსებობა და მათი შესაძლო არაეფექტური გამოყენება უზრუნველყოფს ნაშრომის აქტუალობას და ხაზს უსვამს კვლევების არსებობის მნიშვნელობას.

წინამდებარე სტატიაში განხილულია დისციპლინური სამართალწარმოების მნიშვნელობა სამართლიანი სასამართლოს უფლების ქრილში, ასევე გაანალიზებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომები და საქართველოს კანონმდებლობაში ამ მიმართულებით არსებული რეგულაციები. ამ მიზნით სტატია მიმოიხილავს სხვადასხვა გადანყვეტილებას და აანალიზებს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების პრაქტიკას დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში.

1. სამართლიანი სასამართლოს უფლების არსი და მნიშვნელობა

სამართლიანი სასამართლო მოიაზრებს სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლებას, სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, ისეთ პროცესუალურ მოთხოვნებს, როგორიცაა შეჯიბრებით სამართალწარმოების პროცესში მხარეთა თანასწორობის უფლება, საჯარო სამართალწარმოებისა და გადანყვეტილების დასაბუთების უფლება, საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება.

მხარის უფლება მისი საქმე განხილულ იქნეს სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების სრული დაცვით ლეგიტიმური და მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ყველა ის მექანიზმი, რომელიც აღნიშნულს უზრუნველყოფს, მათ შორისაა, განჭვრეტადი დისციპლინური სამართალწარმოება.¹

სამართლიანი სასამართლოს უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადანყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებისა და სამართლებრივ შეფასების შესაძლებლობის არსებობას, რომელიც შესაძლოა არღვევდეს ადამიანის უფლებებს.² აღნიშნული მიუთითებს სამართლიანი სასამართლოს უფლების კანონის უზენაესობასთან პირდაპირ კავშირზეც.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადანყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს

1 Note On International Standards and Good Practice of Disciplinary Proceedings Against Judges, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Warsaw, 2018, 16.

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის №1/3/393,397 გადანყვეტილება, II. §1.

უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“ ამდენად, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე სამართლიანი სასამართლოს არსებობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი არსებითი შემადგენელი ნაწილია ადამიანის უფლებებისა. სამართლიანი სასამართლოს პრინციპს ვხვდებით როგორც ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში, ისე სხვა მრავალ საერთაშორისო აქტში, მათ შორის ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციის მე-8 მუხლში¹; ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის მე-6 მუხლში²; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლში³ და სხვა.

აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომლის მე-6 მუხლს, იცავს რა სამართლიანი სასამართლოს უფლებას, ცენტრალური ადგილი უკავია კონვენციის სისტემაში. სამართლიანი სასამართლოს უფლებას დემოკრატიულ საზოგადოებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობა გააჩნია. აღნიშნული მუხლის დაცვის ობიექტს წარმოადგენს კანონის უზენაესობის პრინციპი, რომელსაც ემყარება მთლიანად საზოგადოება. გარდა ამისა, ასახავს იმ ტრადიციების ნაწილს, რომლებიც კონვენციის პრეამბულის თანახმად, საერთოა კონვენციის ხელმომწერი ქვეყნებისთვის. კონვენციის მე-6 მუხლი სწორედ ის ნორმაა, რომლის დარღვევის შესახებ ყველაზე ხშირად ხდება განცხადებების წარდგენა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. იმისათვის, რომ დავა მიეკუთვნოს მე-6 მუხლის მოქმედების სფეროს, უნდა არსებობდეს დავა ან „შეცილება“ ისეთ უფლებებსა და ვალდებულებებზე, რომელთაც სადავო დონეზე მაინც აღიარებს ქვეყნის შიდა კანონმდებლობა.⁴

ასეთი უფლების დაცვა ეროვნულ დონეზე წარმოუდგენელია დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობის გარეშე. სასამართლოს დამოუკიდებლობა, თავის მხრივ, სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია. დამოუკიდებელი სასამართლო მოიაზრებს, როგორც ინსტიტუციურ, ისე ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას, თუმცა, როგორც შინაარსითაც არ უნდა განიხილებოდეს სასამართლოს დამოუკიდებლობა, უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს, რომ მოსამართლეს დამოუკიდებლობა ენიჭება ადამიანის უფლებათა დასაცავად.

2. მოსამართლეთა ანგარიშვალდებულებისა და დისციპლინური საპროცესო რეგულაციების როლი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის პროცესში

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობაში ჩარევისა თუ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის თავიდან არიდების მიზნით სათანადო სიზუსტით უნდა იქნას განსაზღვრული დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი და 1 სამართლიანი სასამართლოს უფლება შეიცავს რამდენიმე შესაბამის დებულებას სასამართლო პროცესში საჯარო პროკურორების როლის შესახებ. მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი ადგენს: „ყოველ პირს, მისთვის წაყენებული ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდების ან მისი სამოქალაქო, შრომითი, ფინანსური ან ნებისმიერი სხვა ხასიათის უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას, უფლება აქვს მისი საქმე გონივრულ ვადაში და სათანადო გარანტიებით განხილულ იქნეს კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, რომელიც წინასწარაა შექმნილი კანონის საფუძველზე“.

2 „ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამოჩვენებისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“.

3 „ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე. თითოეულს აქვს უფლება მისთვის წაყენებული ყოველი სისხლის სამართლის ბრალდების განხილვისას, ან რომელიმე სამოქალაქო პროცესში მისი უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ გაარჩიოს კანონის საფუძველზე შექმნილმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“.

4 A/HRC/11/41, [2009], §57; aseve, U.N. Doc. CCPR/C/OP/1, Larry James Pinkney v. Canada, Communication No. 27/1978, [1985], §34. aseve, Sunday Times v United Kingdom, [1979] ECtHR, §49.

მისი დებულებები.¹ აუცილებელია, რომ მოსამართლეებს არ დაეკისროთ პასუხისმგებლობა მის მიერ მტკიცებულებათა შეფასების შედეგად, შინაგანი რწმენით, მიღებული გადაწყვეტილების გამო. დემოკრატიული საზოგადოება მოსამართლის დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტის არსებობას მოითხოვს. დამოუკიდებლობა, თავის მხრივ, ხელშესახები და კანონით გარანტირებული უნდა იყოს.

საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლი განამტკიცებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, კონსტიტუციასა და კანონზე მორჩილებას. ამასთან, კრძალავს მოსამართლის საქმიანობაში ჩარევას ან მასზე გავლენის მოხდენას. უთითებს, რომ კანონის შესაბამისად აღნიშნული დასჯადი ქმედებაა. ამავე მუხლითვეა გარანტირებული მოსამართლისთვის ანგარიშის მოთხოვნის დაუშვებლობა. მოსამართლეზე ზემოქმედებას კრძალავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტიც, სადაც აღნიშნულია, რომ სამართალწარმოების პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს სათანადო სამართლებრივ და პროცედურულ გარანტიებს.

მოსამართლე, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირი, არა მხოლოდ დამოუკიდებლობის მაღალი გარანტიებით უნდა სარგებლობდეს არამედ, საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტები უნდა გააჩნდეს.

ჯერ კიდევ „პლატონი საკუთარ ნაშუქვერებში აღნიშნავდა, რომ მოსამართლეებს უფლებამოსილების გადამეტებისას პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ.“² მოსამართლეთა სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობასთან ერთად,³ მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების არსებობა, რომელიც მოიაზრებს როგორც ინდივიდუალური მოსამართლის, ისე სასამართლო სისტემის პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე.

ანგარიშვალდებულებას ხელს უწყობს სასამართლო პროცესის ღიაობა, რა დროსაც მოსამართლე ასაბუთებს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. აღნიშნული წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ „ახსნით ანგარიშვალდებულებას“. ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი ფორმა უშუალოდ მოსამართლის ქმედებასაც ეხმიანება და არასათანადო ქცევისათვის პასუხისმგებლობის შესაბამის სახესაც მოიაზრებს, რაც გამოიხატება დისციპლინურ საქმეზე დაკისრებულ სანქციაში, ხოლო გარკვეულ ქმედებებთან მიმართებით, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებებაში. აღნიშნული წარმოადგენს ერთგვარ „დასჯით ანგარიშვალდებულებას“.⁴

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლის ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე საკმაოდ დიდია, სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“⁵.

ამდენად, იმ პირობებში, როდესაც მოსამართლის მიერ მიღებული აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობა დაუშვებელია⁶, ხოლო ანგარიშვალდებულება მოსამართლის ქმედებაზე შესაბამისი რეაგირების აუცილებლობაზე მიუთითებს დისციპლინური სამართალწარმოების ქრილში, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება ერთგვარ ბენვის ხიდის წარმოადგენს მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის.

1 Case C-719/19, European Commission v. Poland (ECLI:EU:C:2021:366), [2021], §6

2 გასიტაშვილი ე., ზამბახიძე თ., ლორია ა., მესხიშვილი ქ., კორძახია ზ., მოლიტერნო ჯ., ხუბულური თ., იურიდიული ეთიკა, თბ., 2021, 577.

3 მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს, როგორც სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, ისე დისციპლინურ პასუხისმგებლობა.

4 The position of the judiciary and its relation with the other powers of state in a modern Democracy, Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion №18, 2015, 9, 26.

5 Oleksandr Volkov v. Ukraine, №21722/11, §80

6 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი

ბალანსის დაცვა კი – გარდაუვალად მნიშვნელოვანია. დისციპლინური სამართალწარმოების არასათანადოდ გამოყენების პირობებში, შესაძლოა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელყოფის, რიგ შემთხვევებში ზენოლის მცდელობის საფრთხედ, ხოლო მათი დისკრედიტაციის გზით სასამართლოს გადანყვეტილებაზე ზემოქმედების მოხდენის მექანიზმად – დამლუპველ ინსტრუმენტად შესაძლოა იქცეს.

დისციპლინურ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით ყურადსაღებია „კიევის რეკომენდაციები“, რომელიც სამართალწარმოების აღნიშნულ სახესთან მიმართებით ადგენს ზოგად სტანდარტებს და განსაზღვრავს, რომ სამართალწარმოება პროფესიულ გადაცდომას უნდა ეფუძნებოდეს, რომელიც არის „უხეში, უპატივბედი და სასამართლო ხელისუფლების რეპუტაციის შემლახველი“.¹ მოსამართლის მიმართ დისციპლინარული სამართალწარმოება წარმოადგენს „გაძლიერებულ სამსახურებრივ ზედამხედველობას“;² სადაც ნათლად ჩამოყალიბებული კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახეებისა და სანქციების არსებობას (*mutatis mutandis*) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.³ აღნიშნული განმტკიცებულია სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპით. საქმეში „მაესტრი იტალიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ კანონში პირდაპირ ვერ იქნება მითითებული ყველა ის ქცევა, რომელიც დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს, თუმცა კანონმდებლის ვალია მაქსიმალურად აბსოლუტური სიზუსტით განსაზღვროს გადაცდომებთან დაკავშირებული ყველა ნორმა.

ამდენად, დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოადგენს მოსამართლეთა მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირების მექანიზმს. სამართალწარმოების მიზანია მოსამართლეთა მიერ კანონმდებლობით დადგენილი ფუნქციების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა, რაც, რა თქმა უნდა, სწორედ სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლების ქვაკუთხედად და ამოსავალ წერტილად უნდა იქნეს განხილული. დისციპლინური სამართალწარმოება ხელს უწყობს დადგენილი წესების, ეთიკური სტანდარტების დაცვასა და აღსრულებას, რაც, პირდაპირპროპორციულად ეხმიანება სასამართლოს ანგარიშვალდებულებას. ამასთან, წარმოების აღნიშნული სახე უზრუნველყოფს, როგორც გადაცდომის ჩამდენი პირის ქმედებაზე შესაბამის რეაგირებას, ისე სხვა პირთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის პრევენციას.

ამდენად, დისციპლინური სამართალწარმოება ერთგვარი შემაკავებელი ძალაა, იძულების მექანიზმია მოსამართლეთათვის, რათა არ დაარღვიონ მხარეთა ფუნდამენტური უფლებები, არ მიაყენონ გამოუსწორებელი ზიანი სხვა პირთა თუ სასამართლოს ინტერესებს. სამართლიანი და ეფექტური დისციპლინური სამართალწარმოება უზრუნველყოფს მოსამართლის მიერ პროფესიული ქცევის შენარჩუნებას, მართლმსაჯულების ინტერესების დაცვას და კერძო ინტერესებისგან თავისუფალ მართლმსაჯულებას. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების მიზანი – ქცევის მოდელის ნახალისება, შენარჩუნება და ყველასთვის თანმიმდევრული და სამართლიანი მოპყრობის უზრუნველყოფაა. აღნიშნულის გარანტს სწორედ სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დისციპლინურ სამართალწარმოებაში დანერგვა, გავრცელება და ეფექტიანი გამოყენება წარმოადგენს.

1 ODIHR Max Planck Minerva Research Group on Judicial Independence, Kyiv, 23-25 June 2010, §25.

2 გოგიაშვილი გ., სამოსამართლო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2020, გვ.71.

3 ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ დისციპლინური სახდელთან მიმართებით განმარტა, რომ იგი არის სადამსჯელო მექანიზმი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებებზე, განსაკუთრებით მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში (López Lone et al. v. Honduras, [2015] IACTHR §257).

3. დისციპლინური სასამართლო წარმოების პროცესში სასამართლო სასამართლოს უფლების რეალიზების პრინციპები

სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებას მნიშვნელოვანი ადგილი აკისრია დისციპლინური სასამართლო წარმოების განხორციელების პროცესში. უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მისი ნორმატიული მოწესრიგება გადაცდომების ზედმინევენით სრულყოფილად რეგლამენტაცია და არაორაზროვანი ჩამოყალიბება. ხოლო აღნიშნულის მისაღწევად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანი დისციპლინური სასამართლო წარმოების სწორი, განუხრელი პრაქტიკის ჩამოყალიბება.

ნათლად ჩამოყალიბებულ, ზედმინევენით დეტალურად განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომებთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ითვალისწინებს სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის და აღნიშნულის მაგალითად განიხილავს სამართლო წარმოების ხანდაზმულობის ვადის საკითხს, რადგანაც „სასამართლო აცხადებს, რომ ხანდაზმულობის ვადა რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება, კერძოდ, ის უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობას, იცავს პოტენციურ მოპასუხეებს დროულად განუცხადებელი საჩივრებისგან, რომელთა განხილვის შემთხვევაშიც რთული იქნებოდა სამართლიანობის დადგენა, ვინაიდან სასამართლოებს მოუწევდათ გადანივრების მიღება იმ მოვლენების ირგვლივ, რომელთაც შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი და იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომელმაც, სავარაუდოდ დროის გასვლის გამო, სანდოობა დაკარგა და სრულფასოვან მტკიცებულებად ვერ განიხილება.“¹

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც მოიაზრებს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, ადგენს, რომ „ყოველი ადამიანი ... აღჭურვილია ... მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად დისციპლინური სასამართლო წარმოების სრული პროცესის განმავლობაში მხარეებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები², ხოლო თავად დისციპლინური სასამართლო წარმოების პროცესში არა მხოლოდ გადაცდომათა და პროცესის განსაზღვრულობის პრინციპი უნდა მოქმედებდეს, არამედ მოსამართლე აღჭურვილი უნდა იყოს განსაზღვრული უფლებებითა და გარანტიებით.

მოსამართლის უფლებრივ გარანტიებში მოიაზრება სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი პრინციპიც – გასაჩივრების უფლება. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნის³ შესაბამისად დისციპლინური წარმოება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დისციპლინური ორგანოს მიერ ინიცირებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელი იყოს სასამართლოში.⁴ ევროპის ქვეყნების პრაქტიკაში მსგავსი ორგანო უმეტესწილად არის ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლო, ან უზენაესი სასამართლო.⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანივრების შესაბამისად „სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქცია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვაა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი,

1 Oleksandr Volkov v. Ukraine, №21722/11, §137.

2 იქვე, §87-91.

3 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნა „მოსამართლეთა პროფესიული ქცევის მარეგულირებელი პრინციპებისა და წესების, კერძოდ, ეთიკის ნორმების, თანამდებობასთან შეუფერებელი ქცევისა და მიუკერძოებლობის შესახებ“, სტრასბურგი, საფრანგეთი, 19.11.2002.

4 ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) №3 დასკვნა, §72.

5 ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ანგარიში „მოსამართლეთა დისციპლინური წარმოების საუკეთესო პრაქტიკისა და საერთაშორისო სტანდარტები“, §47.

გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლო დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს...“¹

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵⁴ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოსამართლეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში გასაჩივრების უფლება წარმოეშობა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების შემდგომ, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, რაც, რა თქმა უნდა, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიანი სარგებლობის შესაძლებლობას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლებას დისციპლინურ სამართალწარმოებაში განიხილავს „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს“ და „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ პრინციპების ჭრილში.

სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი მოიცავს „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს“ პრინციპის არსებობას, ხოლო მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი განმარტავს, რომ ის დადგენადია ან სუბიექტური მიდგომის ფარგლებში, რომელიც გულისხმობს მოცემულ საქმეში მოცემული მოსამართლის შინაგანი რწმენის დადგენის მცდელობას და ობიექტური მიდგომის შესაბამისად, რომელიც გულისხმობს იმის განსაზღვრას, მან საკმარისი გარანტიები უზრუნველყო თუ არა ამ კუთხით რაიმე სახის ლეგიტიმური ეჭვის გამოსარიცხად.² სასამართლო აღნიშნულ საქმეში მსჯელობს მოსამართლეთა ნაწილის წინასწარ ჩამოყალიბებული განწყობების არსებობაზე, რადგანაც ისინი პირველი ინსტანციის წესით უკვე მონაწილეობდნენ ამავე საქმის განხილვაში.³

ამასთან, „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ პრინციპის შესახებ მსჯელობისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ პრეცედენტული სამართლის თანახმად, ტერმინის – „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო“ ობიექტია უზრუნველყოფა იმისა, „რომ სასამართლო სისტემა დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არის დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე, არამედ ის რეგულირდება პარლამენტიდან გამომდინარე კანონით“.⁴ ფრაზა „კანონის საფუძველზე შექმნილი“ მოიცავს არა მხოლოდ სამართლებრივ საფუძველებს „სასამართლოს“ არსებობისათვის, არამედ სასამართლოს შემადგენლობას თითოეულ საქმეში“.⁵ აღნიშნულ პრინციპებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თავად დისციპლინური სამართალწარმოებისთვის, რადგან დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განიხილება, როგორც „ტრიბუნალი“⁶. ამდენად, ყველა ის წინაპირობა, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ფარგლებში სასამართლოებისთვის არის დადგენილი, დადგენილია, მათ შორის, დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოების მიმართაც.

საინტერესოა, რა როლი აქვს თავად დისციპლინურ სამართალწარმოებას სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობაში? ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისთვის სასამართლო ხელისუფლებას უმნიშვნელოვანესი როლი გააჩნია, ხოლო სასამართლოს დამოუკიდებლობა სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების მთავარ ელემენტს წარმოადგენს.

1 სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/466

2 სტურუა საქართველოს წინააღმდეგ, №45729/05, §33.

3 იქვე. §35.

4 Oleksandr Volkov v. Ukraine, №21722/11, §150.

5 იქვე. §151.

6 სტურუა საქართველოს წინააღმდეგ, №45729/05, §40.

სასამართლოს დამოუკიდებლობა „კანონის უზენაესობის წინაპირობა [...] და სამართლიანი სასამართლო პროცესის ფუნდამენტური გარანტია.“¹ მოსამართლის პასუხისმგებლობა მოითხოვს მართლმსაჯულების კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად, ყოველგვარი ზეგავლენისაგან თავისუფლად გადანყვეტას, რადგან დამოუკიდებელი მართლმსაჯულების მთავარი არსი სწორედ მოქალაქეთა უფლებების დაცვისთვის ზეგავლენისგან თავისუფლებაა.

როგორც უკვე აღინიშნა კანონის უზენაესობა, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და სამართლიანი განხილვის უფლების შემადგენელი ნაწილია, დისციპლინური სამართალწარმოების განჭვრეტადობის აუცილებლობაზე მიუთითებს. არა მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს გარანტი, არამედ თავად დისციპლინური სამართალწარმოება უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს პრინციპების შესაბამისი და მის საფუძველზე აგებული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ისევე როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებენ ადამიანის უფლებებისა და განსაზღვრულობის პრინციპის მნიშვნელობაზე. ამასთან, საქართველოში მოქმედი დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში არსებული პრინციპები თუ თავად პრაქტიკა მიუთითებს დისციპლინური სამართალწარმოების მნიშვნელობასა და როლზე.

პრინციპების დონეზე განერილი დისციპლინური სამართალწარმოება, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, პრაქტიკაში ეფექტიანი სამართალწარმოების შესაძლებლობას უნდა ითვალისწინებდეს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანოთა მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია, თუ ანგარიშები² მიუთითებს, რომ კანონით გათვალისწინებული გარანტიებით სარგებლობის უფლებამოსილება და შესაძლებლობა მოსამართლეებს გააჩნიათ. აღნიშნული კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლიანი დისციპლინური სამართალწარმოების უზრუნველსაყოფად.

როგორც უკვე აღინიშნა, დისციპლინური სამართალწარმოების განმახორციელებელ ორგანოთა მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია და ანგარიშები მნიშვნელოვანია სამართალწარმოების შედეგების გასაანალიზებლად. ამასთან, გამოქვეყნებული ინფორმაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსამართლეთა ინფორმირების კუთხით. ამდენად, გამოქვეყნებულმა ანგარიშებმა და განკარგულებებმა პრევენციული მექანიზმის როლი უნდა შეასრულოს და უზრუნველყოს მოსამართლეთა ინფორმირება სხვადასხვა შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებისა და შესაბამისი რეაგირების შესახებ.

დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების დადგენა მოსამართლეებს საშუალებას აძლევს იცოდნენ ქცევის ის სტანდარტები, რომელთა დაცვასაც მათგან მოელიან. განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომები უზრუნველყოფს სამართლიან გაფრთხილებას მათთვის, ვინც შესაძლოა ვერ დაიცვას დადგენილი სტანდარტები. აღნიშნული კი სწორედ კანონის უზენაესობისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვას ემსახურება მიზნად. დისციპლინური სამართალწარმოების მიზანი სასამართლო ხელისუფლების თვითნებობისაგან დაცვა და მოსალოდნელი შედეგების წინასწარ განჭვრეტა წარმოადგენს.

1 ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის (CSCE) მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლების 1986 წლის ვენის შეხვედრის დასკვნითი დოკუმენტი, 1989; CSCE-ის ადამიანური განზომილების სფეროში კონფერენციის კოპენჰაგენის დოკუმენტი, 1990; პარიზის ქარტია ახალი ევროპისთვის, 1990; CSCE-ის ადამიანური განზომილების სფეროში კონფერენციის მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტი, 1991; MC.DOC/4/06 2 დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური, რომელიც მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების ექსკლუზიური უფლებამოსილებით სარგებლობს კვარტალურად ამუშავებს და აქვეყნებს სტატისტიკურ ინფორმაციას, ხოლო ყოველწლიურად ამზადებს დასკვნებისა თუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების ანალიზს.

ამდენად, დისციპლინურ სამართალწარმოებასთან სამართლიანი სასამართლოს უფლება გადაჯაჭვულია, ერთი მხრივ, სამართალწარმოების პროცესში სამართლიანი სასამართლოს უფლების ელემენტების არსებობითა და მეორე მხრივ, თავად სამართალწარმოებით სასამართლო დავის მონაწილე მხარეთა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების ხელშეწყობით.

დასკვნა

მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი რთული და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი, აქტუალური საკითხია, რომლის კვლევა სამეცნიერო თვალსაზრისით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. რა თქმა უნდა იმის გააზრება თუ რამდენად მნიშვნელოვანია დისციპლინური სამართალწარმოება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, თუ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა რთული პროცესია, თუმცა წინამდებარე სტატიის მიზანი იყო წარმოეჩინა თემის აქტუალობა, მნიშვნელობა და განესაზღვრა მომავალი კვლევის საფუძველი. არსებული რეალობა ცხადყოფს, რომ დისციპლინურ სამართალწარმოებასთან მიმართებით სამეცნიერო კვლევების ნაკლებობა მისი ეფექტიანობის განსაზღვრის შესაძლებლობას ამცირებს.

ამდენად, მნიშვნელოვანია საკითხის სწორი გააზრება, რადგან მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, მათი უვადოდ განწესების პირობებში კი განჭვრეტადი დისციპლინური სამართალწარმოებით გადაცდომებზე რეაგირება, არა მხოლოდ სასამართლო სისტემის, არამედ ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობისა და ქვეყნის განვითარების საფუძველია.

დისციპლინური სამართალწარმოება არც მოსამართლეთა „დასჯის“ და არაც გადაცდომათა ნახალისების მექანიზმად არ უნდა იქცეს. სამართალწარმოების აღნიშნული სახის მთავარი ფუნქცია შესაძლო გადაცდომების შემდგომი პრევენცია და არასათანადო ქცევის თავიდან არიდება უნდა იყოს. ამ პროცესში დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ობიექტური და ეფექტიანი დისციპლინური სამართალწარმოების საფუძველი კანონის უზენაესობა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების დაცვაა.

თეა სამჭკუაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი,
ავილირებული პროფესორი

შალვა ლაზარიაშვილი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი,
ავილირებული პროფესორი

საჯარო სამსახურში საჩუქრის სამართლებრივი რეგულირების გამოწვევები თანამედროვე ქართულ კანონმდებლობაში

აბსტრაქტი

სტატია მიზნად ისახავს საჯარო სამსახურში საჩუქრის სამართლებრივი რეგულირების გამონწვევების იდენტიფიცირებას, რომელიც გავლენას ახდენს ეფექტურ მმართველობით პროცესზე. საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო მონესრიგების პირობებში, ყოველთვის არსებობდა საჩუქრის საკითხის მარეგულირებელი ნორმების მკაფიო რეგლამენტირება/აღსრულების პრობლემა, რაც ერთ-ერთ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს ეფექტური და ეფექტიანი მმართველობითი პროცესის განხორციელებისას. სტატიაში განხილულია გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია საჩუქრის საკითხის სათანადო რეგულირებისთვის, შეფასებულია საჩუქრის რისკები და მისი გადაჭრის ქმედითი მექანიზმები, გამოკვეთილია მკაფიო სამართლებრივი ნორმების საჭიროება და მასზე დაფუძნებული ქმედითი აღსრულების ინსტრუმენტების დამკვიდრება. შესწავლილი და დამუშავებულია საჩუქრის საკითხის მარეგულირებელი კანონმდებლობა, სხვადასხვა ავტორის სახელმძღვანელოები და სხვ. მოძიებული მასალების დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა კვლევის როგორც ზოგადი ისე სპეციალური მეთოდები, მათ შორის ანალიზი და სინთეზი, სისტემური, შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

საძიებო სიტყვები: საჯარო მმართველობა, საჯარო სამსახური, საჩუქარი, რეგულირება, პრაქტიკა

შესავალი

საჯარო სამსახურში საჩუქრის საკითხის, როგორც ეფექტური და გამჭვირვალე მმართველობითი პროცესის ხელშემწყობი და განმაპირობებელი ერთ-ერთი ელემენტის, მკაფიო სამართლებრივი რეგულირება მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნის მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისა თუ სამართლებრივი განვითარების ქრილში. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია განხორციელდეს საჯარო სამსახურში საჩუქართან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების მკაფიო რეგლამენტირება, რათა არ მოხდეს ერთი მხრივ, საჯარო მოხელეთა უფლებრივი მდგომარეობის არამიზნობრივი შეზღუდვა და მეორე მხრივ, უზრუნველყოფილ იქნას საჯარო ინტერესების სათანადო დაცვა. ხსენებული საკითხის

მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები ორიენტირებული უნდა იყოს იმ მოცემულობაზე, რომ საჯარო მოსამსახურე¹ თავისუფალი იყოს ნებისმიერი სახის გავლენისგან, რათა საკუთარი საქმიანობა დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის ფარგლებში ერთგულად და კეთილსინდისიერად განახორციელოს.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული საჩუქრის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები პრობლემატურია, როგორც მისი სიცხადისა თუ კონკრეტიკის, ისე, პრაქტიკაში აღსრულებისა და მონიტორინგის თვალსაზრისით. აღნიშნული კი უარყოფით გავლენას ახდენს საჯარო დაწესებულების საქმიანობაზე, რომლის ეფექტურობა დამოკიდებულია თითოეულ საჯარო მოსამსახურის კეთილსინდისიერებაზე, მის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში ხალხისა და საჯარო ინტერესის შესაბამისად განხორციელებულ ქმედებაზე და ა.შ.

საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში არსებული საჩუქრის რეგულირების საკითხი საჭიროებს შესწავლას, რათა მოხდეს პირველ რიგში, საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების მიმოხილვის საფუძველზე კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოვლენა, ხოლო, შემდეგ სამართლებრივ ნორმათა სრულყოფის საფუძველზე დასახულ იქნას საჯარო სამსახურში აკრძალული საჩუქრის საკითხის მართვის გზები.

აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურში აკრძალული საჩუქრის რეგულირების საკითხების გადაწყვეტა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევაა „კარგი მმართველობისა“ და საზოგადოების მხრიდან საჯარო დაწესებულებისადმი ნდობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის კონტექსტში. საჯარო დაწესებულებისა და მასში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა მიმართ მოსახლეობის მხრიდან ნდობის კოეფიციენტს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს და მათ შორისაა კეთილსინდისიერება, რომლის შეფასების ერთ-ერთ ინდიკატორს საჩუქრის მიღების რისკების თავიდან არიდების საკითხი წარმოადგენს.

1. საჩუქრის არსი და მისი საპრობლემური რეპულირება

საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, რომლის ფარგლებში წესრიგდება როგორც საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, ისე, საჯარო მოსამსახურის სამართლებრივი მდგომარეობა.² სწორედ ხსენებული კანონი აკეთებს დათქმას მოხელის უფლებებისა და ვალდებულებების ნაწილში „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც თავის მხრივ, განმარტავს იმ პირთა წრეს რომელზეც ვრცელდება მისი მოწესრიგების სფეროში არსებული საკითხები, მათ შორის, საჩუქარი და მის მიღებასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ასევე, „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №200 დადგენილება არის ის კანონქვემდებარე აქტი, რომელიც საჩუქართან დაკავშირებულ სხვა საკითხებთან ერთად მისი მიღების წყაროსა და კანონისმიერ ფარგლებს განსაზღვრავს.

„კარგი მმართველობის“ ცნების მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენს განვითარებაზე ორიენტირებული მმართველობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს კორუფციასთან ბრძოლას, გენდერულ თანასწორობას, საჯარო ადმინისტრაციის ეფექტიანობასა

1 სტატიის მიზნებისათვის საჯარო მოსამსახურედ მიიჩნევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო მოსამსახურე, პროფესიული საჯარო მოხელე და საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აგრეთვე „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობის პირები.

2 საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები, სახელმძღვანელო, ტომი 3, გ. ხუბუასა და კ.პ. ზომერმანის რედაქტორობით, თბილისი, 2016, გვ. 194.

და ეკონომიურობას.¹ საჯარო მოსამსახურის ან მისი ოჯახის წევრის მიერ საჩუქრის მიღებამ შესაძლოა წაახალისოს როგორც ქრთამის აღება, ისე სხვა სახის კორუფციული გადაცდომები.² სწორედ ამიტომ კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების სამართლებრივ მონესრიგებას ვხვდებით ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის 340-ე მუხლი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის³ მიერ კანონით აკრძალული საჩუქრის მიღების შემთხვევაში ადგენს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას.

საჯარო მოსამსახურეებს ვალდებულება აქვთ თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილება საჯარო სამსახურის პრინციპებისა და საჯარო ინტერესების დაცვის საფუძველზე განახორციელონ.⁴ ხსენებულიდან გამომდინარე, საჯარო ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, კანონმდებლობა საჯარო მოსამსახურეს მთელ რიგ შეზღუდვებთან ერთად უდგენს საჩუქრის არსსა თუ მისი მიღების ფარგლებს.

საჩუქრის არსი, მისი კატეგორიების განსაზღვრა გულისხმობს საჩუქრის განმარტებას, ასევე, ნებადართული თუ აკრძალული საჩუქრების განსაზღვრას. საჩუქრის მიღებასთან მიმართებით არსებული შეზღუდვები კი მოიცავს როგორც საჩუქრის ღირებულების ზღვრის დადგენას, ისე საჩუქრის მიღების წყაროების დადგენასა და გარკვეული კატეგორიის მჩუქებელ პირთა შეზღუდვას.⁵ აკრძალული საჩუქრის დადგენა უმნიშვნელოვანეს პროცესს წარმოადგენს, რომელიც პირველ ეტაპზე სწორედ საჩუქრის არსის ერთმნიშვნელოვან გაგებას ითხოვს. საჩუქარი არის საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება ან განეული მომსახურება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, რომელიც წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს.⁶ ამასთან, საჩუქრად ითვლება საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრისათვის უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით ქონების გადაცემა ან მომსახურების განევა, ასევე ვალდებულებებისაგან ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლება, რომელიც ასევე არის გამონაკლისი და განკუთვნილია მხოლოდ საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრისათვის.⁷ მოცემული საკითხის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ანალიზი ცხადყოფს რომ „საჩუქარის“ განმარტება ეხება როგორც საჯარო მოსამსახურეს, ისე მისი ოჯახის წევრს.⁸

2. საჩუქრის წყარო და მისი გავლენა საჯარო მოსამსახურის საქმიანობაზე

საჩუქრის არსი და მისი რეგულირების მიზანი ყურადღებას ამახვილებს საჯარო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესზე და კრძალავს ისეთი საჩუქრის მიღებას, რომელმაც, შესაძლოა, რაიმე სახით გავლენა მოახდინოს მის ქმედებაზე ან გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. საჯარო მოსამსახურის საქმიანობაზე

1 იზორია ლ., თანამედროვე სახელმწიფო, თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი, 2009, გვ. 210.

2 ბესელია გ., საჩუქარი საჯარო სამსახურში გზამკვლევი, გვ. 10.

3 მოხელესთან გათანაბრებული პირის ტერმინს არ იცნობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 332-ე მუხლის შენიშვნა სამოხელეო დანაშაულის მიზნებისთვის განმარტავს თუ ვინ მოიაზრება მოხელესთან გათანაბრებულ პირში.

4 „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 8.

5 cuxiSvili n., saCuqris politika sajaro samsaxurSi, saerTaSoriso praqtikisa da saqarTvelos kanonmdeblobis SedarebiTi analizi, 2020, gv.6.

6 „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 5 პირველი პუნქტი.

7 ალაპიშვილი ი., ბესელია გ., ცუხიშვილი ნ., „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარები, თბილისი, 2018, გვ.17.

8 „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს თუ ვინ მოიაზრება ოჯახის წევრში, კერძოდ, „ოჯახის წევრში“ იგულისხმება პირის მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი, აგრეთვე მასთან მუდმივად მცხოვრები პირი.

საჩუქრის გავლენის გარდა, მნიშვნელოვანია სხვა ფაქტორების გათვალისწინებაც, კერძოდ, საჯარო მოსამსახურის კეთილსინდისიერების საკითხი, რომელიც შესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენოს მიღებულმა საჩუქარმა, ასევე, საჩუქრის მიმცემის წინაშე საჯარო მოსამსახურის მიერ შესაძლო ვალდებულების წარმოშობის რისკი.¹ სწორედ ხსენებული გარემოების თავიდან აცილების მიზნით, საკანონმდებლო მონესრიგების პირობებში გამოყოფილია საჩუქრის ზღვრული ოდენობა, რომელიც საინტერესოა მისი შეფასების გამოანგარიშების თვალსაზრისით, კანონის მიხედვით საჩუქრის ღირებულება ფასდება არა შრომის ანაზღაურებასთან მიმართებაში, არამედ თანამდებობრივ სარგოსთან.² კანონმდებლობით განსაზღვრული მოცემულობა, რომელიც გულისხმობს, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში საჯარო მოსამსახურის მიერ მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრების შემთხვევაში – 5%-ს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან,³ ვერ იქნება ხსენებული გარემოებების თავიდან აცილების გარანტი. საყურადღებოა დათქმა ერთ წყაროსთან მიმართებაში, რაც საკმაოდ ფართო არეალს ტოვებს საჩუქრის არამიზნობრივ გამოყენებასთან მიმართებაში, მით უფრო, საჯარო სამსახურში დასაქმებულთა რაიმე ნიშნით დიფერენციაციის არარსებობის პირობებში. ასევე, აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურში მაღალ თანამდებობებზე დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგო მაღალია და მათი თანამდებობრივი სარგოდან დასაშვები საჩუქრის ღირებულების გამოთვლის არსებული საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც არცთუ უმნიშვნელო ღირებულების საჩუქრის მიღების შესაძლებლობას იძლევა, რაც თავის მხრივ, მიღებულ თუ მისაღებ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში გავლენის მატარებელი შეიძლება იყოს ვერ იქნება გამართლებული. შესაბამისად, საკანონმდებლო დონეზე არსებული პროცენტული შეზღუდვები, რომელიც ებმის ერთი წყაროდან მიღების ფაქტორს და შეზღუდვები ეხება ერთი წყაროდან მიღებულ საჩუქრებს, სხვადასხვა წყაროს შემთხვევაში ქმნის დამატებით რისკებს მმართველობით პროცესში მიღებულ თუ მისაღებ გადაწყვეტილებებზე გავლენის თვალსაზრისით.

საჩუქრის წყარო, შესაძლოა, იყოს გარე და შიდა, ასევე ერთი და ერთზე მეტი წყარო.⁴ „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №200 (2017) დადგენილება აკეთებს შიდა წყაროდან მიღებული საჩუქრის განმარტებას შემდეგი ფორმით, რომ იგი წარმოადგენს საჯარო დაწესებულების, თანამშრომლის, ხელმძღვანელ ან/და დაქვემდებარებულ თანამდებობაზე მყოფი საჯარო მოსამსახურისაგან მიღებულ საჩუქარს. ხოლო, გარე წყაროდან მიღებულ საჩუქარს განიხილავს საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური ორგანოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციისაგან მიღებულ საჩუქარს.⁵ საჩუქრის ამგვარი დიფერენციაცია კიდევ უფრო ნათელს ხდის იმ გარემოებებს, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს საჩუქრის საკითხის შეფასებისას და იმის დასადგენად, რა სახის გავლენა შეიძლება წარმოშვას შიდა თუ გარე წყაროდან მიღებულმა საჩუქარმა საჯარო მოსამსახურის მიერ დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების განხორციელების პროცესში. საჩუქართან დაკავშირებული შეზღუდვები, როგორც უკვე აღინიშნა, დადგენილია საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრთან მიმართებაშიც.

1 ალაპიშვილი ი., ბესელია გ., ცუხიშვილი ნ., „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარები, თბილისი, 2018, გვ.65.

2 დვალიშვილი მ., მაკალათია ე., სანიკიძე ზ., ტურავა პ., ფირცხალაიშვილი ა., ქარდავა ე., წულაია ი., „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარები, თბილისი, 2018, გვ.212.

3 „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 5 პუნქტი 2.

4 ალაპიშვილი ი., ბესელია გ., ცუხიშვილი ნ., „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების კომენტარები, თბილისი, 2018, გვ.68.

5 „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის N200 დადგენილება, მუხლი 3 „ე“ და „კ“ ქვეპუნქტები.

საჯარო მოსამსახურის ოჯახის წევრის მიერ საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1 000 ლარს, ერთჯერადად მიღებული საჩუქრების შემთხვევაში – 500 ლარს, თუ ეს საჩუქრები მიღებული არ არის ერთი წყაროდან.¹ მოცემულ დათქმას აზუსტებს ასევე, „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N200 დადგენილება, როდესაც განსაზღვრავს, რომ ერთი წყაროდან მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება საჯარო მოსამსახურის ოჯახის თითოეულ წევრზე არ აღემატება 1000 ლარს, ხოლო, ერთჯერადად, ერთი წყაროდან მიღებული საჩუქრის ღირებულება არ აღემატება 500 ლარს.² საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრულია საჩუქრის მიღების კონკრეტული ზღვრული ოდენობა, შესაბამისად, ამ ზღვრის დარღვევა თავისთავად საჩუქარს აქცევს აკრძალულ საჩუქართა კატეგორიაში, რომლის მიღებამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საჯარო მოსამსახურის მიერ მისაღებ გადაწყვეტილებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს გარემოება, როდესაც მიღებული საჩუქრის ოდენობა არ აღემატება კანონით დასაშვებ ზღვრულ ოდენობას, თუმცა, შეიძლება იგი მოდიოდეს სუბიექტისგან, რომელიც საჯარო მოსამსახურის საქმიანობის ფარგლებში კონკრეტულ გადაწყვეტილებას ელოდება და ეს საჩუქარი აღქმულ იქნას, როგორც კონკრეტული შედეგის დადგომის ხელშემწყობი ინსტრუმენტი. შესაბამისად, საჯარო მოსამსახურემ ყურადღება უნდა მიაქციოს ამგვარ გარემოებას, შეაფასოს მრუქებლის მიზეზი და მასთან სამსახურებრივი კავშირის ფარგლები, რათა ეჭვქვეშ არ დადგეს მისი ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, კეთილსინდისიერება თუ საჯარო სამსახურში საქმიანობისას დასაცავი პრინციპებით მოქმედების საკითხი. თუმცა, ეს საკითხი მხოლოდ საჯარო მოსამსახურის პასუხისმგებლობის/კეთილსინდისიერების ქვეშ არ უნდა რჩებოდეს და არსებობდეს საკითხის იმგვარი საკანონმდებლო მონესრიგება, რომ ამგვარი რისკების წარმოშობის ალბათობა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საჯარო მოსამსახურის საქმიანობაზე გავლენის გარდა, საჩუქარმა შესაძლოა, უნდობლობა გამოიწვიოს საზოგადოებაში თუ კოლეგებში და ეჭვქვეშ დადგეს საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი.³

საჩუქრის მიღების ზღვრული ოდენობის დადგენასთან ერთად, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საკითხს, თუ რა შემთხვევები შეიძლება არ განვიხილოთ საჩუქრის კონტექსტში და რა არ ჩაითვლება საჩუქრად. კანონის მიზნებიდან გამომდინარე, „საჩუქრად“ არ ჩაითვლება, გრანტი, სტიპენდია, ჯილდო, პრემია, რომელიც სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არის გადაცემული; „დიპლომატიური საჩუქარი“, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს საჯარო მოსამსახურის ოფიციალური ან სამუშაო ვიზიტის დროს, თუმცა, მისი საბაზრო ღირებულება არ უნდა იყოს 300 ლარზე მეტი; ოფიციალური ღონისძიების ჩატარების დროს გადაცემული სიმბოლური ნიშანი ან სუვენირი, რომლის საბაზრო ღირებულება არ არის 300 ლარზე მეტი; უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება, შეღავათიანი პირობებით განეული მომსახურება, რომელიც ექცევა საერთო წესში და არ წარმოადგენს საერთო წესიდან გამონაკლისს; ახლო ნათესავის მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, ქონებრივი ვალდებულებისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება; ნაბეჭდი გამოცემები,

1 „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 5 პუნქტი 3.

2 „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის N200 დადგენილება მუხლი 10.

3 ალაპიშვილი ი., ბესელია გ., ქარდავა ე. კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში: კორუფციული სამართალ-დარღვევა, ინტერესთა კონფლიქტი და თანამდებობრივი შეუთავსებლობა, 2022, გვ. 96.

გარდა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე გამოცემებისა.¹ თუმცა, ხსენებული ჩამონათვალი მნიშვნელოვანია სიცხადის და კონკრეტიკის თვალსაზრისით არ ტოვებდეს ღია სივრცეებს და არ იძლეოდეს მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

3. საქარო მოხალეთა მიერ საჯარო მოხელის ნორმატიული რეგულირების განსხვავებული პრაქტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შემდგომი დახვეწის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ცალკეული მიდგომების შესწავლა. დღეისათვის, საერთაშორისო პრაქტიკაში საჯარო მოსამსახურეთა საჩუქრის მიღების კუთხით მრავალი განსხვავებული მექანიზმი მოქმედებს, თუმცა, როგორც წესი, ამგვარი მიდგომები ძირითადად წარმოადგენს საერთო კანონმდებლობის და მოქმედ სტანდარტებზე დაშენებულ დამატებით ინსტრუქციებს და მოხელეთათვის განკუთვნილ დამხმარე გზამკვლევებს. ამასთანავე, საჯარო სამსახურში საჩუქრის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს შორის, საერთო ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს განვითარებული საჯარო სისტემების მქონე სახელმწიფოთა უმრავლესობაში არსებული რამდენიმე საერთო გამოკვეთილი ტენდენცია. ამ კუთხით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ზოგად ჩარჩოსთან ერთად მოხელეთა მიერ საჩუქრის მიღების რეგულაციების დამატებითი განსაზღვრა ცალკეულ ინსტიტუციურ დონეზე. რამდენადაც საჯარო სექტორის სხვადასხვა ინსტიტუტის საქმიანობა განსხვავებულია და ყოველ სამსახურს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სფერო და საქმიანობის სტილი, ისევე როგორც ამ საქმიანობის რეალიზების პროცესთან დაკავშირებული არასათანადო საჩუქრის მიღების ფორმები და რისკები, მნიშვნელოვანია, რომ ყოველ კონკრეტულ სამსახურს გააჩნდეს მის ფუნქციებთან დაკავშირებული დამატებითი ინსტრუქცია ან ინფორმირების მექანიზმები. საჯარო სამსახურში საჩუქრის მიღების რეგულაციების შემდგომი დახვეწის კუთხით საკმაოდ საინტერესო პრაქტიკას შეიცავს ირლანდიის კანონმდებლობა, სადაც „სტანდარტების კომისიის“ მიერ შემუშავებულია „საჩუქრის გზამკვლევი“ („Gifts to Civil Servants“²), რომელიც პირდაპირ რეკომენდაციას უწევს საჯარო სამსახურის ყველა უწყების ან საქვეუწყებო ინსტიტუტის ხელმძღვანელს, რომ მათდამი დაქვემდებარებული საჯარო მოხელეთა ჯგუფს გაუწიოს დამატებითი ინფორმირება არასათანადო საჩუქრის მიღების შესაძლებლობის და პოტენციურ რისკებთან დაკავშირებით, ამ კონკრეტული ინსტიტუტების ოპერირების წესისა და სპეციფიკაციების გათვალისწინებით.

კიდევ ერთი გავრცელებული პრაქტიკას წარმოადგენს საჯარო მოხელეთა მიერ პოტენციურად მისაღები „საჩუქრის“ ფართო და დეტალური განსაზღვრა, ისევე როგორც უკანონო საჩუქრის მიღების ვითარებასა, თუ საჩუქრის გამცემთა წრის ზუსტი დეფინიცია. ამ მხრივ საინტერესოა ისრაელის კანონმდებლობა, რომელიც საჯარო მოხელის მიერ საჩუქრის მიღების ზოგად კრიტერიუმებთან ერთად, ითვალისწინებს აღნიშნული პროცესის გეოგრაფიულ არეალსაც და საჩუქრის გადაცემად თვლის მოხელის, მისი მეუღლის, შვილის ან მუდმივად მცხოვრები სხვა პირის მიერ მიღებულ ფასეულობას, რომელიც გადაცემულია „ისრაელში ან მის ფარგლებს გარეთ“³. შესაბამისად, ისრაელის და ქვეყნის სუვერენიტეტის ფარგლებს გარეთ უკანონო საჩუქრის მიღება ქმნის სახელმწიფოს ფარგლებში ჩადენილი ქმედების თანაბარ იურიდიულ ვალდებულებას, რაც, თავის მხრივ, ემსახურება საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობისა და მათ საქმიანობის წარმოების დროს მიუკერძოებლობის ხარისხის ამაღლებას.

1 „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 5¹.
2 Civil Service Code of Standards and Behaviour, The Standards in Public Office Commission, Dublin, Ireland, 2019. <https://www.sipo.ie/acts-and-codes/codes-of-conduct/civil-servants/information-notice-gifts-to-civil-servants.pdf>.
3 ისრაელის კანონი საჯარო სამსახურის შესახებ (Public Service (Gifts) Law, (5740-1979, p2)).

მეტად საინტერესოა გერმანული პრაქტიკა და დამოკიდებულება საჯარო მოხელის მიერ საჩუქრის მიღების ლეგიტიმური გარემოებების ცოდნის და მათი გამოყენების მიმართ. თუ ქვეყანაში უმრავლესობაში მოქმედი საჩუქრის მარეგულირებელი მექანიზმები პროორიტიეტულად აქცენტს აკეთებენ ორგანიზაციულ-კორპორაციულ ვალდებულებაზე, რომ თანამშრომელს გააჩნდეს სრული და ამომწურავი ინფორმაცია დაკისრებულ უფლება-მოვალეობათა რეალიზების პროცესში საჩუქრის მიღებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, გერმანული მიდგომა ანალოგიურ ვალდებულებას აკისრებს თავად მოხელესაც. „გერმანიის იურისტთა ასოციაცია“ (German Bar Association (DAV)) თვლის და ყველა საჯარო ინსტიტუტის თანამშრომელს მოუწოდებს, რომ „თანამშრომლებმა თავად უნდა გაარკვიონ თავიანთ კომპანიაში არსებული საჩუქრების გაცემის პრაქტიკის შესახებ შრომითი ურთიერთობის დასაწყისში, ან არაუგვიანეს საქმიანი მომხმარებლისგან პირველი საჩუქრის მიღების დროს“.¹

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სივრცეში არსებობდეს იმგვარი მორალურ-ეთიკური გარემო და მექანიზმები, რომელიც ხელს შეუშლის და შეამცირებს მოხელეთა მიერ უკანონო საჩუქრის მიღების მოტივაციას. ასეთი სახის ერთ-ერთ დემოტივატორულ ფაქტორად განიხილება მოხელის ფინანსური დასაწყობება და ამ კუთხით, შესაბამის სამართლებრივ აქტში ამგვარი სახის სანქციების და მათი მოცულობის პირდაპირი დაფიქსირების პრაქტიკა. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ისრაელის კანონმდებლობა, რომელიც პირდაპირ ითვალისწინებს საჯარო მოხელის მხრიდან მიღებული საჩუქრის შემთხვევაში, მასზე საჩუქრის მიღების დროს მისი საბაზრო ღირებულების სამმაგი ოდენობის ჯარიმას, ან სასამართლო პროცესის დროს ღირებულების სამმაგ ოდენობას, თუ ეს უკანასკნელი იმ კონკრეტულ მომენტში აღემატება საჩუქრის ღირებულებას მისი მიღების მომენტში“.

საერთაშორისო პრაქტიკისაგან განსხვავებით, დღეისათვის მოქმედი ქართული კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (№982-III, 1997), ისევე როგორც „საჯარო დაწესებულებაში ეთიკისა და ქცევის ზოგადი წესების განსაზღვრის შესახებ“ (საქართველოს მთავრობის დადგენილება №200, 2017) არ შეიცავს არცერთ დებულებას თუ ჩანანერს, რომელიც დაარეგულირებდა საჯარო მოხელეთა მიერ საჩუქრის ან სხვა მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთის მიღების რეგლამენტს საჯარო სამსახურთან განურჩევლად დაკავშირებული ისეთი სოციალური ფენომენის მიმართ, როგორცაა **ლობიზმი და ლობისტები**. როგორც ცნობილია, ლობირება არის ცალკეული ინდივიდების და დაინტერესებულ ადამიანთა ჯგუფის მიერ წარმოებული პროცესი – ადვოკატირება, რომელიც მიმართულია გავლენა იქონიოს პოლიტიკის წარმოებაზე ცალკეულ საჯარო მოხელეების გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის გზით. ლობირება და ლობისტების საქმიანობა წარმოადგენს სრულიად კანონიერ საქმიანობას, რომელიც მრავალ ქვეყანაში მონესრიგებულია მოქმედი კანონმდებლობით. ამასთანავე, კანონიერი ლობიზმის პარალელურად, არსებობს და ცნობილია ლობირების უკანონო და მოხელეთა გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენის არამართლზომიერი მეთოდების მთელი რიგი-კორუფცია, შანტაჟი, გარიგება და ა.შ. მათ შორის, ბუნებრივია, მოიაზრება უკანონო საჩუქრის მიღების პრაქტიკა საჯარო მოხელეთა ან მათი ოჯახის წევრების მიერ.

იმ გარემოების მიუხედავად, რომ საქართველოში მრავლად არსებობს საჯარო მოხელეთა გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების მოხდენის არაერთი ისტორიულ-სოციალური ფორმა, კლასიკური ლობიზმი, როგორც თავად ტერმინოლოგია, აგრეთვე მისთვის დამახასიათებელი S. Pascual, 'What you should know about gift-giving in the German workplace', 2018 <https://www.thelocal.de/20171212/what-you-should-know-about-gift-giving-in-the-german-workplace/>

ბელი მეთოდოლოგია და რეალიზების კანონიერი გზები, წარმოადგენს ერთგვარ სიახლესა და არააქტიუალურ საკითხს. შესაბამისად, საჯარო მოხელეთა ეთიკური ქცევის ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით, საჭიროა პირველ რიგში არსებობდეს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომლის შემდგომი ადმინისტრირება გახდება ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საჯარო სექტორის გარანტი მომავალში.

ქართული კანონმდებლობა არ ასახავს საერთაშორისო პრაქტიკის კიდევ ერთ პოპულარულ მექანიზმს საჩუქართან დაკავშირებით, როდესაც საჩუქრის მიღება იმ კატეგორიის მოხელეთა მხრიდან, რომელთა სამსახურებრივი გადანყვეტილებებს გააჩნია უშუალო ზეგავლენა და კონკრეტულ ადამიანთა ან ადამიანთა ჯგუფის ბედზე, განიხილება როგორც განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხი და ამგვარი კატეგორიის მოხელეებს **სრულიად ეკრძალებათ** ნებისმიერი სახის ან ღირებულების საჩუქრის მიღება. აღნიშნული დამოკიდებულების ნათელ მაგალითს წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც საჯარო მოხელეთა ისეთ კატეგორიას, როგორცაა მოსამართლე, ნოტარიუსი ან საჯარო ადმინისტრაციებში დასაქმებული პირები, სრულად უკრძალავს საჩუქრის მიღებას.¹ ანალოგიური პოლიტიკა – საჯარო მოხელეთა მიერ საჩუქრის საერთოდ აკრძალვა (**No Gift Policy**), გავრცელებულია მსოფლიოს სხვადასხვა, დიდ წილად კი ნაკლებად განვითარებული ან განვითარებადი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში (მაღალიზია, უზბეკეთი (ქვეყნის შიგნით), ფილიპინები და ა.შ.), რის საშუალებითაც ეს ქვეყნები ქმნიან საჯარო სექტორში კორუფციის აღმოფხვრის დამატებით ინსტრუმენტებს.

საჯარო სამსახურში საჩუქრის მიღების და მის შედეგად პოტენციურად ტენდენციური გადანყვეტილების დადგომის ალბათობას დიდი ყურადღება ეთმობა ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაშიც. ამგვარი დამოკიდებულება, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება იმ ნივთობრივ და არანივთობრივ ფასეულობათა შესაბამის ნორმატიულ აქტებში დეტალური განწერის დაფიქსირების კუთხით, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს საჩუქრად, ისევე როგორც კალენდარული წლის მანძილზე ერთი წყაროდან მიღებული საჩუქრის საბაზრო ღირებულების ნიშნულის მიხედვით (მაგ: 50 \$ – მონტანას, ნებრასკას, ორეგონის შტატები და ა.შ.). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ფედერალურ დონეზე მოქმედ რეგულაციებთან ერთად (**The United States Office of Government Ethics (OGE)**), მოქმედებს საჩუქრის მარეგულირებელი კანონმდებლობა ცალკეული შტატების დონეზეც, რომლებიც წარმოადგენენ ფედერალური კანონმდებლობის შემდგომი გაფართოებისა თუ ცალკეული რეგულაციის კიდევ უფრო განვრცობის მექანიზმებს. ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ ცალკეული შტატების კანონმდებლობაში მოქმედებს საჯარო სამსახურში საჩუქრის მიღების განსხვავებული და არაერთგვაროვანი მიდგომებიც. ამ კუთხით, მეტად საინტერესოა აშშ-ს ნიუ მექსიკოს შტატის კანონმდებლობა, რომელიც საჯარო მოხელის მიერ პოტენციურად არაობიექტური და ტენდენციური გადანყვეტილების მიღების ალბათობის თავიდან ასაცილებლად, საჩუქრის მიღებას ან საჩუქრის აუცილებელი წესით დეკლარირებას მოითხოვს არა უკვე მოქმედი, არამედ საჯარო პოზიციის ან პოლიტიკური თანამდებობის დაკავების „nominant“ კანდიდატს ან მასთან ასოცირებულ პირებს“.²

მცირე გამონაკლისების გარდა, რაც დაკავშირებულია პირად დღესასწაულებთან ან საიუბილეო თარიღებთან (10 \$ და ნაკლები ღირებულების საჩუქარი), აშშ-ს კანონმდებლობა

1 Bribery and Corruption Laws and Regulations, Germany, GLI, 2023, German Criminal Code (Strafgesetzbuch _ StGB), 1998, Chapter 30, section 331-333, Offences committed in public office, https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/englisch_stgb.html.

2 Gifts/Financial Disclosure for Elected Officials & Public Servants, Sec. 2-129 Bernalillo County Code of Conduct, <https://www.bernco.gov/compliance-office/gift-financial-disclosure-forms-for-elected-officials-public-servants/>, 1998.

ანესებს მკაცრ შეზღუდვებს მოხელეთა შორის საჩუქრების მიღებასა და გაცემის კუთხით. ზოგადი აკრძალვა შეეხება ყველა ისეთ საჩუქარს, რომელსაც მოხელე აძლევს სამსახურებრივ იერარქიით მასზე მაღლა მდგომ მოხელეს. აგრეთვე, აკრძალულია მოხელის მხრიდან მოახდინოს შემოწირულობის ან სხვა ფორმის შენატანების „ორგანიზება“ მასზე უფროსი მოხელისათვის საჩუქრის ყიდვის მიზნით. ამასთანავე, აკრძალულია საჩუქრის მიღება იმ მოხელის მხრიდან, რომელიც იღებს შედარებით მცირე ანაზღაურებას, ვიდრე საჩუქრის ადრესატი.¹

საერთაშორისო პრაქტიკა საინტერესოა კიდევ ერთი მიმართულებით, რა კუთხითაც საჩუქრის მიღების მარეგულირებელ ქართულ ნორმატიულ ჩარჩოში არის მნიშვნელოვანი იურიდიული დეფიციტი – ეს არის საჩუქრის შეთავაზება/ჩუქება ზემდგომი მოხელის მხრიდან მის სუბორდინატზე. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების კანონმდებლობებში (აშშ, გერმანია, შვედეთი), ამ მიმართულებით მოქმედებს მრავალი და განსხვავებული მიდგომა, მაგრამ მათი აბსოლუტური უმრავლესობა, გარე წყაროსგან მიღებული საჩუქრისგან განსხვავებით – სადაც აქცენტი კეთდება საჩუქრის ფინანსურ ფასეულობაზე, ამ შემთხვევაში ფოკუსი კეთდება საჩუქრის ბუნებასა და ჩუქების პერიოდის სწორი შეფასებისკენ. მაგალითად, თუ გარკვეული საჩუქრის ჩუქება სუბორდინატისათვის ითვლება მისაღებად დღესასწაულების ან საოჯახო საიუბილეო დღეების დროს (*ქორწილი, დაბადების დღე, ბავშვის შეძენა და ა.შ.*), სხვა შემთხვევებში, ზემდგომი მოხელის მიერ დაქვემდებარებული თანამშრომლის მიმართ საჩუქრის ჩუქება, განსაკუთრებით კი, თუ ეს მოვლენა ატარებს განმეორებით ხასიათს, ითვლება მენეჯერის ან ზემდგომი ადმინისტრატორის მხრიდან დაქვემდებარებული თანამშრომლის მიმართ არასათანადო ყურადღების, სხვა თანამშრომელთა შორის გამორჩევის, გენდერული სეგრეგაციის და ფავორიტიზმის ან სექსუალური ხასიათის მატარებელ არამართლზომიერ ქცევად. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თუ დაქვემდებარებული თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი საჩუქარი ზემდგომი ადმინისტრატორის მიმართ ძირითადად განიხილება როგორც კორუფციულ/ სამსახურებრივი წინსვლის კომპონენტების მატარებელი ქცევა, ზემდგომი მოხელის მიერ საჯარო სამსახურში სუბორდინატის მიმართ საჩუქრის ჩუქების პრაქტიკა არის უფრო მრავალნაზნაგოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების მხრიდან გაცილებით ღრმა ანალიზსა და ყურადღებას.

4. საჯარო მოხელეთა არამართლზომიერი საჩუქრის მიღების პრევენციისა და მონიტორინგის მექანიზმების პრესკრიპტივები საქართველოში

დღეისათვის, მსოფლიო მასშტაბით, საჯარო სამსახურში არამართლზომიერი ან უკანონო საჩუქრის მიღების და მის შედეგად, ტენდენციური გადანაცვლებების დადგომის მასშტაბების შემცირება წარმოადგენს დემოკრატიული სამყაროს და განვითარებული საჯარო სისტემების მქონე სახელმწიფოთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს. ამ მიმართულებით, სხვადასხვა ქვეყნის საჯარო სამსახურის მარეგულირებელ ნორმატიულ ბაზაში დანერგილია და მოქმედებს საკითხის გადაჭრისკენ მიმართული მრავალი ცალკეული მექანიზმი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხელეთა მხრიდან არამართლზომიერი საჩუქრის მიღების თავიდან სრულად აცილება პრაქტიკულად შეუძლებელია თავად საჩუქრის რეალური ღირებულების ზუსტად განსაზღვრის პრობლემის ან მისი შინაარსის მრავალნაზნაგოვანი ბუნების გამო. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით კი იმ ქვეყნებში, სადაც საჯარო სამსახური და მმართველობითი სისტემები ჯერ კიდევ განვითარების სტადიაზე იმყოფება, მათ შორის

¹ „საჩუქარი მოხელეთა შორის“ **Gifts Between Employees**. US Department of the Interior's (DOI), 5 C.F.R. § 2635.

საქართველოშიც, მნიშვნელოვანია არსებობდეს მოხელეთა მიერ საჩუქრის მიღების რეგულირების მაქსიმალურად ფართო ნორმატიული ბაზა.

თანამედროვე ეტაპზე, საჯარო სამსახურში საჩუქრის მარეგულირებელი კანონმდებლობა საჭიროებს მნიშვნელოვან რევიზიას. აღნიშნულ პოზიციას იზიარებს ამ მიმართულებით უკვე არსებული კვლევები და ექსპერტთა დასკვნები – „საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საჩუქრის პოლიტიკის არსებული საკანონმდებლო მონესრიგება მოძველებულია და ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, როგორც საჩუქრის არსის განმარტების, ასევე დადგენილი შეზღუდვებისა და მონიტორინგის ნაწილში.¹ საჯარო სამსახურში საჩუქართან დაკავშირებული შეზღუდვების ანალიზისა და ერთიანი სტატისტიკის არარსებობაზე არის ყურადღება გამახვილებული საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს კვლევის ანგარიშშიც – საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის აღსრულების შეფასება (2016-2020).² საჯარო სამსახურის დემოკრატიულობის, გამჭვირვალობის და მისადმი საზოგადოებრივი ნდობის ხარისხის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო ეფექტური მექანიზმებისა და წარმატებული მაგალითების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია გაგრძელდეს აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობის რეფორმირება და მისი შემდგომი სრულყოფა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

4.1. საჩუქრის ერთიანი პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზება და მოხელეთა ცნობიერების ამაღლება საჩუქრის მიღების/აკრძალვის წესის თაობაზე

უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე (2023წ. ცვლილებები კანონში **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ #982**) და საჯარო სამსახურში ახალი ინსტიტუტის – სსიპ – „ანტიკორუფციული ბიუროს“ ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების დაწყების პარალელურად, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განხორციელდეს საჯარო მოხელეთა ინფორმირება/ცნობიერების ამაღლება როგორც თავად ახალი ინსტიტუტის მანდატთან, ისე მოხელეთა მიერ საჯარო სამსახურში საჩუქრის მიღების რეგულაციებთან (ანტიკორუფციული ბიუროს როლი და ფუნქციები) დაკავშირებით (საინფორმაციო კამპანია, მედია, ინფორმაცია ვებ-გვერდებზე, ინფორმირება შესაბამისი შიდაუნეებრივი ერთეულების მიერ).

საჯარო სამსახურში საჩუქრის ერთიანი პოლიტიკის წარმატებული რეალიზება პირდაპირ კავშირშია ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლებასთანაც. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისმა ინსტიტუტებმა (საჯარო სამსახურის ბიურო, ანტიკორუფციული ბიურო, ცალკეული სახელისუფლებო და სამოქალაქო ინსტიტუტები) აქტიურად გამოიყენონ მეცნიერული მიდგომები და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები, რათა სამოქალაქო საზოგადოებაში ამაღლდეს ინფორმირებულობა როგორც საჩუქრის მიღების, ისე გამცემის პასუხისმგებლობასა და იურიდიული ვალდებულებების შესახებ:

1) უკანონო საჩუქრის პირდაპირი დაკავშირება პოტენციურ სანქციებთან და სხვა ადმინისტრაციულ ზომებთან;

2) საჩუქრის კეთილსინდისიერად დეკლარირების შემთხვევაში, მოხელის ეთიკური საქციელის საჯარო ნახალისება.

ცნობიერების ამაღლების აუცილებლობას უკავშირდება საჯარო მოხელის მიერ საჩუქრის მიღების მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩოს ფუნქციონირების ეფექტურობაც.

1 ცუხიშვილი ნ., საჩუქრის პოლიტიკა საჯარო სამსახურში, საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, 2020, გვ. 41.

2 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის აღსრულების შეფასება (2016-2020) გვ.27.

დღეისათვის, მოქმედი კანონმდებლობა¹ საჯარო მოხელის მიერ საჩუქრის ან რაიმე მომსახურების მიღების მონიტორინგის მექანიზმად განიხილავს ამგვარი სარგებლის გაცხადების ვალდებულებას „უშუალო“ ხელმძღვანელთან და შესაბამის ინფორმირების მოხდენას ანტიკორუფციულ ბიუროში. ქართული საჯარო სამსახურის სტრუქტურული მოდელიდან გამომდინარე, აღნიშნული მონიტორინგის პრაქტიკული ეფექტურობა პირდაპირ უკავშირდება მოხელეთა კეთილსინდისიერებას, სხვადასხვა რანგის მოხელის „უშუალო“ ხელმძღვანელის კომპეტენციასა და საჯარო სამსახურში საჩუქრის მიღების არსებულ თუ ახალი რეგულაციებთან დაკავშირებით მის გათვითცნობიერებულობის ხარისხს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საჩუქრის ერთიანი პოლიტიკის წარმატებული რეალიზების კუთხით, ყველა რანგის მოხელეთა ცნობიერების ამაღლებას გააჩნია კრიტიკული მნიშვნელობა.

4.2. საჯარო სამსახურში საჩუქრის მიღების ნორმატიული ჩარჩოს/მონიტორინგის ღონისძიებებითი მექანიზმების შექმნა

საჯარო მოხელის სავალდებულო ინფორმირება საჯარო სამსახურის დანებებისას

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საჯარო სამსახურში მიღებისას ყოველ პრეტენდენტს მოეთხოვება გაცნობილი იყოს კანონების „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ პრინციპებს და ფასეულობებს, ისევე როგორც მასზე დაკისრებულ უფლება მოვალეობებს. აღნიშნული ვალდებულება საბოლოოდ ასახვას პოვებს საჯარო მოხელის ფიციში,² რის საფუძველზე ხდება მოხელის მიერ მისი მზადყოფნის დეკლარირება, რომ იგი მზადაა ემსახუროს ხალხს, დაიცვას ქვეყნის კონსტიტუცია, საჯარო ინტერესები და ა.შ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და მეტად მწირია თავად სახელმწიფოს ვალდებულება და ის მოქმედი საინფორმაციო პროცედურები, რომელიც უკავშირდება მოხელის საჯარო სამსახურში შესვლის მომენტს. თავისი არსით, „საჯარო მოხელის ფიცი“ არის სტანდარტული ფორმალიზებული მექანიზმი, რომლის მექანიკური არსებობა ვერ უზრუნველყოფს საჯარო მოხელის საქმიანობის რეალიზების პროცესთან დაკავშირებულ ეთიკური სტანდარტების ცოდნას ან მოხელის მხრიდან მათი სავალდებულო დაცვის აღიარებას. მსოფლიო მასშტაბით, მოქმედებს არაერთი მექანიზმი, რომელიც მაქსიმალური ეფექტურობით ახდენს აღნიშნული საკითხის მონესრიგებას. მათ შორისაა ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო ეთიკის ოფისის მიერ შემუშავებული „ეთიკური კონტრაქტი“;³ რომლის თანახმად კანდიდატი თანამდებობის დანიშვნამდე იღებს წერილობითი ფორმით დეკლარირებულ პასუხისმგებლობას, რომ იგი სრულფასოვნად იცნობს საჯარო სამსახურთან და მის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ ეთიკურ მოთხოვნებს და იღებს ვალდებულებას განუხრელად დაიცვას ისინი.

აქ საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ „ეთიკური კონტრაქტის“ გაფორმებამდე, სამთავრობო ეთიკის ოფისის შესაბამისი წარმომადგენელი თანამდებობაზე დასანიშნ პირს აწვდის სრულ და ამომწურავ ინფორმაციას მის სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებული სამსახურებრივი ეთიკის ნორმებთან და მათ შორის საჩუქრის მიღების კუთხით მოქმედ რეგულაციებს. საჯარო მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე, სახელმწიფოს მხრიდან საჯარო მოხელის კანდიდატის სავალდებულო ინფორმირების

1 „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 13⁵, პუნქტი 3 „ა“ ქვეპუნქტი.

2 „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 44.

3 ლაზარიაშვილი შ., „სამთავრობო ეთიკის ოფისის როლი აშშ-ს საჯარო სამსახურის ეთიკის დაცვის ფედერალურ სისტემაში“, სტუ, ბიზნეს-ინჟინერინგი, №1-2, 2017, გვ 288.

მექანიზმის დანერგვა მხოლოდ ხელს შეუწყობს ქართული საჯარო სამსახურის შემდგომ გაჯანსაღებას.

სამსახურებრივ კოლეგებს შორის საჩუქრის ჩუქება/მიღების რეგლამენტის შემდგომი დეტალიზაცია

მოქმედი ქართული კანონმდებლობა საჯარო სამსახურში საჩუქრის ჩუქებას, დღეისათვის, ძირითადად აწესრიგებს აღმავალი ვექტორის, ანუ სამსახურებრივი იერარქიის ქვედა საფეხურზე მყოფ მოხელეთა მხრიდან საჩუქრის ჩუქებას ხელმძღვანელი მოხელის მიმართ, პოტენციური კორუფციის ნიშნების გამოვლენის და აღკვეთის მიზნით. ამასთანავე, ღიად რჩება საჩუქრის ჩუქება/გაცემის ჰორიზონტალური (კოლეგა-კოლეგა) და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია – ვერტიკალური ხაზით (უფროსი->დაქვემდებარებული) ჩუქების იურიდიული ჩარჩო და რეგლამენტი. აღნიშნული იურიდიული დეფიციტის აღმოფხვრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საჩუქრის ერთიანი მარეგულირებელი ნორმატიული ჩარჩოს შექმნის საკითხს.

მოხელეთა გარკვეულ კატეგორიებზე საჩუქრის საერთო აკრძალვის შემოღება

ეჭვგარეშეა, რომ მიღებულ საჩუქარს, მისი გადაცემის მომენტიდან (პირადი, სამსახურებრივი) დამოუკიდებლად, გააჩნია მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორი ნებისმიერ ინდივიდზე და მათ შორის, რა თქმა უნდა, საჯარო სექტორში დასაქმებულ ადამიანებზე. მიღებულ საჩუქარს განსაკუთრებით სენსიტიური ეფექტი აქვს იმ კატეგორიის მოხელეთა მიმართ, რომელთა საქმიანობას ყველაზე უშუალო გავლენა აქვს ცალკეულ ინდივიდთა ან ადამიანთა ჯგუფის ბედზე და კეთილდღეობაზე (მაგ: უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობები) ან რომელთა საქმიანობა საჯარო სამსახურში არ არის დროში რეგლამენტირებული (მაგ: მუდმივმოქმედი მოსამართლეები). შესაბამისად, საჯარო სამსახურში გარკვეულ მოხელეთა ამგვარ კატეგორიებზე არადიპლომატიურ/პროტოკოლური საჩუქრის მიღების საერთო აკრძალვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კორუფციული რისკების შემცირებას.

4.3. ინოვაციური მიდგომები საჯარო სამსახურში საჩუქრის განკარგვის კუთხით – საჩუქრის საზოგადოებრივი ინტერესების მიზნით გამოყენების მექანიზმის შემოღება

მრავალ ქვეყანაში მოქმედებს საჯარო მოხელეთა მიერ შიდა თუ გარე წყაროებით მიღებული საჩუქრების ერთიანი თუ ცალკეულ ინსტიტუტში არსებული რეესტრი, საცავი ან სხვა სახის საარქივო სტრუქტურა. აღნიშნულ მექანიზმებში შეიძლება ინახებოდეს და დაცული იყოს მრავალი ისტორიული, დიპლომატიური და საიუბილეო სიმბოლიზმის მატარებელი ექსპონატი, თუმცა, როგორც წესი კიდევ უფრო მრავალრიცხოვანია და რაიმე განსაკუთრებულ დატვირთვას მოკლებული ისეთი საჩუქრების ჩამონათვალი, რომელიც ამგვარ რეესტრში აღმოჩნდა მოხელეთა მიერ კეთილსინდისიერად გაკეთებული გაცხადების ან მონიტორინგის მექანიზმების მოქმედების შედეგად. ქვეყნის განვითარების, ეკონომიკური სიძლიერის ან სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის მიუხედავად, მიზანშეწონილია ამგვარი საჩუქრის მატერიალური პოტენციალის გამოყენება და შესაბამისი აქტუალური მიმართულებით რეალიზება. საჯარო სამსახურში მიღებული და შესაბამისი წესით აკუმულირებული საჩუქრების მატერიალური რეალიზაციის განსხვავებულ და ინოვაციურ გზად არსებული საჯარო რესურსების (E-auction.ge) გამოყენებით, ქართულ რეალობაში შეიძლება ჩაითვალოს საჯარო აუქციონის წესი ან ნივთის უსასყიდლო დონაცია კონკრეტული მიზნით მისი რეალიზების უფლების მინიჭების გზით.

დასკვნა

თანამედროვე საჯარო სისტემებში და უპირველეს ყოვლისა, განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში დიდი ყურადღება ექცევა საჯარო სამსახურში საჩუქრის მიღების ფენომენს და მასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების თავიდან არიდების მექანიზმებს. ამ კუთხით, დღეისათვის მოქმედებს არაერთი, თავისი ბუნებით, რეგულირების მეთოდებით და სანქციების ზომებით განსხვავებული სამართლებრივი რეგულაციები, რომელთა საერთო მიზანს წარმოადგენს საჯარო მოხელეთა საქმიანობის მიუკერძოებლობის, საჯარო სამსახურის გამჭვირვალობისა და ობიექტურობის, ისევე როგორც საჯარო სამსახურის ერთიანი ეთიკურ-მორალური ფასეულობათა დაცვა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა. დღეისათვის საქართველოში არსებული ნორმატიული ბაზა მოითხოვს განახლებასა და შემდგომ დეტალიზაციას, რამდენადაც არსებული კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობისა და საზოგადოებაში არსებული ტრადიციების გათვალისწინებით, სამოქალაქო საზოგადოებაში ჯერ კიდევ სუსტია საჯარო მოხელეთა ანგარიშვალდებულების აღქმა და თავად საჯარო სამსახურის არსისა და ძირეულ ფასეულობათა შესახებ სრულფასოვანი წარმოდგენა. შესაბამისად, საჯარო სამსახურის დემოკრატიულობის ამალღების პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად, მნიშვნელოვანია საჯარო სამსახურის მარეგულირებელი საკანონმდებლო პერმანენტული განახლება და დახვეწა საუკეთესო და წარმატებული საერთაშორისო მაგალითების გათვალისწინებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს როლი ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით

აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლი ხორციელდება სპეციალურად შექმნილი ორგანოს – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. სწორედ საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება ძირითადი უფლებების დაცვის გარანტიად.

საკონსტიტუციო სასამართლოში ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის გზით პირს შესაძლებლობა აქვს დაიცვას საკუთარი უფლებები. შესაბამისად, ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელია ის მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმი, რომლის დანიშნულებას ეფექტური სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა და კონსტიტუციის დაცვა წარმოადგენს.

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის განხილვისას საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებებთან დაკავშირებით, არა ერთი პრობლემატური საკითხი არსებობს, თუმცა, მათი უმრავლესობა ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. შესაბამისად, წინამდებარე სტატიის მიზანია ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების შესწავლა, ინდივიდუალურ კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებული სამართალწარმოების თავისებურებების გამოვლენა, არსებული თეორიული საკითხების ანალიზი და საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირება.

საძიებო სიტყვები: საკონსტიტუციო კონტროლი, ადამიანის უფლებები.

შესავალი

თანამედროვე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ძირითადი კანონის სამართლებრივი დაცვის ქმედითი მექანიზმების შემუშავებასა და კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნორმების ეფექტურ რეალიზაციისთვის სასამართლო გარანტიების შექმნას. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ კონსტიტუცია სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია და მისი ნორმები ხელისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს არეგულირებს.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოდ განსაზღვრულია საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება კი გამოიხატება მის მიერ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საკანონმდებლო

აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებასა და კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიჩნეული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობაში.¹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განუსაზღვრელად დიდი როლი აქვს ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში და ამ თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვანია მისი პრაქტიკაც. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის მიზანია ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების შესწავლა, თეორიული და პრაქტიკული საკითხების ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

სტატიაში განხილული იქნება ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის ფუნქციები და პრაქტიკული მნიშვნელობა; საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტები და საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი. ასევე, განხილული იქნება ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოქმედების ფარგლები და ამ გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები.

სტატიაში არსებული საკითხების კვლევა დაფუძნებული იქნება სხვადასხვა მეცნიერული შემეცნების მეთოდზე, კერძოდ, ისტორიულ, ლოგიკურ, ანალიტიკურ და ნორმატიულ მეთოდებზე. ასევე, გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი მეთოდი, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა გერმანულ სამართალს.

1. საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის არსი და ფუნქციები

დემოკრატიაზე ორიენტირებულ სახელმწიფოში კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი, წარმოადგენს საზოგადოების დემოკრატიული განვითარების სამართლებრივ გარანტს და ადამიანის თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის დაცვის საშუალებას. შესაბამისად, მისი როლიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, თავად კონსტიტუციის დაცვა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.²

სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება სამართლის ფორმით ხორციელდება. თავად სამართალი ნორმათა სისტემას მოიცავს და ამ სისტემაში გარკვეული იერარქია არსებობს. იერარქიის სათავეში ქვეყნის უზენაესი კანონი, კონსტიტუცია მოიაზრება³ და ყველა სხვა ნორმატიული აქტი შესაბამისობაში უნდა იყოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან და პრინციპებთან. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მეტად მნიშვნელოვანია კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის საკითხის გაანალიზება, რომელიც ხშირ შემთხვევაში საკონსტიტუციო კონტროლის მეშვეობით ხორციელდება.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში მითითებულია, რომ საქართველოს ურყევ ნებას წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრება. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად კი „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში.“ რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლების სამივე შტოს საქმიანობა კონსტიტუციის შესაბამისად უნდა ხორციელდებოდეს.⁴

1 ჯინჯოლავა ზ, კონსტიტუცია და ქართული სამართლის პრობლემები, თბილისი, 2002, გვ. 126.

2 კოჭლამაზიშვილი ბ, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, გვ.1.

3 იზორია ლ, თანამედროვე სახელმწიფო თანამედროვე ადმინისტრაცია, თბილისი: სიესტა, 2009, გვ.190.

4 იქვე.

კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა არ ხდება ავტომატურად, რადგან მისი დარღვევა შესაძლოა გამოვლინდეს როგორც განზრახ, ისე სამართალშემომნმედების პროცესში დაშვებული შეცდომის გამო. საკონსტიტუციო კონტროლი კი სწორედ მსგავსი არასასურველი შედეგების თავიდან აცილების მიზნით დამკვიდრდა და იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით.¹

თანამედროვე მეცნიერებაში საკონსტიტუციო კონტროლი მოიაზრება, როგორც კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოთა სპეციფიკური უფლებამოსილება, რომლის მეშვეობითაც აღნიშნული ორგანოები უზრუნველყოფენ კონსტიტუციის უზენაესობას ნორმატიულ აქტთა სისტემაში.²

საკონსტიტუციო კონტროლის ფუნქციად მოიაზრება ასევე, ადამიანის უფლებების ფართო სპექტრის დაცვა, პოლიტიკური სტაბილურობის, სოციალური წესრიგისა და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.³

დღესდღეობით საკონსტიტუციო კონტროლი თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიის და კანონიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად არის მიჩნეული, მაგრამ სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშნული ინსტიტუტი არაერთგვაროვანია. თითქმის ყოველთვის მას სპეციფიკური თავისებურებანი აქვს, რომელიც კონტროლის დროს მის ფორმასა და სახეს ეხება.⁴

მაგალითად, გერმანიაში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ზედამხედველობის განხორციელება, რათა უზრუნველყოფილი და დაცული იქნეს სახელმწიფოს ყველა ორგანოს მიერ ფედერალური კონსტიტუცია და ცალკეული ფედერაციული მინების კონსტიტუციები.⁵

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კი, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება გამოიხატება, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის შემოწმებასა და კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიჩნეული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობაში.⁶

2. საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტი

საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტს გერმანული კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო ხელისუფლების აქტები წარმოადგენს. სახელმწიფო ხელისუფლების აქტებში კი მოიაზრება, როგორ აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების აქტები.⁷ მთავარია მითითებული აქტები გამოცემული იყოს გერმანიის სახელმწიფო ორგანოების მიერ.⁸

საქართველოს კონსტიტუციის 60-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით განმტკიცებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური კონტროლის ობიექტი შეიძლება იყოს ნორმატიული აქტი. შესაბამისად, საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტთა წრეს საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების და

1 კახიანი გ, საკონსტიტუციო კონტროლის ზოგიერთი თეორიული ასპექტი, ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2005, გვ. 39.

2 გენაძე გ, საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები. ადამიანი და კონსტიტუცია, №1, 1998, გვ. 24.

3 Brinks, D. M, Blass, A, Rethinking judicial empowerment: the new foundations of constitutional justice, International Journal of Constitutional Law, 15(2), 2017, S.298.

4 დეისაძე შ, საკონსტიტუციო კონტროლის წარმოშობა და მისი განმარტოვებელი ორგანო, მართლმსაჯულება და კანონი, №4 (23), 2009, გვ. 90.

5 ხუბუა გ, ტრაუტი ი, კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი:GZT, 2001, გვ. 15.

6 ხმალაძე ვ, საკონსტიტუციო სასამართლოს როლი და მისი საქმიანობის ეფექტურობის ზრდის პერსპექტივა, ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2000, გვ.126.

7 Bonner Kommentar, Zweitbearbeitung, Hamburg, 1967, შ. 10.

8 Sachs M, GG Kommentar, 6. Auflage, München, 2011, შ. 496.

საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა. რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, ის არ განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას.

საკონსტიტუციო კონტროლის ობიექტზე საუბრისას, მიზანშეწონილია ყურადღება დაეთმოს იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებულ აზრს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას დაექვემდებაროს საერთო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელება. აღნიშნულ მოსაზრებას ბევრი მომხრე და მონინააღმდეგე ჰყავს, თუმცა, შესაძლოა სრულიად ლოგიკური იყოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების, რეალაქტებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვის უფლებამოსილების მინიჭება.

საქართველოს კანონმდებლობა ხელისუფლების სამივე შტოს მიერ გამოცემული აქტების კონსტიტუციურობის უზრუნველსაყოფად საკონსტიტუციო სასამართლოს გადასცემს ერთგვარი კონტროლის შესაძლებლობას. თუმცა, აქვე ჩნდება ხელისუფლების მესამე შტოს გაუკონტროლებლობის საფრთხე, კერძოდ, გაუგებარია თუ რატომ გამორიცხავს საქართველოს კანონმდებლობა საერთო იურისდიქციის სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციური გადაწყვეტილების მიღების ალბათობას. თუ საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმის დამკვიდრება განპირობებული იყო ხელისუფლების შტოთა შორის კონსტიტუციური ბალანსის შესანარჩუნებლად, მაშინ, რა თქმა უნდა, მიზანშეწონილია კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველსაყოფად საერთო იურისდიქციის სასამართლოების საქმიანობაზეც საკონსტიტუციო კონტროლის გავრცელება.¹ შესაბამისად, ამ ფუნქციის ეფექტურად შესრულებისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს ხელისუფლების მესამე შტოს, სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის საკითხის შემონმეზაც უნდა შეეძლოს.

დღეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციის პირობებში, საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოსათვის საერთო სასამართლოებთან კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს საერთო სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება. რადგან საერთო სასამართლოები თავად ვერ ახორციელებენ საკონსტიტუციო კონტროლს და მხოლოდ კონსტიტუციური წარდგინების საშუალებით შეუძლიათ საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობაზე დავა. მსგავს შემთხვევაში საერთო სასამართლო მონაწილეობას იღებს კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაში. შესაბამისად, კონსტიტუციის უზენაესობის დაცვის და მისი ნორმების ერთგვაროვანი გააზრებისთვის, შესაძლოა მიზანშეწონილიც კი იყოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის შემონმეზის უფლებამოსილების მინიჭება საკონსტიტუციო სასამართლოსთვის.²

3. საკონსტიტუციო სასამართლო – საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი საეციალური სუბიექტი

კონსტიტუციის დაცვის მთავარ საშუალებას მისი დამრღვევი ნორმების გამოვლენა და აღმოფხვრა წარმოადგენს, რაშიც ყველაზე ქმედით მექანიზმად საკონსტიტუციო კონტროლი გვევლინება. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უფლებამოსი-

1 ჩხეიძე გ., ქალაქი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო-რეალობა და განვითარების პერსპექტივები, ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2000, გვ. 218.

2 კოჭლამაზიშვილი ბ., კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, თბილისი, 2009, გვ.115.

ლებას კი ქვეყნის ძირითად კანონთან სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობის შემოწმება წარმოადგენს.¹

საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება სწორედ საკონსტიტუციო კონტროლის განმხორციელებელ განსაკუთრებულ ორგანოდ, რომლის ძირითად ფუნქციას სახელმწიფო ხელისუფლების სამივე შტოს – აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიერ გამოცემული აქტებისა და ქმედებების კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმება წარმოადგენს.² საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც სპეციალიზებული ორგანო ერთგვარი ზედამხედველობის ფუნქციით არის აღჭურვილი.³ და სწორედ მას ევალება კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა და მისი უზენაესობის უზრუნველყოფა.⁴

კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპის უზრუნველყოფასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს ხელისუფლების შტოების ურთიერთშეკავებისა და განონასწორების პრინციპის დამკვიდრება და სწორედ საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება, ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის უზრუნველყოფი ორგანო.⁵ შესაბამისად, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს მაკონტროლებელი ფუნქციით აღჭურვა განაპირობებს, სამივე სახელისუფლებო ორგანოს ქმედებებისა და გადაწყვეტილებების კონტროლის შესაძლებლობას.⁶ საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭიროა საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოსთვის დამოუკიდებლობის მყარი გარანტიების შექმნა.⁷

გერმანიაში საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებით აღჭურვილია ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის განსაკუთრებული სტატუსი განპირობებულია მისი როგორც კონსტიტუციის დაცვის ძირითადი გარანტის ფუნქციით.⁸

რაც შეეხება საქართველოს, საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზაციის უზრუნველყოფა და მოქალაქის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.⁹

სწორედ საკონსტიტუციო სასამართლო გვევლინება ძირითადი უფლებების დაცვის გარანტად, რადგან მის ძირითად ფუნქციას როგორც უკვე აღინიშნა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა წარმოადგენს, რომელსაც ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის განხილვის საშუალებით უზრუნველყოფს.¹⁰

საკონსტიტუციო სასამართლოში ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის შეტანის გზით პირს შესაძლებლობა აქვს დაიცვას საკუთარი უფლებები. შესაბამისად, ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელია ის მნიშვნელოვანი სამართლებრივი მექანიზმი, რომლის მეშვეობით კონსტიტუციით გათვალისწინებული ძირითადი უფლებების სუბიექტებს შეს-

1 კახიანი გ, საკონსტიტუციო კონტროლი საქართველოში, თეორიისა და კანონმდებლობის ანალიზი, თბილისი: მერიდიანი, 2011, გვ. 31.

2 Schlaich/Korloth, Das Bundesverfassungsgericht _ Stellung, Verfahren, Entscheidungen, 6. Auflage, München, 2004, S. 6.

3 Sager, L. G, Constitutional justice, New York University Journal of Legislation and Public Policy, 6(1), 11-20, 2002, S. 15.

4 Starck C, Der demokratische Verfassungsstaat, Tübingen: Mohr Siebeck, 1995, S. 33.

5 Säcker H, Das Bundesverfassungsgericht, 5. Auflage, München:C.H. Beck, S. 1998,18.

6 Wember V,Verfassungsmischung und Verfassungsmittle, 1. Auflage, Berlin, 1997, S. 223.

7 Di Gregorio, A, The role of constitutional justice in contemporary democracies, National Law School of India Review, 34(2), 2022, S. 36.

8 ხუბუა გ, ტრაუტი ი, კონსტიტუციური მართლმსაჯულება გერმანიაში, თბილისი:ჩდთ, 2001, გვ.17-18.

9 კვერენჩილაძე გ, კონსტიტუციის სამართლებრივი დაცვა, ადამიანი და კონსტიტუცია, №3, 2006, გვ.41.

10 Degenhart C, Staatsrecht I, Staatsorganisationsrecht, 27. Auflage, Heidelberg, 2011, S. 754.

აძლებლობა აქვთ საკუთარი უფლებების დასაცავად გამოიყენონ საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმები და თავად უზრუნველყონ სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციურ საზღვრებში მოქცევა.

4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის პრაქტიკული მნიშვნელობა

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელით მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ დაიცვან ქვეყნის ძირითად კანონში, კონსტიტუციაში გათვალისწინებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.¹

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელით უზრუნველყოფილია ძირითადი უფლებების სუბიექტებისთვის საკონსტიტუციო მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, რადგან სწორედ ამ მექანიზმის გამოყენებით შეუძლიათ იზრუნონ თავიანთი დარღვეული უფლებების აღსადგენად.²

საქართველოს კონსტიტუციის 60-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებულ ადამიანის ძირითად უფლებებთან მიმართებით ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობის შემოწმება საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე.

მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით საყურადღებოა საერთაშორისო კანონმდებლობაში არსებული რეგულაციების ანალიზიც. მაგალითად, გერმანიის ძირითადი კანონის 93-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-4ა ქვეპუნქტისა და „ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის 90-ე მუხლის შესაბამისად, ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელი წარმოადგენს განსაზღვრულ სარჩელის სახეს, რომელსაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში ამოწმებს.³

მსგავს რეგულაციას ითვალისწინებს ავსტრიის კანონმდებლობაც, რომლის მიხედვით, ყველა პირს აქვს უფლება გაასაჩივროს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, ინდივიდუალური წარდგინების/სარჩელის მეშვეობით.⁴

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის მიზანს კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიჩნეული აქტების გაუქმება და დარღვეული უფლებების აღდგენა წარმოადგენს.⁵ ასევე, კონსტიტუციური ნორმების განმარტება, მისი შემდგომში განვითარება და ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრება.⁶

1 Maunz T, Dürig G, GG Kommentar, Bd. III, München, 2012, S. 65.

2 Durr, S, Comparative overview of european systems of constitutional justice, Vienna Journal on International Constitutional Law, 5(2), 2011, S. 167.

3 Büchting/Heussen, Bekisches, Rechtsanwalts-Handbuch, 9. Auflage, München: C.H. Beck, 2007, S. 42-55.

4 შარაშიძე მ, ავსტრიის საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის თავისებურებანი ნორმატოკონტროლის კომპეტენციის განხორციელების სფეროში, ადამიანის და კონსტიტუცია, №3, 2006, გვ. 15.

5 Detterbeck S, Streitgegenstand und Entscheidungswirkungen im Öffentlichen Recht, Tübingen, 1995, S. 512.

6 Alleweldt R, Bundesverfassungsgericht und Fachgerichtbarkeit, Tübingen: Mohr Siebek, 2006, S. 232.

1.1 ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილი სუბიექტი

საქართველოს კონსტიტუციის 60-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ სუბიექტს წარმოადგენს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან სახალხო დამცველი.

მითითებული ნორმის ამ რედაქციით ჩამოყალიბება განაპირობა საკონსტიტუციოს სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილებში საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ განვითარებულმა მსჯელობამ, რომლის შესაბამისად არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის ის ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არ ჰქონდათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები და იმავდროულად, არ ცხოვრობდნენ საქართველოში, აგრეთვე, იურიდიულ პირებს, თუ ისინი არ იყვნენ რეგისტრირებული საქართველოში.¹

მითითებული გადაწყვეტილების გათვალისწინებით ცვლილება აისახა საქართველოს კანონმდებლობაში და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების მქონე სუბიექტებს, მოქმედი რედაქციიდან გამომდინარე, წარმოადგენს ნებისმიერი ფიზიკური პირი (მათ შორის, საქართველოს მოქალაქეები, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არ მქონე პირები) და იურიდიული პირი.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის შესაბამისად, ძირითადი უფლებების სუბიექტად ფიზიკური პირების გარდა, ასევე განიხილება იურიდიული პირებიც. თუმცა, აქვე უნდა მივუთითოთ, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან დაკავშირებით არსებობს გამონაკლისი, რომლის თანახმადაც, ისინი, როგორც წესი, არ გვევლინება ძირითადი უფლებების სუბიექტად. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზეც შეიძლება გავრცელდეს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები იმ შემთხვევაში, თუ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განსაზღვრული უფლებები მათ პირად სივრცეში ექცევა.²

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენაზე უფლებამოსილ სუბიექტს განსაზღვრავს გერმანიის კანონმდებლობაც. კერძოდ, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ფედერალური კანონის 90-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. ამ ნორმის მიზნებისთვის ტერმინში „ყველა“³ მოიაზრება, როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირებიც.

თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ გერმანიის კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს. შესაბამისად, მოქალაქეობის არმქონე პირს მხოლოდ იმ უფლებებთან დაკავშირებით შეუძლია საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენა, რომელთან დაკავშირებითაც უფლების სუბიექტს წარმოადგენს.⁴

რაც შეეხება იურიდიულ პირებს, აღნიშნულთან დაკავშირებით გერმანიის ძირითადი კანონის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია, რომ იურიდიული პირები მხოლოდ იმ უფლებების მქონე სუბიექტები შეიძლება იყვნენ, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე, იურიდიულ პირებზე შეიძლება გავრცელდეს.⁵

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის №1/466 გადაწყვეტილება, საქმეზე „სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“

2 Frenz, Handbuch Europarecht, Heidelberg: Springer, 2009, S. 92.

3 Umbach D, Clemens T, Dollinger F-W, BVerfGG Kommentar, 2. Auflage, Heidelberg, 2005, S. 17.

4 Robbers G, Verfassungsprozessuale Probleme in der öffentlich-rechtlichen Arbeit, Bd. 133, 2. Auflage, München, 2005, S. 9.

5 Klein E, Grundrechtliche Schutzpflicht des Staates, Mainz, 1989, S. 948.

საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლება არც გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად არ გააჩნიათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, თუმცა, აქაც არის გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც ძირითადი უფლებები შესაძლებელია გავრცელდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზეც. მაგალითად, უნივერსიტეტებზე, ეკლესიებზე, რელიგიურ გაერთიანებებსა და მაუნციპალობებზე. შესაბამისად, თითოეულ მათგანს გააჩნია უფლება კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის შემთხვევაში საკონსტიტუციო სარჩელით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.¹

ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთების კრიტერიუმები

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს“ შესახებ ორგანული კანონის 39-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს, სხვა ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოდ, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დარღვეულია ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანა სუბიექტებს შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი უფლებების დასაცავად მაშინ, როცა სახეზეა უფლების დარღვევა ან არსებობს პოტენციური რისკი მოსალოდნელ დარღვევაზე.

საქართველოს კანონმდებლობა ზუსტად აყალიბებს იმ მოთხოვნებს, რაც წაეყენება საკონსტიტუციო სარჩელს იმისათვის, რათა იგი არსებითად განსახილველად იქნეს მიღებული საკონსტიტუციო სასამართლოში. კერძოდ, სარჩელი შეტანილი უნდა იყოს უფლებამოსილი სუბიექტის მიერ, სარჩელის ობიექტი (საგანი) უნდა იყოს ნორმატიული აქტი, საკონსტიტუციო სარჩელს უნდა გააჩნდეს საფუძველი და უნდა იყოს დასაბუთებული.

„საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31¹ განსაზღვრავს საკონსტიტუციო სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისთვის საჭირო ფორმალურ მოთხოვნებს. იმავე კანონის 31³ მუხლი განსაზღვრავს იმ კრიტერიუმებს, როდესაც საკონსტიტუციო სარჩელი განსახილველად არ მიიღება.

ყოველივე აღნიშნული კი იმაზე მიუთითებს, რომ ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის მექანიზმით რომ სუბიექტებმა ეფექტურად ისარგებლონ, აუცილებელია, ზედმინევნიტ დაიცვან ის საკანონმდებლო მოთხოვნები, რაც წაეყენება კონსტიტუციურ სარჩელს, რათა იგი განხილულ იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საპროცესო რეგულაციები

საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს იმ ერთადერთ სახელმწიფო ინსტიტუტს, რომელსაც უფლება აქვს, დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების სანინააღმდეგო სახელისუფლებო გადაწყვეტილებები ძალადაკარგულად გამოაცხადოს. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. უფრო მეტიც, მათ ფაქტობრივად კონსტიტუციის თანაბარი ძალა გააჩნიათ. სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს არაკონსტიტუციური კანონმდებლობისაგან კონსტიტუციის დაცვას მათი არაკონსტიტუციურად ცნობის გზით.²

საქართველოს კონსტიტუციის 60-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტი

1 Umbach D, Clemens T, Dollinger F-W, BVerfGG Kommentar, 2. Auflage, Heidelberg, 2005, S. 41-44.

2 ნაკაშიძე მ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების პრობლემები, მართლმსაჯულება, №1, 2009, გვ.136.

ან მისი ნაწილი კარგავს ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შესაბამისი გადანყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, თუ შესაბამისი გადანყვეტილება არ ადგენს აქტის ან მისი ნაწილის ძალის დაკარგვის სხვა, გვიანდელ ვადას.“ ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა სამართლებრივი შედეგები, ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მისი შესრულება სავალდებულოა. ¹ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებანი იურიდიული ძალის თვალსაზრისით დაუძლეველია და მისი გადალახვა შეუძლებელია.²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ გააუქმოს სადავო ნორმა მთლიანად ან/და მისი რომელიმე ნაწილი/ნორმატიული შინაარსი, თუმცა მას არ შეუძლია დაადგინოს ახალი წესრიგი, გააფართოოს სადავო ნორმის მოქმედება და ა.შ. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილება შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ სადავო ნორმის რომელიმე ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობაში, მის გაუქმებაში.“³

„საკონსტიტუციო სასამართლოს გააჩნია მხოლოდ კანონმდებლობაში არსებული არაკონსტიტუციური რეგულაციების, წესებისთვის იურიდიული ძალის გაუქმებისა და მათთვის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის რესურსის გაუქმების უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატს სცდება უფლებამოსილება, ძალადაკარგული სამართლებრივი ნორმების ნაცვლად, კანონმდებლობაში დაადგინოს განსხვავებული, თუნდაც კონსტიტუციური წესები.“⁴

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა ზემოაღნიშნული სამართლებრივი შედეგები ვრცელდება ასევე ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის დაკმაყოფილებისას. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ კანონის ან სხვა ნორმატიული აქტების არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე სასამართლოს მიერ ადრე გამოტანილი განჩინებებისა და გადანყვეტილებების გაუქმებას.⁵ ამაზე მეტყველებს, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლი, რომლის თანახმად „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადანყვეტილებების გაუქმებას, ინვესს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებას არა აქვს უკუძალა.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების სავალდებულოობის პრინციპის ეფექტურად უზრუნველყოფისთვის, უმნიშვნელოვანესია მიღებული გადანყვეტილების აღსრულების ქმედითი მექანიზმების არსებობა. რადგან, საკონსტიტუციო სასამართლო გადანყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო კიდევ უფრო მეტად შეძლებს კონსტიტუციის უზენაესობის განმტკიცებას.⁶

1 ბენიძე ო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა აღსრულება, ადამიანი და კონსტიტუცია, №2, 1997, გვ.16.

2 ზოიძე ბ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულების პირობები (ზოგადი მიმოხილვა და საქართველოში არსებული მდგომარეობა). ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2004, გვ. 62.

3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის №3/6/642 გადანყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ლალი ლაზარაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22.

5 ბენიძე ო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებათა აღსრულება, ადამიანი და კონსტიტუცია, №2, 1997, გვ. 17.

6 დემეტრაშვილი ა, საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის გარანტიები, ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2000, გვ. 206.

საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტურობისათვის და იმისათვის, რომ მისი სამართლებრივი შედეგები უფრო მეტად იყოს ორიენტირებული ადამიანი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე და შესაბამისად, უფრო მეტად იყოს უზრუნველყოფილი კონსტიტუციის უზენაესობის დაცვა, მიზანშეწონილია საქართველოს კანონმდებლობის დახვეწა და განვითარება. კერძოდ, კანონმდებლობაში იმ რეგულაციების შემოღება, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულებას. მაგალითად, გერმანული კანონმდებლობის მსგავსად, მიზანშეწონილია საქართველოშიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება უნდა ჰქონდეს თავად განსაზღვროს სასამართლო გადანყვეტილების აღსრულების მეთოდები და აღსრულების უფლებამოსილების მქონე სუბიექტი.¹ ვფიქრობ, მსგავსი რეგულაციების პირობებში უფრო მეტად გაიზრდება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილების აღსრულების ეფექტურობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის გამოყენების პრაქტიკა საკმაოდ მრავალფეროვანია და შესაბამისად, მიზანშეწონილია, სტატიის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი პრაქტიკიდან რამდენიმე ისეთ გადანყვეტილებაზე გამახვილდეს ყურადღება, რომელთა მეშვეობითაც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით საინტერესო განმარტებები გაკეთდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან საინტერესოა სასამართლოს დასაბუთება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.² მითითებული დავის ფარგლებში საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად ცნო „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს შეკრების/მანიფესტაციის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღის ვადაში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს გაფრთხილების ვალდებულებას, როდესაც ამ ვადაში გაფრთხილება, შეკრების/მანიფესტაციის სპონტანურობის გათვალისწინებით, შეუძლებელია.

სასამართლომ მითითებულ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტი შეკრების თავისუფლების ძირითადი უფლების რეალიზების კონსტიტუციურ გარანტიებს ქმნის და იძლევა ადამიანთა მშვიდობიანი და საჯარო შეკრების შესაძლებლობას. მითითებული ნორმის შესაბამისად, თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში მყოფ პირთა გარდა, ყველა ნებისმიერ სხვა პირს, უფლება აქვს შეიკრიბოს, მათ შორის, წინასწარი ნებართვის გარეშე, საჯაროდ და უიარალოდ. შესაბამისად, აღნიშნული უფლების სუბიექტებს კონსტიტუციით გარანტირებული აქვთ თავიანთი გრძნობებისა და შეხედულებების საჯაროდ გამოხატვის შესაძლებლობა.³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მითითებულ საქმესთან დაკავშირებით გაიზიარა სადავო ნორმის საჯარო ლეგიტიმური მიზნების მნიშვნელობა, იმსჯელა სადავო ნორმით განსაზღვრული რეგულაციების გამოსადეგობასა და აუცილებლობაზე, თუმცა, ამავდროულად, მიიჩნია, რომ დადგენილი შეზღუდვა არღვევდა სამართლიან ბალანსს

1 გაბუნია ე, „რეალური“ კონტროლი საქართველოს საკონსტიტუციო მართლმსაჯულების სისტემაში, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი, №3, 2019, გვ. 61.

2 საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის გადანყვეტილება №3/3/1635, საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“.

3 იქვე, II – 3.

შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის და ვერ უზრუნველყოფდა შეკრებისა და მანიფესტაციის ძირითადი უფლების ეფექტიანად სარგებლობას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევა დაადგინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2018 წლის 27 აპრილის №1/3/1243 გადაწყვეტილებით, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“.

მითითებულ საქმეზე საინტერესო საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების კონსტიტუციური საფუძვლების განსაზღვრის თვალსაზრისით. **სასამართლოს განმარტებით:**

✓ რადგან სამეცნიერო ფონდი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და შექმნილია სახელმწიფო ამოცანების შესრულების მიზნით, შესაბამისად, იქ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციად განიხილება.¹

✓ საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება დამოუკიდებელი ექსპერტის ვინაობაც და იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული პირისთვის.²

✓ ექსპერტის ვინაობის გასაიდუმლოება კი საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვად განიხილება.³

✓ ექსპერტის შეფასება, გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ საზოგადოების ნდობის ფაქტორს განაპირობებს და ამავდროულად, კონკურსში მონაწილე პირებისთვის კონკურსის გამჭვირვალედ ჩატარების განმსაზღვრელია. შესაბამისად, კონკურსის მონაწილეს არ შეიძლება ექსპერტის ვინაობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება შეეზღუდოს, რადგან ექსპერტის ვინაობის ცოდნა პირდაპირ დაკავშირებულია მისი კანონიერი ინტერესების რეალიზებასთან.⁴

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო და მიიჩნია, რომ სადავო ნორმით არაღეგითიურად იზღუდება საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული საჯარო დაწესებულებაში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის ინსტიტუტი საკმაოდ ეფექტურად ფუნქციონირებდა. ამას მონიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა მეშვეობითაც არა ერთ შემთხვევაში თავიდან იქნა აცილებული ქვეყანაში არაკონსტიტუციური ნორმატიული აქტების არსებობა. შესაბამისად, ცალსახაა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განუსაზღვრელად დიდი როლი შეასრულა ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის თვალსაზრისით.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სასურველია, საკონსტიტუციო სასამართლოს ხელისუფლების მესამე შტოს, სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებათა კონსტიტუციურობის საკითხის შემოწმებაც შეეძლოს. კერძოდ, უპრიანია საკონსტიტუციო სასამართლოს განსჯადობას დაექვემდებაროს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 27 აპრილის №1/3/1243 გადაწყვეტილება, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 13.

2 იქვე, II – 14.

3 იქვე, II – 15.

4 იქვე, II – 17.

ასევე, მიზანშეწონილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების თვალსაზრისით საქართველოს კანონმდებლობის დახვეწა და განვითარება. კერძოდ, აუცილებელია კანონმდებლობაში იმ რეგულაციების შემოღება, რომელიც უფრო მეტად უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას. ვფიქრობ, აღნიშნული საკონსტიტუციო კონტროლის მექანიზმს უფრო მეტად ორიენტირებულს გახდის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე და შესაბამისად, უფრო მეტად უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუციის უზენაესობა.

შეგებულ სარჩელი – სარჩლისგან თავდაცვის პროცესალური მექანიზმი

აბსტრაქტი

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად, დარღვეული სამოქალაქო უფლების აღსადგენად ან მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად. საქართველოში მიმდინარეობს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ კანონმდებლობასთან რასთან ერთადაც თანმდევი პროცესი არის კანონში ხარვეზები, რომლებიც დროთა განმავლობაში უნდა გამოსწორდეს.

პირის უფლება არის მისი დარღვეული უფლების აღსადგენად მიმართოს სასამართლოს. მნიშვნელოვანი არის, რომ უფლების სასამართლოს წესით დაცვა იყოს სრულყოფილი, რაც გამოსატყუი უნდა იყოს არა მარტო პირის მიმართვაში სასამართლოსადმი, არამედ სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში.

საძიებო სიტყვები: შეგებულ სარჩელი, სარჩელი

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება გარანტირებულია კონსტიტუციით.¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მიხედვით, ყველა პირი თანასწორია სასამართლოებისა და ტრიბუნალების წინაშე.² სასამართლო წესით უფლების დაცვის დროს სასამართლო ვალდებულია მიიღოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში უფლება იკავებს ძირითად ადგილს, ამ შემთხვევაში არც საქართველო არის გამონაკლისი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოცანა სწორედ უფლების დაცვაა.³

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გვაქვს ინსტიტუტი, რომელიც ითვალისწინებს სარჩელის აღძვრას, აღიარებით სარჩელს, რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნის გაერთიანებას, სარჩელის მიღებაზე უარის თქმას და სხვა. მნიშვნელოვანი არის სტანდარტების არსებობა, რომლითაც დაცული უნდა იყოს შეჯიბრებითობისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი.

1 საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 31.

2 ცქიტიშვილი. მ. სარჩელი სამოქალაქო პროცესში გვ 1

3 კოპალეიშვილი მ. სხირტლაძე ნ. ქარდავა ე. ტურავა პ. 2008. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გვ 36-37.

სარჩელისაგან პროცესუალური თავდაცვის ერთ-ერთ საშუალება არის შეგებებული სარჩელი. მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი, რომელიც განიხილება პირვანდელ სარჩელთან ერთად.¹ მოსარჩელეს უფლებაა აღძრას სარჩელი და თავისი უფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, რაც უპირისპირდება მოპასუხის უფლებას დაიცვას თავისი პოზიცია და გააქარწყლოს მოსარჩელეს მიერ მითითებული მტკიცებულებები თუ ფაქტები.

1. შეგებებული სარჩელის არსი და მახასიათებლები

როგორც შესაგებელი წარდგენა დროში არის შეზღუდული, ასევე შეგებებული სარჩელის წარდგენაც შეზღუდულია დროში. მოპასუხეს შეგებებული სარჩელის აღძვრის უფლება ეძლევა მას შემდეგ, რაც ჩაბარდება სარჩელის ასლი. შეგებებული სარჩელის შეტანის უფლება აქვს მოპასუხეს საქმის ზეპირი განხილვის წინასწარი მომზადების დამთავრების ეტაპამდე, მაგრამ საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია მოპასუხემ შეიტანოს საქმის პაექრობის ეტაპის დაწყებამდე. მოპასუხემ თუ ვერ მოახდინა შეგებებული სარჩელის შეტანა კანონით განსაზღვრულ დროში და სასამართლომ არ გაიზიარა შეგებებული სარჩელის წარუდგენლობის საპატიო მიზეზი, ასეთ შემთხვევაში მოპასუხეს შესაძლებლობა აქვს დამოუკიდებელ სარჩელად აღძრას. მოპასუხე შემდგომ თუ მიიჩნევს, რომ ამ ორი სარჩელის განხილვა ერთად უფრო დააჩქარებს საქმის წარმოებას, ან რამე სხვა მიზეზი გამო ენდომება ამ საქმეების ერთად განხილვა, შეუძლია სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს ამ ორი საქმის გაერთიანების შესახებ.²

შეგებებული სარჩელი არის ჩვეულებრივი სარჩელი, რომელსაც ჰყავს, როგორც მოსარჩელე ასევე მოპასუხე. შეგებებული სარჩელის შემთხვევაში თავდაპირველი მოსარჩელე იქნება მოპასუხე ხოლო თავდაპირველი მოპასუხე იქნება მოსარჩელე. შეგებებული სარჩელი სასამართლომ, რომ მიიღოს წარმოებაში უნდა პასუხობდეს ჩვეულებრივი სარჩელისათვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლით თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება. აღნიშნულ კანონში, როდესაც საუბარი არის მოსარჩელის თხოვნით სასამართლო საქმის გადადებაზე აქ მოიაზრება თავდაპირველი მოსარჩელე, რადგან ვალდებულია ასეთ შემთხვევაში კანონით განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს შესაგებელი და გაეცნოს საქმის მასალებს.³

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლში მოცემულია თუ რა შემთხვევაში მიიღებს სასამართლო შეგებებულ სარჩელს. 1) შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით. 2) მოსამართლე მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ: ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად; ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად, ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; გ) შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება. 3)

1 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 188 ნაწილი 1.

2 არხოშაშვილი. ლ. სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალუსამართლებრივი საშუალებები, გვ 166-167.

3 არხოშაშვილი. ლ. სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალუსამართლებრივი საშუალებები, გვ 167-169.

პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, გარდა 245-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალური საშუალება. ამ მუხლის მესამე ნაწილის მიზანი არის სწრაფი მართლმსაჯულების მიღება რაც მნიშვნელოვანი არის დავის სამართლიან და სწრაფ გადაწყვეტაში.¹

საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული არის დისპოზიციურობის პრინციპი და კოდექსის მე-3 მუხლით შესაძლებელი არის მოსარჩელემ უარი განაცხადოს სარჩელზე საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. რაც მიუთითებს მხარეთა ნების დისპოზიციურობაზე. კანონმდებელი სამოქალაქო საქმეზე ასევე მხარეებს აძლევს შესაძლებლობას დავა გადანყდეს, მათი შეხედულებით.²

მოსარჩელეს მიერ არჩეულ მოპასუხეს შეუძლია საკუთარი თავის დაცვა განახორციელოს, როგორც შესაგებლით, ასევე შეგებებული სარჩელით. შეგებებული სარჩელი აღიძვრება თავდაპირველი სარჩელის გამო, თუმცა, რომ არა ეს ძირითადი სარჩელი, იგი მაინც შეიძლება აღძვრულიყო, დამოუკიდებელი ძირითადი სარჩელის სახით.³

მნიშვნელოვანი განსხვავება არის შესაგებელსა და შეგებებულ სარჩელს შორის. მოპასუხეს შესაგებლით თითქმის ყოველთვის ცდილობს, გააქარწყლოს სარჩელში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები თუ სამართლებრივი დასაბუთება. შეგებებული სარჩელი გარკვეულ წილად ძირითადი სარჩელის აღიარებასაც მოიცავს. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადაწყვეტილებით უარს ეუბნება შეგებებულ სარჩელის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო სასამართლოს თავის არაერთ განჩინებაში აქვს მითითებული, რომ სასამართლომ უნდა იმსჯელოს შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობის შესახებ.⁴

სასამართლოში შეგებებული სარჩელი ვერ აღიძვრება მანამ, სანამ არ მოხდება ძირითადი სარჩელის აღძვრა. შეგებებული სარჩელის აღძვრის უფლებამოსილებას პირი იძენს მაშინ შემდგომ, რაც ჩაბარდება სარჩელის ასლი. შეგებებული სარჩელი არის მოპასუხის თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა კრიტერიუმს, რაც განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. შეგებებული სარჩელის აღძვრის დროს პირს წარმოეჩნება სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება. შეგებებული სარჩელის წარმდგენს უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს მდგომარეობა, რომელიც გათვალისწინებული არის კანონში. შეგებებული სარჩელის ავტორს ასევე გააჩნია უფლება, რომ სასამართლოს წინაშე იშუამდგომლოს ბაჟის გადავადების შესახებ. მნიშვნელოვანი გარემოება არის ის, რომ მოპასუხეს ყოველთვის არ შეუძლია შეგებებული სარჩელის აღძვრა ყველა სასამართლო ინსტანციაში. მოპასუხე პირველი ინსტანციის სასამართლოში შეგებებული სარჩელის შეტანის უფლებას იძენს მას შემდგომ, რაც მოპასუხეს გადაეცემა ძირითადი სარჩელის ასლი. მოპასუხეს შეგებებული სარჩელის წარსადგენად დრო აქვს, საქმის ზეპირი განხილვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე. მოპასუხეს შეგებებული სარჩელის აღძვრის უფლება არ გააჩნია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში. მოპასუხემ თუ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეგებებული სარჩელის წარდგენა საპატიო მიზეზის გამო, კანონით განსაზღვრულ დროში ვერ მოახდინა. მოპასუხეს უფლება აქვს აღძვრას შეგებებული

1 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 189.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე ას-1410-1425-2011.

3 ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. 2004. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 326.

4 იქვე, 324-325.

სარჩელი სასამართლო პაექრობის დაწყებამდე, სადაც უნდა მიუთითოს სასამართლოს საპატიო მიზეზის შესახებ, თუ რატომ ვერ მოახდინა მხარემ შეგებებული სარჩელის წარდგენა კანონით განსაზღვრულ დროში.¹ თუ რა ჩაითვლება საპატიო მიზეზად, მოცემულია საქართველოს საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში კერძოდ: „საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებულ უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე.“² თუ მოპასუხე მხარე დროულად წარადგენს შეგებებულ სარჩელს, სასამართლო ამონმებს შემდგომ აკმაყოფილებს თუ არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებს. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც საქმის გაჭიანურების მიზნით არაკეთილსინდისიერ მოპასუხეებს შეაქვთ შეგებებული სარჩელი, რომელსაც კავშირი არ აქვს თავდაპირველ სარჩელთან. მოპასუხეები შემდგომ ასაჩივრებენ სასამართლოს განჩინებას, რომლითაც სასამართლომ მიიჩნია, რომ შეგებებული სარჩელი ურთიერთკავშირში არ არის თავდაპირველ სარჩელთან, რაც იწვევს კეთილსინდისიერი მოსარჩელისათვის მართლმსაჯულების დაგვიანებით მიღებას. აქედან გამომდინარე მიმჩნია, რომ როდესაც შეგებებული სარჩელი თავდაპირველ სარჩელთან კავშირში არ არის, მხარეს არ უნდა ჰქონდეს სასამართლოს განჩინების გასაჩივრების უფლება. ეს არ შეზღუდავს მოპასუხის უფლებას, რადგან მოპასუხეს შეუძლია დამოუკიდებელი სარჩელი წარუდგინოს სასამართლოს.

განსაკუთრებული განსჯადობის წესს ადგენს კანონი შეგებებული სარჩელის განხილვის დროს. შეგებებული სარჩელის მიღება ხორციელდება იმ სასამართლოში, რომელ სასამართლოში განხორციელდა თავდაპირველი სარჩელის შეტანა. ეს განპირობებული არის იმით, რომ შეგებებული სარჩელის აღძვრა დაკავშირებული არის პირვანდელ სარჩელთან.³

შეგებებული სარჩელის აღძვრის ერთ-ერთი მიზანს წარმოადგენს, რომ სარჩელების განხილვა და გადაწყვეტა მოხდეს ერთად. საქმის მიმდინარეობის დროს შეიძლება გამოიკვეთოს ისეთი შემთხვევა, რომ ერთი მხარის მიმართ ყველაფერი გარკვეული იყოს, ხოლო მეორე მხარის მიმართ არ იყოს გარკვეული. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მხარის თხოვნით გამოიტანოს არა ერთობლივი გადაწყვეტილება, არამედ გადაწყვეტილება იმ პირის მიმართ, რომელი პირის მიმართაც მზადაა გადაწყვეტილების გამოსატანად.⁴ სასამართლო ერთდროულად იხილავს როგორც ძირითად სარჩელს, ასევე შეგებებულ სარჩელს და გამოაქვს გადაწყვეტილება, გარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 245-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა, კერძოდ: „ნაწილობრივი გადაწყვეტილება, დაინტერესებული მხარის თხოვნით, სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულია ერთ-ერთი – სარჩელი ან შეგებებული სარჩელი“.⁵

სასამართლოში საქმის განხილვა შესაძლებელია გადაიდოს შეგებებული სარჩელის აღძვრის გამო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის მიხედვით:

1 არხოშაშვილი. ლ., სარჩელისაგან თავდაცვის პროცესუალურსამართლებრივი საშუალებები, გვ 166-169.

2 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 215 მე-3 ნაწილი.

3 ცქიტიშვილი. მ. სარჩელი სამოქალაქო პროცესში გვერდი 134-135.

4 ნაჭყებია ა. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში 2000-2013 საქმე № ას-1003-1304-07 13 თებერვალი, 2008 წელი, ქ. თბილისი

5 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 245 მე-2 ნაწილი.

„თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება. საქმის განხილვის გადადებით გამონვეული ხარჯები დაეკისრება მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი“¹. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილის მიხედვით თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, სჭირდება მოსარჩელის თხოვნა, რომ მოხდეს სხდომის გადადება, რაც მიმართა არასწორად, მუხლში უნდა იყოს იმპერატიული ჩანაწერი, რომ საქმე გადაიდება სხვა დროისთვის და არ უნდა სჭირდებოდეს მოსარჩელეს თხოვნა. აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით მხარეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი, დაეკისრება საქმის განხილვის გადადებით გამონვეული ხარჯები, რაც ასევე მიმართა არასწორად, რადგან სასამართლომ თუ მისცა საშუალება, რომ წარადგინოს შეგებებული სარჩელი, ამ შემთხვევაში მას აღარ უნდა ეკისრებოდეს საქმის გადადებით გამონვეული ხარჯების ანაზღაურება.

2. შიდაპროცესული საპროცესო საჩივარი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლის მიხედვით, „მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, განცხადებული აქვს თუ არა უარი სააპელაციო საჩივრის შეტანაზე. სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის ან მისი განუხილველად დატოვების შემთხვევაში შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ განიხილება“².

შეგებებული სააპელაციო საჩივრით მხარე ცდილობს, რომ გაუქმდეს გადანყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა აპელანტის მოთხოვნა ასევე უცვლელი დარჩეს გადანყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა აპელანტს მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე. შეგებებულ სააპელაციო საჩივრებს ყოფენ ორ ნაწილად: დამოუკიდებელი შეგებებული სააპელაციო საჩივარი და დამოკიდებული შეგებებული სააპელაციო საჩივარი. დამოუკიდებელი შეგებებული სააპელაციო საჩივარი ეს შემთხვევა არის, როდესაც რეალურად წარდგენილი არის იმიტომ, რომ შეტანილი არის სააპელაციო საჩივარი. ასევე იგი შეტანილია კანონით გათვალისწინებულ ვადაში მისი ღირებულება შეესაბამება სააპელაციო საჩივრისათვის კანონით განსაზღვრული ფასი და აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივრისათვის კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დამოკიდებული შეგებებული სააპელაციო საჩივარი ენოდება იმ შემთხვევას, როდესაც წარდგენილია ძირითად სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, მაგრამ კანონით განსაზღვრულ სახელმწიფოს ფასს არ შეესაბამება ან წარდგენილია კანონით დადგენილი ვადის გადაცილებით. სასამართლომ უნდა განიხილოს დამოუკიდებელი სააპელაციო საჩივარი მიუხედავად იმისა, უარი თქვა აპელანტმა თავის ძირითად სააპელაციო საჩივარზე, თუ უკან გაითხოვა ეს საჩივარი, ან განუხილველად დატოვა სააპელაციო სასამართლომ ეს ძირითადი სააპელაციო საჩივარი. დამოკიდებული სააპელაციო საჩივარი აღარ უნდა განიხილოს სააპელაციო სასამართლომ, თუ რაიმე მიზეზის გამო სასამართლო განუხილველად ტოვებს აპელანტის ძირითად სააპელაციო საჩივარს ან წყვეტს საქმის წარმოებას.³

უზენაესი სასამართლო თავის გადანყვეტილებაში საქმე ას-293-550-08 განმარტავს, რომ „დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებს უფლება აქვთ, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილებაზე შეიტანონ

1 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 190.

2 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მუხლი 379.

3 ლილუაშვილი თ. 2005 სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 469-472.

სააპელაციო საჩივარი, ან მონინალმდეგე მხარის მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ კანონით კონკრეტულად განსაზღვრულ ვადაში მიმართონ სასამართლოს შეგებებული სააპელაციო საჩივრით. სააპელაციო და შეგებებულ სააპელაციო საჩივრებს შორის არსებობს გარკვეული განსხვავება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანა ხდება მხარის მიერ დამოუკიდებლად, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მონინალმდეგე მხარის მიერ გასაჩივრების მიუხედავად და მისი განხილვაც მიმდინარეობს მონინალმდეგე მხარის სააპელაციო საჩივრის სამართლებრივი ბედის გაუთვალისწინებლად, მაშინ როცა შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანა ხდება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემდეგ, მის სანინალმდეგოდ, რაც ფაქტობრივად მიუთითებს, რომ ძირითადი სააპელაციო საჩივრის შეუტანლობისას შეგებებული სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა აღძრული არ იქნებოდა.⁴¹

დასკვნა

სასამართლოს მხრიდან აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ყველა მხარის უფლებები. მხარეებს უნდა მიეცეთ იმის საშუალება, რომ დაიცვან თავიანთი უფლებები და ამისათვის ჰქონდეთ სხვადასხვა პროცესუალური საშუალებები, რომლებიც დემოკრატიულ სახელმწიფოს სტანდარტებს შეეფერება. მხარეების უფლებების დარღვევა შესაძლოა მოხდეს სხვადასხვა ვითარებაში და სხვადასხვა ფორმით, შესაბამისად ნებისმიერ მდგომარეობაში მხარეებს უნდა ჰქონდეს გზა, რომ იპოვონ სამართალი.

სარჩელის უფლება პირის უფლება არის წარადგინოს სარჩელი მისი დარღვეული უფლების აღსადგენად ან მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად. მოპასუხის უფლება არის თავი დაიცვას სარჩელისაგან, როგორც შესაგებლით, ასევე შეგებებული სარჩელით. სარჩელი და შესაგებელი არის მტკიცების საგნის ფორმირების მნიშვნელოვანი ელემენტი, აღნიშნული ელემენტების საშუალებით ხორციელდება მტკიცებითი პროცესი, რომელი პროცესის წარმართვაც ხორციელდება დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე.

შეგებებული სარჩელი მოპასუხის ერთ-ერთი პროცესუალური საშუალება არის, რომ საკუთარი თავის დაცვა განახორციელოს მოსარჩელისგან. შეგებებული სარჩელით მოპასუხეს ეძლევა საშუალება განახორციელოს საკუთარი თავის დაცვა მოსარჩელისაგან და სასამართლოსგან მიიღოს სწრაფი მართლმსაჯულება, რაც გამოიხატება ორივე სარჩელის ერთდროულად განხილვაში.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლო უარს ეუბნება მოპასუხეს შეგებებული სარჩელის განსახილველად მიღებაზე, რადგან არ არსებობს ურთიერთკავშირი თავდაპირველ სარჩელსა და შეგებებულ სარჩელს შორის. რის შემდგომაც შეგებებული სარჩელის ავტორს აქვს ამ განჩინების გასაჩივრების უფლება, კანონით დადგენილ ვადაში. შეგებებული სარჩელის ავტორების მიერ ხშირად ხდება აღნიშნული განჩინებების გასაჩივრება, ვინაიდან მათ მიზანს წარმოადგენს სასამართლო პროცესის გაჭიანურება. მიმაჩნია, რომ სასამართლოს განჩინება შეგებებული სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ არ უნდა საჩივრდებოდეს, რომლის საფუძველიც არის სარჩელსა და შეგებებულ სარჩელს შორის ურთიერთკავშირის არ არსებობა. მიმაჩნია, რომ აღნიშნული შეზღუდვა არ გამოიწვევს შეგებებული სარჩელის ავტორის უფლებების დარღვევას, რადგან მას კანონით აქვს უფლება ცალკე დამოუკიდებელ სარჩელად წარადგინოს სასამართლოში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ შეგებებული სარჩელი მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით, ან სასამართლოს ინიციატივით საქმის განხილვა 1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე ას-293-550-08.

გადაიდება სხვა დროისათვის. მიმაჩნია, რომ აღნიშნულ კანონში იმპერატიულად უნდა იყოს ჩანაწერი საქმის გადადების შესახებ და არ უნდა სჭირდებოდეს მოსარჩელეს შუამდგომლობა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი. მიმაჩნია, რომ კანონის ეს დანაწესი არასწორია, ვინაიდან მოპასუხეს ამ შემთხვევაში სასამართლო აძლევს უფლებას, რომ წარმოადგინოს შეგებებული სარჩელი და თუ სასამართლო თუ აძლევს ამის უფლებას მაშინ შეგებებული სარჩელის ავტორის აღარ უნდა დაეკისროს საქმის განხილვის გადადებით გამოწვეული ხარჯები.

პრაქტიკის ანალიზი ნამდვილად ავლენს რიგ ხარვეზებს, რაც სწორედ მეცნიერული დამატებითი კვლევის და განზოგადების საფუძველზე უკეთ უნდა დარეგულირდეს. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის განხილვის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისინი არ არის საფუძვლიანად შესწავლილი რაც პირდაპირ და უარყოფითად აისახება საქართველოს სამოქალაქო პროცესის მიმდინარეობაზე.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

აბსტრაქტი

გლობალიზაციის თანადროულად უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება წარმოადგენს როგორც შესაძლებლობას, ასევე გამოწვევას საერთაშორისო სამართლებრივი სისტემისთვის. სტატია მიზნად ისახავს გადაწყვეტილებების ტრანსსასაზღვრო აღსრულების ირგვლივ არსებული სამართლებრივი ჩარჩოებისა და პრაქტიკის შესწავლას, როგორც ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვის საშუალებით, ასევე უცხოური ქვეყნების გამოცდილებითაც. სტატიაში დოქტრინული ანალიზის მეშვეობით, წარმოდგენილია ის ძირითადი საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც არსებითად მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების პროცესში. ამასთან, ხაზგასმულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ცნობისა და აღსრულების მექანიზმებზე და ამ მექანიზმების ეფექტურობაზე. სტატიაში წარმოდგენილია სამართლებრივ სისტემებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებები ცნობა-აღსრულების მიდგომებთან მიმართებით. საკითხი საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ აღნიშნული პირდაპირ კავშირშია საჯარო პოლიტიკასთან, რომელსაც თან სდევს არაერთი პროცესუალური სირთულე. ბუნებრივია, ტრანსსასაზღვრო სასამართლო პროცესების დროს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება არსებითად მნიშვნელოვანია, რათა კონკრეტულ საქმეში მონაწილე მხარეთა უფლებები იყოს დაცული. აღნიშნულთან მიმართებით თავსებადობის კუთხით კი ზემოთ ხსენებული ინსტიტუტი ეფექტური სამართლებრივი მექანიზმია, რაც საბოლოო ჯამში, ეფექტურად ეხმარება საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების ჰარმონიზებას, რაც უწყვეტი და სწრაფად განვითარებადი საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობებისთვის აუცილებელია.

საკითხი საინტერესოა იმ კუთხითაც, თუ როგორ შეიძლება განსხვავებული იურისდიქციის მქონე ქვეყნების სამართლებრივმა სისტემებმა ითანამშრომლონ ისე, რომ მათ სუვერენიტეტსა და საჯარო პოლიტიკაში არ მოხდეს უხეში ჩარევა. ის ტრანსნაციონალური მიდგომები, რომელიც დღეს არსებობს, საჭიროებს მუდმივ ცვლილებასა და განახლებას ვინაიდან, კულტურული, პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორები მუდმივ გავლენას ახდენს ამ პროცესზე. უთანასწორო მიდგომები კი ინდივიდთა უფლებებზე პირდაპირპროპორციულად მოახდენს უარყოფით გავლენას.

ამ სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო დებულებების, სასამართლო მიდგომებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შედარებითი ანალიზი ავლენს დღეს არსებულ მიდგომებში არსებულ გამოწვევებსა და შეუსაბამობებს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზოგადი ტენდენცია ამ პროცესის გამარტივებისკენ, არსებობს მნიშვნელოვანი სირთულეები ეროვნულ სამართლებრივ ტრადიციებში განსხვავებულობის, ორმხრივი მოთხოვნის, სუვერენიტეტისა და საჯარო პოლიტიკის გამო.

საძიებო სიტყვები: სასამართლო გადაწყვეტილება, ცნობა, აღიარება

შსსკალი

ტრანსნაციონალური გლობალიზაციის შედეგად საერთაშორისო ვაჭრობა და კომერციული საქმიანობა სწრაფი ტემპით განვითარდა. აღნიშნულის პარალელურად, სხვადასხვა სახელმწიფოში იმატა სასამართლო დავების რიცხვმა, რომლის გადანყვეტის სამართლებრივი მექანიზმები ისეთივე სწრაფი ტემპით ვერ ვითარდებოდა, როგორც ზემოთ ხსენებული პროცესი.¹ ცხადია, საერთაშორისო დავის გადანყვეტისას დგება საკითხი გამოსაყენებელი სამართლისა და განსჯადი სასამართლოს შესახებ, ვინაიდან უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილებათა აღსრულების პროცედურული სფერო განსხვავდება იურისდიქციის მიხედვით, რა დროსაც აუცილებელია საერთაშორისო სამართლის მნიშვნელობაზე ხაზგასმა ვინაიდან, სახელმწიფოთა შორის ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები უზრუნველყოფენ ცნობისა და აღსრულების პროცესს. თანამედროვე საზოგადოების სირთულეებმა ჩამოაყალიბა ერებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ქსელი, შექმნა ე.წ. სამართლებრივი ლანდშაფტი, სადაც ეროვნული სამართლის სფერო სცილდება გეოგრაფიულ ფარგლებს და საჭიროებს ერთობლივ ძალისხმევას გლობალური მასშტაბით, რათა ამ დროს სახელმწიფოებმა შექმნან იმგვარი სამართლებრივი ბერკეტები, რომლითაც დაცულ იქნება მხარეთა უფლებები. ამასთან, მნიშვნელოვანია უცხოური გადანყვეტილებების სამი შესაძლო ეფექტი გამოიყოს. პირველი, უცხოური გადანყვეტილება წარმოადგენს ფაქტს მიუხედავად მისი აღიარებისა. მეორე, უცხოური გადანყვეტილების აღიარება გამორიცხავს იგივე საკითხების ხელახლა განხილვას შიდა სამართალწარმოებაში. პრეკლუზიური ეფექტის მასშტაბი კი შეიძლება განისაზღვრებოდეს კონკრეტული სამართლის სისტემის მიხედვით.² უცხოური გადანყვეტილების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ერთი ქვეყნის ან იურისდიქციის სასამართლო იღებს სხვა უცხო ქვეყნის ან იურისდიქციის სასამართლოების მიერ მიღებულ სასამართლო გადანყვეტილებას და გამოაქვს გადანყვეტილება არსებითად იდენტური პირობებით. აღნიშნული ძირითადად გულისხმობს დადგენილი ფუნდამენტური პრინციპების შეფასებას, რა დროსაც წარმოიშობა რიგი გამოწვევები, რაც გულისხმობს სამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავებებს, კულტურულ უთანასწორობასა და კანონებისა და პროცედურების განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. ამ დროს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩართული მხარეების ინტერესების დაბალანსებას ორივე სამართლებრივი სისტემის მთლიანობის უზრუნველსაყოფის მიზნით.³

უცხო ქვეყნის გადანყვეტილებების აღსასრულებლად გამოცხადება აპრიორი არ გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული სამართლის სისტემის მქონე ქვეყნისთვის მას დაუყოვნებლივ ენიჭება იურიდიული ძალა, რადგან შესაბამისი სასამართლო აქტის დაშვება საფუძვლიანად გადამონმების გარეშე დაუშვებელია. სწორედ ამ ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შეიქმნა ცნობის ინსტიტუტი. უცხოური სასამართლოს გადანყვეტილების ცნობით ხდება უცხოური აქტის დაქვემდებარება კონკრეტული ქვეყნის სამართლის სისტემასთან.⁴ ბუნებრივია, სასამართლო აქტის მოქმედებას გარკვეული საზღვრები და ჩარჩოები აქვს, რადგან სახელმწიფომ მხოლოდ ისეთი სამართლებრივი შედეგები უნდა ცნოს, რომლებსაც იგი იცნობს.

1 Model Law on the Recognition and Enforcement of Foreign Judgments, Commonwealth Secretariat, 2018, 1.

2 Ralf Michaels, Max Planck Encyclopedia of Public International Law, Max Planck Institute for Comparative Public Law and International Law, Heidelberg and Oxford University Press, 2009, 1-2.

3 Professor Fausto Pocar, EXPLANATORY REPORT, Convention on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters, signed in Lugano on 30 October 2007, Official Journal of the European Union, 2009, 1-3.

4 Haas, Ulrich, Die Anerkennung und Vollstreckung ausländischer und internationaler Schiedssprüche.: Dissertationsschrift (Schriften zum Prozessrecht), Schriften zum Prozessrecht, 1991, 128-129.

1. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების ცნება

კონკრეტული ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედების სფერო განისაზღვრება მხოლოდ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებამ მხოლოდ მაშინ შეიძლება იმოქმედოს სხვა ქვეყანაში, როდესაც მეორე ქვეყანა მას ცნობს, რა დროსაც ის არ უნდა შეიჭრას უცხო ქვეყნის სასამართლო კომპეტენციაში. აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ რომელიმე ქვეყანას პირდაპირი ვალდებულება აკისრია უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა. ცხადია, აღნიშნულთან მიმართებით განსხვავებული პოზიციებიც არსებობს. მაგალითად, გერმანელ მეცნიერთა გარკვეულ ნაწილს, კერძოდ, პროფესორ რ. გაიმერის აზრით, „კეთილი ნების“ პრინციპიდან გამომდინარე, მაინც აკისრიათ სახელმწიფოებს ეს პირდაპირი ცნობისა და შესაბამისად, აღსრულების ვალდებულება. აგრეთვე ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა გულისხმობს გადაწყვეტილების ცალკეული ნაწილების ცნობას და არა მის ცნობას სრულად. პროცესში მონაწილე მხარისთვის, ვის სასარგებლოდაც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ცნობა, უნდა ეცადოს, რომ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი მექანიზმების საშუალებით მიაღწიოს მეორე ქვეყნის სასამართლოსგან აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნულს კი იმ შემთხვევაში ექნება ადგილი, თუკი გადაწყვეტილების მცნობმა სასამართლომ ისეთი პროცესუალური მოქმედებები განახორციელა, რომელმაც გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე მიღებულად აქცია და თავისი ქვეყნის იძულებით აღსრულებას დაუქვემდებარა. ისტორიული კუთხით რომ შევეხოთ, შუა საუკუნეების უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა მხოლოდ მაშინ ხდებოდა, თუ ის დამტკიცებოდა, რასაც ითვალისწინებდა ე.წ. „საქსონიის სარკე“.¹ თუმცა, მოგვიანებით სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეის გავლენით, ქვეყნებმა დაიწყეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმა და კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში აიკრძალა საერთაშორისო კეთილი ნების გამოყენება.

მე-20 საუკუნის ბოლოს უკვე დაიწყო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა, აღნიშნულზე მსჯელობის პროცესში გადამწყვეტი როლი ჰქონდა „ნაცვალგების პრინციპს“. ზოგადად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის მიზანი სამოქალაქო ბრუნვისა და მართლმსაჯულების ორგანოს საქმიანობის გამარტივებას ემსახურება, ვინაიდან მოდავე მხარისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს წარდგენილი სარჩელით ამონუროს ყველა სადავო გარემოება, რომლითაც იგი მოპასუხეს ედავება. ხშირია, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებას რამდენიმე ქვეყანაში მოითხოვს. შესაბამისად, თუკი ცნობისა და აღსრულების პროცესში მონაწილე რომელიმე ქვეყანა უარს იტყვის აღსრულებაზე, მოდავე მხარე იძულებული გახდება სასარჩელო მოთხოვნებით მიმართოს ამ უკანასკნელი ქვეყნის სასამართლოს, რაც ცხადია, დამატებით რესურსებს, დროსა და ხარჯებს მოითხოვს. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობებში ჩართული თითოეული ქვეყანა დაინტერესებულია ამ პროცესისთვის მაქსიმალურად მოქნილი და ხელსაყრელი პირობები შექმნას. ამიტომაც ხშირად ამგვარ დამოკიდებულებას მივყავართ უცხო ქვეყნისა და ნაციონალური სასამართლო გადაწყვეტილების გათანაბრებისკენ.² როგორც უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შემთხვევაში, აღსრულების საკითხსაც თითოეული ქვეყანა დამოუკიდებლად წყვეტს.³ სახელმწიფოთა მიდგომები გადაწყვეტილების აღსრულებასთან

1 Charles Platto, *Enforcement of Foreign Judgments Worldwide*, Published by Graham & Trotman, London, and the International Bar Association (1989, viii and 271pp. incl. Contents and Preface), 1-20.

2 ANERKENNUNG UND VOLLSTRECKUNG AUSLÄNDISCHER ENTSCHEIDUNGEN, Juracademy.de, xelmisawvdomia aq: <https://shorturl.at/hjylQ> (ukanasknelad gadamowmda 2024 wlis 04 Tebervals).

3 Peter Gottwald, *Internationales Zivilprozessrecht*, 1991, 285.

მიმართებით შეიძლება დაიყოს ტრადიციული და გამარტივებული აღსრულების პროცედურების მიხედვით, რომლის შერჩევაც განისაზღვრება სამართლებრივი სისტემის მიხედვით. ტრადიციულს ასევე უწოდებენ ე.წ. „ეგზეკვატურის პროცედურასაც“, რაც გულისხმობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე სპეციალური ეგზეკვატურის გაცემას. აღნიშნული ცნობილია ისეთ სახელმწიფოებში, როგორცაა საფრანგეთი, გერმანია, შვეიცარია და ა.შ ქართული სამართლის სისტემა უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კომპეტენციას მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს ანიჭებს.¹

2. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეგულირება საქართველოში

გადაწყვეტილების ცნობასთან მიმართებით, ზუსტ განმარტებას არ ვხვდებით. საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლში კანონმდებელი განმარტავს, რომ საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის სასამართლო კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. გადაწყვეტილების ცნობა კი არ ხდება იმ შემთხვევაში თუკი საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება, მისი გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან სხვა საპროცესო დარღვევებს ჰქონდა ადგილი და სხვ.

გადაწყვეტილების აღიარების (ცნობის) საგანს არ წარმოადგენს მხოლოდ კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც მართლმსაჯულების აქტი, არამედ მისი გარკვეული სამართლებრივი თვისების მოქმედების გავრცელება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.² ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.³ თავის მხრივ, სსსკ-ს 11.4 მუხლის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოები განიხილავენ საქმეებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს ან რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის საწარმოები და ორგანიზაციები.⁴ საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციას განსაზღვრავს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლიც, სადაც კანონმდებელი მიუთითებს, რომ საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე იურიდიულ პირს საქართველოში აქვს ადგილსამყოფელი. ამავე კანონის მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაშიც, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა. აღნიშნულთან მიმართებით, წინამდებარე კანონის მე-18 მუხლი განამტკიცებს სასამართლოს კომპეტენციაზე მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობას, რომლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი უცხო ქვეყანაში აქვს. ამ უკანასკნელის თანახმად, ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს: ა) წერილობით ან სიტყვიერ-

1 გაბისონია ზ., ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა იურისტების სამყარო, 2016, 453-468.

2 ლილუაშვილი ბ., სადისერტაციო ნაშრომი: უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009, 56.

3 მუხლი 33, საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი.

4 მუხლი 11, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 14/11/1997, საქართველოს პარლამენტი.

რად, წერილობითი დადასტურებით; ბ) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას – იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო. ზემოთ ხსენებული კანონის მე-8 და მე-9 მუხლები ავითარებს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიდგომას, რომელიც საერთაშორისო კომპეტენციის რამდენიმე სახეს იცნობს.¹ კერძოდ, ერთმანეთისაგან განასხვავებენ პირდაპირ და ირიბ, საერთაშორისო და ადგილობრივ, საერთო და განსაკუთრებულ, ფაკულტატიურ და გამომრიცხავ საერთაშორისო კომპეტენციას. აღნიშნული აღიარებს ისეთ სახეებს, როგორცაა საერთო და განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია. საერთო საერთაშორისო კომპეტენცია კი კონტინენტური სამართლის ევროპულ ქვეყნებში დაკავშირებულია მოპასუხის საცხოვრებელ ადგილთან/ადგილმდებარეობასთან (აქტორ სექუიტურ ფორუმ რეი).²

საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებას ამონებს მხოლოდ მისი ცნობა/აღსრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი წინაპირობების კუთხით. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი ძალის სხვა ქვეყანაში გავრცელებისათვის უნდა არსებობდეს ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები. ფაქტობრივ საფუძვლებად გაგებულ უნდა იქნეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების გავრცელება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც უნდა ცნოს ეს გადაწყვეტილება, ხოლო სამართლებრივ საფუძველში იგულისხმება საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმები, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ცნობა/აღსრულების განხილვა. აქედან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებით ახდენს ამ გადაწყვეტილებით დაცული მხარის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ცნობას, რომლის რეალიზაციის იურიდიული შედეგი უნდა გავრცელდეს საქართველოში. შესაბამისად, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის პრობლემის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია, თუ რა კრიტერიუმების არსებობას უკავშირებს გადაწყვეტილების ცნობას შესაბამისი ქვეყნის სასამართლო. მსგავსი კრიტერიუმები შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამასთან, შეიძლება გადაწყვეტილების ცნობისას მოცემული ქვეყნის კანონმდებლობა ან მის მიერ გაფორმებული ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება პირდაპირ ჩამოთვლიდეს კონკრეტულ პრინციპებს. გარდა ამისა, აღნიშნულთან დაკავშირებით საერთაშორისო სამოქალაქო პროცესში გავრცელება ჰპოვა ე.წ. „სარკისებური ასახვის პრინციპმა“, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების მცნობ სასამართლოს სარკისებურად გადააქვს თავისი ქვეყნის წესები გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციის შესახებ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებაზე.³

ლეგიტიმაციის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას, გასათვალისწინებელია „დე ფაქტო“ ტერიტორიების პრობლემა, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიების გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია, რის გამოც ამ ტერიტორიის ფარგლებში საქართველო მოკლებულია ეფექტური კონტროლის მექანიზმს.⁴

1 მუხლი 8,9,18,68, საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ, 29/04/1998, საქართველოს პარლამენტი.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ა-2761-შ-69-2016, 7 ივლისი, 2017 წელი.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ა-1522-შ-44-2022 28 ნოემბერი, 2022 წელი.

4 ახალაძე მ., უცხო სახელმწიფოთა სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა-აღსრულება საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2021, ISBN 978-9941-8-2368-8, 6.

3. უცხოური გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების გოგადი საერთაშორისო მიმოხილვა

მე-19 საუკუნიდან სხვადასხვა ქვეყანამ დაიწყო ორმხრივი ხელშეკრულებების ხელმოწერა, რომლებიც ეხებოდა მათ შორის გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას. ეს ხელშეკრულებები ხშირად სპეციფიკური იყო ჩართული ქვეყნებისთვის და გულისხმობდა ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებების აღიარების საპასუხო ღონისძიებებს. აღნიშნულთან მიმართებით უნდა აღინიშნოს რომ ევროკავშირის დირექტივები სავალდებულოა შესასრულებლად წვერი სახელმწიფოებისთვის, რომელთაც აკისრიათ დირექტივებით შემოღებული კონკრეტული რეგულაციების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის ვალდებულება.¹

1963 წლის ბრიუსელის კონვენცია ეხებოდა სამოქალაქო და სამეწარმეო სამართლის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების იურისდიქციასა და აღსრულებას. კონვენცია უთითებდა იმის შესახებ, თუ რომელი ქვეყნის სასამართლოებს ჰქონდათ იურისდიქცია ტრანსსასაზღვრო დავებში. მან ჩამოაყალიბა სამართლებრივი ჩარჩო, თუ რომელი ქვეყნის სასამართლოებს უნდა განეხილათ საქმე ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა პირის საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობის ადგილი და სხვ. კონვენცია, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა სამოქალაქო და კომერციულ საკითხებს, გამორიცხავდა გარკვეულ სპეციფიკურ სფეროებს, როგორცაა მაგალითად, საოჯახო სამართლის გარკვეული საკითხები. კონვენცია ითვალისწინებდა გამონაკლისებს, რაც წვერი სახელმწიფოებს აძლევდა საშუალებას უარი ეთქვათ ცნობაზე ან აღსრულებაზე ისეთ საქმეებში, რომელიც ეხებოდა საჯარო წესრიგს, პროცედურულ დარღვევებს და სხვ. კონვენციის მიზანი იყო სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ევროკავშირის ფარგლებში ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა. ბრიუსელის კონვენცია კიდევ უფრო დაიხვეწა და განვითარდა 1968 წლის კონვენციით, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროკავშირის ფარგლებში იურისდიქციის, გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების სამართლებრივი ფარგლების ჩამოყალიბებაში.²

ხსენებულთან ერთად მოქმედებს 1988 წლის ლუგანოს კონვენცია, რომელიც გარდა ევროკავშირის წვერი ქვეყნებისა, მოქმედებს ევროპის თავისუფალი სავაჭრო ასოციაციის წვერი ქვეყნებზე. კონვენცია თავისი არსით ბრიუსელის კონვენციის მსგავსია. გარდა საოჯახო სამართალთან, გაკოტრებასა და არბიტრაჟთან დაკავშირებული საკითხებისა, ის მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა კონტრაქტები, დელიქტები და სხვ. ლუგანოს კონვენციას თავდაპირველად ხელი მოეწერა 1988 წელს და მისი შექმნის მიზანი უკავშირდება ბრიუსელის კონვენციის პრინციპების გავრცელებას ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ქვეყნებზე.³ კონვენცია მოგვიანებით გადაიხედა და განახლდა. მისი მიზანი სახელმწიფოებს შორის ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სამართლებრივი უსაფრთხოების გაძლიერება და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა იყო. მისი უახლესი ვერსიაა 2007 წლის ლუგანოს კონვენცია, რომელიც ძალაში

1 ლაკერბაია თ., სადისერტაციო ნაშრომი – ხელშეკრულების უარყოფის უფლება ქართულ და ევროპულ სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016, 34;

2 Robert C. Reuland, The Recognition of Judgments in the European Community: The Recognition of Judgments in the European Community: The Twenty-Fifth Anniversary of the Brussels Convention Twenty-Fifth Anniversary of the Brussels, Michigan Journal of International Law Michigan Journal of International, 1993, 560-572.

3 Council Regulation (EC) No 44/2001 of 22 December 2000 on jurisdiction and the recognition and enforcement of judgments in civil and commercial matters, xelmisawvdomia aq: <https://shorturl.at/ewwxT> (უკანასკნელად გადა-
მონდა 2024 წლის 04 თებერვალს).

შევიდა 2010 წელს.¹ 1997 წელს ევროკავშირის საბჭომ დაიწყო ბრიუსელის კონვენციისა და 1988 წლის ლუგანოს კონვენციის ერთდროული გადასინჯვა ე.წ. ad hoc ჯგუფთან ერთად², ორი კონვენციის სრული ჰარმონიზაციისა და ცვლილებების შეტანის მიზნით, რომლის მიზანიც იმ პრობლემების გადაჭრა იყო, რომლებიც წარმოიშვა კონვენციის ინტერპრეტაციის პროცესში. ითვლებოდა, რომ ამ ორი კონვენციის გადახედვა ერთად უნდა მომხდარიყო, რათა შესაბამისობაში ყოფილიყვნენ ტრანსსასაზღვრო ურთიერთობებში. ამასთან ხაზი გაესვა გადაწყვეტილებების აღსრულების დაჩქარების საჭიროებას, რომელიც მოგვიანებით ხაზგასმულია 1997 წლის 2 ოქტომბრის ამტერდამის ხელშეკრულების 65-ე მუხლში³, რომელიც ჯერ არ იყო ძალაში, როდესაც აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მუშაობა დაიწყო. ლუგანოს კონვენციის 2007 საბოლოო ვერსია, ძველი რედაქციისგან განსხვავდება იმით, რომ 1988 წლის ლუგანოს კონვენცია ეხებოდა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) ქვეყნებს – შვეიცარიას, ნორვეგიას, ისლანდიასა და დანიას. ხოლო 2007 წლის ლუგანოს კონვენციამ გააფართოვა მისი ფარგლები ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და EFTA-ს ქვეყნების ჩათვლით. ასევე მან გააფართოვა მისი ფარგლები და უზრუნველყო ყოვლისმომცველი მოქმედების სფერო, მათ შორის დაუახლოვდა ევროკავშირის მიერ დადგენილ სამართლებრივ პრინციპებს და ხელი შეუწყო მეტ სამართლებრივ მოქნილობასა და მიდგომას ტრანსსასაზღვრო სამართლებრივი საკითხების მიმართ.⁴

ევროკავშირის სამართალი თანდათანობით ახდენს საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართლის წესების უნიფიკაციას. მას აქვს ისეთი დირექტივები მიღებული, როგორცაა: სამოქალაქო და სამენარმეო სამართლის გადაწყვეტილებების იურისდიქციასთან, ცნობასა და აღსრულებასთან, ქორწინებასთან, მტკიცებულებების შეგროვებასთან, დოკუმენტბრუნვასა და საერთაშორისო გადახდის უუნარობასთან დაკავშირებით.⁵ თითოეული მათგანის მოქმედება მიმართულია ცნობისა და აღსრულების პროცესის გამარტივებაზე და კონკრეტული ღონისძიებების მისადაგებაზე საქმის ბუნებიდან გამომდინარე. ვინაიდან, საოჯახო, კომერციულ და სხვა სახის საერთაშორისო დავებზე მიდგომები და მოთხოვნები შეიძლება განსხვავდებოდეს, რომლისთვისაც იმ ძირითადი პრინციპების გათვალისწინება არსებითად მნიშვნელოვანია, რომელიც მითითებულია სწორედ ამ რეგულაციებში.

4. უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოს სისტემაში

ქვეყნებს შეიძლება ჰქონდეთ ხელშეკრულებები, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები, რომლებიც არეგულირებენ უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, მოქნილი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება კი თავის მხრივ, უფრო ამარტივებს ამ პროცესს. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით არსებული გამონაკვეთები მრავალფეროვანია, რაც შეიძლება განპირობებული იყოს სამართლებრივ სისტემებში განსხვავებულობით,

1 Csongor István Nagy, Cross-Border Litigation in Central Europe: EU Private International Law Before National Courts, Kluwer Law International, 2022, 10-20.

2 Opinion 1/03 Opinion pursuant to Article 300(6) EC _ xelmisawvdomia aq: <https://shorturl.at/bcyBD> (ukanasknelad gadamowmda 2024 wlis 04 Tebervals).

3 Treaty of Amsterdam amending the Treaty on European Union, the Treaties establishing the European Communities and certain related acts, 2 October 1997, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/jEJR1> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

4 Enforcement of foreign judgments, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/iwK05> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

5 კაჟაშვილი გ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი N1, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2018, 296-300.

კულტურული უთანასწორობის ან თუნდაც ქვეყნებს შორის პოლიტიკური დაძაბულობის გამო. განსხვავებული მიდგომა განსაკუთრებით იგრძნობა მაშინ, თუკი საქმე ეხება საოჯახო სამართლის დავებს, რომელზეც შეიძლება დაწესებული იყოს სპეციალური პროცედურები, ვინაიდან თითოეული ქვეყნის სამართლებრივ სისტემას აქვს თავისი სპეციფიკურობა და სირთულე, რაც გავლენას ახდენს უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებაზე.

ამერიკის შემთხვევაში უცხოური ქვეყნის ან აშშ-ის სხვა შტატის ყოველი გადაწყვეტილება განიხილება, როგორც „უცხო გადაწყვეტილება“, რომელიც არ შეიძლება აღსრულდეს წინასწარი სასამართლო მოქმედების გარეშე, რომელიც „ალიარებს“ ამ გადაწყვეტილებას, როგორც შიდასახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას. ამასთან, სრული რწმენის და ნდობის საფუძველზე, აშშ-ის ნებისმიერ შტატში ან ფედერალურ სასამართლოში გამოტანილ გადაწყვეტილებას ენიჭება იგივე ალიარება და სამართლებრივი შედეგი აშშ-ს ნებისმიერ სხვა სასამართლოში.¹ ეს მიდგომა არ ვრცელდება უცხო ქვეყნების სასამართლოებში გამოტანილ გადაწყვეტილებებზე. აღნიშნულთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ ერთა თანამეგობრობის პრინციპმა გამოავლინა ალიარების მომხრე დამოკიდებულება აშშ-ს სასამართლოებში, ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების არარსებობის შემთხვევაშიც კი.² კოლუმბიის ოლქმა, ჩრდილოეთ მარიანას კუნძულებმა და აშშ-ს ვირჯინიის კუნძულებმა მიიღეს უცხოური გადაწყვეტილების ერთიანი აღსრულების აქტი (UEFJA), 13 U.L.A. 261 (1986), რომელიც მოითხოვს, რომ შესრულდეს სხვა სახელმწიფოებისა და ტერიტორიების გადაწყვეტილებები. იგი ფაქტობრივად ადგენს გამარტივებულ პროცედურას ერთ სახელმწიფოში მიღებული გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისთვის სხვა სახელმწიფოს სასამართლოებში. UEFJA უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების დროს ხელს უწყობს ამ პროცესის ეფექტურობასა და თანმიმდევრულობას. აშშ-ს შტატები, რომლებსაც არ მიუღიათ უცხოური გადაწყვეტილებების ერთიანი აღსრულების აქტი, არის კალიფორნია და ვერმონტი.

საფრანგეთში უცხოური გადაწყვეტილებების ალიარება და აღსრულება რეგულირდება როგორც საერთაშორისო კონვენციებით, ასევე შიდა რეგულაციებით. საფრანგეთმა მოახდინა რამდენიმე საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც ხელს უწყობს უცხოური გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას. ბრიუსელის I რეგულაცია არის ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი კონვენცია³, რომელიც არეგულირებს გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას სამოქალაქო და კომერციულ საკითხებში. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (Code de Procédure Civile) ეხება უცხოური გადაწყვეტილებების ალიარებასა და აღსრულებას. ეს კოდექსი ასახავს პროცედურებს, პირობებს და კრიტერიუმებს, რომლებიც აუცილებელია უცხოური სასამართლოებიდან მიღებული გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისთვის. კერძოდ, კოდექსის 509-ე მუხლში ნათქვამია, რომ უცხოური გადაწყვეტილება შეიძლება ალიარდეს და აღსრულდეს საფრანგეთში, თუ ის აკმაყოფილებს გარკვეულ პირობებს, მათ შორის საერთაშორისო კონვენციებთან შესაბამისობას, წარმოშობის ქვეყანასთან ურთიერთობასა და საფრანგეთის საჯარო წესრიგთან შესაბამისობას. აღსრულების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს აღსრულების დეკლარაციის (ეგზეკუტურის) საფუძველზე, თუ მოქმედი საერთაშორისო დოკუმენტი არ ითვალისწინებს, რომ ეგზეკუტური არ არის აუცილებელი. აღნიშნული უნდა გამოსცეს სამოქალაქო სასამართლომ (Tribunal de Grande Instance) იმ ადგილის, სადაც იმყოფება

1 Article IV, Constitution of the United States, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/kmz67> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

2 Dannis campbell, Enforcement of foreing judgements, 1997, 128.

3 Delphine Eskenazi, Admitted to the New York and Paris Bars, Partner, Libra Avocats, THE ENFORCEMENT OF FOREIGN JUDGMENTS IN FRANCE, 6, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/fwzJP> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

პირი, რომლის მიმართაც აღსრულების მოთხოვნაა დაყენებული. ფრანგული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი იძლევა საშუალებას, განზოგადდეს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების კრიტერიუმები. პირველია განსახილველ საქმესა და უცხოელ მოსამართლეს შორის კავშირი, საფრანგეთის იურისდიქციის დარღვევის არარსებობა და თავსებადობა საფრანგეთის საჯარო წესრიგთან.¹

კანადის შემთხვევაში, იმისათვის, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება მოხდეს, უცხოური გადაწყვეტილებები უნდა აკმაყოფილებდეს სამ წინაპირობას. პირველი, უცხოური გადაწყვეტილებები აღსრულება მხოლოდ კანადაში, თუ ისინი გამომდინარეობს საბოლოო გადაწყვეტილებიდან. საბოლოოში იგულისხმება ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც შეცვლას აღარ ექვემდებარება უცხოური სასამართლოს მიერ. სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება შეცვალოს გადაწყვეტილება ან ხელახლა განიხილოს საკითხი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ არსებობს უცხოური იურისდიქციაში დაყენებული მოთხოვნის შეჩერების ავტომატური უფლება და არც ის ფაქტი, რომ საქმის გასაჩივრება რაიმე გავლენას ახდენს მის საბოლოო შედეგზე და შესაბამისად აღსრულებაზე. ფაქტორები, რომლებსაც სასამართლოები განიხილავენ ამ ვითარებაში ეხება იმას, მოთხოვნა დროულად არის თუ არა დაყენებული და დაზარალებული თუ არა რომელიმე მხარე შეჩერების შედეგად. მეორე, უცხოური გადაწყვეტილება უნდა იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი სახის და ბოლოს, მესამე, უცხოურ სასამართლოს, რომელმაც გადაწყვეტილება გამოიტანა, უნდა ჰქონდეს კომპეტენცია დავის საგანზე. უცხოური სასამართლოს იურისდიქცია ფასდება არა საკუთარი წესებით, არამედ კანადის აღიარებისა და აღსრულების სპეციფიკური ტესტებით.²

გერმანია, როგორც ევროკავშირის ნაწილი, არის 2005 წლის 30 ივნისის ჰააგის სასამართლოს საარჩევნო კონვენციის მხარე³, რომელიც ადგენს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების რეჟიმს იმ საქმეებზე, რომლებიც რეგულირდება სასამართლოს არჩევის შესახებ შეთანხმებების, ხელშემკვრელი სახელმწიფოსთან. კონვენცია განსაზღვრავს, რომ გამოიყენება იმ სახელმწიფოს ცნობისა და აღსრულების წესები, სადაც ითხოვენ აღნიშნულს. თუმცა, აღიარებაზე და აღსრულებაზე უარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კონვენციაში კონკრეტულად ჩამოთვლილ საფუძვლებს. კონვენცია ვრცელდება დანიაზე, მექსიკაზე, მონტენეგროზე, სინგაპურზე და – ევროკავშირიდან მისი გასვლის შემდეგ – გაერთიანებულ სამეფოზე. იმ შემთხვევაში, თუ არც ევროკავშირის კანონები და არც საერთაშორისო ხელშეკრულებები არ გამოიყენება (ან თუ ისინი ტოვებენ ადგილს შიდა კანონმდებლობის გამოყენებისთვის), გერმანიის სასამართლოები იყენებენ გერმანიის შიდა კანონმდებლობას უცხოური გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულებისთვის. უცხოური გადაწყვეტილებების ცნობა რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (ZPO) 328-ე მუხლით. აღსრულება რეგულირდება ძჭ-ს 722-ე და 723-ე მუხლებით.⁴ ცნობისა და სააღსრულებო წარმოების დაწყების სპეციალური ხანდაზმულობის ვადა არ არსებობს. ზოგიერთი ვარაუდობს, რომ გერმანიის სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ კანონით დადგენილი 30-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც ვრცელდება გერმანიის სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებზე თუმცა, ამ საკითხზე სასამართლო პრაქტიკა არ

1 Is there an exequatur procedure? CMS law-tax-future, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/HJV2> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

2 Craig Lockwood, Adam Hirsh, Enforcing Foreign Judgments in Canada, Osler, April 2023, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/ikmNZ> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

3 Convention of 30 June 2005 on Choice of Court Agreements, HCCH, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/tuAQW> (ukanasknelad gadamowmda 2024 wlis 04 Tebervals).

4 Article 328, 722, 723, Zivilprozessordnung, Bunderministerium der justiz, ხელმისაწვდომია აქ: <https://shorturl.at/mwyS6> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

არის მდიდარი.¹ გერმანიის და ზოგადად ევროკავშირის კანონმდებლობა ითვალისწინებს რევისიონ აუ ფონდ-ის ზოგად აკრძალვას (ანუ, სასამართლო არ განიხილავს უცხოურ გადაწყვეტილების მატერიალურ სისწორეს). **Révision au fond**-ის აკრძალვა მოიცავს დაცვას ფაქტების დადგენის პროცესთან და კანონის გამოყენებასთან მიმართებით. მაგალითად, ინგლისში არსებობს აცტიონ უპონ ჯუდგემენტ პრინციპი, რომელიც გულისხმობს უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობასა და აღსასრულებლად გამოცხადებას სარჩელის საფუძველზე. გამოდის, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილება მოვალის „სამართლებრივ ვალდებულებადაა („legal obligation“) აღქმული, აღნიშნული კი პირობითაც, კრედიტორის მიერ აღსრულებული უნდა იყოს „დავალიანების გადახდის სარჩელით“ („action of debt“). ცხადია ამ პრინციპის მოქმედება არ გულისხმობს ზემოთ განხილული **Révision au fond**-ის პრინციპთან წინააღმდეგობას, ვინაიდან ამ დროს არ ხდება უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი და შინაარსობრივი გადამოწმება.² ამასთან უნდა ითქვას, რომ გერმანიის სასამართლო განიხილავს უცხოური გადაწყვეტილების შედეგს, რათა დაადგინოს, არღვევს თუ არა იგი გერმანიის საჯარო წესრიგს. თუ უცხოური გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ფაქტები და გარემოებები გამოიკვეთა, შეიძლება ეს ახალი ფაქტები წარედგინოს გერმანიის სასამართლოს, რათა დადგინდეს, რომ გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება არღვევს გერმანიის საჯარო წესრიგს. თუ (არაევროკავშირის) უცხოური გადაწყვეტილება აღსრულება შიდა კანონმდებლობით, კერძოდ, აღიარებისა და აღსრულების აღსრულების აქტით (**AVAG**) (რომელიც ძირითადად არის ეს პარტე პროცესი)³, აღსრულება ძირითადად შემოიფარგლება დამცავი ზომებით მოვალის ვადის დასრულებამდე. მოთხოვნის საფუძველზე სასამართლოებს შეუძლიათ გააგრძელონ აღსრულების ეს შეზღუდვა შემდეგ გასაჩივრებამდე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).⁴ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების დროს სასამართლო ხარჯები და მხარეთა ხარჯები (ადვოკატის საფასურის ჩათვლით) შეიძლება ანაზღაურდეს მოვალისგან. თუმცა, ადვოკატის საფასურის ანაზღაურება შემოიფარგლება კანონით დადგენილი საფასურით, რომელიც ანაზღაურდება ადვოკატთა ანაზღაურების შესახებ გერმანიის აქტის შესაბამისად. ამ მიზნით, საყურადღებოა, რომ ამ კანონით დადგენილი საფასური განისაზღვრება სადავო თანხით და იგი შეიძლება იყოს მნიშვნელოვნად დაბალი ვიდრე რეალურად განეული საადვოკატო მომსახურება.⁵

ზოგადად, მას შემდეგ, რაც სასამართლო კონკრეტული პირის მიმართ მიიღებს მის სასარგებლოდ გადაწყვეტილებას, ეს გადაწყვეტილება ავტომატურად აღიარებულია ევროკავშირის ყველა ქვეყანაში. ხოლო გადაწყვეტილების ცნობასა და აღიარებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

1 Germany: Enforcement of Judgments in Civil and Commercial Matters, Legal 500, ხელმისაწვდომია აქ: <https://t.ly/08Znp> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

2 STEPHEN MOI and others, ENGLISH HIGH COURT ENFORCES FOREIGN JUDGMENT THAT IS UNENFORCEABLE IN THE JURISDICTION OF ORIGIN, Mayer/Brown, 20 DECEMBER 2023, ხელმისაწვდომია აქ: <https://t.ly/1fNtN>, (ukanasknelad gadamowmda 2024 wlis 04 Tebervals).

3 Execution judiciaire en Europe, E-note 1 _ The prerequisites for execution, The basic general requirements for enforcement, ხელმისაწვდომია: <https://www.europe-eje.eu/en> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

4 Oliver Browne and others, Enforcement of foreign judgements 2022, Latham&Watkins LLP, Foreign Judgments 2022, Lexology, 39-46, ხელმისაწვდომია აქ: <http://tinyurl.com/wrcsjmj7> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

5 Act on the Remuneration of Lawyers (Rechtsanwaltsvergütungsgesetz _ RVG) ხელმისაწვდომია აქ: <http://tinyurl.com/3eede6cu> (უკანასკნელად გადამოწმდა 2024 წლის 04 თებერვალს).

5. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს უზენაეს სასამართლოს, 2022 წლის 21 ნოემბერს, განცხადებით მიმართა ბავშვების მამის წარმომადგენელმა და განმარტა, რომ 2022 წლის 28 ოქტომბერს, თბილისში, მოპასუხემ სკოლიდან გაიტაცა ბავშვები და მათზე ზენოლის შედეგად მიღებული ჩვენებებით ბავშვების მამას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. არც პროკურატურის და არც შს ორგანოები არ ასრულებდნენ უზენაესი სასამართლოს განჩინებას და ბავშვები მოძალადე დედასთან ერთად იყვნენ. დედის მოძალადეობა დადასტურებული იყო არაერთი გადანყვეტილებით და, ასევე, საჯაროდ გავრცელებული კადრებით, რომლებიც დედის აგრესიულ ხასიათს ადასტურებს. განმცხადებლის განმარტებით, გარდა შს სამინისტროს და პროკურატურისა, სსიპ სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს არაერთხელ მიმართეს ბავშვების დაცვის მიზნით მათი მოძალადე დედისგან განცალკევების მიზნით. განმცხადებლის წარმომადგენელი მოითხოვდა უზენაეს სასამართლოს გაეცა სააღსრულებო ფურცელი, რომლითაც მეურვეობის ორგანო და სხვა პირები აღასრულებდნენ სასამართლოს გადანყვეტილებას, რომლითაც ბავშვების დედას მშობლის უფლებები შეზღუდული ჰქონდა. ამასთან, განმცხადებლის წარმომადგენელი ითხოვდა განმარტებას, თუ რას მოიაზრებდა სასამართლო მშობლის უფლებების შეზღუდვაში. ბავშვების მამის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსიპ სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო ითხოვდა სააღსრულებო ფურცელსა და მშობლის უფლების შეზღუდვის ფარგლების განმარტებას. განმცხადებლის განმარტებით, სააგენტოს პოზიცია, ასევე, გასაკვირი იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ასაიდუმლოებდნენ გატაცებული ბავშვების ადგილსამყოფელს მიუხედავად იმისა, რომ დედას, რომელთანაც იმყოფებოდნენ ბავშვები, რუსეთის ფედერაციის საოჯახო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, შეზღუდული ჰქონდა მშობლის უფლებები, და შესაბამისად, ბავშვებთან ურთიერთობის უფლება არ უნდა ჰქონოდა.

საქმე მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ იგი ეხება არასრულწლოვანებს და მათ საუკეთესო ინტერესებს, ასევე ჩვენს მიერ განხილულ **revision au fond**-ის პრინციპს ეხება და მოცემულია შესაბამისი განმარტებები. უფრო კონკრეტულად, აღნიშნულ საქმეზე საკასაციო სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილება, იმ ნაწილში, რომლითაც ბავშვების დედას მშობლის უფლებები შეეზღუდა. თუმცა, გადანყვეტილებაშივეა განმარტებული, რომ სასამართლოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე საცნობი უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილების ცნობა არ ნიშნავს საქმის არსებითი გარემოებების განხილვას, ფაქტების დადგენას და ხელმეორედ კვლევას. ვინაიდან, უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების განმარტება და დამატებითი გადანყვეტილების მიღება, წინააღმდეგობაში მოდის **revision au fond**-ის აკრძალვის სახელით ცნობილ პრინციპთან. აღნიშნული პრინციპი, როგორც ზემოთ უკვე განვიხილეთ, კრძალავს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადანყვეტილების შინაარსობრივ გადამოწმებას. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო, ზემოთ მოხმობილი სამართლებრივი ნორმებისა და იმ არგუმენტაციის გათვალისწინებით, რასაც ბავშვების მამის წარმომადგენელი აცხადებდა, მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო სააღსრულებო ფურცლის გაცემის კანონით დადგენილი წინაპირობები. საკასაციო განჩინების სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავდა იმგვარ დასკვნას, რომლის აღსრულებაც შესაძლებელი იყო. ამ განჩინებით საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადანყვეტილების იმ ნაწილის ცნობა/აღიარება მოხდა, რასაც ბავშვების მამა მოითხოვდა. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 6 ივლისის განჩინების სარეზოლუციო

ნაწილი არ შეიცავდა აღსრულებად დებულებას, შესაბამისად, განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე უარყო.¹

კიდევ ერთ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაჭრობის საქმეთა პალატამ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ე. ბ-ის შუამდგომლობა გერმანიის, ქ. ჰ-ს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002წ. 30 იანვრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ მოქალაქე მ. ო-ის მიმართ განქორწინების თაობაზე. 2003 წ. 29 სექტემბრის საქმის მასალებიდან დგინდება, რომ ე. ბ-ე და მ. ო-ი რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდნენ საქართველოში, 1996წ. 22 აგვისტოს. 1999წ. 6 სექტემბერს მათ შეეძინათ შვილი – ე. 2001წ. 15 იანვრიდან მხარეთა შორის ქორწინება ფაქტობრივად შეწყდა და ისინი ერთ ნელზე მეტი ხანი ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, რის შემდეგაც ე. ბ-მ მიმართა გერმანიის, ქ. ჰ-ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს და მოითხოვა განქორწინება, მ. ო-მა სარჩელს მხარი დაუჭირა. აღნიშნული სასამართლოს 2002წ. 30 იანვრის განაჩენით ქორწინება მხარეთა შორის შეწყდა, ხოლო მათ შვილზე მზრუნველობა, მხარეთა შეთანხმებით დაეკისრა ე. ბ-ეს. ზემოხსენებული განაჩენი კანონიერ ძალაში შევიდა 2002წ. 20 მარტიდან. ე. ბ-მ შუამდგომლობებით მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს გერმანიის, ქ. ჰ-ეს პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002წ. 30 იანვრის განაჩენის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობის შესახებ. პალატამ დააკმაყოფილა მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა და იხელმძღვანელა „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლებით, სსკ-ს 284-ე მუხლით, „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა შესახებ“ 1993წ. მინსკის კონვენციით. წინამდებარე საქმე იმითაა საინტერესო, რომ საოჯახო სამართლებრივი დავების კატეგორიას მიეკუთვნება და მოიცავს მხოლოდ ცნობას და არა აღსრულებას. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი სახის აქტს, თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ სჭირდება აღსრულება. გამოდის, რომ სასამართლოს მიერ მოხდა იურიდიული ფაქტის დადასტურება, რომ მითითებულ პირებს შორის ქორწინება შეწყვეტილია და აღარ არსებობს. თუმცა საქმეში მეტად საინტერესო ისაა, რომ საკასაციო სასამართლომ სხვა დანარჩენთან ერთად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, იხელმძღვანელა მინსკის კონვენციით, გერმანია კი ამ კონვენციის წევრი არ არის და შესაბამისად, აღნიშნულის მითითება ბევრ კითხვას ბადებს.²

დასკვნა

უცხოური სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობის ქვაკუთხედს, სამართლებრივი უსაფრთხოების ხელშეწყობასა და საზღვრებს მიღმა სამართლიანობის დაცვაში. აღნიშნული წარმოადგენს გლობალურად ურთიერთდაკავშირებულ გარიგებებს, რომლებიც მუდმივად განიცდის ტრანსსასაზღვრო გავლენას, რაც შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით. გარკვეულწილად, უცხოური გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება გარკვეულ ნდობას წარმოშობს სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობისას. გარდა ამისა, ბუნებრივია, ის უზრუნველყოფს ფიზიკური პირების გარანტიას, რომ მათი უფლებები და მოვალეობები დაცულ იქნება შიდა საზღვრების მიღმა. გარდა ზემოთ ხსენებულისა, ეს პროცესი გადამწყვეტ როლს ასრულებს ეკონომიკური ზრდისა და ტრანსსასაზღვრო ინვესტიციების წახალისებაში ვინაიდან, მხარეებს საშუალება აქვთ ჩაერთონ გლობალურ

¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქმე №ა-1522-შ-44-2022 28 ნოემბერი, 2022.

² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №ა-1226-შ-71-03 29 სექტემბერი, 2003.

ვაჭრობაში იმ მოლოდინით, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებები შესრულდება, რაც ხელს უწყობს სახელმწიფოთა ეკონომიკურ განვითარებას. ფაქტობრივად, უცხოური სასამართლოების გადაწყვეტილებათა ცნობა და აღიარება ადასტურებს ერების საერთო ვალდებულებას კანონის უზენაესობის დაცვისა და მრავალფეროვან სამართლებრივი სისტემების ურთიერთპატივისცემაზე. თანადროულად, ვინაიდან სამართლის სფეროს განვითარების ტემპი დინამიკურობით ხასიათდება, უცხოური გადაწყვეტილების ცნობისა და აღიარების სამართლებრივი მექანიზმებიც მუდმივად საჭიროებენ დახვეწას, რომელიც საბოლოო ჯამში ქმნის გლობალურად სამართლიანობის ხელშემწყობ ლანდშაფტს. ამ საკითხის მნიშვნელობასთან ერთად გასათვალისწინებელია და არსებითი მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოთა სუვერენიტეტი, რომელიც განასახიერებს ერის დამოუკიდებელ ავტორიტეტს და ავტონომიას მის ტერიტორიულ საზღვრებში. ცხადია, აღნიშნულს გარკვეული სირთულეები შემოაქვს გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების პროცესში, რაც განპირობებულია სამართლებრივი სისტემების, კულტურული ნორმების და საჯარო წესრიგის განსხვავებული ინტერპრეტაციებით. სახელმწიფოებს უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი სუვერენული უფლება – უარი თქვან უცხოური ქვეყნის გადაწყვეტილების აღსრულებაზე, თუ იგი ეწინააღმდეგება მათ საჯარო წესრიგს. საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები კი სწორედ ცდილობენ ამ გამოწვევების შერბილებას ორმხრივი აღიარებისა და აღსრულების ჩარჩოების შექმნით. შესაბამისად, შეთანხმებები ემსახურება სახელმწიფოთა შორის ჰარმონიზაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობას მათი სუვერენიტეტის პატივისცემით. გარდა ამისა, დიპლომატიური ურთიერთობებისა და ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების როლი შემდგომ გავლენას ახდენს სუვერენიტეტის პრაქტიკულ გამოყენებაზე ცნობისა და აღსრულების წარმოებაში. არსებითად, სახელმწიფო სუვერენიტეტი მოქმედებს, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი, რომელიც აყალიბებს უცხოური გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების სისტემას. იგი წარმოადგენს როგორც უფლებამოსილებას, ასევე დისკრეციას ერების უფლებამოსილებას საერთაშორისო სამართლის სირთულეებთან მიმართებით, რომელთა ავტონომიასაც აბალანსებს გლობალურ სამართლებრივ ჩარჩოში სახელმწიფოთა თანამშრომლობა.

მნიშვნელოვანმა განსხვავებებმა სამართლებრივ პრინციპებში, განსაკუთრებით კი სამოქალაქო სამართლისა და საერთო სამართლის სისტემებში, შეიძლება შექმნას ბარიერები უცხოური გადაწყვეტილებების აღსრულებაში. მაშინაც კი, როდესაც უცხოური გადაწყვეტილების აღიარება ხდება, მისი აღსრულების პროცესი შეიძლება გართულდეს და დაექვემდებაროს ადგილობრივ კანონებსა და პროცედურებს.

ძირითადი პრინციპების აღიზი და როლი საქართველოს სამოქალაქო სა- როცესო სამართალში

(შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)

აბსტრაქტი

სამართლის მეცნიერება პერმანენტულ გამოცდასა და გაუმჯობესებას განიცდის. იური-
დიულ დოქტრინაში დისპოზიციურობა შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა უნივერსა-
ლურ პრინციპებად გვევლინება. ისინი განსაზღვრავენ საპროცესო სისტემის სამართლებრივი
რეგულირების საფუძვლებს, რომლებიც ვრცელდება სასამართლო პროცესის ყველა ფორმაზე,
მათ შორის საკონსტიტუციო, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლის სამართლის, და
საარბიტრაჟო საქმეებზე. უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას და მიუკერ-
ძობლობას. სახელმწიფოში ობიექტურობა და თანასწორობა პირდაპირ დამოკიდებულია ამ
პრინციპის განხორციელებაზე. მათი შემდგომი საკანონმდებლო დონეზე გატარება საშუალე-
ბას მოგვცემს მოვასდინოთ მათი კონსოლიდირება ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობებ-
თან. ამ საკვალიფიკაციო ნაშრომის მიზანია მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის
უფლებების პრინციპის კონცეპტუალური საფუძვლების შესწავლა. კერძოდ, სამოქალაქო
სამართალწარმოებაში მისი განხორციელების თავისებურებების ანალიზი. ზოგადი შედეგის და
ასევე სიღრმისეული დასკვნისათვის საჭიროა მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის
პრინციპის კონცეფციის ანალიზი, მათი ბუნების დადგენა; სამოქალაქო სამართალწარმოებაში
მხარეების ამ პრინციპის ფუნქციური მახასიათებლების გაშუქება, როგორც სამოქალაქო სა-
მართალწარმოების ამოცანების გადაწყვეტის საპროცესო მექანიზმი. სასამართლოს როლი ამ
ფუნქციონირების პრინციპების გატარებაში უდავოდ დიდია. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია
სასამართლოს საქმიანობის ხარისხის დადგენა სამოქალაქო წარმოებაში. ასევე სამოქალაქო
პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპის კონსოლიდაციისა და
განხორციელების ფორმების გამოვლენა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია დის-
პოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების სრული გათვალისწინებით და შეიცავს
ისეთ ნორმებსაც, რომლებიც ადრე მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებთან
შედარებით, განსხვავებულად ანესრიგებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებას, სამოქალაქო
საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილ საპროცესო ურთიერთობებს.

შესავალი

საბჭოური სამართლის სისტემის დაშლამ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გა-
დასვლამ, განსაკუთრებულად შეუწყო ხელი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების
ჩამოყალიბებას. ამის გამოხატულებას წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო და მატერია-
ლური სამართლის კოდექსების მიღება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია დის-
პოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების სრული გათვალისწინებით და შეიცავს

ისეთ ნორმებსაც, რომლებიც ადრე მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმებთან შედარებით, განსხვავებულად აწესრიგებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებას, სამოქალაქო საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილ საპროცესო ურთიერთობებს.¹

1. სამოქალაქო გარტოლსაჯულების განხორციელების პრინციპები 1964 წლის სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებული იყო სამძებრო პრინციპებზე. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები დეკლარირებული იყო ამ კოდექსით, მაგრამ ისინი პარალიზებული იყო ობიექტური ჭეშმარიტების პრინციპებით. გარდა ამისა, სასამართლოს ევალებოდა მიეღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოერკვია საქმის ნამდვილი გარემოებანი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი.² პრინციპები, როგორც დამხმარე სტრუქტურა, მთელი სამართლებრივი სისტემის ბირთვია. ისინი ქმნიან კანონმდებლობის ერთგვარ სახელმძღვანელოს, რომელიც გავლენას ახდენენ ნორმატიული აქტების მომზადებისა და გამოცემის მთელ პროცესზე. ამიტომაც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა პრინციპი არის სამართლიანობისათვის მნიშვნელოვანი, დემოკრატიულობისა და სიმყარის გარანტი სამოქალაქო საკითხებში. სამოქალაქო საქმეების განხილვისა და გადაწყვეტისას, სასამართლო ეყრდნობა არა მხოლოდ კონკრეტულ სამოქალაქო საპროცესო წესებს, არამედ საპროცესო სამართლის პრინციპებს. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა ნორმის ინტერპრეტაცია ხორციელდება იურიდიული პრინციპების გათვალისწინებით, რაც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს იცოდეს ამ წესების ჭეშმარიტი მნიშვნელობა, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს სასამართლოს კანონიერი და გონივრული გადაწყვეტილების მიღებას.³ პროცესის პრინციპები განმტკიცებულია სამართლებრივი ნორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს. კონკრეტულ სამოქალაქო საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს პროცესის პრინციპების უგულვებელყოფა ან დარღვევა ან გადაწყვეტილების გამოტანა იმ მოსამართლის მიერ, რომელიც არ მონაწილეობდა საქმის განხილვაში, მიჩნეულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო პრინციპების არსებით დარღვევად, რომელიც იწვევს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას.⁴

სამართლის პრინციპი წარმოადგენს იდეას, რომელიც ასახავს საზოგადოების წარმოდგენას რაღაც იდეალზე, რომლის თანახმადაც უნდა განხორციელდეს სამართლებრივი რეგულირება. ყოველი სამართლის პრინციპის არსს წარმოადგენს სოციალური ღირებულება, რომელსაც სამართლებრივი საშუალებებით გაფრთხილება და დაცვა სჭირდება. სამოქალაქო სამართლის პრინციპები დაჯგუფებულია მათი როლისა და დანიშნულების მიხედვით მართლმსაჯულების განხორციელებაში. სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაში იყენებენ სხვადასხვა ცნებას, განსაზღვრებას, კატეგორიას, რომლებიც შემუშავებულია ხანგრძლივი პერიოდის (დროის) განმავლობაში სამოქალაქო საპროცესო სამართლის თეორიაში. ასეთ სამართლებრივ კატეგორიებს მიეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები. სიტყვა „პრინციპი“ წარმოდგება ლათინურიდან და სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ნიშნავს „საფუძველს“, „საწყისს“, ზოგად დებულებას, განყენებულ ცნებას, რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ძირითადად ამოსავალ (სახელმძღვანელო)

1 ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ., 2007, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გვ. 7.

2 სოფერია ნ., 1999, შეჯიბრებითობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გვ.18-19.

3 Landsman S., A Brief Survey of the Development of the Adversary System, Ohio State Law Journal, Vol. 44, 1983, 713.

4 Семенов В.М., 1982, Конституционные принципы гражданского судопроизводства, стр.110.

დებულებას, სახელმძღვანელო იდეას. პროფესორ ავდიუკოვის მოსაზრებით სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპები, ყოველთვის სამართლის კონკრეტულ ნორმებში უნდა იქნეს განმტკიცებული, ან იგი განზოგადებული (აბსტრაქტიზებული) უნდა იქნეს მოქმედი სამართლის ნორმებიდან.¹

2. დისპოზიციურობის პრინციპი

დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში, რომელიც სამოქალაქო მატერიალური სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის – ნების ავტონომიის ანარეკლია, ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგოს თავისი არამართო მატერიალური, არამედ საპროცესო უფლებები. დისპოზიციურობის პრინციპზეა აგებული მთელი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.² ფრანგი ადმინისტრაცივისტი გუი ბრებანი აღნიშნავს წერილობითი საქმისწარმოების პრინციპთან დაკავშირებით, რომელშიც იგულისხმება საქმის განხილვა მხოლოდ განცხადებასა თუ სარჩელში აღნიშნული გარემოებების გამო, მხოლოდ იმ დოკუმენტებითა და მოთხოვნების გარშემო, რომელიც საქმეშია წერილობით წარმოდგენილი, აქედან გამომდინარე, სასამართლოს ამ პრინციპის თანახმად, არ შეუძლია დამატებითი გამოძიება ჩაატაროს და გადაწყვიტოს მმართველობის საკითხები, ან საქმის სხვა მხარეები, რომლებიც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ გამომდინარეობს.³

3. დისპოზიცია გერმანული სამოქალაქო საპროცესო საპართლის მიხედვით

გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის პრინციპი წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს სამართლებრივ პრინციპს, რომელიც ასახულია მრავალ საკანონმდებლო რეგულაციაში. ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართლის მსგავსად, დისპოზიციურობის პრინციპი გერმანულ სამართალშიც შეუზღუდავად მოქმედებს. წარმოების დანებისას და დავის საგნის განსაზღვრისას. სამართალწარმოების პროცესის ფორმირება გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, როგორც წესი, მოსამართლის ძირითადი მოვალეობაა.⁴ გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დისპოზიციურობის პრინციპზე ვრცელდება გარკვეული შეზღუდვები, რაც მომდინარეობს, ნაწილობრივ, საკანონმდებლო დებულებებიდან და, ნაწილობრივ, სასამართლო პრაქტიკიდან.⁵

4. დისპოზიციურობის პრინციპი მოქმედებაში

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში დისპოზიციურობის პრინციპი ვლინდება შემდეგ ინსტრუმენტებში:

ა) მხარეთა მორიგება დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მხარეები უფლებამოსილნი არიან თავად განსაზღვრონ აღსასრულებელი აქტით (განჩინებით) დამტკიცებული შეთანხმების პირობები და მორიგების გზით დაასრულონ დავა.⁶

ბ) სარჩელზე უარი – როგორც სარჩელის სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაა დისპოზიციურობის გამოვლინება, ასევე სარჩელზე უარიც მოსარჩელის დისპოზიციური

1 ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ., 2015, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გვ. 89-91.

2 კაჟაშვილი გ., 2018, საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც აღსრულებადი გადანყვებილების მიღების წინაპირობა, გვ. 20.

3 ღვამიჩავა თ., 2017, საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში, გვ. 49.

4 ჰაგენლოხ უ., 2020, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები რჩეული მუხლები, გვ. 15-16.

5 იქვე, გვ. 20.

6 გოგიშვილი მ., სულხანიშვილი მ., მესხიშვილი ქ., 2010, ურთიერთობები სასამართლო სხდომის დარბაზში.

უფლებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეს (მოსარჩელეს) ნებისმიერ დროს აქვს უფლება, უარი თქვას თავის სასარჩელო მოთხოვნაზე. მხარე უფლებამოსილია, უარი თქვას, როგორც მთლიან სასარჩელო მოთხოვნაზე, ისე მის ნაწილზე.¹ თუმცა, ნიშანდობლივია, რომ სასამართლომ მოსარჩელისათვის იმ სამართლებრივი შედეგების განმარტება უნდა უზრუნველყოს, რომელიც სარჩელზე უარს სდევს თან. ამასთან, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხარის ნამდვილი ნება, თუ რას ითხოვს იგი და რა სამართლებრივ შედეგს უკავშირებს იგი თავისი პროცესუალური უფლების რეალიზებას.²

გ) სარჩელის ცნობა – დისპოზიციურობა, როგორც ნების ავტონომიის საპროცესო გამოხატულება, გულისხმობს პირის უფლებას, თავად გადაწყვიტოს დაიცვას, თუ არა სასამართლო წესით თავისი უფლება, თავად განსაზღვროს, დავის საგანი და დაასახელოს დავაზე პასუხისმგებელი სუბიექტი. მოსარჩელეს შეუძლია ასევე უარი თქვას სარჩელზე. საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილ უფლებათა უმეტესი ნაწილი მოსარჩელისკენაა მიმართული, თუმცა, პირთა თანასწორობაზე დამყარებული სამოქალაქო საპროცესო სამართალი ანალოგიურ პირობებს უქმნის მოპასუხეს და ადგენს მის უფლებას, შეთანხმების შემთხვევაში, დავა მორიგებით დაასრულოს, მას ასევე შეუძლია ცნოს სარჩელი.³

დ) სარჩელის გამოხმობა – მართალია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში სარჩელის გამოხმობის უფლება ცალკე სახელდებით მოცემული არ არის, თუმცა, სარჩელის გამოხმობის უფლებაც დისპოზიციურობის პრინციპის გამოვლინებაა, რა დროსაც, მოსარჩელე მის მიერ ინიცირებულ სასარჩელო წარმოებაზე უარს ამბობს, თუმცა, აღნიშნული უარი დროებითი ხასიათისაა და მოსარჩელეს იმავე დავაზე იმავე საფუძვლითა და იმავე მხარის მიმართ სარჩელის ხელახლა აღძვრის უფლებას უტოვებს.⁴ სწორედ სარჩელის გამოხმობის პროცესუალურ არსს გამოხატავს ის სამართლებრივი შედეგი, რაც სარჩელის გამოხმობას სდევს თან, კერძოდ, სარჩელის გამოხმობის შედეგად სარჩელი განუხილველად რჩება, რაც მხარეს იმავე სარჩელით სასამართლოსათვის კვლავ მიმართვის უფლებას უტოვებს, რაც არსებითად განსხვავდება, სარჩელზე უარის თქმის საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტისაგან, რომლის მიხედვითაც, სარჩელზე უარის თქმის შედეგად სარჩელზე წარმოება წყდება. ასეთ შემთხვევაში, დავა იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია.⁵

5. შეჯიბრებითობის პრინციპი, სამოქალაქო პროცესში

შეჯიბრებითობას, ამ უძველეს პრინციპს ჯერ კიდევ რომაელები იყენებდნენ, რომელსაც უწოდებდნენ „აუდიატურ ეტ ალტერა პარს“, რაც ნიშნავს პროცესის მონაწილე მხარეების თანასწორობა.⁶ განსხვავება შეჯიბრებითობისა და სამძებრო პრინციპებს შორის სათავეს იღებს ჩვენი წელთაღრიცხვის მე-12 საუკუნის ევროპის სამართლიდან. მაგალითად, შეჯიბრებითობის პრინციპის გამოვლინებად არის მიჩნეული ის, რომ პროცესი შეიძლებოდა ინიცირებული ყოფილიყო, მხოლოდ კერძო პირის სარჩელის წარდგინებით. ეს იმ დროს, როდესაც ინკვიზიციური წარმოება შეიძლებოდა დაწყებულიყო სასამართლო სისტემის მიერ ე.წ. „ეს ოფიცო“ იგივე „პროცესი ინკვიზიციურად“. ამ ცნებების მნიშვნელობა შეიცვალა უფრო გვიანდელ-შუასაუკუნეების ევროპაში და ახლანდელი მდგომარეობით მასში ასახულია სხვა განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ძველ ორ ძირითად პროცედურებს

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 02.03.2012 განჩინება, საქმეზე №ას-47-45- 2012.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 24.02.2011წ. განჩინება, საქმეზე №ას-1368- 1206-2010.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 08.04.2015წ. განჩინება, საქმეზე №ას-64- 58-2015.

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.06.2018 განჩინება, საქმეზე საქმე №ას431-431-2018.

5 მესხიშვილი ქ., 2020, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები რჩეული მუხლები.

6 Kola Tafaj f., Fokshi, 2018 “Civil Procedure” part 1, edition 2, p. 32.

მაინც ითვალისწინებს.¹ კონკრეტულად ეს განსხვავებები გახდა მთავარი განმსაზღვრელი ფაქტების დადგენის ეტაპზე სასამართლო პროცესში.

6. შეჯიბრებითობისა და სამძებრო პრინციპების თანაფარდობა

საქართველოში ბოლო დრომდე, უფრო ზუსტად, საქართველოს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებამდე საქართველოს სამართალწარმოებაში გაბატონებული იყო სამძებრო (ინკვიზიციური) პრინციპი. ამ პრინციპზე იყო აგებული საქართველოს 1922 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს 1932 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და 1964 წლის სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. სამძებრო პრინციპს უპირისპირდება შეჯიბრებითობის პრინციპი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის რთული არ ყოფილა არჩევანის გაკეთება, როდესაც საქმე მიდგა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღებაზე, თუ როგორ სამოქალაქო საპროცესო პრინციპებზე იქნებოდა აგებული ქართული სამოქალაქო პროცესი. საქართველოს ჰქონდა არასასამართლო გამოცდილება ზემოთ ნახსენები სსრ საპროცესო კოდექსებიდან გამომდინარე. ქართველი მეცნიერებისთვის უკვე ცნობილი იყო ის გამოკვეთილი უარყოფითი ტენდენციები, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ა) ძალიან შესუსტდა მხარეთა აქტივობა, მხარეები დიდად აღარ ზრუნავდნენ იმ ფაქტების სრულად და ამომწურავად მითითებაზე, რომლებიც ასაბუთებენ მათ მოთხოვნებსა და შესაგებელს (სულ ერთი იყო, ამ ფაქტების ზუსტი და სრული განსაზღვრა სასამართლოს ევალებოდა). ისინი არ იჩენდნენ აქტიურობას მტკიცებულებათა მოძიებასა და სასამართლოსათვის წარდგენაზე (ამას სასამართლო გააკეთებდა); ბ) საქმის განხილვის უზომოდ გაჭიანურება, რადგან სასამართლო ვერ უმკლავდებოდა მისთვის უკიდურესად მძიმე მოვალეობის შესრულებას მოეძია, გამოეთხოვა და შეემონმებინა მტკიცებულებები; გ) სასამართლო გადაწყვეტილებათა ხშირი გაუქმება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ იმ მოტივით, რომ სასამართლომ ვერ დაადგინა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება.² საინტერესოა XIX-XX საუკუნის გამოჩენილი პროცესუალისტის ვასკოვსკის მოსაზრება „შეჯიბრებითობის პრინციპი სასარგებლო და მიზანშეწონილი მხოლოდ იმ პირობით შეიძლება იყოს, თუ ორივე მოდავე მხარე თანასწორია, ორივე ერთნაირად მცოდნე და მცოდნე მოწინააღმდეგეა. ამ შემთხვევაში, სასამართლოს ისლა დარჩენია, უსიტყვოდ ადევნოს თვალი მათ ორთაბრძოლას და მიუკერძოებლად გადანყვიტოს, თუ მათგან ვინ გაიმარჯვა. მაგრამ თუ მხარეები თანაბარი შესაძლებლობების მქონე მოწინააღმდეგეები არ არიან, თუ, მაგალითად, ერთ მხარეს წარმოადგენს განათლებული, ხოლო მეორეს – უმეცარი ადამიანი, ან თუ ერთ-ერთ მოდავე მხარეს ეხმარება ადვოკატი, ხოლო მეორეს თვითონ უწევს საკუთარი საქმის წარმოება, რომელსაც არ აქვს გამოცდილება ან პროცესზე პირველად არის გასული, მაშინ შეჯიბრებითობის პრინციპი იქნება მხოლოდ ძლიერის ზეიმი სუსტზე, მდიდრისა, რომელსაც შესაძლებლობა აქვს დაიქირაოს კარგი ადვოკატი. ეს კი ეწინააღმდეგება სამართლიანობას.³ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო თანაბარი შესაძლებლობების პრინციპის ფუნქციას შემდეგნაირად აჯამებს: თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების პრინციპი სამოქალაქო პროცესში სამართლებრივი სახელმწიფოებრიობისა და, ზოგადად, თანასწორობის გამოხატულებაა და კონსტიტუციურ-სამართლებრივად უზრუნველყოფს მხარეების საპროცესო სტატუსის თანასწორობას მოსამართლის წინაშე. ასევე, მოსამართლემ, კონსტიტუციურ-სამართლებრივად უნდა უზრუნველყოს სასამართლო მოსმენის გარან-

1 Glaser, E., Shleifer, A. (2001). Legal Origins. Cambridge, p. 99.

2 ლილუაშვილი თ., 1977, სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები, გვ. 104-110.

3 Треушников М., 1996, Хрестоматия по гражданскому процессу, с. 71-72.

ტიის კუთხით პროცესის მხარეებისათვის, საპროცესო სამართლის ფარგლებში, თანაბარი შესაძლებლობა, მიუთითონ ყველა იმ გარემოებაზე, რომელიც არსებითია სასამართლო გადანყვეტილებისთვის და დამოუკიდებლად განახორციელონ შესაგებლები მონინალმდევის მოთხოვნის უფლებების ნინალმდეგ. ამ მიდგომასთან თანხვედრაშია მოსამართლის ვალდებულებაც, მხარეთა ეს თანასწორობა დაიცვას ორივე მხარის მიმართ ობიექტური, სამართლიანი საქმისწარმოებით, მხარეთა ორმხრივი ახსნა-განმარტებების დამუშავებისა და შეფასების მიუკერძოებელი მზადყოფნით, კანონის მიუკერძოებელი გამოყენებითა და სხვა საპროცესო უფლებამოსილებების სწორად შესრულებით აქედან გამომდინარე, საჭიროა მოსამართლის ნინაშე მხარეთა საპროცესო სტატუსის თანასწორობა და საკუთარი უფლებების განხორციელების თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება მათთვის.¹ შეჯიბრებითობის პრინციპის მკაფიო და ძირეული გაგების მიზნით, მნიშვნელოვანია დადგინდეს მისი კავშირი და ურთიერთმიმართება დისპოზიციურობის პრინციპთან. დოქტრინაში დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონანილეს აქვს სრული თავისუფლება, საკუთარი შეხედულებისა და სურვილისამებრ კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში განკარგოს თავისი კერძოსამართლებრივი სიკეთე. ამ უფლებამოსილების განხორციელება სამოქალაქო პროცესში სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპით გამოიხატება, რაც შეეხება „დისპოზიციურობის პრინციპის უზენაესობას, ეს არის სამოქალაქო საქმეზე მოსამართლისათვის მხარეთა ავტონომიურობაში შეჭრის აკრძალვა, რაც, ამავე დროს, მოიცავს მოდავე მხარეებზე პასუხისმგებლობის ტვირთის მნიშვნელოვნად გადატანას.²

7. შეჯიბრებითობის პრინციპიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა

ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში საოჯახო საქმეთა განხილვის ინსტიტუტი განსხვავებულად რეგულირდება და უფლების დაცვის სხვა სასარჩელო ფორმებით გამოირჩევა. საოჯახო-სამართლებრივი დავები განსაკუთრებული სენსიტიური ხასიათის მატარებელია. დავების განხილვისას მოსამართლეები დიდი სიფრთხილით ცდილობენ მიიღონ ობიექტური, სწორი და სამართლიანი გადანყვეტილება. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბავშვის ინტერესებს და მის უფლებას. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნები სწორედ ასეთი ტიპის დავებში გვხვდება. რადგან მოსამართლე ყველა გზას მიმართავს მიიღოს ოპტიმალური გადანყვეტილება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ბავშვისა და ოჯახის ინტერესები. სამძებრო პრინციპი საოჯახო საქმეების განხილვის დროს უფრო ფართოდ გამოიყენება ვიდრე სხვა ტიპის დავებში. სსსკ-ის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოსამართლეს ენიჭება ფართო უფლებამოსილება. არ დაკმაყოფილდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თავისი ინიციატივით განსაზღვროს მტკიცების საგანი, რათა მოხდეს საქმეზე ობიექტური შედეგის მიღება. ამდენად, 354-ე მუხლი სპეციალური ნორმაა და მას უპირატესი ძალა ენიჭება 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან მიმართებაში. ამდენად, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, განქორწინებისა და აღიშენების გადახდევინების საქმეებზე, სასამართლომ თავისი შეხედულებისამებრ უნდა დაადგინოს, მონანილეობს თუ არა მოპასუხე შვილების რჩენაში. იმ შემთხვევაში თუ მოპასუხე არ ასრულებს ამ ვალდებულებას, 355-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო მიიღებს გადანყვეტილებას მიიღოს დროებითი განკარგულების სახით.³

1 Beschluss vom 30.09.2018 _ 1 BvR 1783/17 _ NJW 2018, 3631.

2 Schneider, 1888, Über richterliche Ermittlung und Feststellun des Sachverhalts im Civilprozess, S.18.

3 გაგუა ი., 2013, მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გვ. 159.

8. სასამართლოს ინკვიზიციურ უფლებათა ფარგლები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სასამართლო პრაქტიკა აღნიშნული ნორმის ფართო განმარტებას არ იზიარებს და არ უშვებს სასამართლოს მხრიდან საქმის გარემოებათა გასარკვევად ნებისმიერი იმ საპროცესო ღონისძიების საკუთარი ინიციატივით განხორციელებას, რასაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს. მაგალითისათვის, მხარე უფლებამოსილი არ არის საკუთარი ინიციატივით მოწმე დაკითხოს, საქმეზე დასართავ მტკიცებულებათა წრე განსაზღვროს, სხვა უწყებაში არსებული წერილობითი დოკუმენტი გამოითხოვოს, აღსრულების ბიუროს ფაქტის კონსტატაცია მოსთხოვოს და ა. შ. მითითებული ნორმით მოსამართლეს, მარტოოდენ იმ საპროცესო ღონისძიებათა გატარების შესაძლებლობა ეძლევა, რისი უფლებაც მას, კანონის დანაწესის მიხედვით, საკუთარი ინიციატივით აქვს. მიუხედავად იმისა, პროცესი სრულად შეჯიბრებითი იქნება, თუ ინკვიზიციური, არსებითი მნიშვნელობა მაინც ორ მნიშვნელოვან ფაქტორს ენიჭება, კერძოდ, მხარეთა თანასწორობის დაცვასა და მოსამართლის კომპეტენტურობას. ძველ რომაულ სამართალში გაბატონებული პრინციპი – *LEX UNO ORE OMNES ALLOQUITUR* („კანონი ყველას ერთნაირად ელაპარაკება“) – ასახვას პოვებს თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში მხარეთა თანასწორუფლებიანობის არსებობაში.¹

9. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი სამოქალაქო პროცესში

კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის, ამ უმნიშვნელოვანესი ცნების სიღრმეებს და აუცილებლობას ჩასწვდნენ ჯერ კიდევ რომის სამართლის განმანათლებლები. მართლაც, ცივილიზაციის ისტორიაში რომის სამართალს ისეთივე მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ, როგორც ცეცხლის გამოგონებასა და გამოყენებას ადამიანთა მიერ. რომის სამართალი მანამდე დარჩება კაცობრიობის ცივილიზაციაში ფუნდამენტურ განძად, ვიდრე იარსებებს თვით კაცობრიობა. არსებობს გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც რომმა სამჯერ დაიპყრო მსოფლიო: პირველად, თავისი ლეგიონებით, მეორედ – ქრისტიანობის მიღებით და მესამედ – როცა მოხდა რომის სამართლის რეცეფცია ფეოდალური ევროპის მიერ. საიდანაც მრავალმა ცივილიზებულმა სახელმწიფომ საფუძვლად დაუდო რეცეფცირებული რომის სამართალი თავისი ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობას.² დღეს რთულია იმის წარმოდგენა, თუ რამდენად დიდ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღება. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როცა მსოფლიო ომის მომხდარი შიშით იყო შეპყრობილი, დაყოფილი იყო კოლონიალიზმისა და გამეფებული საყოველთაო უთანასწორობის გამო, პირველი გლობალური მასშტაბის საყოველთაო დეკლარაციის მიღება, რომელიც აღიარებდა ყველა ადამიანის თანდაყოლილ ღირსებასა და თანასწორობას, განურჩევლად კანის ფერისა, მრწამსისა თუ წარმოშობისა – წარმოადგენდა უდავოდ გაბედულ ნამოწყებას, რომლის წარმატება იმ დროში სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. უნდა აღინიშნოს, რომ ანალოგიური მნიშვნელობით არის თანასწორობის პრინციპი მოცემული ადმინისტრაციულ სამართალშიც. შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად უნდა განვსაზღვროთ მხარეთა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები. თანასწორობა გულისხმობს ადმინისტრაციული პროცესის მსვლელობისას მოსარჩელისა და მოპასუხის

¹ დეკანოსიძე რ., 2017, შეჯიბრებითობის პრინციპი და მისი შეზღუდვის შემთხვევები ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გვ. 130.

² იუსტინიანეს დიკესტები 2000, „რომის სამართლის ძეგლები“, გვ. 5-7.

თანასწორუფლებიანობას. როგორც ვიცით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები უმეტესწილად ორ არათანაბარ საფეხურზე მდგომ სუბიექტებს შორის მიმდინარეობს. ადმინისტრაციული სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია სუბორდინაციულობა. თუმცა, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას ორი არათანაბარ საფეხურზე მდგომი სუბიექტი – ადმინისტრაციული ორგანო და მოქალაქე – თანასწორუფლებიანია.¹

10. კონტინენტურ-ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართალწარმოება

კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი გავლენა იუსტინიანე I-ის *corpus Juris Civilis*-მა. იქონია. სამართლებრივ დავებში სასამართლო აქტიურ მოთამაშედ გვევლინება. მოსამართლე პროცესს სარჩელის შეტანიდან წარმართავს. ანგლო-ამერიკული სამართლის პროცესისგან განსხვავებით, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას მოწმეთა დაბარების და თავადვე განსაზღვრავს პრიორიტეტებს. მხარეები მონაწილეობენ საქმის ვითარებას დადგენაში, რის საფუძველზეც სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. სასამართლო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას საკითხების დადგენა-დაზუსტებაში. მოსამართლემ სამართლებრივ მითითებას აძლევს გამორჩენილი და წინასწარი წერილობითი განხილვისას დამუშავებული ფაქტების შესახებ (ბოელინგი ჰ. სამოქალაქო საქმეზე გადაწყვეტილების მიღების მეთოდის, მოსამართლეთა სემინარი). კონტინენტურ ევროპასა და ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახებს შორის დიდი და სტრუქტურული განსხვავებაა. მნიშვნელოვან განსხვავებას იურიდიული და მეთოდოლოგიური განსხვავება წარმოადგენს. რომის სამართლის გავლენა დიდია კონტინენტური ევროპის სამართალზე, რაშიც დიდი წვლილი არაერთ სამართალშემოქმედს მიუძღვის.²

დასკვნა

საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული და დაცული დისპოზიციურობის შეჯიბრებითობის და მხარეთა თანასწორობის პრინციპების მიუხედავად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს ე.წ. ინკვიზიციური სამართალწარმოების ნიშნებსაც. ასევე მოიაზრებს მოსამართლის ინიციატივის შესაძლებლობასაც. ქართულ მართლმსაჯულებაში მეტწილად ეს გერმანული საპროცესო კანონმდებლობის გავლენითაა განპირობებული. პროცესი დაყრდნობილი უნდა იყოს შეჯიბრებითობის პრინციპზე, თუმცა, სასამართლოს როლი იმ ფარგლებით უნდა განისაზღვროს, რომ არ დაირღვეს დისპოზიციურობის პრინციპი. საკითხი, უნდა გადაწყდეს შეჯიბრებითობისა, მხარეთა თანასწორობის და სასამართლოს აქტიურობის პრინციპებს შორის ზომიერი ბალანსის დაცვით. სწორედ ეს ბალანსი უზრუნველყოფს მხარეების უფლებების სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების განსაზღვრას. „სასამართლოს ექნება ნეიტრალური და ნომინალური როლი საქმის გარემოებების გამოკვლევაში.³ მიზანშეწონილი იქნება მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მოწინავე ადგილი ეკავოს პრაქტიკას და არა მხოლოდ კანონებს, ანუ კანონები ამ მხრივ პრაქტიკის დახვეწა, რომელიც თავის მხრივ სხვა უკვე გამოცდილი სამართლის რეცეფციასაც გულისხმობს. პრინციპებით ხელმძღვანელობა, მართებული პრაქტიკა და ამ კანონების სწორი გამოყენება საძირკველია იმ მართებული სამართლებრივი საზოგადოების, რომელში ყოფნაც ყველა სამართალშემოქმედისთვის მნიშვნელოვან მიზანს

1 კოპალიევილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ., 2016, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გვ. 24.

2 ციპელიუსი, რ., 2009, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, გვ. 11.

3 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 09 ივნისის განჩინება საქმეზე №2ბ/550-14.

წარმოადგენს. „მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენს კანონმდებლობის სიცხადე, სიმარტივე და სამართლებრივ რეალობაში ადვილად მისადაგება. კომუნიკაციის საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 278-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცის ფორმულირება, ქართულ კანონმდებლობაში გადატანა – ამის წინაპირობას წარმოადგენს. კერძოდ, წარუმატებელი მორიგების შემთხვევაში, მიკერძოებულობისა და არაობიექტურობის ფაქტორით ხანგრძლივ მორიგებებს განიხილავს სპეციალური მოსამართლე, რომელიც სხვა სამართლებრივი დავების განხილვაში არ მონაწილეობს. ნაშრომში საუბარია, როგორც ანგლო-ამერიკული სისტემის, კონტინენტური, ისე ქართულ სამართლებრივ სისტემებზე. ამერიკული და ევროპული გამოცდილებით, სასამართლოს უნდა გააჩნდეს მექანიზმები, რომელიც საშუალებას მისცემს საქმეზე განახორციელოს აქტიური კონტროლი სასამართლოს მიერ მხარეებზე კონტროლის დაკარგვა აუცილებლად იწვევს პროცესის ინერტულობას.¹

1 ABA Standards Related to Court Delay Reduction, 2010, p. 71.

სარჩელის ინსტიტუტის როლი და მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში

აბსტრაქტი

სტატიის თემაა ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორც არის სარჩელი სამოქალაქო პროცესში. სასამართლო საქმის წარმოებას თავისი ინიციატივით ვერ დაიწყებს, ამისათვის საჭიროა დაინტერესებულმა პირმა სასამართლოში წარადგინოს სარჩელი ან განცხადება, რომლითაც თავად განსაზღვრავს დავის საგანს. ამრიგად, დისპოზიციურობის პრინციპი გულისხმობს პირის უფლებას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება სარჩელის (განცხადების) შეტანის თაობაზე. თანამედროვე საზოგადოებაში სარჩელი უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის საშუალებას იძლევა. სტატიაში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორც არის სარჩელის არსი; ცნება; ელემენტები; სახეები: აღიარებითი, მიკუთვნებითი, გარდაქმნითი სარჩელები; სარჩელის უფლება; დისპოზიციურობის პრინციპი, მტკიცების ტვირთი, სარჩელის ცნობა, მორიგება.

საძიებო სიტყვები: სამოქალაქო პროცესი, სარჩელი

შესავალი

თანამედროვე საზოგადოებაში სარჩელი უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის საშუალებას იძლევა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა და იცვლებოდა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. სარჩელის განმარტებას „დიგესტიებში“ ვხვდებით. „Nihil qliud est action quam ius, quod sibi debcatur, iudicio persequendi“ „სარჩელი სხვა არაფერია, თუ არა პირის უფლება, მოთხოვნა განახორციელოს და დაიცვას სასამართლო წესით. სარჩელი (აქციო) კლასიკურ რომაულ სამართალში განიმარტებოდა, როგორც საშუალება სასამართლო პროცესის მეშვეობით მიაღწიო ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მოსარჩელის ინტერესებს შეესაბამებოდა.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და გარანტირებულია პირის დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების სასამართლო წესით დაცვა, რასაც ემსახურება ისეთი საპროცესო სამართლის ინსტიტუტი, როგორიცაა სარჩელი.

1. სარჩელის არსი

უფლება – ესაა კანონით გათვალისწინებული შესაძლებელი (დასაშვები) ქცევის ზომა. ეს იმას ნიშნავს, რომ პირს, რომელსაც აქვს ესა თუ ის უფლება, შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება, ისარგებლოს ამ უფლებით, მაგრამ შეუძლია არ გამოიყენოს

იგი. სამოქალაქო უფლებების არსი ის არის, რომ ეს უფლება მისი მფლობელის სრულ განკარგულებაშია.¹

სასამართლო არსებობს იმისთვის, რომ დაიცვას ფიზიკური ან იურიდიული პირის დარღვეული თუ სადავოდ გამხდარი უფლება და კანონით გათვალისწინებული ინტერესი. სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ დაიწყებს საქმის წარმოებას, შესაბამისად იმისათვის, რომ სასამართლომ დაიწყოს საქმის წარმოება და შეუდგეს საქმის განხილვას, საჭიროა პირმა მიმართოს უფლების დაცვის მოთხოვნით. პირს, რომელსაც სურს მეორე პირისგან რაიმეს მიკუთვნება ან მისგან რაიმე ქმედების შესრულება, ან ასეთი ქმედებისგან თავის შეკავება, უფლების თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა ან ასეთი ურთიერთობის შეცვლა-გარდაქმნა, მან სასამართლოს უნდა მიმართოს სარჩელით²

ამგვარად, სარჩელი წარმოადგენს სასამართლოში შეტანილ განცხადებას სადაო საკითხთან დაკავშირებით, იგი უფლებისა და კანონიერი ინტერესის დაცვის საშუალებას იძლევა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

სამართლიან სასამართლოზე ფუნდამენტური უფლების ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება და გადაწყვეტილების აღსრულების უფლებაა.³

სამოქალაქო პროცესის, ანუ სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანი და ამოცანები განისაზღვრება საერთო მართლმსაჯულების მიზნითა და ამოცანებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მითითებულია, რომ „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. სასამართლო მოწოდებულია, ყველა ზომით დაიცვას მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებები და ინტერესები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმავე, მეორე მუხლის მეორე ნაწილში, ნათქვამია: „განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით“. სასამართლოში საქმეთა დროულად და სწორად გადაწყვეტა თავისთავად უწყობს ხელს კანონიერების განმტკიცებას.⁴

სამოქალაქო სამართალწარმოების მთავარი ამოცანა არის კერძო სამართლებრივი ურთიერთობების საფუძველზე წარმოშობილი სადავო ან დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა სამართლიანად და დროული განხილვა-გადაწყვეტის გზით. საქმის „სწორი“ განხილვა და გადაწყვეტა გულისხმობს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით უნდა იქნას მიღებული. დროულად განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა კი გულისხმობს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვას. „სწორი“ და დროული სასამართლო განხილვა გულისხმობს – გონივრული ბალანსის დაცვას სასამართლო განხილვასა და პროცესში ქვემარტების დადგენას შორის, რომლის შედეგიცაა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და მხარეთა შორის საბოლოოდ დავის დასრულება.⁵

1 ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. 2014. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი: სამართალი, გვ. 80

2 ლილუაშვილი თ. 2005. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, გვ. 270.

3 საქმის გონივრულ ვადებში განხილვის უფლების დარღვევისათვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება No2507/03 Sps „amat.ji“ და მეზალიშვილის საქართველოს წინააღმდეგ.

4 კობახიძე ა. 2003 სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი: საქართველოს მაცნე, გვ.19-20.

5 Красс И. А. 2013. Комментарий к гражданскому процессуальному кодексу Российской Федерации (постатейный), общей редактор Л.В. Тумановой, Проспект, Москва, გვ. 14.

სამოქალაქო პროცესი არ მთავრდება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანით და სააღსრულებო ფურცლის გაცემით, მისი იძულებითი აღსრულების მიზნით. ევროპის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში იქნა მითითებული, რომ „სასამართლო გადაწყვეტილების სწორი და დროული აღსრულება უნდა ჩაითვალოს „სასამართლოს“ ძირითადი არსის განუყოფელ ნაწილად, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართალი იქნება სასამართლოსთვის ილუზია“.¹

სასარჩელო წარმოების აღძვრის სამართლებრივი საშუალება სარჩელია. სარჩელი დარღვეული თუ სადავო უფლების დაცვის უმნიშვნელოვანესი საპროცესო საშუალებაა, ხოლო იმ ფორმას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ამ უფლების დაცვა, სასარჩელო ფორმა ეწოდება.²

სასარჩელო წარმოების მიზანია კანონით გათვალისწინებული საშუალებებით უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა. იმისათვის, რომ სამართლებრივი დავა სამოქალაქო სასარჩელო წესით განხილვის საგანი გახდეს, აუცილებელია, რომ მოდავე მხარეები ერთმანეთთან სამართლებრივად თანასწორ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. ასეთი ურთიერთობები კი დამახასიათებელია კერძო სამართალს მიკუთვნებული დარგებისათვის. ამრიგად, სასარჩელო სამართალწარმოების წესით განიხილება კერძო-სამართლებრივი ხასიათის დავები.³

2. სარჩელის ცნება

სარჩელის სამოქალაქო საპროცესო სამართალში განიხილება როგორც ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტი, კანონით გათვალისწინებული უფლებების განხორციელება იქნება შეუძლებელი, თუკი არ იქნება ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო იძულების მექანიზმები.⁴

საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ განსაზღვრავს „სარჩელის“ ცნებას, თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე მუხლში განმარტებულია რომ, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. შესაბამისად სასამართლო თავად ვერ დაიწყებს საქმის წარმოებას და ეს სრულიდან დამოკიდებულია დაინტერესებულ მხარეზე, რომელიც აღნიშნულ უფლებას ახორციელებს სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.

სარჩელის ცნებასთან აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელი არსებობს იქ, სადაც სასარჩელო წარმოებაა. სარჩელის წარდგენა სასარჩელო წარმოების აღძვრის საფუძველია. სამოქალაქო საქმის წარმოებას სასამართლო შეუდგება დაინტერესებული პირის მიერ შეტანილი სასარჩელო განცხადების საფუძველზე. სამოქალაქო უფლებათა დაცვა კი სასამართლოს მიერ უფლების დაცვის სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება.

თუ რაში მდგომარეობს დაინტერესებული პირის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელის (მოთხოვნის) არსი, ეს ჩამოყალიბებულია სასარჩელო განცხადებაში.

1 <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-58020%22%5D%7D> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებაში N18357/91 ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ, §40.

2 ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. 2012. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, გვ. 294.

3 მაია ცქიტიშვილი სადისერტაციო ნაშრომი „სარჩელი სამოქალაქო პროცესში“, გვ. 21.

4 Rosenberg L. Schwab K. 2002. Gottwald P. Zöller R. Vollkommer G. Zivilprozessordnung, gv. 49.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სარჩელი საპროცესო სამართლებრივი თვალსაზრისით და სარჩელი მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით. ამ შეხედულების საპირისპიროდ გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ სარჩელი ერთიანი ცნებაა და მას მხოლოდ ორი მხარე აქვს – საპროცესო სამართლებრივი – ე. ი. სასამართლოსადმი მიმართვა შუამდგომლობით, რათა მან დაიცვას სადავო უფლება და მატერიალურ-სამართლებრივი – ანუ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი. საპროცესო ნორმების კომენტირებისას ავტორები არ ეთანხმებიან ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და განმარტავენ, რომ დასახელებული შეხედულებები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება და უფრო მეტიც, ერთსაც და მეორესაც სარჩელის საპროცესო სამართლებრივი მხარე და მატერიალურ-სამართლებრივი მხარე აბსოლუტურად ერთნაირად ესმით. ამასთანავე, ის, რასაც უწოდებენ სარჩელს მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით (სადავო სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხისადმი) მთლიანად ემთხვევა სარჩელის ერთ-ერთ ელემენტს, რომელსაც სარჩელის საგანი ეწოდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მართალია, სარჩელი საპროცესო სამართლის ინსტიტუტია, მაგრამ იგი არ არსებობს იმ უფლებაზე მითითების გარეშე, რომლის დაცვასაც მოსარჩელე მოითხოვს, ე.ი. მოპასუხისადმი წაყენებული მოთხოვნის გარეშე. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე კი, სარჩელის კლასიფიცირება შესაძლებელია მიკუთვნებითი ანუ აღსრულებითი სარჩელების, გარდაქმნითი და აღიარებითი ანუ დადგენითი სარჩელების სახით.¹

სარჩელი არის საპროცესო კანონით დადგენილი წესით სასამართლოში განსახილველად და გადასანყვეტად წარმოდგენილი ერთი პირის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მეორისადმი, რომელიც გამომდინარეობს სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ერთობლიობიდან და ეფუძნება იურიდიულ ფაქტებს.²

3. სარჩელის ელემენტები

სარჩელი ელემენტები არის სარჩელის შემადგენელი ნაწილი, სწორედ იგი განსაზღვრავს სარჩელის სამართლებრივ ბუნებას და ახდენს მის ინდივიდუალიზაციას ერთმანეთისგან. იურიდიულ დოქტრინაში სარჩელის ელემენტების შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული.

ქართულ დოქტრინაში გავრცელებული აზრის მიხედვით, სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან ესენია: სარჩელის საგანი და სარჩელის საფუძველი, სწორედ ელემენტების საშუალებით არის შესაძლებელი სარჩელის ინდივიდუალიზაცია, სწორედ სარჩელის ელემენტების სწორად გარკვევის საფუძველი მოხდება ერთმანეთისგან მათი გამიჯვნა, ხომ არ არის აღძრული იგივე სარჩელი, რომელიც ადრე იყო განხილული. სასამართლო ვალდებულია განიხილოს სარჩელი იმ მოთხოვნის ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბებულია სარჩელში და იმ ფაქტების მიმართ რომელიც საფუძველად დაუდო თავის მოთხოვნას მოსარჩელემ.³

სარჩელის საგანი – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში მითითებულია, რომ სარჩელში უნდა აღინიშნოს დავის საგანთან ერთად მოსარჩელის მოთხოვნა. სარჩელის საგანია სარჩელის მოთხოვნის შინაარსი და არა ამ მოთხოვნის მატერიალური ობიექტი. თუ მაგალითად, მოსარჩელე მოპასუხისგან მოითხოვს სესხად აღებული ვალის დაბრუნებას, სარჩელის საგანი იქნება არა ამ მოთხოვნათა მატერიალური ობიექტი, მაგალითად ფული, არამედ ვალის დაბრუნება.⁴

1 ხრუსტალი ვ., ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, კომენტარი, 2007, გვ. 271.

2 შალვა ქურადაძე და ნინო ხუნაშვილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მერიდიანი გამომცემლობა. თბილი 2015), გვ. 346.

3 ლილუაშვილი თ. 2005.სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, გვ. 272.

4 იქვე, გვ. 273

სარჩელის საფუძველი – სარჩელის მეორე ელემენტად საგანთან ერთად მიიჩნევა საფუძველი. სარჩელის საფუძვლის ქვეშ გულისხმობენ იმ ფაქტებს რომლებიც ასაბუთებენ უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მოთხოვნას.¹

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის თ) პუნქტის თანახმად სარჩელში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; ხოლო ამავე კოდექსის 102 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.“ მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დასაბუთდეს იურიდიული ფაქტებით, ეს ისეთი ფაქტებია, რომელსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ შედეგს, ისეთ შედეგს რისი დადგომაც სურს მოსარჩელეს.²

4. სარჩელის უფლება

სარჩელის უფლება გულისხმობს ორ, ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებულ უფლებამოსილებას, საპროცესო (სასარჩელო აღძვრის ანუ სასამართლოსადმი მიმართვის უფლება) და მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს (სარჩელის დაკმაყოფილების უფლება).

სარჩელის აღძვრის უფლება მოსარჩელის დამოუკიდებელი უფლებაა. ეს ნიშნავს რომ სარჩელის აღძვრის უფლება არ არის დამოკიდებული იმაზე, აქვს თუ არა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილების უფლება. ეს მხოლოდ საქმის განხილვის შედეგად შეიძლება გამოირკვეს. დარღვეული ან სადავო უფლების სასამართლო წესით დაცვა სწორედ სარჩელის უფლების გამოყენებით ხორციელდება. სარჩელის უფლება გულისხმობს სასარჩელო ფორმით დაცვის შესაძლებლობას.³

უნდა აღინიშნოს, რომ სარჩელის აღძვრის უფლება დაკავშირებულია სარჩელის აღძვრის უფლებების წინაპირობებთან. ხოლო სარჩელის უფლების განხორციელება კი დაინტერესებული პირის ნებაზეა დამოკიდებული.⁴

5. სარჩელის სახეები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, სარჩელის ძირითად სახეებად შემდეგი სარჩელები გვევლინება: მიკუთვნებითი სარჩელები, გარდაქმნითი სარჩელები, აღიარებითი სარჩელები.

აღიარებითი სარჩელი – აღიარებითი სარჩელის ცნება მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლში, რომლის შესაბამისადაც: „აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას უფლებისა და სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის იურიდიული ინტერესი.

მიკუთვნებითი სარჩელი – სასამართლო პრაქტიკაში მიკუთვნებითი სარჩელი საკმაოდ გავრცელებულია, მას აღიარებითი სარჩელისაგან განსხვავებით უფრო რთული საგანი გააჩნია, რადგან მიკუთვნებით სარჩელით მოსარჩელე მხარე არა მხოლოდ სადავო მატერიალური უფლების არსებობის ფაქტის აღიარებას მოითხოვს, არამედ მას სურს, რომ

1 Die dogmatische Bedeutung des richterlichen Schuldnerschutzes in der Zwangsvollstreckung. Diss. Heidelberg, gv. 17-133.

2 ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992, გვ. 275.

3 ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. 2012. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, გვ. 360.

4 დოროვალსკი ა., ბოვა .С.А., *Основные проблемы исковой формы защиты права*. М., 1979, გვ. 94.

მოპასუხემ შეასრულოს მისთვის სასურველი მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან.¹

ალიარებითი სარჩელების მიზანი უფლების სადავოობის აღმოფხვრაა და არა სუბიექტური უფლების მიკუთვნების სურვილი.²

გარდაქმნითი სარჩელები – გარდაქმნითი სარჩელები არის ისეთი სარჩელები, რომლებიც ცვლიან ან წყვეტენ სამართალურთიერთობებს სასამართლო გადაწყვეტილების მეშვეობით და განახორციელებენ მოსარჩელის კანონიერი და საფუძვლიანი ცვლილებების მოთხოვნის უფლებამოსილებას. ზოგიერთი პროცესუალისტი თვლის, რომ გარდაქმნითი სარჩელი არ არის სარჩელის დამოუკიდებელი სახე. ეს თემა საკმაოდ საკამათოა იურიდიულ ლიტერატურაში.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გარდაქმნითი სარჩელები, სარჩელის განსხვავებულ ფორმად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან გარდაქმნითი სარჩელები, იგივე ალიარებითი სარჩელებია.³ გარდაქმნითი სარჩელის შესახებ ზემოთ განხილულ მოსაზრებას ეთანხმება მეცნიერთა ნაწილი, თუმცა არ ეთანხმებიან იმაში, რომ სასამართლოს მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილებას არ აქვს იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა. კანონის შესაბამისად გარდაქმნითი სარჩელები, რომლებიც მიმართულია არსებული სამართალურთიერთობის შეცვლაზე და შეწყვეტაზე.⁴

6. დისპოზიციურობის პრინციპი, მტკიცების ტვიკითი, საჩქლის ცნობა, მოჩიგება

განვითარებული ქვეყნების სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპი წარმოადგენს მთელი სამოქალაქო ბრუნვის პრინციპს. ქართულ სამოქალაქო სამართალში იმავე მიზანს ემსახურება კეთილსინდისიერების ფასეულობის შემოღება.⁵

სამოქალაქო საპროცესო სამართალში დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედება ვლინდება არა მხოლოდ პროცესის დაწყების დროს, არამედ მის დასრულებამდე.⁶

მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელე უარს ამბობს არა მხოლოდ თავის მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნაზე მოპასუხისადმი, არამედ თავისი მოთხოვნების დაცვის საპროცესო საშუალებების გამოყენებაზეც (პროცესის გაგრძელებაზეც). ამრიგად, სარჩელზე უარის თქმა – ესაა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვის აქტი საპროცესო სამართლებრივი შედეგით.⁷

სარჩელის ცნობა წარმოადგენს პროცესის მონაწილე მხარის შესაძლებლობას, თავისი უფლების ფარგლებში დაასრულოს დავა მონინააღმდეგე მხარესთან სასამართლო განხილვის გარეშე მასთან მორიგებისა თუ სასარჩელო მოთხოვნაზე დათანხმების გზით. ამ შემთხვევაში უფლება-ვალდებულებათა განსაზღვრა ხდება მხოლოდ მხარეთა ნებისა და უფლებების ფარგლებში.⁸

1 პრაქტიკული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხებზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის, 2010 წ., უზენაესი სასამართლოს გამოცემა, გვ. 33.

2 ქურდაძე შ., „სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში“, თბილისი, 2016, გვ. 479.

3 ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართლის კომენტარი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1992, გვ. 236.

4 *Добровольский А.А.; Иваново С. А. 1979. Основные проблемы исковой формы защиты права. Москва. Издво-во Моск ун-та*, გვ. 94.

5 ზოიძე ბ. 2001. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 269.

6 Weber K. Verlag C.H 1605. Creifelds Rechtswörterbuch, 16. neu bearbeitete Auflage, 2000. Beck, München, gv. 65.

7 ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ. 2014. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, პირველი ნაწილი, თბილისი: სამართალი, გვ. 85.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1838-1811-2011.

მორიგების დროს, როგორც წესი, უფრო მეტად, ვიდრე გადაწყვეტილების გამოტანისას, შესაძლებელია, ყურადღება გამახვილდეს იმ შეხედულებებზე, რომლებიც პროცესის ფარგლებს სცილდება. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება მხარეთა ეკონომიკური ურთიერთობები, რასაც, შესაძლოა, მხარეებმა ანგარიში გაუწიონ მოთხოვნის დათმობის, განვადებით გადახდის თაობაზე შეთანხმების და პროცენტების შესახებ შეთანხმების გზით. ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი მოსაზრებები შეეხება ხარჯების შემცირებას, რაც შესაძლებელია იმ მტკიცებულებათა შეგროვებისათვის თავის არიდების გზით, რომლებიც ხშირად დიდ ხარჯებს წარმოშობენ.¹

სარჩელის უზრუნველყოფა განიმარტება, როგორც სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული ზომის (მექანიზმის) გამოყენება, რომელიც გამოიხატება გარკვეული პროცესუალური მოქმედების შესრულებაში და რომლის მიზანია შემდგომში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების გარანტია.²

სარჩელის უზრუნველყოფით უზრუნველყოფილია და დაცულია მოსარჩელის ინტერესები, ხოლო ზიანის ანაზღაურებით უზრუნველყოფილია მოპასუხის ინტერესების დაცვა.³

დასკვნა

დაინტერესებული პირი იურიდიული ინტერესის არსებობისას, რომ სწორედ სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდეს მისი დარღვეული თუ სადავოდ გამხდარი უფლების დაცვა სარჩელით მიმართავს სასამართლოს. ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად სქესისა, ეროვნების, მოქალაქეობისა და რასისა, უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უწყებრივი ქვემდებარეობისა და განსჯადობის წესების დაცვით მიმართოს სასამართლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დისპოზიციურობის პრინციპის დაცვით, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით დაიწყოს საქმის წარმოება სასამართლოში, თავად განსაზღვროს დავის საგანი, ჩამოაყალიბოს მოთხოვნები და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, თუ რა მტკიცებულებებით დაასაბუთოს ამა თუ იმ გარემოების არსებობა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი).

შესაბამისად, ზემოაღნიშნული მსჯელობის ანალიზის საფუძველზე შეიძლება იმის თქმა, რომ სარჩელი ნამდვილად წარმოადგენს მხარეთა უფლების დაცვის ეფექტურ და ძალზედ მნიშვნელოვან საშუალებას.

1 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 37.

2 კობახიძე ა. 2003 სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი: საქართველოს მაცნე, გვ. 300.

3 ლილუაშვილი თ. 2005. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, თბილისი, გვ. 220

ქალთა მიერ კალადობა ისლამში და მის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო საპროტოკოლიანი მექანიზმები

აბსტრაქტი

მაშინ, როცა თანამედროვე სამყაროში კაცობრიობა განვითარების მწვერვალზე დგას, შეუფერებელია რელიგიის სახელით ძალადობა ისეთი ფასეულობების დაცვის მიზნით, რომელთაც სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლები მშვიდობისკენ მოწოდების მოტივით ამკვიდრებენ. სხვადასხვა რელიგიური მოძრაობები, რომლებიც წარსულში თვითონ იყვნენ დევნის ობიექტი, ძალების მოკრების შემდეგ, ხშირად ძალადობენ ადამიანებზე. ამის მიზეზად შეიძლება საერო ძალაუფლებისთვის ბრძოლა დასახელდეს, რომელიც სხვადასხვა რელიგიის სახელით მეტყველი ადამიანების ამბიციებით იმართება და სალდება როგორც „ხმა ღვთისა“, ხოლო რელიგია – როგორც მოძღვრება, რომელიც ხშირად, სულაც არ არის მკაფიო, განმარტებას საჭიროებს და, არც თუ ისე იშვიათად, ეს განმარტებებიც ცალკე ახსნას მოითხოვს.¹

სტატიაში განსახილველი რელიგია ისლამია. სხვა რელიგიათა მსგავსად, ისლამაც, ქადაგების პერიოდში, არაერთხელ იწვნია იმ დროს არსებული რელიგიურ-კულტურულ-პოლიტიკური ფონისაგან ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ მატერიალური წნეხი. ხოლო, ყოველივე ამის მოსათმენად ღმერთი „ყურანში“ მორწმუნეებს ხან წარმართათვის მოსავლენი სასჯელით აფრთხილებს, ხან გაჭირვების მოთმენის საზღაურად სამოთხეში მოხვედით ანუგეშებს, ხანაც, უსამართლო მოპყრობის საპასუხოდ შესაბამის ფიზიკურ წინააღმდეგობას მოითხოვს მათგან.²

როდესაც საუბარი გვაქვს ისლამში ძალადობაზე, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ამ რელიგიისთვის მეტწილად გენდერული ძალადობაა დამახასიათებელი. კერძოდ კი, ეს გამოიხატება ქალთა მიმართ ძალადობაში. ისლამში ქალი მუდამ იყო და სამწუხაროდ დღესაც არის დისკრიმინაციის ობიექტი. ის წარმოადგენს ქმრის „საკუთრებას“ და მისი ფუნდამენტური უფლებების უმრავლესობა შელახულია.³

საკითხავია ის, რეალურად არის თუ არა ისლამი ქალის მიმართ დისკრიმინაციული და ამართლებს თუ არა ქალთა მიმართ ძალადობას, თუ ეს ყოველივე მისი არასწორი ინტერპრეტაცია და რელიგიას ამოფარებული დანაშულია?!

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, თავისი ღირსებითა და უფლებებით.“⁴ სწორედ ამიტომ, სტატიაში საუბარია ადამიანის იმ ფუნდამენტურ უფლებებზე, რომლებიც ირღვევა ისლამში ქალების მიმართ და რომელთა რღვევაც ძალადობის აშკარა გამოვლინებაა.

დღესდღეობით, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები აღიარებული და უზრუნველყოფილია სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციით და დეკლარაციით, მათ შორის, გაეროს

1 Kazumov, O. (2004). „Violence in the Name of Religion and the Importance of Interpretation,~ p. 15.

2 Ibid, p. 18.

3 Harvest, M. (2021). „Gender Discrimination for Religious Reasons in Islamic Countries and International Human Rights Treatises,“ Volume 204.

4 United Nations (1948). „Universal Declaration of Human Rights,“ Article 1, December 10.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ევროპის საბჭოს კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, ევროპის საბჭოს 1961 წლის 26 თებერვლის სოციალური ქარტიით; 1966 წლის 16 დეკემბერს მიღებული გაეროს ორი პაქტით – “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ” და “ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების” შესახებ. სტატიამი ასევე საუბარია ამ აქტებით გათვალისწინებულ უფლებათა დაცვის პოზიტიურ ვალდებულებაზე სახელმწიფოთა მხრიდან.

საძიებო სიტყვები: ქალის უფლებები, ისლამი

შესავალი

ბევრი, ვისაც არ ნაუკითხავს, ან ნაუკითხავს და არასწორად გაუგია ყურანი, ფიქრობს, რომ წინასწარმეტყველ მუჰამედის მიერ 610-632 წლებში მიღებული ღვთის სიტყვა, დასჯის სახით, შეიცავს ქალების მიერ ჩადრის ტარების, ისევე როგორც, სახის მთლიანად დაფარვის, ვალდებულებას. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, არაბეთის ნახევარკუნძულის მდებარეობა და იქ მცხოვრებთა მენტალიტეტი. იმ სიტუაციაში, როცა არაბს იმდენად არ უხაროდა ქალის დაბადება, რომ ცოცხლად მარხავდა ახალშობილს, ისლამი გარკვეულად პროგრესული რელიგია იყო, იმიტომ, რომ ქალს მიანიჭა უფლებები, უკვე რელიგიურად აღიარებული და დაკანონებული. ამდენად, ქალი ისლამის წყალობით ჩაითვალა სრულფასოვან არსებად.¹

თუმცა, ყურანის დათქმები, რა თქმა უნდა, თანამედროვე სამყაროში სამართლის ძირითადი პრინციპებისთვის სრულად შეუფერებელია, განსაკუთრებით კი, მაშინ, თუ ამას გენდერული კუთხით განვიხილავთ. ქალთა უფლებები მეტწილად ყურანში დაკნინებულია და მამაკაცის კი აღმატებული, რაც უთანასწორობის შეგრძნებას აღვივებს.

1. ქალთა უფლებრივი მდგომარეობა ისლამში

მეოცე საუკუნის დასაწყისში მუსლიმური სამყაროს სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარეობდა ისლამის ფორმირების პროცესი. რიგი ცვლილებები დაიწყო ტრადიციული ისლამური საზოგადოების სხვადასხვა წრეებში, რისი ძირითადი მიზეზიც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების შექმნა, დასავლეთის გავლენა, აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური ჩამორჩენილობა იყო. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ირანის ისლამური რესპუბლიკა ყოფილა, რომელსაც ისლამურ სამყაროში გამორჩეული ადგილი უჭირავს ძლიერი სახელმწიფოებრივი ტრადიციისა თუ შიიტური ისლამის სპეციფიკურობის გამო.²

ირანის ისლამური რესპუბლიკა ის ქვეყანაა, სადაც დემოკრატია, ადამიანის უფლებები და განსაკუთრებით კი, ქალთა უფლებები, ოცდამეერთე საუკუნეშიც კი იგნორირებულია და მისი საკითხი მწვავედ დგას. ირანში ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო. ამ ბრძოლის თვალსაჩინო მაგალითია ქურათ ალ აუნი. ის ცნობილი შიიტი თეოლოგის უფროსი ქალიშვილი იყო, რომელიც ქადაგებდა ჩადრის მოხსნას და გმობდა პოლიგამიას. ქალთა უფლებების ბრძოლის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა პრინცესა თაჯ ას სალთანიც, რომელმაც განათლება სამეფო კარზე მიიღო და კარგად იცნობდა სპარსულ და ფრანგულ ლიტერატურას. ის კარგად ამჩნევდა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა დასავლელი და აღმოსავლელი ქალების მდგომარეობას შორის და ეს განსხვავებები მან თავის ნაწერებშიც წარმოაჩინა.

1 Rukhadze, O. (2004). „Islam Does Not Captivate Women,“ თბილისი, პ. 12.

2 Sanikidze, G. (2005). „Shiism and the State in Iran,“ Intelligence, პ. 8.

მისმა ნაწერებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმ მოვლენებში, რომელმაც შემდგომში ირანში კონსტიტუციური რევოლუცია გამოიწვია და რომელიც მუსლიმ ქალთა აქტიური მონაწილეობით განხორციელდა.¹

მიუხედავად ცვლილებებისა, ქალების განუწყვეტლივი ბრძოლისა და სახელმწიფოს მხრიდან წამოსული სხვადასხვა ინიციატივებისა, ირანში სამღვდლოება მუდმივად ახერხებდა იმას, რომ ქალები არასოდეს ყოფილიყვნენ მამაკაცის თანასწორნი.² მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, არის თუ არა ისლამი რელიგია, რომელიც დისკრიმინაციულად უდგება გენდერის საკითხს, თუ ეს რეალურად არასწორი ინტერპრეტაციის შედეგია?!

1.1. ქალთა მიმართ ძალადობა რელიგიის სახელით

იმისათვის, რომ შევძლოთ ისლამის რეალური სახის დანახვა, არ გავხდეთ მისი ინტერპრეტაციის „მსხვერპლი“, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ ყურანით. ყურანში მკაფიოდაა მითითებული, რომ არ მოკლა ადამიანი. თუმცა, აქვე ისიცაა ხაზგასმული, რომ ამაში ყურანი მორწმუნეებს გულისხმობს, უფრო კონკრეტულად კი, მუსლიმ მორწმუნეებს.³ თუ ყურანი მოუწოდებს, რომ არ მოკლა ადამიანი, მაშინ არ შეიძლება ამავე წიგნით გამართლებული იყოს ფემიციდი, რომელიც მუსლიმანურ სამყაროში ძირითადად ქმრის ხელით ხორციელდება.

ხშირად, მუსლიმი აპოლოგეტები აღწერენ იდეალურ დამოკიდებულებას ქალებისადმი ისლამში, რაც ნამდვილად არ წარმოადგენს სიმართლეს. რეალობა ის არის, რომ თუ ყურანი ადამიანის მოკვლას უკრძალავს მორწმუნეს, აქვე ის ნებას რთავს ქმარს, რომ სცემოს ცოლი. „ქმრები მეურვეები არიან ცოლების იმ ვითარების გამო, რომლითაც ალაჰმა უპირატესად ერთი – მეორისგან, რადგან ხარჯავენ თავიანთი ქონებიდან. ხოლო პატიოსანი ქალები, მორჩილნი (ერთგულნი) არიან თავიანთი ქმრების და ქმრების არყოფნის დროს ისე იცავენ იმათ უფლებებს, როგორც ალაჰმა დაუწესათ. და რომელთა ურჩობასაც შიშობდეთ, იმ ქალებს შეაგონეთ, მერე მიატოვეთ სარეცელში და მსუბუქი ცემა აგემეთ.“⁴

სურათს კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ 2010 წლიდან საუდის არაბეთში გამოჩნდა ისლამური ეტიკეტის მქონე წიგნები. ეს წიგნები იუნყებიან, თუ როგორი ცოლი „საჭიროებს“ ცემას, რით უნდა სცემოს ქმარმა იგი, სად უნდა მიაყენოს დარტყმები და რა უნდა უთხრას მას ცემის დროს. მაგალითად ერთ-ერთი ასეთი სახელმძღვანელო, „ქალთა მორჩილება ისლამში“ იუნყება, რომ ქმარი უფლებამოსილია სხვადასხვა შემთხვევებში ფიზიკურად დასაჯოს ცოლი. ასეთ შემთხვევებს წარმოადგენს: თუ ის არ ასრულებს ქმრის სურვილებს; თუ ის არ აკმაყოფილებს ქმრის სექსუალურ მოთხოვნილებებს; თუ ის ქმრის ნებართვის გარეშე გადის სახლიდან ან არ ასრულებს რელიგიურ მოვალეობებს. დასჯის იარაღი, ჯოხი კი, უნდა იყოს გამოსაჩენ ადგილას, რათა ცოლი ყოველთვის ხედავდეს მას.⁵

ქალთა მიმართ ძალადობა, ისევე როგორც ყველა სახის ძალადობა, დანაშაულია, თუმცა, რაღაც დოზით, სამწუხაროდ, კვლავ ხდება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში და საზოგადოებებში, მაგრამ, ეს თითქმის ყველგან ერთმნიშვნელოვნად დაგმობილია. ისლამში კი პრობლემის სიმწვავე იმაში მდგომარეობს, რომ ეს ყოველივე რელიგიურად არის დაკანონებული და დაშვებული.⁶

მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ 18 წლის ავღანელი გოგონას, ბიბი აიშას ისტორია. გოგონა ოჯახიდან გაქცევის მცდელობისთვის დასაჯეს. მას ქმარი გამუდმებით

1 Ibid, gv. 12.

2 Ibid, gv. 11.

3 „The Holy Qur'an,“ (2007). Translated by Maulawi Sher' Ali, Islam International Publications Limited, Sura 47:4.

4 Ibid., 4:34.

5 Asha, H. (2010). „The Obedience of Women in Islam,“ Intellect, p. 24.

6 Küng, H. (2005). „Religion, Violence, and 'Holy Wars',“ p. 7.

სცემდა და აიძულებდა მძიმე ფიზიკური სამუშოს შესრულებას. ისლამურმა სასამართლომ კი მას სასჯელის სახლით ყურებისა და ცხვირის მოჭრა შეუფარდა.¹

მსგავსი არაჰუმანური მოპყრობის მსხვერპლი გახლდათ 13 წლის სომალელი გოგონა აიშა იბრაჰიმ დუჰლოვი. 2008 წელს ის ათასობით მუსლიმის თვალწინ კისრამდე ჩამარხეს მინაში და ორმოცდაათამდე მამაკაცმა ის ქვებით ჩაქოლა. აიშას ბრალს მრუშობაში სდებდნენ. მრუშობად კი მას ის ჩაუთვალეს, რომ სამმა მამაკაცმა გააუპატიურა.²

1.2. ბავშვებზე ქორწინება, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ფორმა ისლამში

ისლამში ნებადართულია ბავშვზე ქორწინებასაც. ყოველდღიურად ისლამურ სამყაროში 30 ათასზე მეტი ბავშვი გოგონა ქორწინდება უფროს კაცზე.³ ყურანი ამბობს: “თქვენს ქალთაგან, რომელთაც ჰქონდათ მენსტრუაცია, თუ დაეჭვდებით დადგენილი ვადის თაობაზე, ვადა 3 თვეა, როგორც იმათთვის, ვისაც მენსტრუაცია ჯერ არ ჰქონია. და ისინი, რომელნიც ფეხმძიმეები არიან მშობიარობამდე. ხოლო ვისაც ეშინია ალაჰის, დაუდგენს მას საქმეში სიადვილეს.”⁴ აქ საუბარია ცოლებზე, რომელთაც მენსტრუაცია ჯერ არ ჰქონიათ, ანუ რეალურად მცირეწლოვან ბავშვებზე.

ბავშვთა ქორწინება ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ოცდამეერთე საუკუნეშიც კი მწვავე პრობლემაა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. არსებობს სხვადასხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც ეხება ბავშვთა ქორწინების პრევენციას. ასეთს წარმოადგენს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. ამ კონვენციის რატიფიცირება მოხდა არაერთი მუსლიმანური სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ რეალობა გვიჩვენებს, რომ მას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს.⁵

კონვენცია აღიარებს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ბავშვთა სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ უფლებებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს კონვენცია პირდაპირ არ განიხილავს ბავშვთა ქორწინების საკითხს, მას აქვს რამდენიმე დებულება, რომელიც იცავს ბავშვებს ადრეული ქორწინებისგან.⁶ კონვენციაში ბავშვი დეფინიცირებულია 1-ლი მუხლით. ამ მუხლის თანახმად ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.⁷

ძირითადად, ადრეული ქორწინების მსხვერპლი გოგონები არიან, რადგან ისინი ნაკლებად ღირებულნი არიან მშობლებისთვის ვიდრე ბიჭები და მშობლები მათ ეკონომიკურ ტვირთად მიიჩნევენ. ამიტომ, მშობლები თავიანთ ქალიშვილებს მცირე ასაკში ათხოვებენ თავიანთი ტვირთისგან განთავისუფლების მიზნით.⁸ ეს არის კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის ამკარა დარღვევა, რომელიც მონაწილე სახელმწიფოებს ავალებს მიიღონ

1 Ravitz, J. (2012). „For Aesha, Healing Comes in Many Forms,“ ხელმისაწვდომია აქ: <https://edition.cnn.com/2012/12/16/us/aesha-surgery-healing/index.html> {უკანასკნელი გადამოწმება 2024 წლის 5 თებერვალს}.

2 Miller, T. (2008). „Stoning Victim Begged for Mercy,“ ხელმისაწვდომია აქ: <http://news.bbc.co.uk/2/hi/7708169.stm> {უკანასკნელი გადამოწმება 2024 წლის 5 თებერვალს}.

3 Ullah, N. (2021) „Child Marriages: International Laws and Islamic Laws Perspective“, School of Law, University of Gujrat, Pakistan, p. 4.

4 „The Holy Qur’an,“ (2007). Translated by Maulawi Sher’ Ali, Islam International Publications Limited, Sura 65:4.

5 Chata, M. (2016). „Basic Profile of Child Marriage in Pakistan,“ p. 6.

6 Arfat, S.H. (2013). „Protection of Children’s Rights in Islam: Special Reference to Orphans,“ Paperback.

7 Convention on the Rights of the Child,“ (1989). Adopted and opened for signature, ratification, and access by General Assembly resolution 44/25..

8 Harvest, M. (2021). „Gender Discrimination for Religious Reasons in Islamic Countries and International Human Rights Treatises,“ Volume 124.

ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის სათანადო კანონმდებლობა, რომელიც ამგვარ დისკრიმინაციას უკანონოდ და უსამართლოდ შეაფასებს.¹

ყოველივე ამის მიუხედავად, სწორედ ის სახელმწიფოები არღვევენ ყველა დათქმას, რომლებმაც მოახდინეს ამ კონვენციის რატიფიცირება. ამის კარგი მაგალითია პაკისტანის ისლამური სახელმწიფო. პაკისტანის ბავშვთა ქორწინების შეზღუდვის აქტი (1929) ადგენს ქორწინების კანონიერ ასაკს ბიჭებისთვის 18 წლამდე და 16 წლამდე გოგონებისთვის.² 2014 წლის აპრილში სინდის ასამბლეამ მიიღო სინდის ბავშვთა ქორწინების შეზღუდვის აქტი, რომელმაც შეცვალა მინიმალური ასაკი 18 წლამდე როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის. ამის პარალელურად, პაკისტანის სასამართლომ დაადგინა, რომ შარიათის კანონის მიხედვით, კაცებს შეუძლიათ არასრულწლოვან გოგონებზე დაქორწინება იმის შემდეგ, რაც მათ მენსტრუალური ციკლი დაენწყებათ. ეს დადგენილება, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ბავშვთა ქორწინების შეზღუდვის შესახებ აქტს. შარიათის კანონები ისლამის რელიგიური კანონებია, რომლებიც ყურანის სწავლებას ეფუძნება და ისლამურ საზოგადოებაში მოქმედებს, როგორც ცხოვრების ორიენტირი.³

ზემოთხსენებული გადაწყვეტილება სინდის პროვინციის სასამართლომ ჰუმა იუნუსის, 14 წლის კათოლიკე გოგონას საქმის მოსმენის დროს გამოიტანა, რომელიც მოიტაცეს, შემდეგ ისლამის მიღებას აიძულებდნენ და ასევე იძულებით დააქორწინეს. იმის დასადასტურებლად, რომ გოგონა არასრულწლოვანი იყო და შესაბამისად ქორწინებაც უკანონოდ ითვლებოდა, იანუსის მშობლებმა სასამართლო მოსმენაზე მისი ნათლობის მოწმობა წარადგინეს სკოლიდან. ოჯახმა სინდში მოქმედი ბავშვთა ქორწინების შემზღუდველი კანონი მოიშველია, რომელიც 18 წელს მიუღწეველი ნებისმიერი ბავშვის დაქორწინებას კრძალავს. ამის მიუხედავად, მოსამართლეებმა დაადგინეს, რომ შარიათის კანონის თანახმად, იუნუსსა და მის გამტაცებელ აბდულ ჯაბარს შორის ქორწინება კანონიერია, რადგან გოგონას უკვე ჰქონდა დაწყებული მენსტრუაცია.⁴

მიუხედავად სინდში არსებული ბავშვთა ქორწინების ამკრძალავი კანონისა, ხელისუფლება რეალურად არანაირ ქმედით ნაბიჯს არ დგამს არსებული კანონის დასაცავად. პაკისტანში, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შესულია კანონპროექტი ბავშვთა ქორწინების აკრძალვის შესახებ, თუმცა მისი მიღება უვადოდ არის გადადებული.⁵

2. ქალთა მიმართ ქალაქობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო – საპრო-ლეზბივი მქანდობები

„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, თავისი ღირსებითა და უფლებებით.“⁶ დღესდღეობით, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები აღიარებული და უზრუნველყოფილია სხვადასხვა საერთაშორისო დეკლარაციითა და კონვენციით. მათ შორის, ყველაზე საყურადღებოა გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა

1 „Convention on the Rights of the Child,“ (1989). Adopted and opened for signature, ratification, and access by General Assembly resolution 44/25.

2 „Child Marriage Restraint Act,“ (1929), Article 2.

3 Gralki, P. (2022). „Pakistan Law Allows Men to Marry Girls After Their First Period,“ ხელმისაწვდომია აქ: https://www.globalcitizen.org/en/content/pakistan-court-allows-men-to-marry-underage-girls/?utm_source=facebook&utm_medium=social&utm_content=global&utm_campaign=general-content&linkId=82158918&fbclid=IwAR3U6ttH2hIZ-EBUL7hx-mKTKSnEfYVldfImWfj8ENrcamI3LSdTA6yKuek [უკანასკნელი გადამოწმება 2024 წლის 5 თებერვალს].

4 High Court of Sindh (2019). „The Case of Huma Younus: Christian Pakistani Girl who was Kidnapped“.

5 Ullah, N. (2021). „Child Marriages: International Laws and Islamic Laws Perspective,“ School of Law, University of Gujrat, Pakistan, p. 8.

6 Article 1, United Nations „Universal Declaration of Human Rights“. December 10, 1948.

საყოველთაო დეკლარაცია; ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ და „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“ (სტამბულის კონვენცია).

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით გარანტირებულია რიგი უფლებები. მათ შორის უპირველესია სიცოცხლის უფლება, რომელიც შელახულია უმრავლეს ისლამურ სახელმწიფოში: პაკისტანში, ბანგლადეშში, საუდის არაბეთში, ეგვიპტესა და ირანში და უმეტესად დისკრიმინაციული ხასიათით გამოირჩევა ქალთა მიმართ.¹

კონვენციით ასევე აკრძალულია ნამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობა. ქალთა მიმართ ასეთი მოპყრობის არაერთი მაგალითია ისლამურ ქვეყნებში. ქალის ყოველი „ურჩი“ ქმედება უმრავლეს შემთხვევაში დასჯით და არაადამიანური მოპყრობით მთავრდება. ამის ნებას კი, თავად რელიგიური კანონი რთავს მამაკაცებს.²

კონვენციაში მე-9 მუხლით დაცულია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება.³ რწმენის თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია, დემოკრატიული საზოგადოებისა და ასევე ყოველი ადამიანის პიროვნული განვითარებისთვის. მიუხედავად ამისა, იგი არ გამოორიცხავს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას. ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო უფლებამოსილი და ვალდებულია, გარკვეულწილად ჩაერიოს რწმენის თავისუფლებაში, რათა უზრუნველყოს სხვათა უფლებების და საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესების დაცვა. სამწუხაროდ, ისლამური ქვეყნების უმრავლესობაში არც მოსახლეობა ალჭურვილი იმ უფლებით, რასაც აღმსარებლობის თავისუფლება ჰქვია და არც სახელმწიფო დგამს ქმედით ნაბიჯებს ამ უფლებათა სარგებლობისას ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევის წინააღმდეგ.⁴

სახელმწიფო ვალდებულია უფლებათა დაცვისა და უზრუნველყოფისას დააბალანსოს კერძო და საჯარო ინტერესები. რწმენის თავისუფლების მრავალმხრივი შინაარსი არ უნდა იყოს გადაულახავი პრობლემა, სწორედ იმიტომ, რომ შესაბამისი საჯარო ინტერესების დასაცავად მოხდეს მისი თანაზომიერი შეზღუდვა.

მაგალითისათვის ავიღოთ ბაჰრეინის სამეფო. კონსტიტუციის თანახმად ბაჰრეინში ისლამი ოფიციალური რელიგიაა და შარიათი კი კანონმდებლობის ძირითად წყაროს წარმოადგენს. კონსტიტუცია ითვალისწინებს სინდისის თავისუფლებას, რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების თავისუფლებას ქვეყანაში დაცული წესების შესაბამისად, თუმცა ამასთან, მთავრობამ გარკვეული შეზღუდვები დააკისრა ამ უფლების გამოყენებას, რაც მთავრობის მხრიდან სწორად გადადგმული ნაბიჯია, რადგან რელიგიური ჩვეულებების სახელით ხდებოდა უამრავი ქალის ნამება, დამონება და არაადამიანური მოპყრობა.⁵ ამ შემთხვევაში სახელმწიფო ერევა ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების სფეროში, შესაბამისად აუცილებელია შეზღუდვა პასუხობდეს ყველა იმ პრინციპს, რომელიც დამკვიდრებულია ევროპული კონვენციის სამართლის მიერ. სახელმწიფო სწორედ რომ მართლზომიერად უნდა ჩაერიოს ამ უფლებებში. საჭიროა, რომ მისი ქმედება ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს. ამ შემთხვევაში კანონიერი მიზანი ადამიანის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვაა. ეს კი, რა თქმა უნდა, აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის.

1 Sentumbwe, Y. (2024). „Abolition in Africa _ 77th Ordinary Session of the African Commission on Human and Peoples' Rights,“ ხელმისაწვდომია აქ: <https://worldcoalition.org/2024/01/12/abolition-in-africa-achpr-77th-ordinary-session/> [უკანასკნელი გადამოწმება 2024 წლის 5 თებერვალს].

2 Badawi, N. (2009). „Introduction to Islamic Law,“ p. 9.

3 European Convention on Human Rights (1950), Article 9, November 4.

4 Rahman, A. (2008). „Women in Quran and the Sunnah,“ p. 9.

5 Bahrain's Constitution (2002), Article 22.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება.¹ ადამიანის თავისუფლება, რა თქმა უნდა, მოიცავს იმას, რომ პიროვნებამ თავისუფლად აირჩიოს მომავალი მეუღლეც და თავისი ნებით შექმნას ოჯახი. კვლევამ გვიჩვენა, რომ ისლამურ ქვეყნებში სავალალო პრაქტიკაა გოგონების ძალადობის გზით ქორწინების კუთხით. აქ უმეტესად შვილ გოგონებს საქმროს მშობლები ურჩევენ მისი სანინააღმდეგო აზრის მიუხედავად, სახელმწიფოები კი არაფერს აკეთებენ ქალთა ამ უფლების დასაცავად.

დასკვნა

დღესდღეობით, ისლამურ ქვეყნებში რელიგიური მოტივით ჩადენილი დანაშაულები ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა. როგორც უკვე ზემოთ ითქვა, ამ ქვეყნებში ქალთა მიმართ ძალადობაც, სწორედ რომ, რელიგიური მოტივით ხორციელდება. კვლევამ ცხადყო, რომ ერთი ფუნდამენტური უფლების (აღმსარებლობის თავისუფლება) რღვევას მიყვავართ სხვა მრავალი უფლების შელახვასთან. ისლამში პირს დაბადებიდანვე შეზღუდული აქვს არჩევანის თავისუფლება, იყოს სასურველი რელიგიის მიმდევარი. ის ხდება არა მარტო ისლამის ნეს-ჩვეულებების, არამედ მისი ინტერპრეტაციის შედეგად არაერთი სახის ძალადობის მსხვერპლი.

გენდერული ძალადობა გლობალური პრობლემაა, თუმცა, კვლევა გვიჩვენებს, რომ ის ყველაზე მწვავედ ისლამურ სამყაროში მიმდინარეობს და დღემდე მისი აღმოფხვრისთვის სახელმწიფოების მხრიდან თითქმის არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ იდგმება. მიუხედავად იმისა, რომ აღმსარებლობის თავისუფლება განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო აქტით და ამასთანავე უმეტესად ეროვნული კანონმდებლობითაც, მაინც ხორციელდება მესამე პირთა მხრიდან ამ უფლების ხელყოფა და ამასთან ერთად სხვა უფლებათა შელახვა. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს შესაბამისი ზომები და აღკვეთოს ამ უფლების არამართლზომიერი შეზღუდვები. ამის განხორციელებისთვის აუცილებელია ძლიერი ბერკეტების შემუშავება, რათა მნიშვნელოვნად შემცირდეს უფლებაში უკანონო ჩარევა.

მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებში მოქმედმა საგამოძიებო ორგანოებმა აწარმოონ ისეთი დანაშაულების აღრიცხვა, რომელიც მიმართულია რელიგიის თავისუფლების დაკნინებისკენ. ასევე აუცილებელია, სწრაფი რეაგირება აღნიშნულ დანაშაულებზე, რათა დამნაშავეს არ გაუჩნდეს დაუსჯელობის განცდა. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები იყოს არა მხოლოდ დანაშაულის აღკვეთაზე ორიენტირებული, არამედ ჰქონდეს პრევენციული ხასიათიც.

აუცილებელია სახელმწიფოებმა ხელი შეუწყონ ქალთა განათლების საკითხს, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ისლამურ ქვეყნებში ეს დღესაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. ქალთა მიმართ ძალადობა ხშირად გამოიხატება განათლების მიღებისა და მუშაობის დაწყების აკრძალვაში. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ასოციალურს ხდის ქალს, არ აძლევს მას იმის შესაძლებლობას, რომ ჰქონდეს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ და შემდეგ ის, რა თქმა უნდა, უფრო მარტივად ხდება ძალადობის მსხვერპლი, რადგან გააზრებულიც კი არ აქვს რა შეიძლება წარმოადგენდეს ძალადობას.

ასევე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს რელიგიური კანონებით გასამართლების აკრძალვა. სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს დამოუკიდებელი ინსტიტუ-

1 European Convention on Human Rights (1950), Article 5, November 4.

ტი და ის უნდა ხორციელდებოდეს ჰუმანური და საერთაშორისო კანონების შესაბამისად და არა რელიგიური კანონებით, რომელიც არ შეიძლება ყველასთვის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათის აქტს წარმოადგენდეს.

ფემიციდი ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმაა, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, ისლამურ სამყაროში ის დღემდე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულია. არ შეიძლება 21-ე საუკუნეში კვლავ ხდებოდეს ადამიანის მკვლელობა, იმ მოტივით, რომ ის ქალია. ამის გამოსწორება სახელმწიფოს ვალდებულებაა. მათი მხრიდან უნდა მოხდეს კანონმდებლობის გადასინჯვა, ყოველივე ეს კი საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით, მათი შეცდომების შესწავლის, ვალდებულებების შესრულებისა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნების სრულად გათვალისწინების გზით.

სასამართლოს სტრუქტურულ ფუნქციონალური თავისებურებანი ეროვნულ და აშშ-ს სისხლის სამართლის პროცესში

აბსტრაქტი

სასამართლო, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობაში, ძალიან მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. ის ინსტიტუტიაზეც მეტია. სასამართლო – მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოს გარდა, წარმოადგენს სახელმწიფოს ხელისუფლების ერთ-ერთ შტოს და იწოდება სასამართლო ხელისუფლებად. მრავალწლიან პრაქტიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ სასამართლოს გამართული ფუნქციონირება, მისი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის.

სასამართლოს უმთავრეს ფუნქციას მართლმსაჯულების განხორციელება წარმოადგენს. კერძოდ, სასამართლო წყვეტს დავებს ფიზიკურ პირებს შორის, ფიზიკურ პირებსა და იურიდიულ პირებს შორის, იურიდიულ პირებს შორის. ასევე განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს და გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი (ვერდიქტი, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის შემთხვევაში). ამასთანავე, სასამართლო განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალს მიკუთვნებულ საქმეებს. ყოველივე აღნიშნული კი ემსახურება სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპების დანერგვას ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოქალაქეთა მშვიდობიან, განჭვრეტად და სტაბილურ გარემოში ცხოვრებას.

სასამართლო სისტემა და მასთან დაკავშირებული საკითხები არასდროს კარგავს აქტუალობას როგორც პრაქტიკოსი, ისე თეორეტიკოსი იურისტებისათვის. აღნიშნული სტატიის შექმნის მიზეზი, ჩვენს შემთხვევაშიც მისი აქტუალობა და ჩვენი ინტერესია თემის მიმართ. ის შესრულებულია ქართულ ენაზე და პირველ რიგში განკუთვნილია ქართულენოვანი მკითხველისათვის. მიუხედავად ენისა და სამიზნე აუდიტორიისა, მასზე მუშაობისას გამოყენებული იქნა ათეულობით ქართულენოვანი და უცხოენოვანი ნაშრომი (სტატია, მონოგრაფია, ნიგნები თანაავტორობით და სხვა). უშუალოდ ჩვენს განსახილველ თემას წარმოადგენს სასამართლოს სტრუქტურული ფუნქციონალური თავისებურებანი, როგორც ეროვნულ, ისე საზღვარგარეთის ქვეყნის (ამერიკის შეერთებული შტატები) მაგალითზე. ოღონდ, ჩვენი ინტერესის სფეროდან გამომდინარე, აღნიშნული განსაკუთრებით წარმოჩინდება სისხლის სამართლის პროცესის ქრილში. სტატიის შედგენისას გამოყენებულია აღწერილობითი კვლევის მეთოდი, შედარებითი კვლევის მეთოდი და რიგ შემთხვევებში სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ვაფიქსირებთ პირად მოსაზრებებს.

საძიებო სიტყვები: სასამართლო სისტემა, შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.

შესავალი

ხელისუფლების დანაწილების პოლიტიკურ-სამართლებრივი თეორია სათავეს ჯერ კიდევ ძველი რომიდან იღებს. შემდეგ, შუა საუკუნეების მონარქთა აბსოლუტიზმის თავიდან ასაცილებლად, საკითხი ისევ აქტიუალური ხდება და ხელისუფლების დანაწილების დოქტრინას თანამედროვე სახეს აძლევენ/აყალიბებენ ინგლისელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი და ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი დე მონტესკიე. ხელისუფლების ერთ-ერთი შტო/სასამართლო პასუხისმგებელია მართლმსაჯულების განხორციელებაზე. ის დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოს წარმოადგენს. სასამართლო, როგორც წესი, თვითორგანიზებადი და თვითმართვადი ინსტიტუციაა. მოსამართლეები და ადმინისტრაციული პერსონალი თავად ქმნიან მმართველ ორგანოებს, ირჩევენ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მომსახურე პერსონალს, ქმნიან თვითმმართველობას და სხვა.

არ ვაკნინებთ სამართლის სხვა დარგებს და სასამართლოს განუყოფელ შრომას ამ კუთხით, მაგრამ სასამართლოს განსაკუთრებული როლი უნდა აღინიშნოს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. სასამართლოს აკისრია ვალდებულება მიიღოს გადაწყვეტილება პირის ბრალეულობა-უდანაშაულობასთან დაკავშირებით. ბრალდების მხარე, დაცვის მხარე და სასამართლო დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდონ სისხლის სამართლის საქმეს, რადგან ამ დროს წყდება პიროვნების ბედი, ის თუ როგორ და სად გაგრძელდება მისი ცხოვრება. აქვე ვიხსენებთ და ვემხრობით ცნობილი რუსი მწერლის თ. დოსტოვესკის ციტატას-„სჯობს ათი დამნაშავე დარჩეს დაუსჯელი, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოს“.

1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი. ახალი კანონის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს – საქართველოს იუსტიციის საბჭოს შექმნა. საქართველოს იუსტიციის საბჭოს ფუნქციებად განისაზღვრა მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნა, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლება, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავება და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულება. აღნიშნულის შემდეგ, დროთა განმავლობაში მიღებული იქნა კიდევ არაერთი კანონი, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხებს არეგულირებს და რომლებსაც ქვემოთ უფრო დეტალურად შევხებით.

1. სასამართლოს სტრუქტურული ფუნქციონალური თავისებურებანი საქართველოს სასამართლოებში

როცა სასამართლოსთან დაკავშირებულ ფართო განხილვას ვინცებთ ან სადმე ვხვდებით მას, აუცილებელია საკითხის სანყისად მივიჩნიოთ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის 31-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც გვამცნობს, რომ „ყველა ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციაში ცალკე თავად, გამოყოფილად ვხვდებით სასამართლო ხელისუფლებასა და პროკურატურას, რაც მათ მნიშვნელობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.¹

აღსანიშნავია, რომ სასამართლო ხელისუფლებას საერთო სასამართლოებთან ერთად ახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოც. საკონსტიტუციო სასამართლო წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის მთავარ ორგანოს. რაც შეეხება საერთო სასამართლოებს, ისინი ახორციელებენ მართლმსაჯულებას. სპეციალიზებული საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წელი 24 აგვისტო, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 29/06/2020 წელი

სასამართლოების შექმნა დასაშვებია მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. (3, 40-42)¹ საომარი მდგომარეობის დროს კი დასაშვებია სამხედრო სასამართლოების შემოღება, მაგრამ ეს უკანასკნელიც საერთო სასამართლოების სისტემის ფარგლებში. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და არავის აქვს უფლება მას ანგარიში მოსთხოვოს კონკრეტულ საქმეზე. მოსამართლის როლიდან და მისი თანამდებობის მნიშვნელობიდან გამომდინარე ითვლება, რომ ის მაღალი სტატუსის მატარებელია. ამიტომ ის სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით ხელშეუხებელია. კერძოდ, დაუშვებელია მისი დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებლის, მანქანის ან სამუშაო ადგილის ჩხრეკა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე.² ამ წესიდან საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს დანაშაულზე წასწრების ფაქტი. ასეთ დროს მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს, თუ შესაბამისმა ზემოთხსენებულმა ორგანოებმა არ მისცეს თანხმობა მის დაკავებას ან დაპატიმრებაზე. საქართველოში სასამართლოს აქტის ან მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, ასევე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ნებისმიერი ორგანოსათვის. როგორც ცნობილია, საქართველოში არსებობს სამი ინსტანციის სასამართლო, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილებისა თუ განაჩენის გასაჩივრების შესაძლებლობას, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული ყველას უფლება და ამავდროულად, ასევე მაქსიმალურად გამოირიცხოს შეცდომის ალბათობა სამართალწარმოებისას.³ აქედან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ ადგენს წესს, რომლის თანახმადაც სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ და ეს ყოველივე კანონით დადგენილი წესით.⁴

2. სასამართლოს სტრუქტურულ ფუნქციონალური თავისებურებანი ეროვნულ (საქართველოს) სისხლის სამართლის პროცესში

ზემოთ მიმოვიხილეთ სასამართლოს ზოგადი სტრუქტურა, როლი და ფუნქციები ამჟამინდელი ქართული კანონმდებლობის გათვალისწინებით. ამ ეტაპზე დეტალურად განვიხილავთ სასამართლოს ფუნქციონალურ თავისებურებებს უშუალოდ სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რაც როგორც უკვე ცნობილია, ჩვენი კვლევის მთავარი ობიექტია.

სასამართლო ერთადერთი უფლებამოსილი ორგანოა, რომელსაც შეუძლია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე და გამოიტანოს სამართლიანი, დასაბუთებული და კანონიერი განაჩენი.⁵ სასამართლოს უფლება არ აქვს უარი განაცხადოს მართლმსაჯულების განხორციელებაზე ან უმოქმედობით არ განახორციელოს მართლმსაჯულება. დროის და რესურსების სწორად გადანაწილების პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განთავსებულია მაგისტრატი, საქალაქო და რაიონული სასამართლოები.⁶ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე განიხილება იმ

1 ივორ კვემელავა, ედიშერ გვენეტაძე, საქართველოს კონსტიტუციური განვითარების პოლიტიკური, სამართლებრივი და ისტორიული ასპექტები.

2 საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, 2009 წელი 4 დეკემბერი, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 15/11/2023 წელი

3 დემეტრაშვილი ავთანდილ, კობახიძე ირაკლი, კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 2010 წელი

4 გენაძე გია, საკონსტიტუციო კონტროლის ფორმები და სახეები, ჟრნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, N 1 თბილისი, 1998 წელი.

5 პაკეტე პიერ, მელენ-სუკრამანიანი ფერდინან, კონსტიტუციური სამართალი, ავთანდილ დემეტრაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012 წელი

6 გუგავა ასმათ, სამართალწარმოება საერთო სასამართლოებში, თბილისი 2014 წელი.

ადგილის მიხედვით, სადაც ბრალდებულის პირველი წარდგენა მოხდა სასამართლოში. სასამართლო, მხარეთა ან პროცესში მონაწილე პირთა (მონწევები, დაზარალებულები და სხვა) ინტერესების მეტად დაცვის მიზნით, ხარჯების შემცირების ან სხვა მიზეზით, თავმჯდომარის თანხმობით უფლებამოსილია სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადასცეს სხვა სასამართლოს. საპროცესო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმებას ამტკიცებს კონკრეტული სასამართლო გამოძიების დამთავრების ადგილის მიხედვით. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სასამართლო თავისი ინიციატივით დაადგენს, რომ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმე არ არის მისი განსჯადობის, მაშინ აღნიშნულის თაობაზე გამოაქვს განჩინება და საქმეს გადასცემს სხვა სასამართლოს.¹

რაიონული, საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ან მაგისტრალი მოსამართლე სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილებას, როგორც წესი იღებს ერთპიროვნულად. თუ საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ან სამართლებრივი კუთხით განსაკუთრებით რთულია, მაშინ საქმის განმხილველ სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით. ეს უკანასკნელი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როცა საქმის განხილვა მიმდინარეობს ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომას ყველა შემთხვევაში უძღვება ერთი მოსამართლე (სხდომის თავმჯდომარე).²

განსაკუთრებულ აღნიშვნასა და ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ საქართველოში სასამართლო პროცესი წარმართება შეჯიბრობითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპზე. აღნიშნული გულისხმობს სასამართლოს მხრიდან მხარეებისათვის თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების შექმნას იმდაგვარად, რომ არცერთს არ მიანიჭოს რაიმე უპირატესობა. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით მოიპოვოს ბრალდების დამადასტურებელი ან თუნდაც დაცვის მხარისთვის სასარგებლო და ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები. აღნიშნული, მხოლოდ მხარეთა კომპეტენციას განეკუთვნება.³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილი შესაძლებლობას იძლეოდა მოსამართლეს მხარეებთან შეთანხმებით დამაზუსტებელი კითხვა დაესვა, თუ ეს აუცილებელი იყო სამართლიანი სასამართლოს პრინციპებისათვის. აღნიშნული, არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა როგორც მხარეებში, ისე ფართო საზოგადოებაში. ასევე არ ყალიბდებოდა ერთგვაროვანი პრაქტიკა. აღნიშნული საკითხი განიხილა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ⁴ და დაადგინა, რომ ძალადაკარგულად უნდა იქნას ცნობილი ამ კონკრეტული მუხლის ის შინაარსი, რომელიც ზღუდავს საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ კითხვის დასმის შესაძლებლობას. ამით საერთო სასამართლოს მოსამართლეებს მეტ-ნაკლებად გაუფართოვდათ უფლება, რომლითაც უნდა დააზუსტონ საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები, რომელთა დახმარებითაც უნდა გამოიტანონ კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განჩინები. განჩინების ან შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანამდე მოსამართლეს არ აქვს უფლება აზრი გამოთქვას ბრალდებულის ან მსჯავრდებულის დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე. სასამართლოს შესაძლოა მართებულად მიიჩნდეს გარკვეული საპროცესო მოქმედების ჩატარება სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მაგრამ აღნიშნულის განხორციელება ადგილზე შეუძლებელი იყო.

1 ავტორთა კრებული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015 წელი.

2 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წელი 9 ოქტომბერი, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 16/11/2023 წელი.

3 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009 წელი 9 ოქტომბერი, კონსოლიდირებული პუბლიკაციები 16/11/2023 წელი.

4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება N 3/2/1478, 2021 წელი 28 დეკემბერი, ბათუმი.

ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია კონკრეტული საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად დავალება გაუგზავნოს იმავე დონის ან მისი ქვემდგომ სასამართლოს.¹

როგორც ზემოთ ვახსენეთ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს არაერთი საქალაქო, რაიონული და მაგისტრატი სასამართლოები, რათა მაქსიმალურად მცირე დანახარჯებით და გონივრულ ვადებში განხორციელდეს მართლმსაჯულება. გარდა საქალაქო/რაიონული სასამართლოებისა, საქართველოში ფუნქციონირებს 2 სააპელაციო სასამართლო და ერთი უზენაესი (საკასაციო) სასამართლო. ერთი სააპელაციო სასამართლო მდებარეობს ქალაქ ქუთაისში და მეორე დედაქალაქ თბილისში. ისინი სისხლის სამართლის პალატისა და საგამოძიებო კოლეგიის საშუალებით (სისხლის სამართლის საქმის განხილვისას) განიხილავენ/გადასინჯავენ ყველა იმ საჩივარს, რომლებიც ეხება გასაჩივრებულ განაჩენს, განჩინებას, შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილ სასამართლოებს გამოაქვთ. ის საკითხი, თუ რომელი სასამართლოდან რომელ სააპელაციო სასამართლოში საჩივრდება განაჩენი თუ სხვა, წყდება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიული განსჯადობის მიხედვით.² ეს უკანასკნელი კი დეტალურად რეგულირდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე საჩივარს განიხილავს ერთპიროვნულად. იმავე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატაში საქმე განიხილება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით. ამ წესთან დაკავშირებით არსებობს გამონაკლისებიც. ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე საჩივრები სააპელაციო წესით შესაძლოა ერთპიროვნულად განიხილოს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლემ.³

საქართველოს უზენაესი სასამართლო მდებარეობს თბილისში. ის მართლმსაჯულების განმარტებელი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს წარმოადგენს. საკასაციო საჩივარს, რომელიც გამოწვეულია სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ან სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილებებით, განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა. საკასაციო საჩივარი განიხილება კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო დიდ პალატაში კი 9 მოსამართლის შემადგენლობით. ამ უკანასკნელზე უფრო დეტალურად ქვემოთ შევჩერდებით. საკასაციო საჩივარი შესაძლოა შეტანილ იქნას თუ კასატორის აზრით სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უკანონოა.⁴ განაჩენის უკანონოდ ცნობის საფუძველი შესაძლოა იყოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა არსებითად დარღვევა, რომელიც არ გამოუვლენია პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოს; მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებულია სასჯელის ისეთი სახე ან ზომა, რომელიც აშკარად არ შეესაბამება მისი ქმედების ხასიათსა და პიროვნებას. საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ იმ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ მხარეებს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. სსკ-ის 300-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ეს პირები არიან ბრალმდებლები, ზემდგომი პროკურორები, მსჯავრდებულები ან/და მათი ადვოკატები.⁵

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა, რომელიც

1 ძირითად იურიდიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიურო, თბილისი, 2010 წელი.

2 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილება N 3, 2020 წელი 16 ივნისი თბილისი

3 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილება N 10, 2020 წელი 11 აგვისტო, თბილისი

4 ირაკლი გაბისონია, ჯემალ გაბელია, სასჯელის შერჩევისა და შეფარდების ზოგიერთი საკითხი, საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“ N2 2017

5 ირინე ბოხაშვილი, წინასასამართლო სხდომა სისხლის სამართლის პროცესში, სამართლის ჟურნალი N1 2017 წელი.

იხილავს კონკრეტულ საქმეს, უფლებამოსილია საქმე განჩინებით განსახილველად გადასცეს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას. აღნიშნული დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ ამ კონკრეტული საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის ან საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას. როგორც წესი, საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებელის ფარგლებში და უზენაეს სასამართლოს არ აქვს უფლება გასცდეს წარმოდგენილი საჩივრის ფარგლებს. აღნიშნულთან დაკავშირებით 2015 წელს იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ და დაადგინა, რომ უზენაესი სასამართლო უნდა იყოს უფლებამოსილი გასცდეს საჩივრის ფარგლებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმედების ჩადენის შემდეგ კანონმდებელი აუქმებს ამ კონკრეტული ქმედების დანაშაულებრიობას. ასეთი ფაქტის დადგომის შემთხვევაში, სასამართლო შემადგენლობა იღებს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების გადაწყვეტილებას.¹ და ბოლოს, როდესაც განვიხილავთ უზენაეს სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხებს, გვერდს ვერ ავუვლით საკასაციო საჩივრის სარევიზიო საწყისს.² თუ სასამართლო მსჯავრდებულის საჩივრის საფუძველზე მის სასარგებლოდ აუქმებს ან ცვლის განაჩენს იმ მოტივით, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვისას დაირღვა კანონი და ეს სამართლებრივი შეცდომა განაჩენით ამ კონკრეტულ საქმეში არსებულ სხვა მსჯავრდებულებსაც ეხებათ, მაგრამ მათ არ მიუმართავთ საჩივრით უზენაესი სასამართლოსთვის, სასამართლო სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მაინც ვალდებულია იმსჯელოს ამ მსჯავრდებულების მიმართაც.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედებს სამი ინსტანციის სასამართლო, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მაინც არ არსებობს აბსოლუტურად უშეცდომო სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე პირი ან ორგანო. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საშუალებით იძლევა უფლებას მოხდეს განაჩენის გადასინჯვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.³ წერილობითი შუამდგომლობა ახლად გამოვლენილ გარემოებათა საფუძველზე განაჩენის გადასინჯვასთან დაკავშირებით შედის სააპელაციო სასამართლოში განსჯადობის მიხედვით. აღნიშნული შუამდგომლობის დაყენების უფლება აქვთ მსჯავრდებულს, მის ადვოკატს, პროკურორს, ხოლო მსჯავრდებულის გარდაცვალების შემთხვევაში მის კანონიერ მემკვიდრეს ან/და ადვოკატს.⁴ ხსენებული საფუძველით განაჩენის გადასინჯვა მოხდება, თუ სახეზეა შემდეგი გარემოებები: არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც ადგენს, რომ ყალბია ის მტკიცებულება, რომელიც საფუძველად დაედო გადასასინჯ განაჩენს; არსებობს გარემოება, რომელიც ადასტურებს, რომ კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გამომტანი სასამართლოს შემადგენლობა იყო უკანონო, ასევე მტკიცებულება, რომელიც საფუძველად დაედო განაჩენს; სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადასტურებულია, რომ მოსამართლემ, პროკურორმა, გამომძიებელმა, ნაფიცმა მსაჯულმა ჩაიდინა დანაშაული ან ნაფიცი მსაჯულის მიმართ ჩადენილ იქნა დანაშაული (მოსყიდვა, ზენოლა

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება N3/1/608,609, 2015 წელი 29 სექტემბერი, ბათუმი.

2 ორინე ბოხაშვილი, სისხლის სამართლის სააპელაციო წესით განხილვის პრობლემები, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2003 წელი.

3 მერაბ ქართველიშვილი-კვლევის ხელმძღვანელი, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2020 წელი.

4 გოგა ხატიაშვილი-კვლევის ავტორი, დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2016 წელი.

ან ხვა); ახალი კანონი აუქმებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ქმედებისთვის, რომლის ჩადენისათვის პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო; წარმოდგენილია ის ფაქტი, რომელიც საქმის განხილვისა და განაჩენის გამოტანის მომენტისთვის არ იყო ცნობილი და ეს ფაქტი ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას, უფრო მძიმე ან მსუბუქი დანაშაულის ჩადენის ფაქტს.¹ ამასთანავე, შესაძლოა, მტკიცდებოდეს გამართლებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი ან საჭირო გახდეს სხვა პირის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყება, რომლის მიმართაც ასეთი დევნა შეწყვეტილი იყო; ასევე თუ პროკურორმა წარადგინა დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ საქმის განხილვისას, მისი უფლებების არსებით დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანისას ცნობილი არ იყო და შესაძლოა ამტკიცდებოდეს პირის უდანაშაულობას ან მის დამნაშავეობას სსკ-ს სხვა (მსუბუქი) მუხლით; განაჩენის გადასინჯვის საფუძველი შესაძლოა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადანყვეტილებებიც გახდეს. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ბავშვთა უფლებების კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის გადანყვეტილება.² ე.ი. თუ განაჩენი საერთაშორისო კონვენციების მოთხოვნათა არსებითი დარღვევებით იქნა გამოტანილი, ისინიც დაექვემდებარებიან გადასინჯვას. ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებით მსჯავრდებული პირის/პირების მიმართ გამოტანილი განაჩენი შესაძლოა გადასინჯულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რომელმაც უკანონოდ ცნო ფარული საგამოძიებო მოქმედება, რომლის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებაც საფუძვლად დაედო გადასასინჯვ განაჩენს.³

3. სასამართლოს სტრუქტურული ფუნქციონალური თავისებურებანი ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო სისტემაში

ამერიკის შეერთებულ შტატებში, როგორც საქართველოში და სხვა მრავალ სახელმწიფოში, მოქმედებს სამ საფეხურიანი სასამართლო სისტემა. კერძოდ, რაიონული სასამართლოები – US District Courts, საოლქო სასამართლოები, იგივე სააპელაციო სასამართლოები – Circuit Courts/US Courts of Appeals და ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო – Supreme Court of the United States.⁴ ამ მომენტისთვის აშშ-ს მთელ ტერიტორიაზე მოქმედებს 94 რაიონული სასამართლო, 13 საოლქო/სააპელაციო სასამართლო და ერთი უზენაესი სასამართლო, რომელიც მდებარეობს აშშ-ს დედაქალაქ ვაშინგტონში. სანამ თითოეული საფეხურის დახასიათებაზე გადავალთ, აუცილებელია ვახსენოთ, რომ აშშ-ში მოქმედებს ორი ტიპის სასამართლო სისტემა.⁵ ორივე მათგანს ახასიათებს პირველი და მეორე ინსტანციების არსებობა და ასევე გააჩნიათ უზენაესი სასამართლო (ერთს შტატის უზენაესი სასამართლო და მეორე აშშ-ს უზენაესი სასამართლო). ის სასამართლოები და

1 ნინო ლეკიაშვილი, უდანაშაულობის პრეზუმფციის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის უმნიშვნელოვანესი პრინციპის, რეალიზების პრობლემები, ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020 წელი.

2 კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, 25/11/1994 წელი.

3 ჩუბინიძე ნათია, ფარული საგამოძიებო მოქმედებები და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, თბილისი, 2019 წელი.

4 Toni-jaeger Fine, THE U.S. LEGAL SYSTEM, The Basic, Carolina Academic Press, 2021

5 Toni M. jaeger Fine, American Legal Systems: A Resource and Reference Guide, Carolina Academic Press, 2020

მათი ინგლისური დასახელება, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ წარმოადგენენ **ფედერალურ სასამართლოებს**. ამასთანავე არსებობს **შტატის სასამართლოებიც**.¹

ფედერალური სასამართლოები შტატის სასამართლოებისგან განსხვავებულად ფუნქციონირებენ. მთავარ განსხვავებას მათ შორის წარმოადგენს იურისდიქცია. ე.ი. არსებობს იმ საქმეთა კატეგორია, რომლებიც უნდა განიხილებოდეს ფედერალურ სასამართლოში. ფედერალური სასამართლო გარკვეულწილად იურისდიქციაში შეზღუდული სასამართლოა, რადგან ის ძირითადად განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციით ან ფედერალური წესდებით უფლებამოსილ საქმეებს. მაგალითად, თუ პირს სურს სარჩელით მიმართოს ფედერალურ სასამართლოს, მან სარჩელში უნდა დაასაბუთოს აშშ-ს კონსტიტუციის ან ფედერალური კანონის დარღვევის ფაქტები. ფედერალური სასამართლოები ასევე განიხილავენ ისეთი კატეგორიის სამოქალაქო სამართლის საქმეებს, რომლის დროსაც მოდავე მხარეები წარმოდგენილნი არიან როგორც სხვადასხვა შტატის მოქალაქეები, და ამ მოქალაქეებს შორის დავის საგანი ან სავარაუდოდ მიყენებული ზიანი აღემატება 75 000 ამერიკულ დოლარს. ეს უკანასკნელი გამომდინარეობს „მრავალფეროვნების იურისდიქციის – diversity jurisdiction“ პრინციპიდან. თავის მხრივ მოპასუხე მხარეც უფლებამოსილია იმავე მოტივით მოითხოვოს საქმის გადატანა შტატის სასამართლოდან ფედერალურ სასამართლოში. ამ შემთხვევაში, ლოგიკურია მოსარჩელე მხარე უნდა იყოს სხვა შტატის მაცხოვრებელი.²

როგორც ვახსენეთ, რაიონული სასამართლო წარმოადგენს ფედერალური სასამართლოს სისტემის პირველ საფეხურს. ეს სასამართლოები განიხილავენ როგორც სამოქალაქო, ისე სისხლისსამართლებრივ საქმეებს. მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან უვადოდ, ქვეყნის პრეზიდენტის მიერ, მაგრამ საჭიროა მათი სენატის მიერ დამტკიცებაც. რაიონულ სასამართლოში აუცილებელია სულ მცირე ერთი მოსამართლის არსებობა. მოსამართლეები ამავდროულად პასუხისმგებლები არიან სასამართლოს მართვასა და სასამართლოს თანამშრომელთა ზედამხედველობაზე. ე.ი. ისინი საჭიროების შემთხვევაში ითავსებენ გარკვეულ ადმინისტრაციულ თანამდებობებსაც. ამ დროისთვის ქვეყნის მასშტაბით 670-მდე რაიონული მოსამართლეა განწესებული თანამდებობაზე. რაიონულ სასამართლოში ასევე ვხვდებით მაგისტრატ მოსამართლეებსაც. პირი მაგისტრატ მოსამართლედ აირჩევა თუ მას სასამართლოში არსებულ მოსამართლეთა უმრავლესობა მხარს დაუჭერს. ამ თანამდებობაზე ყოფნის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება 8 წლით, არასრული განაკვეთით დანიშვნის შემთხვევაში ეს ვადა 4 წელია.³ აღსანიშნავია, რომ ამ ვადების გასვლის შემდგომ მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე ერთი და იმავე პირის ხელახალი არჩევის შესაძლებლობა არსებობს. მაგისტრატი მოსამართლე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ახორციელებს სხვადასხვა მოქმედებებს. კერძოდ, გასცემს პირის ჩხრეკის/დაპატიმრების ორდერებს, დაანესებს გირაოსთან დაკავშირებულ საკითხებს, დაუშვებლად ცნობს ის მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით და სხვა მსგავსი საპროცესო მოქმედებები.⁴

გარდა ამისა, წინასწარ განსაზღვრულ სამოქმედო ტერიტორიებზე შექმნილია სპეციალური კატეგორიის საქმეთა განხილვისთვის საჭირო ფედერალური რაიონული სასამართლოები. თითოეულ ფედერალურ რაიონს აქვს სივრცე და იურისდიქცია განიხილოს გაკოტრებასთან

1 Hemant Sharma, John M. Scheb, An Introduction to The American Legal System, Wolters Kluwer Legal & Regulatory U.S. 2020

2 Thomas R. Van Dervort, David L. HUDSON, Law and Legal System, An Introduction to Law and Legal Studies in The United States, Kluwer Legal & Regulatory U.S. 2012

3 Lawrence M. Friedman, American Law an Introduction, Second Edition, W.W. Norton & Company, 1998.

4 Sir Mark Hedley, Modern Judge, Power, responsibility and society~s expectations, Jordan Publishing the Limited, 2016.

დაკავშირებული საქმეები. ქვეყნის მასშტაბით ზოგიერთი სასამართლო უფლებამოსილი განიხილოს საგადასახადო საქმეები (**United States Tax Court**). ასევე ჩვენი განსახილველი სასამართლოს ფარგლებში და დონეზე, არსებობს სასამართლო (**United States Court of Federal Claims**), რომელიც განიხილავს საჩივრებს ფედერალური მთავრობის წინააღმდეგ. აქვე ვხვდებით აშშ-ს საერთაშორისო სავაჭრო სასამართლოსაც.¹

სანამ გადავალთ მეორე ტიპის (შტატის სასამართლო) სასამართლოს დახასიათებაზე და მის სისხლისსამართლებრივ თუ სხვა იურისდიქციაზე, მანამდე უნდა შევეხოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც პირის ორჯერ მსჯავრდებას შეეხება. როგორც სამოქალაქო სამართლის საქმის გადატანა-გადმოტანა შესაძლებელია შტატის სასამართლოდან ფედერალურ სასამართლოში, იგივე წესი არ ვრცელდება სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საქმის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოში, რომლის წინაშეც ბრალდებული წარსდგა ბრალდების მხარის შუამდგომლობით. მართალია, აშშ-ს კონსტიტუციითა და სხვა კანონებით აკრძალულია პირის ბრალდება ერთსა და იმავე საქმესა და ერთსა და იმავე მტკიცებულებების საფუძველზე, მაგრამ საკითხი ასე მარტივად და ერთგვაროვნად გადანყვეტილი მაინც არ არის.² ეს კი გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული აკრძალვა არ ვრცელდება შტატისა მთავრობასა (სასამართლო მათ შორის) და ფედერალურ სასამართლოს შორის. აქედან გამომდინარე, ბოლო წინადადება გულისხმობს შემდეგს, რომ თუ მაგალითად, პირს წარედგინა ბრალდება განზრახ მკვლელობასთან დაკავშირებით და გარკვეული მიზეზით არ/ვერ მოხდა მისი მსჯავრდება შტატის სასამართლოში, მაშინ ზოგიერთ შემთხვევაში ბრალდების მხარე უფლებამოსილია საქმის წარმართვა მოითხოვოს ფედერალურ სასამართლოში, რადგან მკვლელობა და ზოგიერთი სხვა დანაშაული შტატის სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც დანაშაულია და ფედერალური სისხლის სამართლის კანონებითაც. კონკრეტულად რა შემთხვევებში შეიძლება შევხვდეთ მსგავს სამართლებრივ მოვლენას, ამასთან დაკავშირებით ამერიკელი ადვოკატები თავიანთი მომსახურების რეკლამირებისას ხშირად უსვამენ ხაზს იმას, თუ როდენ მნიშვნელოვანია პროფესიონალთან კონსულტაცია, რადგან თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურია და საკითხთან (**double jeopardy**) მიმართებაში კომპლექსურიც.³

ფედერალური სასამართლოს შემდეგ ინსტანციას წარმოადგენს აშშ-ს ფედერალური სააპელაციო სასამართლო (**US Courts of Appeals**). ამერიკის შეერთებულ შტატებში სააპელაციო სასამართლოები ითვლებიან ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და გავლენიან სასამართლოებად აშშ-ს უზენაესი სასამართლოს შემდეგ, რადგან ძალიან ხშირ შემთხვევაში თავიანთი გადანყვეტილებებით ქმნიან პრეცედენტებს, რომლებიც თავის მხრივ, სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ მილიონობით ადამიანზე ახდენენ ზეგავლენას. სააპელაციო სასამართლოს გავლენიანობას ისიც ადასტურებს, რომ მისი გადანყვეტილება ძალიან ხშირ შემთხვევაში საბოლოო, რადგან აშშ-ს უზენაესი სასამართლო ყოველწლიურად შესული ათასობით საქმიდან განხილვისთვის დასაშვებად დაახლოებით 1%-ს ცნობს.⁴ აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოები ფედერალური საქმეების საბოლოო არბიტრებად გვევლინებიან. ამ ეტაპისთვის აშშ-ს ტერიტორიაზე სულ მოქმედებს 13 სააპელაციო სასამართლო, აქედან 12 ქვეყნის სხვადასხვა შტატში მდებარეობს და ემსახურება მის გარშემო მდებარე სხვა შტატების რაიონულ სასამართლოებსაც. მეცამეტე სააპელაციო სასამართლო (**United States Court of Appeals for the District of Columbia Circuit**) მდებარე-

1 Rafael Leal-Arcas, *International Trade and Investment Law, Multilateral, Regional and Bilateral Governance*, Elgar Publishing, incorporated, Edward, 2010.

2 George C. Thomas, *Double Jeopardy: The History, The Law*, NYU Press, 1998.

3 Gary Falkowitz, *The Complete Guide to Law Firm Intake*, Expert Press, 2018.

4 David G. Savage, *Guide to The U.S. Supreme Court*, Fifth Edition, CQ Press, 2010.

ობს კოლუმბიის ოლქში (დედაქალაქი ვაშინგტონი) და ის ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ კოლუმბიის ოლქს. ამის გამო სასამართლო დასახელებულია ყველაზე მცირე გეოგრაფიული იურისდიქციის მქონე სააპელაციო სასამართლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ყველა სააპელაციო სასამართლოში განწესებულია არაერთი მოსამართლე. მაგალითად, პირველ საოლქო სააპელაციო სასამართლოში მუშაობს 6 მოსამართლე, რომლებიც სხვა რაიონულ სასამართლოების რაოდენობასთან შედარებით ემსახურებიან 5 რაიონულ სასამართლოს, რაც მცირე ციფრია. (მეინის, მასაჩუსეტისის, ნიუ ჰემფშირის, პუერტო-რიკოსა და როდ აილენდის რაიონულ სასამართლოები). რაც შეეხება მეცხრე საოლქო სააპელაციო სასამართლოს იქ 29 მოსამართლე მსახურობს, რადგან მათი ტერიტორიული იურისდიქცია საკმაოდ დიდია (მოიცავს აშშ-ს მთელ დასავლეთ სანაპიროს, ალასკას, ჰავაის და სხვა. სულ 11 შტატი), ისინი განიხილავენ 13 რაიონული სასამართლოს მიერ მიღებულ და გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს,¹ ამ სისტემით მუშაობს დანარჩენი 11 სააპელაციო სასამართლოც. აქვე, როგორც სხვა მრავალ სახელმწიფოში, ისე აშშ-ში სააპელაციო სასამართლოს შემადგენლობა საქმის განხილვისას განისაზღვრება კოლეგიურად 3 მოსამართლის შემადგენლობით. გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით მიიღება ხმათა უმრავლესობით. სტანდარტული სააპელაციო სასამართლოების გარდა, არსებობს სპეციალიზებული სააპელაციო სასამართლოებიც, რომლებიც განიხილავენ ვეტერანთა საჩივრებს (**United States Court of Appeals for Veterans Claims**) და შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სააპელაციო სასამართლო (**United States Court of Appeals for the Armed Forces**), რომელიც განიხილავს საჩივრებს სამხედროს საკითხებთან დაკავშირებით.²

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო წარმოადგენს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს სახელმწიფოში. იგი უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ყველა საქმე რომელიც განიხილა სააპელაციო სასამართლომ და ამის შემდეგ მოხდა მათი გასაჩივრება აშშ-ს უზენაეს სასამართლოში. როგორც ზემოთ ვახსენეთ აშშ-ში მოქმედებს 2 ტიპის სასამართლო სისტემა. თუ შტატის უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე სიტყვის თავისუფლების პირველ შესწორებასთან დაკავშირებით, მაშინ აღნიშნული შეიძლება გასაჩივრდეს აშშ-ს უზენაეს სასამართლოში. მაგრამ თუ იგივე საკითხი შტატის უზენაესმა სასამართლომ განიხილა არა ფედერალური კანონის საფუძველზე, არამედ შტატის კანონმდებლობის საფუძველზე და ეს კანონი მსგავსია და მსგავს საკითხს არეგულირებს (შესწორება სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით), მაშინ მისი ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში გასაჩივრება დაუშვებელია. რაიონული და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება უზენაეს სასამართლოში ნებისმიერი მხარის უფლებაა, მაგრამ რაიონულ და სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით უზენაესი სასამართლო ვალდებული არაა მოისმინოს საქმე და ძალიან ხშირ შემთხვევაშიც ასე იქცევა. საქმის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ მხარეებმა უნდა წარადგინონ „writ of certiorari“ და მოითხოვონ საქმის განხილვა. თუ მოთხოვნა დაკმაყოფილდება, მაშინ სასამართლო ჩანიშნავს სხდომის თარიღს, რათა მოხდეს საქმის ზეპირი მოსმენა.³ საჩივრის დაუშვებლად ცნობის შემთხვევაში სააპელაციო ან შტატის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოო და კანონიერ ძალაშიც ის შევა. ერთხელ უკვე ვახსენეთ, რომ აშშ-ს უზენაეს სასამართლოში ყოველწლიურად შესული ათასობით საქმიდან რეალურად 1%-მდე თუ განიხილება. ეს სასამართლო განიხილავს მხოლოდ ისეთ მნიშვნელოვან სა-

1 Daniel J. Meador, Maurice Rosenberg, Paul D. Carrington, Appellate Courts, The Michie Company.

2 Gary D. Solis, The Law of Armed Conflict, International Humanitarian Law in war, Cambridge University Press, 2021.

3 N. E. H. Hull, William James Hull Hoffer, Peter Charles Hoffer, The Supreme Court an Essential History, University Press of Kansas, 2007.

ქმეებს, რომლებიც დიდ ზეგავლენას ახდენენ მთელი ქვეყნის მოსახლეობაზე; საქმეებს, რომლებიც განიხილეს ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა, მაგრამ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულია და ვერ ამკვიდრებს ერთგვაროვან პრაქტიკას; როდესაც საქმის განხილვისას ან გადაწყვეტილების მიღებისას დაშვებულია აშკარა და უხეში შეცდომა, რაც მართლმსაჯულებასა და სამართლიანობას ზიანს აყენებს. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს წევრები ინოვაციური მსაჯულებად (justices). ამ თანამდებობაზე მსახურობს 9 მსაჯული. ისინი ინიშნებიან აშშ-ს პრეზიდენტის მიერ, მაგრამ ამასთანავე საჭიროებენ სენატის მხარდაჭერასა და თანამდებობაზე დამტკიცებას. მსაჯულები თანამდებობაზე გამწესდებიან უვადოდ. აქვე, საყურადღებოა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია არ ადგენს მოთხოვნებს აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა კანდიდატებისათვის,¹ მიუხედავად ამისა, ამჟამად ყველა მსაჯული უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირია და მათი უმეტესობა წარსულში მსახურობდა როგორც რაიონული სასამართლოს მოსამართლე. ასევე ხშირია მსაჯულებად იმ პირების განწესება რომლებიც იურიდიულ, აკადემიურ წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ (სამართლის პროფესორები და სხვა). აღნიშნული 9 მსაჯულიდან ერთი თავმჯდომარეობს სასამართლოს, რომელსაც ნიშნავს პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი. ამ შემთხვევაშიც არ არის აუცილებელი, რომ თავმჯდომარეობის კანდიდატი იყოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი წევრი. ცნობისთვის 17 თავმჯდომარეიდან 5 იყო უზენაესი სასამართლოს მსაჯული, სანამ გახდებოდნენ თავმჯდომარეები. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს და მის განსჯად საქმეებს, აშშ-ში ცალკე საკონსტიტუციო სასამართლო არ არსებობს. აშშ-ს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს იმ ორგანოს, რომელიც ვალდებულია განიხილოს საკონსტიტუციო სასამართლოების განსჯადი საქმეები. ეს საქმეები შესაძლოა იყოს შტატებს შორის იურისდიქციული დავა, სამართლებრივი დოკუმენტის, კანონის შესაბამისობა აშშ-ს კონსტიტუციასთან.²

შტატის სასამართლო თავისი სახელიდან გამომდინარეც ამჟღავნებს იმას თუ რა ფუნქციების მატარებელი შეიძლება იყოს ის. ამ სასამართლო სისტემას ისე დეტალურად არ განვიხილავთ როგორც ეს ფედერალური სასამართლოს სისტემის შემთხვევაში გავაკეთეთ. ამის მიზეზი კი მისი მსგავსებაა ფედერალურ სასამართლოებთან. ჩვენ მხოლოდ შევხებით იმ საკითხებს, რომელიც შტატის სასამართლოს აშკარად განასხვავებს ფედერალური სასამართლოებისგან. საკითხს ნაწილობრივ ზემოთ შევხებით, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო დეტალურად განვიხილავთ იმ მნიშვნელოვან ნაწილს სასამართლო სისტემაში, რომელსაც იურისდიქცია ეწოდება. შტატის სასამართლო ფედერალური სასამართლოსგან გეოგრაფიული იურისდიქციული განსხვავების გარდა, ასევე განსხვავდება განსახილველი საქმეების ბუნებიდან გამომდინარეც,³ თუ ფედერალური რაიონული, სააპელაციო და აშშ-ს უზენაესი სასამართლოები განიხილავენ (ჩვენი ინტერესის სფეროდან გამომდინარე სისხლის სამართალზე ვაკეთებთ აქცენტს) სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც ეხება ფედერალურ დანაშაულებს, ამის საპირისპიროდ შტატის პირველი ინსტანციის სასამართლო (შტატე თრაილ ჩოურტს) სისხლის სამართლის საქმეს განიხილავს კონკრეტული შტატის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად. სისხლის სამართლის საქმეების გარდა, შტატის სასამართლო განიხილავს სხვა მიმართულებების საქმეებსაც. მათ შორის მუნიციპალურ დონეზე წამოჭრილ საკითხებსაც. პირველი ინსტანციის განაჩენის გასაჩივრების მსურველ მხარე უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს შტატის სააპელაციო სასამართლოს (State Appellate Courts). როგორც ფედერალური სასამართლოს სისტემის შემთხვევაში, ისე შტატის დო-

1 Elder Witt, Joan Biskupic, Guide to The U.S. Supreme Court: 001, CQ Press an Imprint of SAGE, 1996.

2 Alpheus Thomas Mason, Jr. Stephenson Donald Grier, American Constitutional Law, Routledge, 2017.

3 P. E. O. Oguno, Principles of Constitutional Law, AJPO journals and books publishers.

ნეზეც არსებობს უზენაესი სასამართლო (State Supreme Courts), რომელიც განიხილავს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს,¹ აშშ-ს უზენაესი სასამართლოსგან განსხვავებით, შტატის უზენაეს სასამართლოში საქმის დასაშვებად ცნობისა და განხილვის ბევრად მაღალი ალბათობაა. საქმის პირველ ინსტანციაში წარმოების შემთხვევაში შესაძლოა წამოიჭრას ბრალდება (გადაწყვეტილებას იღებს 3 მოსამართლე კოლეგიურად) კონსტიტუციის დარღვევასთან დაკავშირებით. ასეთ დროს რაიონული სასამართლოდან საქმე ავტომატურად იგზავნება აშშ-ს უზენაეს სასამართლოში. ასეთი კატეგორიის საქმეზე აშშ-ს უზენაესი სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს და გადაწყვეტილება მიიღოს. შტატში არსებულ ადმინისტრაციულ/მუნიციპალურ ან იურისდიქციულ საკითხებს ნყვეტენ შტატის სასამართლოები, მაგრამ თუ სამართლებრივი დავა წარმოიშობა შტატებს შორის, მაშინ ამ საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებაზე ერთადერთ უფლებამოსილ ინსტიტუტად ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო გვევლინება.²

გვერდს ვერ ავუვლით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება აშშ-ს სასამართლო სისტემასა და მართლმსაჯულებას. ნაფიც მსაჯულების მიერ საქმის განხილვა და ვერდიქტის გამოტანა ხშირად რწმენის გამოხატულებად მიიჩნევა. აღნიშნულის მნიშვნელობას კარგად გამოხატავს მოსამართლე, ლორდ დევილინი, რომელმაც 1956 წელს დაწერა: „სასამართლოში საქმის განხილვა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით უფრო მეტია, ვიდრე სამართლიანობის იარაღი და მეტია, ვიდრე კონსტიტუციის ბორბალი; ეს არის ლამპარი, რომელიც გვიჩვენებს, რომ თავისუფლება ცოცხლობს.“ სამართალწარმოებები ერთმანეთისგან განსხვავდება, ამიტომ მიდგომა ნაფიცი მსაჯულების მიმართაც განსხვავებულია. ზოგიერთ ქვეყანაში ნაფიცი მსაჯულების გამოყენება სისხლის სამართლის საქმის განხილვისას აუცილებელია (ინგლისი, უელსი), ზოგიერთი ქვეყანა (საფრანგეთი) მათ შეზღუდულად მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას იყენებს და მოსამართლესთან ერთად განსაზღვრავენ გამოსატან განაჩენს,³ არიან ქვეყნები, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს კიდევ უფრო შეზღუდულად გამოიყენებს. ამ სიაში საქართველოსაც აღმოვაჩინთ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს იმ დანაშაულთა ჩამონათვალს, რომლებზეც ბრალდებულს უფლება აქვს, რომ მოითხოვოს მისი საქმე განხილულ იქნას ნაფიცი მსაჯულების მიერ. ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვა ყველაზე შთაბეჭქდავი აშშ-ია. მსაჯულების ჩართულობა ხაზს უსვამს, როგორც მოსამართლეთა ძალაუფლებისა და გავლენის შემაკავებელ ფაქტორს. მართლმსაჯულების აღსრულებაში მოქალაქეთა ჩართვით ივარაუდება, რომ საზოგადოება წარმოაჩენს თავის ღირებულებებს. საყურადღებოა, რომ ნაფიც მსაჯულებს მოსამართლისგან განსხვავებით არ უწევთ ვერდიქტის დასაბუთება, მათ მტკიცებულებების არსებობა/არარსებობის პირობებშიც ის ვერდიქტი გამოაქვთ, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევენ. მტკიცებულებების უგულვებელყოფით მიღებული გამამართლებელი განაჩენი შესაძლოა მიუთითებდეს ქვეყანაში ცუდი და არაპოპულარული კანონის მიმართ მოსახლეობის კრიტიკულ დამოკიდებულებაზე,⁴ როგორც აშშ-ში ისე მრავალ სხვა ქვეყანაში ვხვდებით ამ ინსტიტუტის მონიწილმდეგეებს, რომლებიც ასაბუთებენ, რომ ხშირად საშუალო სტატისტიკურ მსაჯულს არ შესწევს უნარი ჩანვდეს სამეცნიერო და ტექნიკური ხასიათის მტკიცებულებებს, რათა მათ საფუძველზე მიიღოს სამართლიანი ვერდიქტი. ასევე გავრცელებული აზრია, რომ ნაფიცი მსაჯულები შესაძლოა მარტივად მოექცნენ ერთი ან

1 E. Allan Farnsworth, Introduction to the Legal System of the United States, Fourth Edition, Oxford University Press, Incorporated, 2010.

2 David L. HUDSON, Constitution Explained: A Guide for Every American, Visible Inkpress, 2022.

3 Stephen J. Adler, The Jury, Trail and Error in The American Court Room, Crown Publishing Group T.H.E. 1994.

4 Raymond Wax, Philosophy of Law: A Very Sort Introduction, Second Edition, Oxford University Press, 2014.

ორი „ჯიუტი“ მსაჯულის ზეგავლენის ქვეშ. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ აშშ-ში ნაფიც მსაჯულებს არასწორი/მცდარი/გაუმართლებელი სიმპათია ეუფლებათ ხოლმე ბრალდებულისადმი, რის დასტურადაც იშველიებენ სტატისტიკას, რომლის თანახმადაც მსაჯულებს უფრო ხშირად გამოაქვთ გამამართლებელი ვერდიქტი, ვიდრე მოსამართლეებს გამამართლებელი განაჩენი. რაც შეეხება ნაფიც მსაჯულთა მიერ სათათბირო ოთახში გასვლას, განხილვასა და კენჭისყრას, აშშ-ში სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე განსხვავებული მოთხოვნებია დაწესებული. მაგალითად, კალიფორნიის შტატში სამოქალაქო საქმეებზე ვერდიქტის გამოსატანად საჭიროა მსაჯულთა სამი-მეოთხედის თანხმობა. სისხლის სამართლის საქმეზე, როცა მსაჯულებმა უნდა გადაწყვიტონ, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული წარდგენილ ბრალდებებში, მათ უნდა მიიღონ ერთსულოვანი გადაწყვეტილება. უმეტეს შემთხვევაში მსაჯულთა რაოდენობა შეადგენს თორმეტს. ამ ტიპის განხილვებისას ვხვდებით სათადარიგო, ასევე მთავარ მსაჯულს, რომელსაც თავის როლი აკისრია სასამართლოსთან ურთიერთობაში.¹

დასკვნა

სტატის დასაწყისში მიმოხილული იქნა სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ინსტიტუტის – როლი სახელმწიფოში. ასევე განხილულ იქნა საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რათა მკითხველისთვის თვალსაჩინო და გასაგები გამხდარიყო ზემოთ ჩამოთვლილთა ის ნორმატიული შინაარსები, რომლებიც უშუალოდ საქართველოში არსებული სასამართლოების ფუნქციონირებას ეხება.

გარდა ამისა, სტატის ნაწილი მიეძღვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებების განხილვას, რამაც საშუალება მოგვცა შეგვესწავლა უშუალოდ სასამართლოს ადმინისტრაციული კუთხით მისი მოწყობისა და ფუნქციონირების საკითხები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ნაშრომში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი წარმოადგენს საკვანძო კანონს, როცა საქმე ეხება სასამართლოს სტრუქტურულ ფუნქციონალურ თავისებურებებს საქართველოს მაგალითზე. საპროცესო კოდექსის დახმარებით გაშუქდა არაერთი მუხლი, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის პროცესის წარმართვას სასამართლოში, საქმის გასაჩივრებას, განაჩენის გადახედვას ახლად გამოვლენილი გარემოებათა გამო და სხვა არაერთი საპროცესო მოქმედება.

სტატის მეორე ნაწილი სრულად მიეძღვნა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლო სისტემას, რომელიც მიმოიხილავს იქ მოქმედ ფედერალურ სასამართლოს, შტატის სასამართლოს, შტატის სააპელაციო სასამართლოს, შტატის უზენაეს სასამართლოს, ფედერალურ სასამართლოს, ფედერალურ სააპელაციო სასამართლოსა და აშშ-ს უზენაეს სასამართლოებს. აღნიშნული სახელმწიფო სპეციალურად შერჩეულ იქნა, რადგან ის წარმოადგენს საერთო სამართლის (Common Law) სამართლებრივი სისტემის ნაწილს და მკვეთრად განსხვავდება საქართველოში მოქმედი სამართლებრივი სისტემისგან (Civil Law). ეს კი შესაძლებლობას იძლევა სასამართლო, მისი ფუნქციონალური თავისებურებები მიმოგვეხილა და შეგვედარებინა ორი ძირითადი სამართლებრივი სისტემის მაგალითზე. სისხლის სამართლის პროცესისას არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც ასევე გავაშუქეთ. აქვე გამოვყავით მისი სუსტი და ძლიერი მხარეები, შევეხეთ მის მონიშნულ მდგომარეობას და მომხრეთა არგუმენტებს. ბოლოს, ეჭვგარეშეა, რომ მოცემული სტატია აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ პირებს საბაზისო ცოდნასა და ინფორმაციას ნამდვილად მიაწვდის.

¹ Lawrence M. Friedman, *The Gig Trial, Law is Public Spectacle*, University Press of Kansas, 2015.

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის ცვლილება ქართულ კანონმდებლობაში

აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაზარალებული არის პირი, რომელსაც ზიანი მიადგა დანაშაულებრივი გზით. დაზარალებული პირის უფლება-მოვალეობები კანონმდებლობაში სხვადასხვა პერიოდში იცვლებოდა.

დაზარალებული შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, რომლის წარმომადგენელიც გაეცნობა დადგენილებას პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ. იურიდიული პირი დაზარალებულად ძირითადად ქონებრივ დანაშაულებში გვევლინება. რაც შეეხება სახელმწიფოს მიმართულ დანაშაულებსა და ნარკოტიკულ დანაშაულებს, ამ ტიპის დელიქტებს დაზარალებული არ ჰყავთ. მათი განსჯადობა საზოგადოებრივ წესრიგსა და სახელმწიფო წესრიგზეა დაფუძნებული.

გარდა მატერიალური უფლებებისა, დაზარალებულთან უფრო სერიოზული მიდგომები არის დანერგილი სახელმწიფოების მიმართ, ვიქტიმოლოგიის განვითარებამ მათ ფიზიკურ მდგომარეობასთან ერთად ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც დაინყო ზრუნვა და დაზარალებული მეტად დაცულია მეორადი ვიქტიმიზაციისაგან, რაც ბევრად გააუარესებდა მის მდგომარეობას.

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა საყურადღებოა, რადგან გარკვეულ ასპექტებში ცვლილებებს საჭიროებს, ვთვლი, რომ აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალურია, რადგან დღესდღეობითაც არის გარკვეული პრობლემური საკითხები, ამასთან დაზარალებულის უფლებებთან მიმართებაში საკონსტიტუციო სასამართლომაც იმსჯელა.

საკვანძო სიტყვები: დაზარალებულის უფლებები, ვიქტიმიზაცია.

შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დაზარალებული ეს არის: „სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად.“¹

ქართულ სამართალში დაზარალებულის უფლებრივმა მდგომარეობამ სხვადასხვა დონის ცვლილებები განიცადა. ამ პროცესებზე სხვადასხვა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა, მათ შორის იყო სახელმწიფოს მიდგომა ამ საკითხთან და ასევე, საერთაშორისო გავლენაც. დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის აქტუალურობას, ვიქტიმოლოგიის სისტემურმა შესწავლამ და მსხვერპლის უფლებებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის ღრმა ანალიზმა შეუწყო ხელი. გარდა ამისა ქართულ რეალობაში სახეზე იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რაც დაზარალებულის უფლებების სიმწირემ გამოიწვია.

აღნიშნული თემის აქტუალობა საერთაშორისო ტენდენციებმა გამოიწვია, საერთაშორისო ასპარეზზე მსხვერპლის უფლებები წინა პლანზე არის დაყენებული. დანაშაულით დაზარალებული პირის უფლებრივი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა საერთაშორისო სასამართლოს მიერაც არის ბევრჯერ შეფასებული. მათ შორის საქართველოს მიმართაც დადგა გამამტყუნებელი გადაწყვეტილებები და საქართველოს სახელმწიფოს დაეკისრა გარკვეული ტიპის ვალდებულებები.

1. დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობის ისტორიული მიმოხილვა

საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაზარალებულს გააჩნდა ფართო უფლება-მოსილებები კერძოდ: დაზარალებულს შეეძლო აეცილებინა პროცესის მონაწილე პირი. მას შეეძლო შუამდგომლობის დაყენება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ და შეეძლო მოეთხოვა საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა, დაზარალებული ნებისმიერ დროს ყველანაირი შეზღუდვის გარეშე ეცნობოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებსა და საქმეზე დართულ ნივთიერ მტკიცებულებებს. დაზარალებული უფლებამოსილი იყო თავად წარედგინა მტკიცებულებები საქმეზე. ამავე კოდექსით დაზარალებული სუბსიდიური ბრალმდებლის ქრილში გვევლინებოდა და პროკურორის ბრალდებას მხარს უჭერდა. საინტერესოა ფაქტი, რომ დაზარალებულის უფლებები იმდენად ფართო იყო, რომ მას პროკურორისგან დამოუკიდებლადაც შეეძლო გაეგრძელებინა ბრალმდებლის როლის შეთავსება. ასევე საინტერესოა ფაქტი, რომ თუ დაზარალებული უარს განაცხადებდა საჩივარზე წყდებოდა სისხლის სამართლებრივი დევნა საქმეზე. პირს, რომელიც დაზარალებულად ითვლებოდა საქმეზე უფლება ჰქონდა გაესაჩივრებინა სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენები სააპელაციო და საკასაციო წესით.¹

1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის შესახებ დადგენილების გამოტანის უფლებამოსილება გააჩნდა პროკურორს ან გამომძიებელს. დღევანდელი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, დაზარალებულად ცნობის უფლება ჰქონდა პირველი ინსტანციის მოსამართლესაც სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა იცნობდა დაზარალებულის წარმომადგენლის ინსტიტუტსაც.²

მაშინდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით არსებობდა წინასწარი გამოძიების ინსტიტუტი, აღნიშნული პროცესის წარმოებისას დაზარალებულს უფლება ჰქონდა ესარგებლა დაცვის მომსახურებით. თუ სახეზე იყო არასრულწლოვანი, ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი დაზარალებული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენდა ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობას ასევე აღნიშნული წესი ვრცელდებოდა, თუ დაზარალებულს ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა და ტრეფიკინგის დანაშაულის გამო იყო დაზარალებულად ცნობილი.³

დაზარალებულისათვის მსგავსად ფართო უფლებამოსილების მინიჭება, სამართალწარმოების პროცესისთვის შესაძლოა საზიანო ყოფილიყო. მითუმეტეს, როდესაც დავა კერძო ხასიათის იყო და სახელმწიფო არ ერეოდა ორ პირს შორის გამართულ სასამართლო პროცესში, თუ არ იყო პროკურორის ნება ან რაიმე განსაკუთრებული გარემოება. ეს ყოველივე ნააგავდა უძველეს დროში არსებულ წყობილებას, როდესაც დანაშაულის მსხვერპლი თავად ცდილობდა აღედგინა სამართლიანობა. ჩეზარე ბეკარიას 1764 წლის ნაშრომში „ესე დანაშაულებსა და სასჯელებზე“. სწორედ ხაზს უსვამს ფაქტს, რომ სისხლის სამართლის

1 გ. თუმანიშვილი, დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი N2, 2009, 75.

2 საქართველოს სისხლის სამართლის 1998 წლის საპროცესო კოდექსი მუხლი 70.

3 საქართველოს სისხლის სამართლის 1998 წლის საპროცესო კოდექსი.

მართლმსაჯულების ფუნქცია უნდა იყოს საზოგადოების დაცვა იმათგან, ვინც დაარღვევს კანონს. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში საუბრობდა მეცნიერი სახელმწიფოს როლის მნიშვნელობაზე დანაშაულთან ბრძოლაში. ამ მიდგომას წლების განმავლობაში ითვალისწინებდნენ სახელმწიფოები, თუმცა აღნიშნულმა პროტესტი გამოიწვია რის შემდეგაც მივიღეთ დაზარალებულის ასეთი ფართო ხასიათის უფლებები. რაც საჭიროებდა ცვლილებას და ცვლილება განხორციელდა კიდევ.

2. ძირეული ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში

2010 წელს საქართველომ მიიღო ახალი, ფაქტობრივად ძირეულად შეცვლილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. აღნიშნული კოდექსით ქვეყანაში არსებული ინკვიზიციური პროცესის სისტემა გადავიდა საერთო სასამართლოების ქვეყნებისათვის დამახასიათებელ შეჯიბრებით პროცესზე. ამ ცვლილებით დაზარალებული აღარ წარმოადგენდა სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მხარეს და მიენიჭა მოწმის უფლება მოვალეობები სრულად, ასევე კოდექსმა მას მიანიჭა დამატებითი უფლებები მაგალითად, როგორც იყო ინფორმირების უფლება.¹

დღესდღეობით მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რომელიც როგორც ზემოთ აღვნიშნე, 2010 წელს შევიდა ძალაში. პირის დაზარალებულად ცნობისთვის არ არის აუცილებელი არსებობდეს სასამართლო გადაწყვეტილება ან საქმე სასამართლოში იყოს წარგზავნილი, ამ სტატუსის მისაღებად საკმარისია დანაშაულის ფაქტი და ამ ფაქტით დაზარალებული პირის ან მისი უფლებამონაცვლის არსებობა. განსხვავებით წინამორბედი სამართლის კოდექსისგან, ამ შემთხვევაში პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გამომტანი ერთადერთი უფლებამოსილი პირი არის პროკურორი. ახალმა კოდექსმა სასამართლოსა და გამომძიებელს ეს უფლება ჩამოართვა. 2010 წლის კოდექსმა, რომელშიც შემდგომ გარკვეული ცვლილებები შევიდა დაზარალებული დატოვა მხოლოდ ბრალდების მონმედ. იმ ეტაპზე მას არ ჰქონდა მასალების გაცნობის უფლება კი.²

რა თქმა უნდა, არსებული ფართო უფლებამოსილებიდან, ამ მასშტაბის შეზღუდვებმა გამოიწვია დაზარალებული პირების პროტესტი. მათ სურდათ მეტად ფართო უფლებებით სარგებლობა. ამასთან 2012 წლის 25 ოქტომბერს მიღებული იქნა დღესდღეობით დაზარალებულის კუთხით ევროპული სახელმწიფოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტი, დირექტივა 2012/29/EU „დაზარალებულის უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტებისა და ჩარჩო გადაწყვეტილების 2001/220/JI ჩანაცვლების შესახებ“ რამაც საქართველოს სახელმწიფოსაც მოუწოდა ცვლილებებისკენ.

აღნიშნული გადაწყვეტილებების ტალღამ 2014 წელს სისხლის სამართლის პროცესში სტიმული მისცა რეფორმათა ახალ ტალღას, რომლის მიზანს წარმოადგენდა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ინსტიტუტის გაძლიერება და სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების, განსაკუთრებით შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით, დაზარალებულის ინტერესების მაქსიმალური დაცვა.³

2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დაზარალებულს მიენიჭა ისეთი მნიშვნელოვანი უფლებები, როგორცაა გამომძიების ეტაპზე საქმის მასალების გაცნობის უფლება და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პროკურორის ზოგიერთი დადგენილების გასაჩივრების უფლება. მიმაჩნია, რომ საქმის მასალების გაცნობის უფლება

1 თუმანიშვილი გ. ჯიშკარიანი ბ. შრამი ე. ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე. გამომცემლობა მერიდიანი. თბილისი 2019.

2 გახოკიძე ჯ. მამნიშვილი მ. გაბისონია ი. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ზოგადი ნაწილი. თბილისი 2013.

3 „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი.

სრულიად საკმარისი იყო დაზარალებულის ქრილში, რადგან დაზარალებულის უფლებების ზრდას შესაძლოა მოჰყვეს გამოძიების ინტერესების სანინალმდეგო მოქმედებები.

საქართველოში სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობა პრობლემას წარმოადგენდა, გამომდინარე იქიდან, რომ სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით მას არ შეეძლო საქმის მასალების ასლების მიღება.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გავლენა დაზარალებულის უფლებებზე

მოცემული ნორმატიული მოწესრიგება შეიცვალა 2020 წლის 18 დეკემბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც, დაზარალებულს მიენიჭა საქმის მასალების ასლების მიღების უფლება. კერძოდ, სასამართლომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ უფლებასთან (პირის უფლება, გაცენოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას) შეუსაბამოდ მიიჩნია სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავს დაზარალებულის შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაცენოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს ასლის სახით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დაზარალებულს უფლება მიეცა საქმის მასალების გაცნობის პარალელურად ასევე მიიღოს საქმის მასალების ასლებიც.¹

ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლო ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, 2018 წლამდე დაზარალებულ პირს დაზარალებულად ცნობის დადგენილების გასაჩივრება მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის დროს შეეძლო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №2/12/1229, 1242, 1247, 1299 გადაწყვეტილებით, დაზარალებულად ცნობის დადგენილების გასაჩივრება არა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე, არამედ მძიმე და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც გახდა შესაძლებელი.²

განსაკუთრებით ბოლო წლებში საქართველოს რეალობაში ძალიან მომრავლდა ფემინიციდის შემთხვევები, ოჯახური დანაშაულები და ამ კატეგორიის დანაშაულთა მსხვერპლი ადამიანები. სწორედ ამიტომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ან/და 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული გადახდისუუნარო პირი სარგებლობს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით, თუ საქმეში არ მონაწილეობს მის მიერ აყვანილი ადვოკატი (დაცვა შეთანხმებით), ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის ან/და 126¹ მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი, რომელიც გადახდისუუნაროდ არ მიიჩნევა, უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობს „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საფუძვლების არსებობისას, იმავე კანონით დადგენილი წესით.³

აღნიშნული ცვლილებები ნათლად გამოხატავს საქართველოს ნებას, რომ დაზარალებულის მიმართ მოქმედი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტებთან. თუმცა დაზარალებულის საჭიროებებისა და საერთაშორისო აქტების მიმოხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში საჭიროება სხვადასხვა კატეგორიის უფლებები, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია მისი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/3/1312 საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 18/12/2020, სარეზოლუციო ნაწილი.

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ზვირაყორმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გვანიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

3 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 57-58.

აუცილებელია დაცული იქნას ოქროს შუალედი განუსაზღვრელ უფლებებსა და უუფლებობას შორის და დაზარალებულს ჰქონდეს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი უფლებამოსილებები.

დასკვნა

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ დაზარალებული პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი მონაწილეა, რომელიც ამოსავალი წერტილია. რადგან თუ არ არის დანაშაული, არ არსებობს არც ბრალდებული და არც პროცესის მონაწილე სხვა მხარეები. ქართულ რეალობასთან მიმართებაში თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულს აქვს საკმაოდ ფართო უფლებამოსილება. დაზარალებულისათვის სისხლის სამართლის მასალების გადაცემამ, შესაძლოა გამოიყენოს პროცესის მსვლელობას ხელი შეუშალოს და დაზარალებულმა თავად მოინდომოს სამართლის აღსრულება, თუმცა ფაქტია, რომ დაზარალებული ქართულ რეალობაში ამ უფლებით სარგებლობს. თითოეულ ქვეყანაში დაზარალებული სხვადასხვა უფლებამოვალეობებით სარგებლობს, თუმცა, თანამედროვე ევროპული სახელმწიფოები ევროსაბჭოს დადგენილებების შესაბამისად მოქმედებენ და მათ შორის არის საქართველო, სადაც დაზარალებულის უფლებები უმჯობესდება და მოდის ევროსაბჭოს გადნყვეტილებასთან თანხვედრაში.

№1



CURRENT
ISSUES
IN LAW

2023



To fortify, motivate, and underpin legal education, scientific inquiry, and research endeavors across Georgia's regions, the law journal "Current Issues in Law" is published. This initiative is a collaborative effort among regional universities and their representative offices. The publication receives backing from the USAID Rule of Law Program.

№1

CURRENT

ISSUES

IN LAW

2023

EDITORIAL BOARD:

George Mirianashvili

Editor: Doctor of Law, Associate Professor at Grigol Robakidze University.

Guliko Galdava

Editorial Board Member: Doctor of Law, Professor at Grigol Robakidze University.

Anna Pirtskhalashvili

Editorial Board Member: Doctor of Law, SEU Professor at the National University of Georgia, Professor at Shota Meskhia Zugdidi State Teaching University.

Devi Khvedeliani

Editorial Board Member: Doctor of Law, Professor at Shota Meskhia Zugdidi State Teaching University.

Levan Jakeli

Editorial Board Member: Doctor of Law, Professor at Batumi Shota Rustaveli State University.

Marine Kvachadze

Editorial Board Member: Doctor of Law, Professor at LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University.

Mamuka Shengelia

Editorial Board Member: Doctor of Law, Professor at LEPL Akaki Tsereteli State University.

Davit Khobelia

Editorial Board Member: Doctor of Law, Professor at Samtskhe-Javakheti State Teaching University.

Sophio Shengelia

Editorial Board Member: Doctor of Law, Assistant Professor at Caucasus University.

Content

Davit Kurtanidze

The Principle of Utī Possidetis Juris in Modern International Law
(Some Aspects and the Context of Georgian Statehood) 121

Zurab Aznaurashvili, Tamar Devdariani

Disciplinary Proceedings as a Preventive Mechanism for Ensuring
the Right to a Fair Trial..... 135

Tea Samtchkuashvili, Shalva Lazariashvili

Challenges of Legal Regulation of Gifts in Public Service in Modern Georgian
Legislation..... 143

Tamar Urushadze

The Role of the Constitutional Court of Georgia in Protecting Constitutional
Human Rights and Freedoms..... 154

Nikoloz Meladze

Counterclaim - Procedural Mechanism for Defense Against a Suit 164

Mariam Zarkua

Recognition and Execution of the Foreign Court Decisions 170

Zaza Mchedlishvili

The Role and Significance of Fundamental Principles in the Civil Procedural Law
of Georgia: A Comparative Legal Analysis..... 182

\

Eter Topchishvili

The Role and Importance of the Claim Institution in Civil Litigation..... 190

Tsitso Ghvaladze

Violence Against Women in Islam and State Legal Mechanisms to Combat It..... 196

Giorgi Kvaratskhelia

Structural and Functional Characteristics of Courts in National and US Criminal
Proceedings..... 202

Anna Kutchava

Evolving Human Rights Conditions for Victims in Georgian Legislation..... 213

Davit Kurtanidze
Judge at Tbilisi City Court

**The Principle of Uti Possidetis
Juris in Modern International Law**
**(SOME ASPECTS AND THE CONTEXT
OF GEORGIAN STATEHOOD)**

ABSTRACT

The article discusses the essence of the principle of *Uti Possidetis Juris*, the historical evolution of the doctrine of *Uti Possidetis* and the application of this principle in modern international law.

For a sovereign state territory and borders are of the most importance in the international political system. In this context, the importance of the principle of *Uti Possidetis* regarding achieving stability in relations between states and avoiding territorial conflicts is emphasized. It is also mentioned that in many cases the application of this principle has caused border disputes.

The article analyzes the application of this principle in the case of the dissolution of the former Soviet Union, presents an analysis of the possibility of using this principle in the context of the territorial integrity and border determination of Georgia in the context of the territorial conflicts of Abkhazia and South Ossetia. It is highlighted that after gaining independence, on the basis of *Uti Possidetis Juris*, the former administrative borders of the Georgian SSR were transformed into the international borders of independent Georgia, which is supported by the practice of democratic states, and Abkhazia and the so-called South Ossetia cannot use the principle of *Uti Possidetis* for separatist purposes.

The article presents problematic aspects, conclusions and opinions on the discussed issue.

Keywords: territorial integrity, borders, secession

Introduction

This article examines the *uti possidetis juris* principle—a concept in international law that determines the state borders of newly sovereign states based on their administrative boundaries prior to separation. The aim of this article is to explore the evolution of this principle and illustrate its application in contemporary international law. It also seeks to analyze the application of this principle in the aftermath of the dissolution of the former Soviet Union, particularly in the context of establishing territorial integrity and borders for Georgia, and to discuss the potential of applying this principle in the context of establishing state borders and gaining international recognition. The application of the *uti possidetis juris* principle plays a significant role in this process for any state.

Uti Possidetis Juris is recognized as a doctrine of customary international law, which, during the era of decolonization, played a central role in determining the territorial sovereignty and borders of newly formed states.¹ Nowadays, it is universally accepted that the borders of newly established states are determined using the *uti possidetis juris* principle as a norm of customary international law. This principle is applied even when it appears to contradict the principle of self-determination of peoples.² The *uti possidetis* doctrine asserts that new states arising from decolonization inherit the administrative boundaries that existed during the colonial period at the time they gained independence.³ Recent decades have confirmed that *uti possidetis juris* is employed not only in the context of decolonization but also in all instances where the borders of new states need to be estab-

1 Shaw, M. N., *The Heritage of States: The Principle of Uti Possidetis Today*, 67 BRIT. Y.B. INT'L L. 1996. N 1, 115.

2 Ibid, p. 5.

3 Ratner, S. R., *Drawing a Better Line: Uti Possidetis and the Borders of New States*, 90 AM. J. INT'L L. 1996. N4, 590.

lished.¹ *Uti possidetis juris* was applied in the cases of Czechoslovakia, Yugoslavia, as well as the states created from the dissolution of the Soviet Union.²

In international law, *uti possidetis* is the principle that converted the administrative boundaries established during the colonial era into international borders and plays a crucial role in the modern era.³ The application of the *uti possidetis juris* principle in the aftermath of the Soviet Union's collapse was supported by the practice of democratic states and played a significant role in the context of the international recognition of Georgia's former Soviet administrative borders.

The article explores problematic aspects, conclusions, and viewpoints on the issue presented.

1. Historical Evolution of the *Uti Possidetis* Doctrine

The term *Uti Possidetis* originates from Roman law, where it referred to property rights rather than territorial sovereignty. It can be argued that the Roman precursor shares little in common with the principle of *uti possidetis juris* in modern international law.

The doctrine of *uti possidetis juris* in modern international law emerged in Latin America in the nineteenth century.⁴

In many respects, the *uti possidetis juris* doctrine of international law represents a departure from its Roman law antecedent. While *uti possidetis* in Roman law addressed property rights, in international law it pertains to territorial sovereignty. In Roman law, it created only a presumption of rights, whereas in international law it confers absolute rights. Roman law recognized legal rights based on actual possession, while international law disregards actual possession and acknowledges rights based on colonial administrative boundaries.⁵

Historically, the *uti possidetis* principle has evolved in two forms: *Uti Possidetis Juris* and *Uti Possidetis de facto*.⁶ *Uti Possidetis Juris* is the form used today, whereas *Uti Possidetis de facto* belongs to the past.

